

114
1968



მეოთხედი

6

1968

ენათობი



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივი კომლიტიკური შუროსი

წელიწადი 45-ე

№ 6

ივნისი 1968 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი კავშირის ორგანო

შინაარსი

10.680

ალექსანდრე აბთათელი — ბარათაშვილი. ლექსი	3
ლევან გოთუა — მითრიდატი. რომანი. გაგრძელება	4
შალვა ფოჩხიძე — ბიზინ ტაბიძე. ლექსი	43
ოთარ ხაღიძე — ჩემი მახინჯი არა. პოემა. დასასრული	44
ანდრო ლომიძე — ალაშინას სივრცულ სწავრია. მოთხრობა	65
გიორგი კახანაძე — ლექსები	69
მირუნ ხაჩიანი — უჩინარი ზარბი. მოთხრობა	71
გრიგოლ ცაცხლაძე — რამდენ მატ სტოცხლოვ. ლექსი	101
ანდრო თაყაიძე — ლექსები	102
ჯუმა ზაზა — ომი უკვე აღარ იყო. მოთხრობა. დასასრული. აფხაზურიდან	104
თარგმნა რევაზ ჭაფარიძემ	
კონსტანტინე პაუსტოვსკი — ოპრუს ვარდი. გაგრძელება. თარგმნა გურამ გოგიაშვილმა	122

ნაკვეთი

თეიმურაზ ბერიძე — ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან	128
--	-----

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

დემან შენგელაია — მესხი გორკი	145
გიორგი ხუბუაშვილი — „იყო ერთი კალი“	154
აკაკი ბაქრაძე — „გველისმთავალი“ და ქართული მითი	<u>161</u>
ნანა გურგენიძე — ფერილატი სოლომონ დოდაშვილისადმი	168





წიგნების მიმოხილვა

შალვა რაფიანი — საურაფლოგო გამოკვლევა ქართვილ მწერლებზე	182
ფილიპე ბერიძე — ცდენებულთა სულიერი დრამა	184
კონსტანტინე ზრიგოლია — თ. შოროანიას „ქრონიკების“ მესამე წიგნის გამოკვლევების ზამრ	188



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მალრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ფლენტი, ა. ხულაყაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

ტექნოლოგიური რ. ჩაყვავაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VI-68 წ. ქალღმთის ზომა 70x108. ანაწყოების ზომა 7 1/4 x 12 1/2. ფინიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობითი ფორმათა რაოდენობა 16. უე 02210. ტირაჟი 9.900. შეკვ. № 1846.

ბეჭდვითი: რედაქტორის — 98-55-11, პ/მგ. მდივანის — 98-55-12, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

საქ. კპ ცკ-ის გამოცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ბ ა რ ა თ ა შ ე ი ლ ი

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულის-კვეთება
და გზა უფალი, შენგან თვლილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

ნ. ბარათაშვილი

ნეტა ვინ მისცა ჭაბუკს ამგვარი
სწრაფვა, გონება, გრძნობა და ნება,
რომ გადალახა ბედის საზღვარი
და დაუტოვა ქართლს თვისი ცნება!

უბულო ტრფობის დაკგმო შიირი,
მდარე სპარსელი მგოსნის ნაირი,
კაცთა კაცობის, ზნის შემსუთავი
და აზეიმა სული უკვდავი.

სირცხვილის ჭირი მოგვხადა ყველას,
როს ააფდერა ჩანგი გრძნეული,
სად ობოლ სულის ხატება ელავს,
სატრფოს თვალეზზე ცრემლად ქცეული.

თუმცა არ ზრდიდა ბედი აზიზად, —
ის დარჩა მაინც გაუბაწრავი,
რადგან ჭხიბლავდა ჯვარი ვაზისა,
ვაზი, დამცხრალი ნინოს ნაწნავით.

ის იყო კაცი მიწის და ცისაც,
ჩათვლილი ორთავ სამყაროს ღირსად,
იგი ღვთისმშობელს ტანჯვით გაკუურებს,
თან აჯადოებს სატრფოს საყურე.

ბუნსა და ღამეს ძღვედა ვაქცაცი
დილის ნათელით და მის კაშკაშით.
მთაში მიფრინავს დალალაშლილი
უცხო მხედარი — ბარათაშვილი.

ჩამოიტოვა მთანი ტყიანი,
შემოეყარა გუდამაყარი.
მთაში არაგვის მისწედა გრიალი
და თქვა სიმღერა მუდამ ახალი.

მისი ქართულის მხიბლავს იერი,
ჩანგი წარმტაცი და მშვენიერი,
ვით რუსთაველის სიტყვის თილისმა
და ღაღადისი ავთანდილისა.

ღაღადი იგი არ მომწყინდება,
რადგან შესძინა მამულს დიდება,
რადგან მსოფლიო მგოსანთა შორის
ისიც ვიხილე მზარდაშხარ მსრბოლი.

მხიბლავს ჭაბუკი მგოსნის ჩვენება,
როცა შევსცქერი ცაში ორიონს
და მესმის შმაგი მერნის ჭუნება,
ჰანგი ქართული, საკაცობრიო.

დავან გომთა

მ ი თ რ ი ღ ა ტ ე

ა რ მ ა ნ ი

მითრიდატემ, ბედანმა და აბიომ წერილის ლუქი დაამოწმეს და ერთად გახსნეს. ხვარა მოგვისა იყო.

„ქვეყნისა და ტახტის წერილად რქვას ამის მომტანმა, ყოვლად სანდომ. განბჭეთ ერთობლივი ჩვენი სიტყვა ფარულ მითრულთა და ღიად გამდგართა. თქვენს ზრახვებს შეათანაბრეთ და ამავე პირით შემოგვითვალეთ. გიგზავნით ჭედილ-მოჭრილს. ხომ არ გაახლოთ ვინმე?“

ყველა ღმერთი, ძველი და ახალი, იყოს თქვენი მწე და მფარველი“.

— ახლა არის საბუთი! უნდა შევხედეთ ბახო-ხალიბს! — თითი მოკაცვა და ღიმილმა პირი გაუხსნა ბედან-კოლხს.

— მაშინ ყველას მოგვიწევს ფოთის ციხეში მისვლა? — თავი ვაიქნია აბიომ, — არც მარტო „თავიდათავის“ წასვლა მიჩანს კეთილგონიერულად!

მრავალი სხვადასხვა გეგმა წამოაყენეს. ბოლოს ისევ „მითრას წმიდა ცხოველის“ შოგონებამ გადასწყვიტა შეყრის ადგილი.

— ტახის კუნძულზე გავიდეთ, ერთი ნაგი გვეყოფა. ღამიანად რიონში ამოვიდეს სამქანდარა. მოსაბრუნებში დახვდეს ტარიელი, გვაზა და გედე. ბახო მარტო წამოვა, ჭედილ-მოჭრილსაც წამოიღებს. ხომალდი კი ღილაძედ დაელოდება ბახოს, მერმე ქვევით წავა. ღილით ჩვენც აღმა ავყვებით რიონს!

ტარიელის ჯგუფი ისევ წავიდა ფოთს და ბახოს „სამაჭურის“ პაემანი აცნობა.

დათქმულ დროზე სამქანდარა რიონს აპყვა და ბნელაში ტარიელის ნავს გადაეყარა. ხომალდი ტყის ნაპირას მიადგა და ქვის ლუზა ჩაუშვა. ბახო-ხალიბი ნავში გადაჯდა, ხალთები და გვაბანაკებიც გადაიტანა, ტარიელს გაპყვა.

ტახის კუნძულზე ძლივს გასარკვევი სანიშნო ცეცხლი ენთო. ტარიელმა ბახო კუნძულზე გადაიყვანა. აქ ელოდნენ ბედან-კოლხი და აბიო-იბერი. ბახომ და ბედანმა ბნელაში ძლივს იცნეს ურთიერთი. უხმოდ საღამო სცეს და შედგნენ.

ტარიელმა გაარიგა საქმე. ხალთები და გვაბანაკები გადმოატანინა და ახალგაზრდები ნავში დასტოვა. თავად კი კედლად აღმართულ ხშირნარში გაუძღვა ბახოს. მსოფიანებიც გაპყვნენ.

ნაჩქარევად მოწულ, ისლით დახურულ კუნჭულა ფაცხაში შედგეს ფეხი. შიგ ჭაბუკი მითრიდატე იდგა, ხელში ანთებული ბაზმა ეპყრო.

ბახო-ხალიბი შესვლისთანავე მუხლებზე ჩადგა.

— ღმერთებო, თქვენი ძალითა, ასე აღმდგარად, ცეცხლანთებულ ამირან-პრომეთედ მეხილოს სინოპეს — მერმე მუხლი წარსდგა, ფეხებზე მოეხვია და ხმაწასულად აჩურჩულდა.

— უეჭვო! უეჭვო! დავაქაცებულა უეჭვ!

მითრიდატემ ხელი მხარზე დაადო, წამოაყენა და თვალეში ღრმად ჩაპყვდა:

— კეთილი იყოს შენი ხლება! პირველი მერცხალი ხარ... იმ ცხოვრებიდან! მერმე ოდნავ თავბრუ დაეხვა, თითქოს სინობეს, მამისეულ სასახლის ქროლვა მოსწვდა კუნჭულა ფაცხაში. ბალღურ გარდმონაშთად მიიჩნია და მწარედ გაეღიმა. ერთი ღრმად ამოისუნთქა, შემოტრიალდა და უკვე მთლიანად „ამ ცხოვრებაში“ იყო. — აბა, დასხედით... დრო არ ითმენს, სათქმელი ვთქვათ და ჩვენ-ჩვენ საქმეს მივხედოთ! — ზეთის ბაზმა ტარიელს ვადასცა და შემადლებულ ტყავ-ნაბადზე ცალმუხლად ჩაჯდა. დასხდნენ ბედან აბიო. ტარიელი უკარო ფაცხის ხარვეზში ჩადგა და ბაზმა მალლა ასწია. სხივი მხოლოდ ბაზო-ხალიბის ჩანაოჭებულ სახეს ეცემოდა... დანარჩენები ბუნდად ჩანდნენ.

— სთქვი ყველაფერი. აქ მარტო ესენი ვართ. გარეთ დარაჯაა. ამათ კი ყველაფერი იციან!

ბაზომ, კარგი დახლიდარივით, ჯერ ხალთები და გვაბანაკები ტარიელისა და გვაზა მეგრის დახმარებით ფაცხაში შემოზიდა, ჭაბუქს ფერხითი დაუღო.

— არა ძღვნად, შენი სამეფოს სალაროს წილად მიითვალე. ლარის საიდუმლო იციან მხოლოდ ხვარამ, ტარიელ-უფროსმა და მე... უღირსმა. მრავალნი მზად არიან გეახლონ პირველ ბრძანებისთანავე. თემესტე-მკურნალი, ოდიო-მეაბჯრე, დიოფანთე მხედართმთავარი, პელოპიდე ფილოსოფოსი და მრავალნი სხვანი.

— აქ არა და მალე კი დავიბარებ... ნაწილ-ნაწილ. არვის დავივიწყებ! ყველა და ყველაფერი შახსოვს!

მერმე უფრო ჩაღუნეს თავები და ბაზოს წერილსა და საქმიან თხრობას გულისყური მთლიანად დაუმორჩილეს.

დიდი საოცრებანი თანდათან იშლებოდა პონტოს ლტოლვილ მემკვიდრის წინაშე. ზოგს, მიუხედავად შახვილ აღლოსა და ჭერეტისა, ვეღარც სწვდებოდა. მაშინ მხცოვანები წვლილვით უხსნიდნენ.

ტახტის მემკვიდრედ ხეიბარი მითრიდატე-ქრისტი გამოეცხადებინა ლო-

დიკე დედოფალსა და „საქურისთა საბჭოს“. სასახლესა და სამეფოში ზარიადრე და სირიელები პარპაშობდნენ. მკვიდრი ტომები თითქმის ღიად განუდგნენ სასახლესა და ქალაქს. „მითრულთ“ უმრავლესობა გაქცეულა კაბადოკიაში, მაგრამ იქ უარესი მდგომარეობა დახვედრიათ... რომაელები თითქმის ღიად „მფარველობენ“ კაბადოკიას და, როგორც ბაზომ სთქვა, ქვეყანა უკვე „გაანდერძებულია“ და რომს „ჩიბეში უდევს“.

ახალგაზრდა მითრიდატე შეძრწუნდა.

— ჩენი პონტოც ხომ არ არის ჯერ „გაანდერძებული“? აშკარად გვითხარ, რა გვჭირს?

— დედოფლის „ანდერძს“ არ დასჯერდნენ... მამრისა სწადთ და მოგვთა მოგვსაც, მეც, ზოგ სხვათაც, დიდი ეჭვი გვაქვს, რომ თქვენი უმცროსი, სულ უსაჯო ძმის უფლისწულად გამოცხადება სწორედ „გაანდერძების“ პირველი პირობა და სამზადისია, დედის ანდერძის დამატებად თხზული და საიდუმლოდ იქნებ უკვე დამოწმებული!

ჭაბუქმა ცეცხლი მოიკიდა, მაგრამ ბედანმაცა და აბიომაც განუმარტეს, რომ ეს „სულ უსაჯო“ მდგომარეობა, არცთუ ისე ცუდი იყო დროის მოგების თვალსაზრისით.

არეული იყო შინაური მდგომარეობაც, ქართველ ტომთა მთლიანობა დაიარღვა. სირიელები ძალადობდნენ და ყველგან დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. ბერძნული ან ნაბერძნული ქალაქებიც „გაქირად“ იყვნენ ვადამთიელ სირიელების მიმართ. და აქ მოახერხეს ხვარამ და ბაზომ ფარულ ზრახვის გატანა. „ყველასათვის მისაღებ, შუა ძალად და სასახლის მორჩილად“ კოლხეთიდან ახალ რაქის სპის გამოყვანა. ეს ამოცანაც ბაზოს დაავალეს, მაგრამ ფოთის ციხისთავმა ჯოტომ შორს დაუჭირა, ჩანს, კოლხეთ-ეგრისის მეფე-მთავრის გოჯის ბრძანებით.

ამ ზრახვის ფარულობა კი იმაში იყო, რომ სინობეს სასახლეში „მომავალ მეფეს“ ჩუმი მომხრე ჰყოლოდა.

ეს ზედმიწევნით დაემთხვა მსცოვან ბჭეთა „არსიანულ“ ზრახვებსაც.

ბედანმა და აბიომ ფრიად მოიწონეს ეს შორს ნამიზნი განზრახვა და გოჯი მეფე-მთავართან დაუყოვნებლივი შუამდგომლობა აღუთქვეს.

კიდევ, რამაც ფრიად ააღელვა ჭაბუკი, იყო ამბავი დედისა და ძიძის რკენისა და თიამათ ძიძის ამგზავრება „მარად ცოცხალ მითრიდატეს“ საქმზნელად.

თითქოს, ზღვის აქეთაც მოსწვდა მისი სარაკუნას ვულმხურვალე ხმა. — მამ ჭველამ დაიჯერა ჩემი სიკვდილი, ძიძამ კი არაა ვინ ამიხსნის ასეთი განჭვრეტის საიდუმლოს? ეს აღლოზე მეტია, ღმერთებისეული წვდომა!

— ტომის ნიშანი! დედობრივი ალლო და სიყვარული! ჩვენში არის ერთი დიდი თავანკარა გრძნობა — ჩვენთან დედა ყველას დედაა! ამიტომ არის ასე გავრცელებული ჩვენს ტომებში დედამძღობა, ძიძობა, შვილის მოკიდება, გამდლობა, ობლის აყვანა! და ეს ვგონებ მამაკაცებზეც ვრცელდება! — უკვე უფრო ნიშანდობლივ ჩააზუსტა ბედან-კოლხმა.

მხოლოდ აბიო-იბერმა ინიშნა, რომ ბედანის სიტყვა, გარდა საერთო სიმართლისა, „არსიანულ“ ზრახვის კერტი-საც იყო.

14. შიპრიანი რიონი

მაღე ფარული ბანაკიც აიყარა და დიდ რიონზე გავიდა. ჯერ კიდევ ნავლი მდინარეზე მეორე სართულივით იდგა. ტანმალა ტყეს ზედამხარე არ მოუჩანდა და თითქოს მრავალფეხა თუ ათასსვეტა ჰქონდა შეყენებული ბამბის სართულს.

— აბა, ვიდრე ხოფებით მივალთ, აღმატალღური დავკარით! — წინა ნავიდან გადმოსძახა მუხამავრამ.

მეზოფეები დააწვინენ ხოფებს. ნავქარავანს საერთო სახე ეცვალა. სამი მოხეტის გარდა, ყველას პირდაპირ

მთელი ღამე თეთრად იბჭეს. საქმე კარგა ხნით გაარიგეს. საიდუმლო კავშირებში შეთანხმდნენ. ბედან-კოლხმა ლარიც ჩაიბარა და დილაბინდზე, ჯერ შუქგაუქრავ და ნავლაუსვლელ მდინარეში შეცურდა ბახოს ნავი.

კუნძულის თავთან კვლავ წააწყდნენ ღორების კოლტს.

— მეტად კარგი ნიშანი! — ნავს გასძახა კუნძულზე დარჩენილმა მითრიდატემ, რომლის გულის დიდი ნაწილი უკან, სინობეში მიჰყვებოდა ბახოს. მერმე ნავლსა და ბინდში უცბად გადნა ნავი.

ვათენებისას სამქანდარა ისევ ფოთში იქნებოდა. იქიდან კი სულ ზღვა, ზღვა, ზღვა და ... სინობე!

მეორე ნავში უკვე აწყობდნენ ხალთებსა და გეზბანაკებს. მითრო-შეგირდს ჭედილ-მოჭრილის ჩხრიალიც კი მოესმინა. ახლა თვით მას სჭირდებოდა „უტყუარი საბუთები“, თორემ ყველაფერი ეს მდინარის ნავლში მოლანდებულს უფრო ჰგავდა. —

ნავლს კი შორეული ფერიფური ემატებოდა. მაგრამ გამჭვირვალეობა ჯერ არ იყო, არა... არც ბუნებაში და არც ცხოვრებაში.

შიშველ სხეულზე ბეწვადმა ამობრუნებული ტყავაკაბა ეცვა. ფეხშიშველებიც იყვნენ. ძველი და ახალი ტვირთი თანაბრად გააწილეს ნავებზე. პირველი მუხამავრას მიჰყავდა, მეორე მითრო-შეგირდს, მესამე სავლაკეს. ხოფებზე ხშირ-ხშირად იცვლებოდნენ და კარგადაც აიმაძილეს წყალაღმა.

აქ არც თუ სწრაფი, მაგრამ მიმდგარი დენა იყო. მაინც ნაღვლიანი და ფიქრიანი იყო რიონი. თუ ასე ესახებოდა ფიქრიან მითრიდატეს...

აქაიქ ნავებიც ხვდებოდნენ. რიონის

მსუბუქი კამარები, მაქოსაყით მხარია-
ლებდნენ მდინარის გამოლილ „ქსოვილ-
ზე“.

„წყალმშვიდობა“ აქ აუცილებელი
წყისი იყო. თუ შორს იყო, ხოფით მა-
ინც მისცემდნენ ნიშანს.

დატვირთული ნავთქარავანიც შეხე-
დათ, შორეული კასპიის გადაღმელი
სოფდავრები იყვნენ. საქონელი ტიკებ-
სა და ნავტიკებზე ჰქონდათ დაწყობილ-
დაფუთული.

ერთგან ახლო ჩაუარეს, გამოლაპა-
რაკებაც სცადეს; მაგრამ ენის სადუ-
ნები ბუდან-კოლხის და მითრიდატეც
ვერას გახდნენ.

— ჩვენ ხომ დიდ საქარავნო გზაზე
ვართ. სპერის ზღვა — ფაზისი — ვარ-
დციხე — ქუთაისი, შორაპანი. — ბე-
დანმა ახლა აბიო-იბერს გადაულოცა
სათქმელი და სავალი, არც მან დააყო-
ნა:

— სურამის ციხე, უფლს ციხე,
მცხეთა-არმაზი, ხუნანი, ალვანეთი,
მტკვარი და კასპია. მერმე ზღვის იქი-
თა...

— გზა ხან სანაოსნოა, ხან სახმე-
ლეთო. — სურათი შეავსო გვაზმა.

ტყე-ჭალა და ჭაობი აღმაც კარგა-
ხანს მისდევდა რიონის ნაპირებს. გავ-
ლეს ნაპირის ბექზე აღმართული მუ-
ხურის ციხე.

— ჰეჰეი, მენავე! სადაური ხარ? —
გადმოკმაბეს თავანიდან.

— მუხაშაურა ვარ, ჯიმა-კოჩი! რიო-
ნი და სუფსა რამ გააჩივა?! ჯოტო
ცალხელა ჯიხასთავის აფრას იცნობ! —
და მუხაშაურამ წინგოსფერი აფრა
აუფრაილა. — სამი ნავე ვართ, შეგე-
წიოს სამი ღმერთი! მუხურელი!

— წყალმშვიდობა ჯიმა-კოჩებო!

— ასე დაცულია დიდი საქარავ-
ნო? — იკითხა მითრიდატემ.

— სულ ასე, თორემ ისე სოფდავარს
რა გააბედინებს. რამდენი ყურსალი და
მეკობრე დახეტება ამსიგრძე გზაზე!

რიონმა კი ზევით და ზევით მოიმა-
ტა დინების სიმძლავრე და წყალგაღმა

სვლა დამაბულობასა და დროს შოი-
თხოვდა.

მუხაშაურები გაიწურნენ. მითრი-
დატე მინც ესეოდნენ აბუზარა ფი-
რები. მუხანდელმა შეყრამ ისევე თავი-
დან გამოუღვია ოდნავ მიუჩნებელი
მთავარსაგლოვარი. ჰოი, რამდენი წყა-
ლი უნდა ჩაატაროს ნავექვეშ, რამდენი
შორეული მიწა-ხმელეთი უნდა ტეპ-
ნოს მიუსაფარა, რამდენი ეკვი თავად
უნდა ღრუნას, რომ გულ-ღვიძლი გა-
მოღრუნული არ დარჩეს?! ნეტავ, პონ-
ტოსაკენ როდის შემოებრუნდება გზა
თავგზაარეულს?

მაგრამ აქაც უსაშველა მუხაშაურამ.
ზედა სამოსი გადაიძრო და საწმერთე-
ლიც აიკოტოვა. სხვებსაც შეუძახა:

— აბა, მენავეებო! მომყევით. თოკ-
კაპანა გაახაზირეთ! უკვე რიყეები
განხდა უფრო მალე ვივლით, ჭაბუქე-
ბო! მუხლებიც დაგვეხუთა!

— ოღონდაც! — გასძახა შეგირდმა
და ტყავ-კაბა სულ გაიზადა, მესტები
კი შეიტოვა.

— გავწიოთ! — გამოსძახეს ნავე-
ბიდან, — მზად გვაქვს!

მუხაშაურამ ირიბულად აქრა კალა-
პოტი და რიყიან ნაპირს მიამურა, თო-
კის წვერს ხელი სტაცა და თხელ წყალ-
ში გადაბტა, კეპა-ქეყუბით წყალაღმა
აისწრაფა, თოკი ვაშალა და ნაპირ-ნა-
პირ ირბინა, ვიდრე ნავის სიმძიმე არ
იგრძნო.

ჭაპანი მხრზე გადაიტარა და წყალ-
წყალ აითრია ნავე. ფეხდაფეხ მისი
წყვილი გუდუც მიჰყვა, მანაც მხარი
მისცა და უღლად, ოჯურად გასწიეს
ნავე-ჭაპანი. ფეხმარდიც აუწყვეს.

მუხაშაურა თან თვალს ადევნებდა
მეორე, „მკურნალთა და ფილოსო-
ფოსთა“ ნავს.

ყველას შეგირდმა დაასწრო გადმოხ-
ტობა, ნავის სვლა არც დაუფერებია,
ისე გაიზინა „თოკის მანძილი“ და ჯი-
ქურად, ძალამოუზოგავად გასწია.

— საოსტატოდ შემოინახე ძალა,
ჯიქურ-შეგირდო! კისრის ძარღვს გა-

უფროთხილი! — ერთიც გასძახა და მუხლი გამართა.

საველაკეს იმედი ჰქონდა. ის უფრო გამოკვლილი იყო წყალში.

კარგად რომ დაეწყო ნე-ჰაპანა, ნე-ჰაპანის დედამ ერთი კვინიზგადასული ყვირნი ამოუშვა და კულშიც სიმღერა ჩაასკენა.

— ჰეი, და ჰეუ, ჰიჰე ბიჰებო! ოხო-კოჩებო! ამირანებო!

— ჩაბმულა და ჩავრებილა ნე-ჰაპანა! ნე-ჰაპანა!

— ნე-ჰაპანა!

— ნე-ჰაპანა! — თითქოს სიმებს გაჰყვა ძახილი, ნავებს გაუღო.

— ნე-ჰაპანა. — ახლა ძახილი რიონის ზედაპირს გაჰყვა ზევით და ქვევით. მუხამავრამ კი ლექსიც ჩაგრიხა, ფეხიც აუწყო და სხვასაც ააწყობინა.

ძმებმა ჩააბეს ჰაპანი ამირანისა

გზისანი,

ცხრა წყალი გადაიარეს, მეათე —

რიონისანი,

კეცეს და კეცეს ნაპირი მშობლიურ

კოლხეთისანი,

ნე-ჰაპან დედის სიმღერა ფიცია

კეთილ ძმისანი!

სიმღერაში რიყე ჩაათავდათ, უტები ტყე ისევ შემოიჭრა საველში, მალე სულ დაიხშო. ამ ნაპირზე ნე-ჰაპანას გაწევა აღარ შეიძლებოდა.

— აბა, გაღმა, რიყე-სავალზე! — ჰაპანის დედამ გასძახა და თოკი მოი-მოკლა, ნავი დაიხსლოვა. ორივენი შიგ ჩახტნენ და ხოფებს დააცხრნენ. მიმ-ყოლი მეჰაპანელი ძავეე მოიქცნენ.

— აბა, პირველ ძალისა! მეკობრუ-ლი! თითქოს მოგდევენ! — მოუხედა-ვად გადსაძახა და შექმნა ზოფთა ტრია-ლი. — რომ ვაგიჭირდეთ, შემომძახეთ, ხამობის შეღავათს მოგცემთ!

ნავები მიპქროდნენ ირიბულად, აღ-მა და გაღმა. ხამობის შეღავათს კი არა-ვინ არ ითხოვდა.

ბოლოს მუხამავრასაც გული გაღე-

ლილ საყელოში ამოუგდო, მაგრამ ნა-პირიც ახლო იყო. ისევ გადაბტა! და თოკი აიტაცა. გედევ გადააყვას! და მარ-ჩენთათვის აღარც მოუხედავს. რიყის ხმაურზე გრძნობს. უკან მოსდევენ! მუხამავრამ უკლო რბოლას:

— ეჰე, ჯიუტებო! ნაწურთან კაპუე-ტივით არ მომდევთ! ამ ნე-ჰაპანში რომ გამოდგება, მერმე იმ კაცს მეფე-ლაც არა უშავს რა! — სუნთქვაბოკი-ლად მეტყველებდა და ნელა ვიდოდა. სული მოიბრუნა და უკვე გრძელგზუ-რი ბიჯი ააწყო, სუნთქვის შეუტოლა.

მითრიდატე კი თავისას ფიქრობდა, მამ მეფობა, მონობა და ჰაპანის გაწე-ვა ერთი „თოკის“ საქმე ყოფილა და მე ქვევიდან ვიწყებ!, მხარზე ჰაპანის ნაკვალევს ხელს უნაცვლებდა და ძა-ლა მოუზოგავად ეწეოდა.

ძვე ავლეს სირიაჰკონის კეთილსაგა-ლი, გამლილი ფონი. წყალ-ხმელეთად და თოკსა და ხოფს შორის ჩაღამდათ. მეტად დაიღალნენ. ზოგი ხომ და-მენატრებიც იყო. ტუხურის შესართა-ვამდე მაინც ვერ მიღწიეს. ფონს გას-ცდნენ თუ არა, ჰაპანში მოხვდნენ. ერთ ნეში წყალმაც გამოკონა. მშრალი ნა-პირი მონახეს და ღამე გაათიეს.

არც აქ ეწერათ დასვენება. ცეცხ-ლითა და კვამლით კოლოებისაგან თა-ვი დაიცვეს, მაგრამ ახლა უამრავი და-მის პეპელა და გველ-ბაყაყები შემო-ესივნენ.

ღამის რიონი კი კიდევ უფრო ფიქ-რიანი და ქუფრდაყოლილი ჩანდა, თი-თქოს სუნთქავდა კიდევაც და ვეფხურ რხევით მოძრაობდა.

მსკოვანები ნავებში დარჩნენ. სხვებმა პირდაპირ სილაზე გაშალეს ტყავნაბადები. მუხამავრამ ნავებს თო-კი დახსნა და საწოლი ადგილი ამ თო-კებით შემოკრალა.

— რა ჯალოს გვალბეთ! — გაიკვირ-ვა მითრიდატემ.

— კეთილ ჯალოს! არც ერთი უფეხო, უხსენებელი, მხამიანი თუ უშამო ზედ არ გავდმოხრიალებს! აბა, ღამე

ნებისა. დღეს კარგად გავმართეთ მუხლები! თქვენ ჭაბუკ-კოჩებო! — განსაკუთრებით მითრილატესა და სავლაკეს გადასძახა, — კი ივარგებდით მენავე-მექარავენებად, ერთი ჩალვადრობაშიაც უნდა გამოგვცადოთ!

— გამოგვცადე! გამოგვცადე! — ესიტყვებოდა მითრო-შეგორდი, თან ძილის პიროში ჰფიჭრობდა თავისას — „უფეხო უსწენებელი რა ბედენაა. ორფეხა მოსახსენებელია უფრო შხამიანიც და შას ვერც თოკი დააკავებს!“

ღამით კი მგლებმა გამოაღვიძა დაღლილი ბანაკი. ნავებში დარჩენილი სანოვაგის სუნმა მოიყვანა, ბერიკაცები შეაფრთხო და ააყვირა.

შეძახილზე გაიქცნენ, მაგრამ მთელი ღამე გარს უვლიდნენ და ნაკვერცხალა თვალებს აბრიალებდნენ.

ვათენებისას კი ზედახლო ტურებისა და ფოცხვერის ხმამ შეაღვიძათ.

ნავგიანევი მთვარის შექუჩე, რიყის სილაში გორაობდნენ და გააკიოდნენ.

...და უცნაურ ფიქრთა დრეკით, ჭაბუკ მითრილატეს ლულუფა შეწირულს „გამკვიან“ ლანდებში წამოუფეფთა, თითქოს ამ ტურებში ჩამყდარა და ტირის!

დაღლილ სხეულში სითბომ გადაურბინა და წამოახტუნა. ქვეს დასტაცა ხელი. არა, კი არ ჩამყდარა, ტურები შემოხვევიან და გორაობითა და კვილით უახლოვდებიან ქალწულს, აი სხეებსაც გამოეღვიძათ. სავლაკეს თავი წამოუყვია, ალბათ, ისიც ჰხედავს? მითრილატემ ტურებს ქვა სტყორცნა.

ტურები ლანდებივით გამშენენ, მაგრამ აღარც ლულუფა იყო საღმე. მხოლოდ ნავგიანევი მთვარის ანარეკლი ლულუფრად იზნიდებოდა რიონში.

— დააფრთხე სატურეთი? — გაღმოსძახა და ისევ ნაბადი წიხურა საელაკემ.

„ნუთუ მე უკეთ ვხედავ შეწირულს. ვიდრე მისი აკვნის დანიშნული“? — მწარედ გაიფიქრა შეცბუნებულმა „ზღვის ძმამ“.

ძილი გაუტყდა. არა, ტურები აღარ მობრუნებულან, მაგრამ ლულუფა ფიჭრებიდან აღარც წასულა, რას იქედენა ასე მიბეჭითებითი? და სრულიად მოულოდნელად თავისთვის, აღმოაჩინა რომ ლულუფას ლანდი კარგა ხანია დასდევს და თან ახლავს მუდამ. ხან როგორც თავმოკვეთილი ჩრდილი, ხან როგორც გამჭვირვალე ნავლი, ხან როგორც უსხეულო ფიქრი, ხან კი... და ეს ყველაზე უფრო ამორჩებს ხოლმე... სრულიად ცოცხლად, აი, სავლაკეს უმზერს და ლულუფას კი ჰხედავს! ეს რა მოურევი ფიქრი სჭირს? აფთრის არ შეეშინდა და ეს ქალწული კი აბრჩობს! მშვილდ-ისარიც, გამბედაობაც, უტებობაც აღნება ხელში. ამ ჯადოფიქრთან ყველაფერი საანთლის ყოფილა! ხორცს დაიჯიჯვნის და თავს არ მოუხრის!

თავი წაყუო, მაგრამ ზურგი გამოიშინვლა. ხელად დააცხრნენ კოლოები. ჰკებნენ და ჰკებნენ. გესლაკენ. ბზუიან. და საღდაც. შორს, მდინარესა და მთვარის უკან... სტირის, სტირის ვიდაცა! არა, არ ასწევს, თავს, თორემ უმალ გამოეღანდება მტრალი და გაუციენებს!

მეორე დღეს ადრევე მიაღწენ ტეხურის შესართავს. აქ ფლატიან ნაპირზე მივიდნენ და ერთი კარგად დაისვენეს.

გური ასკანელთან შეყრის ბორჯალი, ნატაოში, სადაც ტესურზე ბოგა იყო, ხელ დგებოდა. თუმცა უფრო ძნელად, ნავ-ჭაპანით, კიდეც შეიძლებოდა ტეხურის აღმა სვლა. მაგრამ ტეხურს უკვე, მართლაც, ტეხური ნაპირები ასდევდა. ჩქერიც უფრო სწრაფი იყო. მოხუცები ფრიად დაძლია მგზავრობამ. ცხეფოჯის კარზეც კეთილგალაღებულ სტუმრებად სურდათ მისვლა და არა დაღლილ ლტოლვალემა. ალბათ, ესეც ტომობრივი ნიშან-ხაზიათი იყო.

ტეხურის პირს უკვე ხშირი სოფლე-

ბი ასდევდა, ამხარა და კუნჭულა ფაცხები აქა-იქ წაბლდს ოდები.

გვაზა მეგრი და გედე ახლო სოფელში წავიდნენ, ცხენების საშოვნელად.

— რატომ საშოვნელად? კეთილი საფასური მიეცით! სამადლო რა გეჭირს. მაინც დაგეჭირდება. ლარიც გვაქვს და გზაც! — პეშვით მოუზომა ქედელ-მოჭრილი შეგირდმა გვაზას.

— ეს მთელ ჯოგს მოგვარეკინებს! — ქაბუჯის ხელხვედვიანობა იამა მხცოვანს.

— გულუხვობა მეფის ზრდილობაა! მაგრამ ნუ გაეფიჭდებათ, რომ „შეგირდი“ ბრძანდებით!

— არც ეს მაგიწყდება, მაგრამ არც ხელობა დაბადებით მონიჭებული!

— ბრძანება თქვენი! აქ კოლხ-აფხაზურა ჯიშის ცხენებია. ისინდში და თარჩიაში ტოლი არა ჰყავთ!

წამსვლელები წავიდნენ. მუხაშავრა ნავებს დასტრიალებდა. ზოგმა ფიჩხის მოსატანად წარდგა ფეხი. დანარჩენები ცეცხლთან მისხდნენ და სადილის მოლოდინში ბაასი გააბეს.

— მამ ამ მდინარეს ორი სახელი აქვს? — ბედანს შეეკითხა შეგირდი.

— ორი, ფაზისი და რიონი.

— რომელია მათში უძველესი ან უფრო მართებული? — შეეკითხნენ ახალგაზრდები.

— ორივე მართებულია. სახელები კი, ჩანს, ერთმანეთს ენაცვლებიან და ბევრი გაუგებრობაც გამოიწვიეს!

— მე წამიკითხავს როდოსელი, კტესია, ფინევისი. სხვებიც. დამაბნის ამ მწერლებმა! — გულნატყვნად აღმოხდა მითრიდატეს.

— არც გასაკვირია. ამ ჩვენ შობლიურ მდინარეს სათავე კავკასიონზე, ფასის თუ ბასის მთაზე აქვს. ის მთიანი მხარე ბასიანად სახელოდების.

— ბასიანად? — შეესაბნეს აქეთიქიდან.

— მაგრამ ბასიანიც ორია. სავლაცეს ეცოლინება! — განაგრძო ბედანმა.

— არსიანის ძირობებში, კოროხის სათავეებთან?

— ამის გამო ბერძნებმა სწორად კოროხის სთვლიდნენ ბასიანად ანუ ფაზიანად!

— ძველ ბერძნულ წიგნებში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ფაზისი ამარანტოსს ქედიდან დის! ამარანტიონი იგივე კოლხეთის მთებია, იგივე კავკასიონი, აქ მარტო წყალი და ხმელეთი არ ჩანს არეული!

— არა, სწავლულო შეგირდო, — ჩაღიმა განსწავლულ კოლხს, — ახლა აქ გეოგრაფია და მითოლოგიაა არეული! ამარანტოს — ამირან-მთას უნდა ნიშნავდეს. ბერძნების პრომეთე და ჩვენი ამირანი ხომ ერთი და იგივე გმირია. ჩანს, ჩვენს ამირანს ორი ეპითეტი ჰქონდა — წინასწარმჭერტელი, ბერძნულად პრომეთეოს და უკვდავი — ამარანტოს. დროთა ვითარებაში, პირველი სახელად დამკვიდრდა და ბერძნებს პრომეთედ დარჩა, მეორე კი ქედის სახელად შერჩათ, თუმცა ამკარა შეუსაბამობა გამოუვიდათ, რადგან ამარანტოს, ესე იგი უკვდავი ან, ზოგიერთის გააზრებით, მარადმწვანე, აბა კავკასიონზე და, საერთოდ, ქედზე, მით უფრო თოვლიან-ყინულისანზე ვით ითქმის?!

— შეუსაბამობა უფრო ამტკიცებს შესაბამისს. კარგი ჰერეტა! უკვდავ მიჯაჭვულს სამყოფელი, უთუოდ მანდ არის სადმე! მაგრამ რიონი რა შუამია? — აქ უკვე ახსნა-განმარტება კი არ იყო, არამედ დიდი ჰაეტრობის დასაწყისი მწურთნელისა და შეგირდის შორის. ყველა უფრო ახლო მოჭდა და დაყურადდა.

— აქ უფრო ძნელია გავნებ-მოგნება. მოდით, ერთად ვიფიქროთ ყველამ.

ამირანი და რიონი მე ერთი ძირსაბრუნავის სიტყვები მგონია, ხოლო ბერძნული ამარანტიონი იქნებ შეიცავს ამირანსაც და რიონსაც, შემდგომ ჩაყლებულსა და კვეცილს?

— ისევე როგორც ოხვამეროინი,

სალოცავს — ოხვამერსა და რიონს! ქუთათის ამოვლისას ვნახე და ანიხსნეს! — მსგავსი მავალითი მოუბოვა აბიო-იბერმა:

— სადმე, აქაც, რიონის პირზეც, უნდა იყოს ამირანის სამლოცველო? მუნაშაერავ, ხომ არ გსმენია? აბა, მსგავსი სახელები ჩამომითვალე! — შეასახელა შევირძმა.

— არის მამოსონი, ესეც კავკასიონზეა... გადასავალი, ონი — რიონზეა დაბა, ზესტაფონი, შორაპნის ციხესთან არის, მკირე სოფელი, მაგრამ იგი რიონზე აღარც არის. — მაგრამ აქ კი ბედან-კოლხმა შეაწყვეტინა.

— რიონზე არა, მაგრამ ფაზისზე კი არის! ბერძნები ფაზისს სწორედ შორაპნის ციხიდან სთვლიან, ყვირილას ნაწილის ჩათვლით.

— ჩვენ ბერძნებმა მარტო ოჭროს საწმისი კი არ მოგვტაცეს, არამედ ცეცხლის მოპოვების პირველობაც! — სულ სხვა მხრიდან დაუარა აბიომ, ახალგაზრდები ააღლევა. მაინც ყველანზე ახალგაზრდა მითრიდატემ მსკოვანებზე მკაფიოდაც გამოჰხატა.

— ბერძნებმა გაინაღდეს თავისი, პრომეთე ადვილად იწოვნეს და უფრო ადვილად გაათავისუფლეს. ჩვენი ამირანი კი მიჯაჭვული დაჩაჩა! ჩვენ ახლა ამირანის მებრძოლი სული გვჭირდება და თავისუფლების მომპოვებელი ჰერაკლეს ძალა!

ეს ჩაძიებული საუბარი, ალბათ, დიდხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ ტეხურის გაღმიდან ყიეინ-ჭიხვინი მოისმა და შეკოლმებულ ნაპირიდან წყალში დგაუწინით გაღმოეშვა ათასი ცხენი მაინც.

მგზავრებმა იარაღზე იტაცეს ხელი, მაგრამ მხედრები აღარსად ჩანდნენ.

კოლხ-აფხაზურა ცხენების რემა კი ტეხურში მოუტრავდა და თითქოს მდინარეს ათასი თავი ება.

ტორებით აქაფებული ტალღა შეენოლა ტეხურს. ფაფრად და ძუად აღვა. ხილვას ამრავლებდა... და ყოველ

ცხენზე თითო ამირანს ჰხედავდა მეოცნებე მითრიდატე; გაწყვეტილი ჯაჭვები ეპყრათ ხელში და ეს იყო მათი პირველი გამარჯვება, უპირველესი იარაღი და უუპირველესი სულსკვეთება!

გამოღმა მოაღწიეს, ამოვარდნენ ნაპირზე. საოცრად ბზინავდნენ ნატეხურალნი. მაინც ერთი მეწინავე ულაცი, თავკობწია და შუბლთეთარი, თვალწითელა, საოცრად თეთრფეხარა და ძუათეთარი, თავად კი მქეინისლა, მუცელატეცილი და სხმულბატულა.

მითრიდატეს თვალები აუთამამდა. დიდი რემა კი ნაპირის ისლნარში შეიქრა, გადათელა და შიგ ნისლივით გალხვა.

მალე გვაზა მეგრი, გედე და მერემეები მოადგნენ ტეხურს. ფონი ნახეს და გამოვიდნენ. მათ უკვე მარქათა, უბელო ცხენები, თოკაბმულად ახლათ.

— რემა გამოვვექცა. თეთრანისლამ გამოიტაცა! ნახეთ რა ცხენია!

— ენახეთ! თვალწითელა! — შეფრდნით მიძახა ვითარ-შევირძმა.

— ნისლა ულაცი! — ზეზე წამოვარდა სავლაცი.

— მავის გამხედნი კაცი არ ყოფილა! — ორჭოფული სიტყვა ჩააგდო გვანამ და მოყოლილები მოიმოწმა.

მითრიდატემ მეტი აღარა თქვა რა, მაგრამ ბედანს მერყველად შეჰხედა.

— ეყიდულობთ! — მოსქრა კოლხმა. — დაიჭირეთ, აბიო-იბერი შევვთანხმებს.

— თუ დავიჭირეთ. ეგ არის საქმე! — ექვიანად თავი გაიქნია თმაკაუქამ.

— დაუტყრავად, ველზე ნახევარ ფასად გაძლევთ!

— მოვალთ! — წამომართა მითრო-შევირდი, — რა მენახევრენი გენახე! დავიჭერთ და ფასაც მთელს მოგცემთ! — ერთ-ერთ უბელო ცხენს მოახტა და გადათელილ ისლნარსაყენ გასწია.

აბა, ტარიელსა და სავლაცის რალა

დააკავებდათ. მუხამავერამ კი ხელად ნაკებთან ჩაირბინა და თოკის მორგვი წამოიღო.

— ქამანდებიც გაქვთ? — ცხენს თავი მოუწია მითროსი.

— გვაქვს.

— საჩხებიც არის სადმე?

— არის.

— აბა, ცხენს კი არა, ფრინველს ჩამოგიღებთ ზეციდან! თვალწითელა თეთრანისლა რა ბედენაა!

მაგრამ ამ „ბედენამ“ მართლაც, ბევრი აწვალათ. როგორც კარგი მხედართმთავარი ისე უძღოდა დიდ რემას. ხან თავში იყო და გზას უკვლევდა, ხან ბოლოში ჩამორჩენილ ფაშატებს გავაზე ჰქებენდა, თეთრი, გრძელი ძუა კი მისარონის თეთრა დროშამსავით გაშლიდა.

ბოლოს გრძელთოკი გააბეს მღვერებში, ქაობისაკენ მისჩიხეს რემის ნახსლელი. თავს დაუარეს და თოკის ოდრიკალში გაჩხიბეს... მაგრამ თეთრანისლა ყალბზე ადგა და თოკს გადაახტა. თუმცა დანარჩენები რომ ვერ გაჰყვნენ, არც თავად წავიდა შორს, ბორცვზე შეღვა და ისეთი ჭიხინი ასტეხა, სატეხუროსა და სარიონოს გადაწვდინა. მთელი ათასფაფარა ჯოგი აქეთ მოაქცია.

ახლა კი იდროვა მითრიდატემ და მექამანდეთ ნიშანი სცა. ბორცვს დაუარეს და ჩამოჭროლილს, ქამანდი სტყორცნეს. ერთ-ერთი მაინც მოხვდა. თავზე მოედო.

გაიძვირა და ყულფი ყელზე შემოეჭირა... მაინც გაიწია და ცხენ-კაცი გადააბრუნა, ასევე თოკათრეულად გაწინაურდა... მერმე თოკაც ხელახლად დაიჭიმა და თმაკაუტა მერმე მაჭით დაითრია... ჯერ ქაობ-ქაობ და მერმე ჯგვერნარს მიაშურა. მარცხი გარდღევალი იყო. მითრიდატემ პირველმა იაზრა, ცხენით გადუქრა გზა, ნისლათეთრას ვეღარ მოუსწრო, მაგრამ თოკის შუას კი შეტყობარდა და ხელი სტაცა. ახლა

თმაკაუტა მერმე მითროს უკან იყო თოკათრეულად.

შეგირდმა მესტის ყელიდან მცირე სატევიარი დააძრო და თოკი ხელს უკან გადააკვეთა. სატევიარიც გადააგდო და ორივე ხელით წინა ბოლოს დაეჭიდა, ძლიერად ჩამოჰკრა, ქამანდის ყულფის ძალა აგრძნობინა, თანაც ნისლათეთრას სრბოლას თავისი ცხენიც მიაყოლა. ლაწა-ლუწში და ჭყაპა-ჭყუპში იგრძნო, როგორ თანდათან უკლო სელა ნისლამ. მღვერდმა ხელად თოკი მოიმოკლა და ქამანდ-მოგდებულ ცხენს გეზი შეაკვლევინა, თავდაც კუთხე მოჭრა, დაეწია. მოიახლოვა ცხენი, თითქმის ჩასწვრივ ატარა... ახლა კარგად ესმოდა ყელშეხუთულის ხიზინი... მოზომა-მარჯვენა სტაცა თეთრ ფაფარში და გაჰქენებულ ცხენიდან — გაჰქენებულ ბედაურზე გადაახტა. ზურგზე მომაგრდა და სუნთქვის ოღნაევი შეღავათი მისცა.

ნისლათეთრამ მუხლი გრივალივით გაშალა, მოიმორბედა და ისევე ისლანარში შეეარდა... მაგრამ სადღა წაუვიდოდა ზურგზე შემომჭდარ ხელმაგარ მხედარს.

მღვერებში თმაკაუტა მერმე მოასულიერეს, დანარჩენი რჩეულცხენებიც მოიქამანდეს და თოკები დაკეცეს.

თეთრანისლა და მისი გამხედნელი კი არსად ჩანდნენ.

— უბოროტო და ფრთოსანი კი ჩანდა ვაკეცი, მაგრამ მოენახოთ არ დაამარცხოს!? შეწუხდნენ მექამანდენი, მაინც აზრზე მოსული თმაკაუტა.

— ცხენმა კაცი თუ კაცმა ცხენი? — კბილები კრიკა მუხამავერამ, — ეშმაკის შეგირდია! როგორიც ნისლია, ისეთივე ელვა შეეყარა. ან გამოგუდავს ცხენს, ან თავის ჭკუაზე მოაყენებს!

— ფიჭვი არ არის, ერთმანეთს გაუგებენ! — ყველა დააწყინარა ტარიელმა, — მუც ჭაბუკის ცხენოსნობის ამბავი მე მკითხეთ!

და მართლაც, ისლანარის თავზე გამოჩნდა შარი-შურიოთა და ჩახა-ჩუხით

მსარბოლი მხედრის თავ-კულულები. ცხენი კი არ ჩანდა მაღალ ისლნარში. მალე ცხენიც გამოჩნდა. ნისლათეთრა ახლა უფრო თეთრა-თეთრა იყო — ქაფდადენილი.

პირში ლაგმად ორფა თოკი ჰქონდა ამოდებული. თავს მაინც განზე სწევდა, ყელბრეცილად. მაგრამ მაინც სწორად მოჰქროდა. თვალები კი უფრო წითელი ჰქონდა.

— ჭეგე-მისარონივით არ მოდის! — შესძახა თმაცაქუა მერემემ, — ჩემი გადარჩენის სანაცლოდ იყოს! ღმერთების წყალობით ცხენიც მას ეკუთვნის და მარულაც!

ამ ცხენის საფასური არამც და არამც არ აიღეს მერემებმა. მგზავრებმა ისლა იღონეს, სხვა ცხენებში მეტი საფასური მოსცეს და კეთილი ტებსურელი მერემეები არ აზარაღეს.

უკან, რიონზე რომ მობრუნდნენ, გური ასკანელის ცხენქარავანი მოსული დახვდათ. კარვად და შშვილობიანად ევლოთ. გზაში რამდენიმე ცხენი დაკლებოდათ და ახალი მარქაფი სწორედ ღრთული აღმოჩნდა.

• გური ასკანელმა ტყეებით საფანგებო ჩხავერის ღვინო ჩამოუტანა „მზცოვანებსა და ახალგაზრდებს“, ზოგი რამ სხვა საპურადოც... ჯანჯუბები და ასკანური ღვეძლები. ასე რომ, იმ ღამეს კარვად დაისვენეს კიდევაც, ითათბირეს და იპურადეს.

რიონი ისევ დიდფიქრიანი იყო... ლტოლვილებიც. ხვალის შემდეგ ბევრი რამ მომავლისა უნდა გარკვეულიყო... იქნებ ბედიც წყდებოდა აქვე? დილაღარიანად კი შემსუბუქებული

ნაგები მუხაშავრასა და ცხენქარავნიდან გამოყოფილ დასვენებულ გამყოლებს ჩააბარეს, თავად ცხენებს ტვირთი აჰკიდეს, შეარჩიეს საპატიო მოხეტიათების შესაფერი ცხენკეთილები და სამოსი. ახალგაზრდებიც შეკობჯუდნენ, გამოეწყვნენ. მართალია, ფარული ფარულად დარჩა, მაგრამ კოლხეთის მეფის კარზე მისვლას თავისი თადარიგი სჭიროდა.

ტებსურის ნაპირ-ნაპირა საეაღს აპყენენ. ერთადერთი ნისლათეთრა მიჰყავდათ მარქაფად, ძველ ჩულმოდებული, ფეხმეხვეული და შებორკილი.

ეს უკვე გვაზა-მეგრის რჩევა იყო. — სამარულოდ შევიანხოთ. კოლხეთში კი მარულა ისევე ხშირია, როგორც წვიმა! ნისლათეთრა გვასახელებს! ჰა, ბატონო, ტომის ნიშანი! აქ შეიძლება კაცს ფეხით სიარული არ შეეძლოს და ცხენოსნობა კი უნდა იცოდეს! ძველად მეფის არჩევანშიაც მარდ ცხენოსნობასა და კარვ ცხენს ერთერთი მთავარი გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია! აქ ცხენ-კაცი ერთად და ერთიანად არის შეფასებული და ისევე განუყრელია, ვით კოლხური მიწა და წყალი!

— სულიერი კენტავრები ყოფილხართ! თქვენი ჭირიმე! მე მარტო ჩემი თავი მეგონა ასეთი! — გაეზარდა მითრჩიდატეს.

— ვართ! ერთიც გვიქირს! უნდა შეფაროთ, შევაგონჯოთ ნისლათეთრა, თორემ თუ შეხვდეს, თვალს სცემენ, გულში ჩაივდებენ და არ შეგვარჩენენ. აქ ეგრისია, ცხენების გიყმავეები ვართ!

15. ცხენ-მოჯის საშარველში

ტებსურის ბილიკით ნოსირის თემშარზე გავიდა ცხენქარავანი.

მარადმწვანე ტყეებსა და ბაღნარებში გაფანტული მუხუროები მეტად მოეწონა მითრო-ჭაბუქს. ბავშვთ სიმრავ-

ლე და სიკეკლუცეც თვალში მოხვდა. მაგრამ მოზარდთა, ქალწულთა თუ ყმაწვილთა სინატიფემ სულ მოზიბლა.

— ვარსკვლავებივით არ აკაშკაშებენ თვალს? — გადასძახა ტარიელს, —

სგლა და მიხვრა-მოხვრა ყველას დიდ-
კაცური როგორღა აქეთ? სულ დიდ-
გვაროვნები ხომ არ არიან?

მაგრამ მერმე გრძელდალალოსან ქა-
ლიშვილებს შეეყარა და ენა აებორკა.
თვალთ კაშკაში უკვე ციმციმში გადა-
დიოდა. და აღარც მოლანდებამდე იყო
შორი მანძილი... მალე ისევე გაუხშირ-
და ლულულფას ხილვა. აქ ყოველ ფა-
ცხის წინ, თითო ლულულფა იჭდა და
ხან ბავშვებს ულოლიაეებდა, ხან ჭიდან
წყალს იღებდა, ხან კალათით ხელში,
ალაგებზე გადადიოდა და მისი წელის
მონაქნიერე უცნობ ქრუანტელს ჰკვირი-
და.

სავლაცე იხმო, დიდხანს შორიახლო-
დან ესაუბრა, მაგრამ სავლაცემ ვერაფე-
რი ვერ გაუგო და სულ დაბნეული
და უმნიშვნელო საუბარი გამოუვიდათ.

ერთი ღელის პირში, გზის გასაყარზე,
ქალწულმა ცხენოსნებმა კისკასითა და
ჭენებით გზა გადაუჭრეს და სურათებში
გაპარულ შექაში გაუჩინარდნენ.

— ამ ღელეს თერმოლონიტი —
თბილწყალა ხომ არ ჰქვია და ესენი პა-
მორძალები ხომ არ იყვნენ? — გან-
ციფრებულად იკითხა მითრიდატემ.
დაბნეულს, ოხუნჯობად ჩაუთვალეს და
ბევრიც იცინეს. ჭაბუკი კი მიხვდა, რომ
მის ვულუბრევილობას აქაც ზღვარი
უნდა დაედოს, თორემ აბა რა საქციე-
ლია, ყოველ დალალოსანის დანახვისას.
გული ეყვინჩილება და სახეზე დაუმა-
ლავ სიწითლესა ჰქვენს!

გზასავალი კი წამდაუწყემ ნაირფე-
რობდა, ხან დია იყო, ხან ქალიანი.
ღარდა-ღლუეებში, ზევიდან გადმომ-
დგარი უღრანი სხივს არ ატარებდა; სე-
რებზე კი მზე იყო დაღვრილი და ყვა-
ვილებად გადაბნეტილი. ნაყანეებსა და
ახოებში უამრავი შინაური და გარეუ-
ლი ფრინველი და ღორები იყო, მსხვილ-
ფეხა საქონელი, მაინც კამეჩები. დიდ
რემებად და არევებად გამვებული, ნა-
ხევრად ველური ცხენები და თხები.

სოფლებს აგრე რიგად აღარ ერიდე-
ბოდნენ.

ნოსიროს იქით, ძველსალოცავ სე-
ნაკებს ჩაუარეს და ისევე ტუტუტუტუ-
პირს მიუახლოვდნენ.

გაღმა, ეკის ქედზე, მკაფიოდ ჩანდა
შხეთის ამაყი ციხე.

— ძველად ეკელების ყოფილა, მერ-
მე შხეთულებს ჩაუგდიათ ხელში! —
აუხსნა გვაზამ.

წყალაყოლებით, ჩრდილო მხრის და-
სავალზე. ტყიან მთა-ქედის წვერ-
ზე, გამოჩნდა ცაზე გაკრული კოშკი.
იგი ტყის ბატონივით აშვეტილიყო სა-
უკუნოვან ხეების თავზე და, ალბათ, ბა-
რისა და ზღვისპირის კოლხეთი ხელის-
გულზე ედო.

— ერთი იქიდან გადმომახედა!? —
მოინატრა მითრიდატემ.

— გადმომგახედებთ! ციხე-გოჯის ზე-
და კოშკია!

— სავიწრეულია! ჩვენი ტომები
ოლიმპს ზევით აგებენ კოშკებს! ნეტავ
ღმერთების ბატონისცემითა თუ დამე-
ტოქებით მოსდით?

გვაზამ ბედან-კოლხს მოჰხედა, მაგ-
რამ იგი შორს იყო, თავი მოიქაჩლა და
თავად გასცა პასუხი.

— უფრო მეტად ურთიერთის და-
მეტოქებით! ღმერთები აქ არაფერ შეა-
შია! ჩვენთან ერთ დღეს ყველა ციხე-
კოშკი და ციხოვანი რომ მოიპაპოს,
ცხოვრება სულ ქორწილად, ღლეობად
და მარულად გავცემლუბობდა!

— მერმე მტერი?

— მარტო მტერი რომ იყოს ჩვენი
მაზიანებელი, ვერას გვაზიანებდა! თო-
რემ ყველგან ბრძოლა... ტომთაშორი-
სი, გვართაშორისი, თავკაცთაშორისი,
წოდებთათაშორისი.

— ეს სხვაგანაც ასეა. რამდენი პი-
რია, იმდენი შორისია! — შეედავა ქა-
ბუკი.

— საქმეც იმაშია, სხვაგან პირია! პი-
რი პირისგან კი არც ისე შორისაა! ჩვენ-
თან კი ყოველი პირი პიროვნებაა და
თავს არ დაგიდებს აგრე რიგად, თუ
მისი აზრიც არ არის შიგა! ყოველი თა-

ვის ირგვლივ იკრებს და ვარაუდობს ქვეყნის საბრუნავს!

ბითრილატში ყურადღებით შეჰხედა გვაზა მეგრს.

— ბრძნული ნაჭკვრეტია. ნუთუ ეგვი ჩვენი ტომების სახასიათო ნიშანია?

— ბრძნული? მსოფლიოში ვერ ნახავ ისეთ, ყოველმხრივ შემკულ ბავშვებს, როგორც ჩვენებური ტომების ოჯახებშია... ისეთ ბრძენ ბერიკაცებსაც. აი, შუაში კი სულ მახჩრობელა ფონია! კაცი შეძლებისას, ახალგაზრდობისას უნდა იყოს ბრძენი, თორემ მერმე, სიბერეში უძღვრობის სიბრძნე გვჭირს ყველას!

— უძღვრობის სიბრძნე? ეს პირველად მესმის! — ახლა მან მოჰხედა ბედანს, მაგრამ ბედანი და აბიო სულ ბოლოში მოჰყვებოდნენ ცხენქარავანს და დინჯ საუბარში იყვნენ.

მათაც დაენახათ ციხე-გოჯის ზედა კოშკი და კოლხეთის მეფე-მთავართან ხლების წინ, უკანასკნელად ცხენდაცხენ შეთათბირდნენ.

— ერთად მივიდეთ თუ... იქნებ სჯობდეს, რომელიმე გავწინაურდეთ? რა ვიცი, რა ამბავი გვხვდება?

— ვფიქრობ, დავაწინაუროთ ვინმე... ხიზნებსაცა და მეფეთმსაც თადარივად მაინც მართებს. — დაუღასტურა აბიომ.

— შეთვის ციხესთან, ტყეში დავდგეთ.

— აგრე უყოთ. უფრო წინდახედულია!

— წასვლაზე?

აქ ორივენი შეფერხდნენ, დიდხანს ჩამორჩენილად იარეს. ბოლოს ასე დასკვნეს: პირველად ბედან-კოლხი ხლებოდა ციხე-გოჯის მკყრობელს. მითრილატეს საიდუმლოდ მოსვლის გასამყდენებლად და „მხცოვანთა ნაბჭობის“ პირველისიტყვის სათქმელად. შემდეგ კი აბიო-იბერიც უნდა ჩამულიყო საქმეში.

ისევ გაფონეს ტეხური, შეთვის ცი-

ხეს ძირობებში ჩაუარეს და უფლისკარის უღრანში დაბანაკდნენ. აქვე დაელოდნენ ნაგებმა კოლხმა, გვაზა-მეგრმა გური ასკანელმა და რამდენიმე მხლებელმა კი ციხე-გოჯს მიაშურეს.

აღარც შორს იყო სატახტო ციხე-ქალაქი. უკვე დიდ-გალავანი და დედაციხეც ჩანდა მთის ტყეში ჩარგული და ჩაგვირისტებული.

ფარული „ტომთაშინა მოციქულობა“, როგორც ბედანი უწოდებდა თავის ღესანობას, დიდ შარაზე გავიდა და ციხე-ქალაქის დიდ გარე-გალავანს მიადგა.

— ქუჯი-კარი! აქ ორმაგია კედლის აქედან უნდა შევიდეთ! ცხენი ახლო ამოუყენა ბედანს გვაზა-მეგრმა. ბედანს მეორე კარიც ახსოვდა, დასაუღეთო, ტეხურის მხრიდან.

კარიბჭეს ვეებერთელა, თლილი ქვების მაღალი გალავანი ასდევდა მთამდე, ვიდრე თვალი მსწვდებოდა, და ჩასდევდა ტეხურამდე.

— მეორე კარიბჭეს რაღა ჰქვია?

— ტეხურის ანუ ხიდისკარი! პირდაპირ გალავანზეა ნაერთი გვირგვინა ხილით! ადვილად ჩასაშლელით... იქიდან სულ მიუღვამელია ციხე-ქუჯი!

სამეფოში მშვიდობა იყო. სატახტო ციხე-ქალაქი ლაღად ცხოვრობდა. კარიბჭე სულ დია იყო. კარის გუშაგებმა ქართული სალამი იკმარეს.

ბედანი დიდი ხნის წასული აყო კოლხეთიდან, ხოლო გვაზა მეგრს, ბუის იქით საქულბაჭოზე ნაცნობებიც შეხედნენ. ერთ-ერთის, სქვამგურ შეთელის, შეხედრა არც იამა, მაგრამ გაცლა გვიან იყო. ბედანს გაღუწურჩულა:

— თქვენ არ გაჩერდეთ, ტაძართან დამელოდეთ! — და ქულბაჭების ბოლოში ჩაქვეითდა. დანარჩენებმა კი გზა განაგრძეს.

აქ მოსწვდა სქვამგურ შეთელი გვაზას. ჯერ ცხენიდანვე ძველნაცნობურად გადმოსძახა.

— ეუპ! გვაზა! კი გამარჯობა! საი-

დან განძნი? ან სად დაიკარგე? მეურჭი-
მყაროვით არ გამოწყობილხარ? საპა-
ტიო კოჩი ხარ და ასე ვერ გაგიშვებ! —
ძერმე ისიც ჩაქვეითდა და დიდკაცურ
ხელშინაურობით მიეფადილა გვაზას.
მხარზე ხელი შემოაკრა, — ხომ გვაზა
ხარ? დადლილიც ჩანხარ, ნამგზავრი?

— შეხეთელ-უფალო! მე გახლავართ!
კეთილი იყოს ჩვენი შეყრა! ერთი შე-
მახედე, მე კი ებერდები... და შეხეთის
ციხეში აღარც დროსა და სიბერეს აღარ
უშვებენ მეციხოვნენი! რაფერ არის
ეს დიდებული სიჭარბაგე! — თან თვა-
ლი გაქვრა წასულ თანამგზავრებს, ახ-
ლა გზის მიფარცხვა იყო საჭირო, მაგ-
რამ ისე, რომ ამ „კუდალ-ქანაჩალა მე-
ლას“ ევრიც არ აეღო. და ვიდრე თა-
ნამგზავრები ქულბაქებს გაეფარებოდ-
ნენ, ყველა მოუკითხა — ჭინჭი-ხატი და
ოჯახის კეთილები, ჭიხას კედლები და
მარულას ცხენები, ახლა „მამის პირმ-
შო და გამირბანაშიც პირწავარდნილად
მინსგაუქმებული“ ვაჟი — ალისტარხო
შეფრფენით უქო და სქვამგურ შეხ-
თელს თვალი აურია და მონუსხულ გვე-
ლივით გააშეშა.

მერმე კი, როდესაც მისი თანამგზავ-
რები ქულბაქებს იქით გაეფარნენ, თა-
ვისი ამბავი, თავად წამოუწყო, ვიდრე
პირდაპირ შეკითხვებში ჩაიჭერდა.

— ფოთს ვიყავი. აბა რალა დროს ჩე-
მი მყარობა იყო. უხუცესად გაყვევი.
სახელოვნად ჩაეჭორწილეთ, მაგრამ
ზღვამ დამცადა. ქარებმა სახსრები და-
მიხეთა, ვერც წამალმა, ვერც დახელ-
ვამ ვერ მიშველა. ისევე შელოცვამ და
აღთქმამ გასჭრა, ძველი და ახალი
ღმერთების ჭირიმე!

— გვაზა, ჭირიმე! ენა არ დაგვეხუ-
თოს, თორემ სახსრების დახუთვას ვინ-
ლა ჩივის მოხუცებაში! — ჭროლა თვა-
ლები ჭალარა წარბებამდე ასწია სქვამ-
გურმა და თავი უნდოდ გადაიქნია. —
ის დარბანთელი კოჩები ვინლა იყვნენ?
გვაზამ კარგად ინიშნა, რომ არც ერ-
თი მისი სიტყვა არ დაიჭერა შეხეთის
ციხის პატრონმა. მხოლოდ ეს ვერ გა-

ეგო, რად იყო სქვამგური ასე ვააღმა-
სებული და მშვილდივით მოზნდულნი.

— ლაკადელი დალალეები ამეშვებხარ-
ნენ ნოსირიდან.

— ლაკადა მთელ მთიანეთს იტყეს.
უფრო მიხლოვებით თვალი აღარ გიჭ-
რის, გვაზავ, კეთილ-კოჩო!

— თვალი კი მიჭრის, მესხიერება
მლაღატობს, შეხეთელ-ბატონო!

— ჩემთან ნუ გილაღატებს მესხიე-
რება! აი, თემ-ჭარი. აქ რომ ჰხედავ,
სულ ჩემი მომხრეა! და ყველას გავა-
ბედნიერებ! შენცა გვაზა კეთილ-კოჩო!
მე უფრო მეტი ვიცი, ვიდრე შენ გგო-
ნია! შეხეთს გიწვევ, ერისთაულად გი-
მასპინძლებ. ახალსაც ბევრს გიტყვი და
ბევრსაც, იმედი მაქვს, შენგან გავიგებ.

ახლა უფრო ჩაფიქრდა გვაზა მეგრი,
მათი შეყრის ეამი დასწყევლა, მაგრამ
არ შეიფერა.

— აბა, თქვენს მასპინძლობაზე უარს
ვინ იტყვის, შეხეთელ-ბატონო, მაგრამ
აეაღ, ოჯახს მიფხედავ, კაი ხანია არ
ვეოფილვარ, ნავეზაო აღარც შეხეთზე
შორსაა აქედან, მერმე კი გიწვევი, მეც
ბევრი რამ მაქვს ზღვის იქითა და აქე-
თა სათქმელი! — გატეხილად თვლებში
შეჭხელა თავის მომავალ მასპინძელს
და ბერიკაცულად ორთავ თვალი მოუ-
ქუტა.

— ეგრე, ეგრე! ჭიმა-კოჩი! — თვა-
ლების დაქუტვა ყველაზე უფრო ირწ-
მუნა შეხეთელმა, — თორემ „დახუთუ-
ლი“ ლაპარაკი რომ დამიწყე, მე სქვამ-
გურ მქვია... შენ მსკოვანთა ბჭობაზე
ხომ არა ხარ წვეული? — ისე, თითქოს
სხვათა შორის, ჰკითხა და თავი გზის-
კენ მიიბრუნა, გაეარდნილ იორღით
ჩაქროლებულ ტანანარნარა ცხენოსანს
ხელი აუქნია, მანაც ცხენი ადგილზე
გააშეშა. თავადაც ისარივით მიწაზე და-
ერქო და თავმოხრილად, მაგრამ ამა-
ყად გვაზასაც საღამი აღიჩნა და სქვამ-
გურის წინამე წარსდგა.

გვაზამ იცნო სქვამგურის „პირმშო
და პირწავარდნილი“, მართლაც კარგი.

მაგრამ ცოტა ზედმეტად თავმომწონე, ოცი წლის ვაჟკაცი.

სქვამგურმა ვერც და არც დაჰფარა თავისი აღფრთოვანება.

— შევარდენს დამიხედე! — მერმე შეიღს მიუბრუნდა, — ალისტარხ-ჩემო, შინ მიხვალ?

— როგორც მიბრძანებთ, ბაბა-ბატონო! — ჩამოხვეწილი, ცოტა შემკაცრებული სახე უფრო მოიწყნარა და მამის ნებას მორჩილად დაელოდა. თვალნაპირწკლიანი მხერა კი სულ სხვას მტყვევლებდა და ეს შეამჩნია გვაზამ.

„აქ რალაც ხეანჯის მორგვია და ძაფის თავში მამა-შეილია? დიდი ბჭობაც თუ ამიტომ ახსენა? ჩემი წვევაც ამ თარგშია!“ — გაიფიქრა გვაზამ და უფრო გაფრთხილდა.

სქვამგურმა კი ირგვლივ თავმომწონედ ზომოიხედა, შეიღს ხმამალლა, ყველას გასაგონად შესძახა:

— ქუჩიკართან მომიცადე! — და ხელი აუქნია. ეს საკმაო იყო, ალისტარხო ქარივით მოაფრინდა მცმუტავ კავშს და ადგილზევე ალივით შეამტარიალა.

— ჰაიტ, როგორია, ხომ მოგგვარე.

— ბადალი არ ჰყავს! — ერთმა დეზმა მოსხლიტა, მეორემ სულ გააფრინა...

— აბა, შენ იცი! ილორ — ხარისპარისს მარულაში გამოჩნდება! — მიძახა მამამ, მაგრამ სადღა იყო მორჩილი მსმენელი. ისევე გვაზას შემოუბრუნდა და სულ საჩუმათოდ, გულის გასანდობლად უთხრა, — იგია! ამაზე და დიდი ბჭობა!

— რა ბჭობა? ცოლსა რთავ? — შეეკითხა ახლა კი მართლა დაბნეული გვაზა.

— უფრო ზევით ასწი!... მერმე დედოფალიც იქნება! — ხელების მოყრითა და ცხვირის აწევით გაანდო და არც გაანდო მხეთელმა, მერმე ინიშნა, რომ გვაზამ მართლა ვერაფერი გაიგო და აღარც დაჰფარა, — შენ რომ მართლ: ფოთს ყოფილიყავი, კი გეცოდინ-

ნებოდა — რაზეა დიდი ბჭობა! რომ მესტუმრები ხომ მტყვევი?

— გეტყვი, აბა არაა? ფოთსაც კიყავი და სხვაგანაც! — უკვე ანკესი გადაუგდო გვაზამაც.

— ჰოდა, მთვარის დაღვევის სწორს. ილორ-მარულაზე ნახავ ჩემს ალისტარხოს! ჩამოდი და ერთად წავიღეთ! ჩემი მხეთისა და ჯეგე-მისპრონის სტუმარი იყავ!

— დიდი მადლობა, ბატონო! — თავი მდებლად დაჰხარა გვაზამ, მაგრამ მთავარი მაინც უთქმელი რჩებოდა სქვამგურს. სწორედ ამიტომ კიდევ გამოაბა სიტყვას კული გვაზა მეგრმა, — ჩენი მსცოვანი გოჯი-მეფე, ხომ არ მიბრძანდება ილორს?

ნატყორცილი სწორი გამოდგა.

— აბა, მარულა აქ ვერ გაიძარტება თუ? იქ რა წამიყვანდა ბედის მაძიებელს! ის ჩენი გოჯი-მოხუცი კი უშვილიძიროდ ვადასულია და ისაა! მე კი მხეთელი შევარდენი მყავს! ჰოდა, დიდი ბჭობაც ამისია... ჯერ შერიგებისა, იცი შენ, ციხოვანო, მხეთის ჯიხა მაინცდამაინც თავს არ უდებდა ციხე-გოჯს!

ქუჭმა გვარ-ტომულად დაგვძალა, თავისითა და ფარნაოზ იბერიელით, მაგრამ ის დრო საუკუნე ნახევრის წინათ მაინც იყო. ახლა ქუჭის შთამომავალი სადღა არის ისე მორჭმით!? ჩვენით — ჯიხათ-ბატონებით მაგრობს! თუმცა კოლხთ მაფად ითვლება და არა კოლხიბერ ერისთავად! მაგრამ ახლა სხვა რამ დროში ვართ და სხვაც გვექირდება.. სხვაგან „გვიქირს“!?

ტკბილიმილიანად უსმენდა გვაზამეგრი ჯიხას ბატონს და ვერ გაეგო, რატომ უბლანდავდა ამსიგრძე სათქმელს? მით უფრო, არც ახალი უთქვამს რამე.

გვაზამ ისიც იცოდა, რომ ყოველ დიდ ჯიხას ბატონს ახლა, კოლხეთში მოხუც და უშვილო „მაფას“ ხელში, თავნებობა დასაჩემბდა და მხეთელებს ეკისქვედა ბატონად მიანდდა.

მართლაც, ფრიად განსწავლულსა და კეთილ გოჭს, ქუჩის ბაღისის ბაღისს. აღარც მფარველი ჰყავდა და აღარც მემკვიდრე.

იბერიამიცი დიდი შიდა და გარე ძეგლები იყო, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მტრების მოძალეზამ დააუძლურა ფი. მცხეთა-არმაზის ტახტი საცილობელი გახდა და ბოლოს უკვე დაობლებული, ცხრამეტი წლის არტაგი დაეფულა. შიდა ქართლი ძლივს შემოიმტყცია და თავიდაც ჭერ სპარსელების მებარკედ ითვლებოდა.

ასეთ ვარემოების გამო კოლხეთიც მოწყვეტილი იყო იბერიას და იგიც დიდ ციხოვანთა, თუ ტომის ბელადთა თავნებობას განიცდიდა.

გვაზამ გუმანში კვლავ ვაზომ-გამოზომა სქვამგურს მიკიბულ-მოკიბული, გოჭ-მეფის უშვილობა ხომ მასაც „არსიანულის“ მზრახველს ეხებოდა. აქ ინიშნა „შხეთელი შევარდენის“ ხსენება და ერთი ანკესი კიდევ გადააგდო: — ახლა ჩვენს ჭვეყანას ერთი კარგი მემკვიდრე „გვიჭირს!“

სქვამგური აენთო და ტანში აიწურა. — მართალია, ბრძენ-კოჩო სწორედ ამაზეა დიდი ბჭობა. ეძებენ, შორს ეძებენ! იბნევიან... ჭერ იბერიიდან სურდათ ვინმე ბატონიშვილის მოყვანა, მაგრამ ადერკ-მეფის მტრულ ბანაკიდან ვერც გაბედეს და...

— ალბათ, არც იკადრეს! — სიტყვა შეაწია შეყოყმანებულს გვაზა მეგრმა.

— ახლა სხვა ტომებიდან ჰფიქრობენ! ჩუმი მოციქულებსაც ჰგზავნიან! — და თვალი თვალში გაუყარა, — ზოგნი შინაურ შევარდენს ვერ ამჩნევენ და შორს ეძებენ ყვავის ბახალს! მაგრამ შევარდენი თავად დაანახებებს თავს! — შვილის გავლილ გზას თვალი გააყოლა და გვაზასათვის ყველაფერი აშკარა გახანდა.

მანაც ხელად წამოიღო ანკესზე მოღებული:

— პონტომი ხომ არ ეძებენ? ახლა მენიშნა ბევრი რამ...

— ეძებენ, მაგრამ... შენ უკვე ცოდინება ეს ამბავი? — ახლა აქეთ მოსდო ანკესი სქვამგურმა.

— შენც გცოდნია... აღარც აქეთ აქეთ საძებარი! — გზა გადაუწურა გვაზამ და სულ რომ დაეწყნარებინა შხეთელი, დასძინა, — რაღა შორს ეძებოთ? ცინეს — ჭიხა რომ დაერთვის-ორმავ ძალისა და მთლიანობისა არ იქნება?

— ყველას ვაფიცებ, ძველსა და ახალს! ილორობას ჩემი სტუმარი ხარ! — და სქვამგურმა ორივე ხელი გაუწწოდა, მაგრად ჩამოართვა და აღვირს სწვდა.

გვაზამ გააცოლა. ყველა გზას უთმობდა, სალამს შორიდანვე ასწრებდა, მსბღომნი ფეხზე უდგებოდნენ, ახლოს მდგომნი „კაჭად იდგნენ“. შხეთელი კი ამაყად ვიღოდა და ნებიერად ხელს უქნედა შემხედურთ.

„ჩანს ბევრი მომხრე თუ მოშიშე ჰყავს ჭიხას მპყრობელსა და მის შევარდენს!“ — ვაფიქრა გვაზამ, ხელები აქეთ-იქით ნიშანდობლივად შალა და შეთქმულების მოწაწილის კილოთი ჩაეზიარა:

— კეთილი პირიც უჩანს ამ განზრახვასა და თემ-ჭარიც დარაზმული ჩანს!

სქვამგურს ჩაეღიმა წკიპა უღფაშებში, ორი თითიც უკულმა გადასვა, უფრო გაწკიპა და სახეწყობილი კაცი, უეცრად ფოცხვერს დაემსგავსა. — ან დამყვებიან, ან დავიყოლებ! შენი იმედოცა მაქვს! ჩემს ბედურს ენდე და გაგაკეთებ! შენი შევანაბდიანი „ოჩოკოჩებიც“ მაწვიე! „მაფას მამა“ ვიქნებო და გადიდებულეზ ბრძენ-კაცს!

— გაწვიე! უთოვო გაწვიე! — მიმხვლურად შესძახა გვაზამ და უზანგი დაუჭირა, ცხენზე შეკდომამში მოუთავსა და ჭიხას ბატონის შვილსა და შევარ-

დენს კეთილი ფრენა და „ორმაშიანობა“ უსურვა.

თავადაც ცხენზე შეჯდა და ბედან-კოლხს მიაშურა. ისედაც შეფიქრებულნი ბედანი, თავისი წერილ მონაყოლით უფრო შეაფიქრებინა.

ფარულ ლტოლვილის თავშესაფარსაც და მით უფრო „არსიანულ“ ზრახვებს თავიდანვე რთული ვითარება დახვდა.

გური ასკანელი მაშინვე აფრინეს და აზიო-იბერს ყოველთა აცნობეს. ფარულ ბანაკის შხეთის ციხიდან უფრო მოშორება, ციხე-გოჭთან, ვალმა ტყეში გადმონაცვლება სთხოვეს. თავად კი მდიდრულ საუჭრებითა და სამკაულებით, რომელთა შორის, პონტოს მეფის მცირე გვირგვინიც იყო, ტაძრისაკენ გაემართნენ.

ცხადი იყო, რომ პირველად მაინც გოჯ-მეფეს ფარულად უნდა ხლებოდნენ.

ეს საქმეც გვაზა მეგრმა გამოარჩია. პირველად ცოტნე სახლთუხუცესს ეახლა „აქის კარზე“. მაგრამ „სამართლის მუხის“ ძირში აღარაფერ დახვდა. — „ხლა „ლოცვის კარზე“ გაიქარა. აღარც აქ იყო ვინმე. „მადლის კარზე“ კი ხალხი ჩანდა. იქიდან აღარც დედა-ციხისა და შიგ მოთავსებულ ჭედის სასახლემდე იყო შორს. აქეთ სახეიშო კარიბჭე იყო სასახლისა. ფართოციხიანი და ნაპირებზე ქვასამკაულიანი.

ამ კარზე გვაზამ მოახერხა და ცოტნე სახლთუხუცესს, მესტუმრის ხელით ძაფით შეკოჭილი კრიალოსანი გადასცა. ეს გოჯ-მეფესთან, ყოვლად საიდუმლო და ფრიალ საშურო ხლების თხოვნას ნიშნავდა.

ხელად გამოიძახა ცოტნემ, უმზირა და თავისი მელიოტი დიდხანს იზილა, მერმე მარცხენა ხელისგული გაუსინჯა „ფიცის, კაცის“. თავისასაც უნებურად დახვდა.

— შენ ხარ გვაზავი? ჩანს გატანჯულხარი მადლი ღმერთებს! მართო ხარ?

— არა!

— ხელნიშინანი?

— ხელნიშინანიცა და ხელნიშინა-ნიც.

ცოტნემ კიდეც დაიზილა მელიოტი.

— ჩადით ლოცვის კარზე. იქ მოგივით ჩვენი მესტუმრე. არავინ არ იახლოთ ფიცმოუღები!

მალე მესტუმრეც მოუვიდათ. შეკოჭილი კრიალოსანი უკან მოუტანა გვაზას. მის გასაკვირად დედაბერი აღმოჩნდა. მას სიტყვაც არ დაუძრავს, ისე ციხე-ქალაქში გაიყვანა, გალავნის ჩრდილებში ატარა. არც გვერდზე მოიყვანა, არც წინ გაუშვა. ახლა ზევით აზიდულ აღმართა გალავანს მიადგნენ და იარეს. გალავნის შიდა ტიხარი გამოდგა.

— მესამე წყებისა! შიგაც დასერილია მალალი ტიხარებით გალავანი. — გვაზა წინ მიდიოდა, მაგრამ მალე მასაც ეცვალა მხარი, აღმართმა დალაღა მოსულნი.

ერთ ჩაკუთხულში ბალ-ბოსტანი იყო ჩალობილი. აღაგეზე გადავიდნენ და კუნჭულა ფაცხას წაადგნენ. იქვე დობლანდგადაფარებული აკვანი იდგა. მაგრამ შიგ თითქოს არავინ არ იყო ჩაკრული. დედაბერი მიუჯდა აკვანს, დაარწია და ხის სარაკუნები აახშიანა, თან ხრინწიანი „ნანინა“ ააყოლა.

— ბერთემლო? — ფაცხიდან გამოსძახა ვიდაც კაცმა.

— ტუხურელო! — ნანას მოაბა დედაბერმა.

ფაცხის კარში ურდული გახრიალდა. დედაბერმა ნიშანი მისცა იდუმალ სტუმრებს და თავად „იავნანის“ ახალი მუხლი წამოიწყო.

სტუმრებს ფაცხაში ზარადღაშეგებული მცველები დახვდნენ. უსიტყვოდ გაღასწიეს მიწაზე დაგებული დათვის ტყავი და გვირაბის საელს ძელი აბზადეს. კიბის ძირზე დარკინული კარი გაუღეს. ამის იქით აღმა მიდიოდა კლდეში მოტეხილი გვირაბიცა და კიბეც.

ერთი მცველი წინიდან უნათებდა სანთელს, ერთიც უკანადა.

აღმართი ისე არ ქანცავდათ მსცოვანთ, როგორც მიძიმე ჰაერი. კიბეზევე ჩამოჯდნენ, დაისვენეს. ბოლოს სიგრილუე იგრძნეს და მალევე მალა ამოჰყვეს თავი, ტეხურის ჩქერებსა და გაღმართს გადახედეს.

ქედის სასახლე ახლა მათ ფერხითი იყო. უფრო ქვევით დიდგალავანი ტეხურის უბეში იღო და დიდ, ტეხილ ოღრიკალს ჰქმნიდა. ლარად გზა იყო. აქედან შიდა კედელთა ხაზებიც მკაფიოდ ჩანდა. უბან-უბან ჩანაწერებულნი ქალაქი მჭიდროდ იყო დასახლებული. მიუხედავად დიდი ნალისებური ქულბაქებისა და ტაძარ-სალოცავეების უბნისა, აქ მაინც ორმაგი, მხარმოუქნელი ციხე-გალავანი და ციხე-სასახლე ბატონობდა ქალაქზე. ხოლო ზევითა ქედ-ქედ, ფაფარად გრძელკედელი ასდევდა წვერამდე და იქ კი კვლავ ციხე-კოშკი იყო ცაზე წეროსავით გაქრული.

გაღმა უნაგირას ქედი, უფრო შორს და უფრო მალა სვანეთის თოვლიანი მთები. ხოლო სულ შორს და სულ მალა — თეთრი კავკასიონი.

და მაინც ძირითადი, ყველაზე დაქარბებული ფერი აქ მწვანე იყო.

მცველებმაც აცალეს იღუმალ სტუმრებს ჭარმობედით დატყობა და გალავნის კიბით ქვაბთა უბანში აიყვანეს. ერთ-ერთი ქვაბის შესავლამდე მიჰყვანენ. აქ კი ვიღაც თხელმალა მოგვითავანი მოეახლა, გულწელდაკრფილად საღამო სკათ და ქვაბში შეუქცვით.

შესავალში დიდი, ხაოიანი კრეტ-საბჰელი გადაწეული იყო.

კეთილქარგულა ფარდაგი შესავლიდანვე დიდ საკარცულამდე ეგო.

საკარცულზე თეთრად გადაპენტრილი პირშეფითრებული მსცოვანი მისვენებით იჯდა და ტეხურის გაღმართს გაჰყურებდა. იგიც უძრავად იყო და თითქმის არ განიჩჩეოდა იმ კედელ-

ხატულებისაგან, რომლებიც მის უკან იყო ქვაბის მომანდაკებულ კედლებზე გამოსახული.

— მაამ-უფალი! — ბედანს წასჩერჩულა გვაზამეგრმა.

— მეფე და მოგვი, გოჯი-უფალი? — ჩუმაღ ვაკვირდა ბედანი. მას გოჯ-მეფე არ ჰყავდა ნახული და ამ „უთეთრეს, უსასო, უმემკვიდროს“ მიმართ უმაღ გული ვახსნა.

უხმოდ მიუახლოვდნენ, შორი-ახლოს თავიახრილები ატეივ-სალამად დადგნენ და ელოდნენ.

გოჯი კოლხთა მეფე კი გარინდებულად იჯდა. შავი მოგვეური ჩოხა ისე ეფარგლებოდა და ემიჯნებოდა თეთრ წვერს, რომ სულისა და ხორცის გაყურის ქამის მხატველი იყო.

საერთოდ მეფის ქვაბშიაც დიდი საღმურთი სიმკაცრე იგრძნობოდა.

კოლხეთში დიდი ქუჩის დროდანვე მოყოლებული საერო და სამოგვო ხელისუფლება გაერთიანებული იყო. ეს კოლხეთის „მაფა-უფლობა“ მაშინაც კი უცვლელად რჩებოდა, როდესაც ქართლ-მბერიის დიდ სამეფოში შედიოდა და დამატებით ერისთავიც იყო.

ბოლოს თვალი მოსწყვიტა გაღმაურს გოჯ-მეფემ და მოსულნი შენიშნა.

— უკვე ამოსულხართ? მომიხლოვდით ბერიკაცო, არც თავყანი, არც ზედმეტი სიტყვა ჩვენ არ გეპირდება... სამივენი მსცოვანები ვართ! გიცანი გვაზავ! ეს დარბაისელი კი სახელოვანი ბედან-კოლხი იქნება! — წამოიწია, სათითაოდ გულწვილად გადაჰკოცნა. მოსულები მხარზე ემთხვივნენ გოჯს. იგი კი ხმადაბალ საუბარს განაგრძობდა, თითქოს თავის-თავს ესაუბრებოდა. — ფიცის კაცებო! პონტოეთში რა შევბნელი საქმეები დაგვიტრიალდა! არ შეიძლება ჩვენი ასე გულშორი-შორად ყოფნა! — ტახტდაბალა მოფარდა გულზე მიჯდა და ბერიკაცებიც გვერდზე მოისვა.

— სულ ესენი ხართ აქეთ მოსულნი? მე მეტს მოგელოდით!

— მეტნი ვართ! ჩვენ მეწინავედ მოვედით, თავგზის გასარიგებლად! — გულლიად წამოიწყო ბედანმა. აქ მეფეზე და მოგვზე უფრო ბრძენი კაცი ინიშნა და საუბარიც ამ კილოზე ააწყო.

— გზისა თუ თავგზისა? — მიმხვდულად იკითხა გოჯ-მეფემ.

— თავგზისა!

— მაშინ ვთქვათ. ჩემთან დიდი მოციქულობა არ გჭირდებათ! მითრიდატი ევერგეტის უბედურება ჩვენი საერთო უბედურებაა, ყველა ტომით ნათესავთა. ზღვისპირელთათვის კი მით უფრო! მაგრამ მერმე რა მოხდა, ამაში გამარკვევთ!

მსცოვანებმა სულ ახლო-ახლო მიღრიყეს ჩახრილი თავები და ხმადაბალ ჩურჩულზე გადავიდნენ.

ბედანმა წვლილვით უამბო პონტოს ამბები. ღალატის დასაბამი. ანდერძის დაკარგვა. დედის ავი ზრახვები. უფლისწულის გაქცევა.

— მან ცოცხალია! მარჯვე და გონიერი ყოფილა! სასწაული მოუმოქმედებია! თქვენი თვალით ნახეთ ესა? — უხაროდა და ეჭვობდა გოჯ-მთხეცი.

— გახლავთ, ვნახეთ! ყველამ ენახეთ, შეფიცულთა ბჭებმა! იქ ამოვიდა! — ერთხმად დაუდასტურეს ბედანმა და გვაზამ.

— ბჭებმა? მერმე რა იღონეთ? აქ მომგვარეთ, მე შევიხიზნავ!

— ეგრე ვიღონეთ სწორედ! — ნაამებად დაუდასტურა ბედან-კოლხმა. — ვიცოდით თქვენი მეფური გულკეთილობა!

— მერმე სად არის?

— აქ ახლოს გახლავთ, ფარულად არის!

— მომგვარეთ, მფარველობას არ მოვკალებ.

— მას მარტო მეფური მფარველობა ველარ უშველის. — ახალი სათქმელი ფრთხილად წამოიწყო ბედანმა.

— ვერც მას და ვერც ჩვენ საერთო საქმეს! — ყრულ ჩაურთო სიტყვა გვაზამ.

— მამობრივ ზრუნვას არც ჩვენ ვაკლებთ... მაგრამ მომავლის დიდი ჭკრეტისას ვერას ვაწყობთ. — ბედანი რბილად, შესაფერის სიტყვებით მეტყველებდა, — შეფიცულთა ბჭებმა, ერთობლივ ვიშვილეთ გადარჩენილი ყრმა, ასე რომ, ყოველი ნათესავ-ქართველი ტომის უხუცესი მისი მამობილია.

უშვილძირო მეფემ და ბრძენმა, მაშინვე იგრძნო, საით იღრიყებოდა იღუმალ-საუბარი. ერთხელ კიდევ შეუბორგვა გულ-ღვიძლი.

სამეფოში მშვიდობა იყო, ერთად ერთი „შვილ-ძირობის“ საკითხი იწვევდა შფოთსა და განხეთქილებას. ყოველი დიდი ცინოვან-დიდებული თავის „მემკვიდრეს“ სთავაზობდა. მან კი იცოდა, რა ღიდ შინაშფოთს გამოიწვევდა ასეთი უგონო არჩევანი. წვერის ქარბი სითეთრე კი არჩევანს აჩქარებდა, არც საშველი იყო და არც კეთილარჩევანი. და ამ სუსტ ადგილს რომ მოხვდებოდა ფიქრი თუ საუბარი, უმალ ხასიათი ემღერეოდა და იზაფრებოდა. თავდაც დიდი მომთხოვნი იყო, თანაც გულმოსიყვარულე და არც ერთი აქამდე მემკვიდრედ ზრახული, მას არ მოსწონდა და შვილად როგორღა უნდა აეყვანა. აიმღერა ახლაც. მოიქეშა, მაგრამ მაინც მოითავაზა:

— თუ რაიმე სათქმელი გაქვთ „მომავლის დიდი ჭკრეტისა“, ვისმენთ.

მაგრამ ბედან-კოლხმაც უგრძნო ხასიათის შეცვლა და „არსიანული ზრახვისა“ ჯერ აღარაფერი სთქვა.

— ისეთი არაფერი, რომ პირველ-შეყრის შემდეგ არ ითქვას! ისეც დაგლაღეთ! და რისი გადადებაც შეიძლება გადავდოთ!

მაგრამ მსცოვანმა მეფემ იგრძნო, როგორ „გადაუდებარშიც“ უკაჟუნებდა ბედანი. კარგადაც იცის, რომ რაიმე არჩევანზე უნდა გაჩერდეს და ამ მხრივ აქ გაცილებით უანგაროდაც არის საქმე და არც თავს მოაბეზრებენ. თქმასაც კი არ ეშურებიანი! მაგრამ სჯობს სათქ-

მელი თავიდან ითქვას და ყველა ფრჩხილი გაიხსნას... უთქმელი კი, შეთქმულს უღრის. პირდაპირ შეჭხედა სტუმრებს:

— თქვენ ორნი მირჩევთ — ჯერ უთქმელს!

ბედან-კოლხიც შემობრუნდა და თვალი გაუსწორა მასპინძელს. მის თვალწინ ტყბილსაბიერი მოხუცი კი აღარ იდგა, არამედ მკაცრად გამკვრეტი ხელისუფალი.

— არა! აბიო-იბერიც, გური ასკანელიც! ჩვენ დაგვევალა... გირჩევენ და გვაჭებიან ამირანის ფიცის ძმანი — ყველა ბჭენი — ერთხმად!

გოჯი უფრო მოიზიდა:

— თავაღ?

— თავად ჯერ არა იცისრა. მომავლის ზრახვა — არსიანული, როგორც ჩვენ ვუწოდებთ, ჯერ თქვენი გადასაწყვეტია, იგი კი უნდა აღეზარდოთ არსიანულად!

— არსიანული? — ბრძენმა მეფემ გულის მიღმა გადაიხედა და ზრახვის სიბრძნემ და შორს განკვრეტამ მოჰხიბლა. მოხუცთ უანგარობაში თავიდანვე არ ეპარებოდა ეჭვი, მაგრამ აქ ქართველ ტომთა სამყაროს მომავალია შეზღუდვის ტარზე!

მსცოვანმა მეფემ ტაში შემოჭკრა. გარედან მესაწოდებ და მეაბჯრემ შემოღგეს ფეხი.

— ცოტენ სახლთუხუცესი მაწვიეთ! სუფრა აქვე გავვიშალებთ! — მერმე ბედანს მიუბრუნდა, — ორნი მსცოვანნი შენზეა. დაიბარე!

ბედანმა მოკლე ბარათი მისწერა აბიოს. იგი და გური დაუყოვნებლივ იხმო, დანარჩენთ კი იქვე ფეხმოუცვლელად ყოფნა სთხოვა.

და ჯერ ბერიკაცული ინახიც არ მოეთავებინათ, რომ გური და აბიო, იმავე „ფაცხა-ვეირაბის“ გზით მოვიდნენ.

მეფე-მოგვი მარხვას ინახავდა, მთვარის დასალიერის სწორს ილორობა იყო. დანარჩენთაც მოხუცთ უმადობა სჭირდათ. მით უფრო გვაზას ნაამბობის შემდეგ.

შხეთელის ზრახვები გოჯ-კოლხელს სცოდნოდა, მაგრამ ასე შორს თუ იყო საქმე წასული, არ ეგონა.

— მაშ ილორობის გამოყენებან ჰფიქრობს ეს ვაიძვერა!? ცხენისპარიობით დაიწყო, ახლა ტახტისპარიობის სურვილი გააღვიძებია! — გოჯ-მეფე აშკარად, ხამალა ფიქრობდა. ყველამ აცალა.

— მაჩქარებს! აღარც გადამედების ეს საქმე... არა შხეთის უტიფარ მპყრობელის გამო, არამედ ჩემი პასაჟის გამო!

გაფითრებული. ნაშათუთარი. ხელი ქათქათა, ბოლქვა წვერზე ჩამოძვია და თითებზე დაიხვია.

— მაინც საბოლოოდ გულმა უნდა გადაწყვიტოს, არც უგონებოდ, მაგრამ გულმა! ახლა მაჩვენეთ — როგორია? შენ ალბათ აქებ!

ეს კითხვა პირდაპირ ბედან-კოლხს ეხებოდა. იგი კი სდუმდა.

— ასეთნი ვართ — აღამიანის მოდგმა! ჩვენსა ეაქებთ და საზომს ვკარგავთ!

— არა, ბრძენო და მეფეც! — თვალი კვლავ გაუსწორა ბედანმა, — გულის გარეშე არც მე გადამიჭრია გულღვიძლი საქმე! ქებით კი მაინც არ ეაქებ, დღემილს ვარჩევ!

— შენ? — უეცრად გური ასკანელს მიუბრუნდა. თვალს გიქიებენ ასკანელი!

გური ფეხზე წამოღგა:

— სწორედ თვალი მიბრმავდება, მას რომ ვეშხერ! არც ის ვიცო, ეს ქება არის თუ ძაგება!

უშვილიძირო მძიმედ მობრუნდა, თვალი შუბივით მიაბჯინა გვაზას.

— აღარც შენ გკითხავ! მიზნის ძალით განმსჭვალულნი შეთქმულები ხართ! არ უარეყოფ, რომ დიდი მიზანია! მაგრამ მე და ჩემს გულს — შვილი უნდა! ჯერ ძე — მერმე მემკვიდრე, ღირსეული და შემკული! გულის ყოველმა კუნჭულმა რომ მიიღოს. აი,

აბიო-იბერს კი ვკითხავ, ვიცი მისი მიუღღოშილობა!

აბიომ ხელეები აღაპყრო ლოცვადა:

— ძველო და ახალი ღმერთებო! ხატიონ-მკვიდრიონო! იმ ქაბუქს რომ ვხედავ, ვლოცულობ! თავით-ფეხამდე პირველი სრულ-ქართველი გვეზადება. იგი ტუბალიც არის, კოლხიცა და იბერიც და სხვა ყველა ჩვენი უთვალავ-სათვალავი ტომთაგანიც! გაიზრდება ღმერთების მადლით, მათი სწორი ძე და გმირი!

— თავით-ფეხამდე! ძე და გმირი? — განცვიფრებულად უსმენდა და იმეორებდა გოჯ-მსკოვანი, — ასევე თავით-ფეხამდე ვნახავ! შენ კი, შენს მეფესთან, აგრეთვე ახალგაზრდასთან, რა პასუხს აგებ?

— ვიღებ თავზე, ადერკ მეფესთან, ყველაფერი შევთანაბრო!

გულახდილობამა და შორსმჭვრეტელობამ პირველგარუდები შემოფარგლა.

მათ თათბირს ცოტნე სახლთუხუცესიც შეუერთდა და, პირველყოფლისა, უოტო ფოთის ციხისთავს, მალუმსრბოლი გაუგზავნა. ბანო-ხალიძს ნება დართეს, კოლხეთიდან როჭის სპა გაეყვანა. ჯოტოსაც ებრძანა „ხელის შეწყობა და შესაფერისთა შერჩევა“. თავად კი დიდხანს, ყოველმხრივ წვლილეს „არსიანული ზრახვები“.

ვითარებდა ისიც ართულეებდა, რომ მითრიდატეს ცოცხლად ყოფნის საიდუმლო, დრომდე უნდა სასტიკად დაცულიყო. ეს დრო კი რამდენიმე წელს მაინც უღრიდა.

იყო მეორე სირთულეც... „ქუჩის ანდერძით“ კოლხეთის მეფე-მოგვიმთავარი, ქართველთა, იბერიის დიდი მეფის ახლო ნათესავი, თანამდგომი და ერისთავიც იყო. მართალია, სპარსთა და მიდთა მიერ იბერიის მიძალებისა და დხარკულობის გამო, კოლხეთი გამდგარი იყო, მაგრამ ახლო ნათესაობა და „ხატიონ-მკვიდრიონი“ საერთო ჰქონდათ და იბერიის მეფის აზრი უსა-

თუოდ ვარაუდსადები იყო. ამ თავისაზრისით აბიო-იბერის თეგეგმი ბეჭერს რასმე ნიშნავდა.

ქვაბსა და ტეხურს იქით კარგა ხანია მწუხრი ჩამოწვა. მწვანე ფერი კი უფრო ჩამკერივდა და ჩამუჭდა.

იმ დამით „ფაცხა-გვირაბის“ სტუმრები აღარც გაუშვეს სასახლიდან.

მეორე დღეს, უკვე ქედის ციხე-სასახლის დარბაზში იბჭეს.

— მამ შენ თავად ქაბუქმა არაფერი იცის?

— არა და ჯერ არც ეთქმის. მამაზე მგლოვიარეს.

— ალბათ, ვერც გულით ჩასწვდება, ვერც აზრით. — კმუნვით აღმოხდა უმემკვიდროს.

— ორივე ჰარბზე ბევრად მეტი აქვს ვაჟკაცს — ანუგეშა აბიომ.

— ჰარბზე ბევრად მეტი? ისიც ვაჟკაცს თუ ქაბუქს?

— წლოვანობით ქაბუქს. აღნაგობითა და განვითარებით უკვე ვაჟკაცს. თავადაც ნახავთ, დარწმუნდებით რომ არ ვაზვიადებთ!

— გვიბოძეთ წესი საიდუმლო დარბაზობისა და გაწვევით! — უკვე ერთად აჩურჩულდნენ ბერიკაცები.

ბერიკაცთა ერთობლივ ჩურჩულზე საოცარი კი არაფერია!

— არ აზვიადებთ! თქვენ უკვე აღმერთებთ მას! არავითარი დარბაზობის წესი! მე მამაშვილურად ვნახავ, როგორც აბიო-იბერმა სთქვა თავით-ფეხამდე! ამაღავე! თქვენი სიტყვებიდან კი, რალაც ერთად ვერ წარმოვიდგინე. ხან თავი აქვს, დიდი, უშველებელი მოაზროვნე და ტანი არა! ხან ენათსადუნად არის გაჩენილი და სიარული არ შეუძლია! ხან ფეხებით სდგას კოშკის თავზე და წელს ზევით, ღმერთებივით, დრუბლებშია! ხან ზღვას ტორავს შაქვაჯა ცხენით? თან ფრთხილი. კეთილი, და... შხამის მქამელი?! მოზარდი, სხეულიანი ადამიანი ხომ არის?! რომ ძედ ავიყვანო და არა მისაზრონღმერთად ვსაბო? თქვენ

რომ გულისხმაში მგადებთ, სანახევრო-
დაც თუ მართალია... — მხცოვანმა
ალარ დამთავრა, — ბედან ჩემო!

— მზად გახლავარ! — ბედანი წა-
მოდგა, მაგრამ მეფემ არ გაუშვა. ეტ-
რატი მიაწოლა.

— მისწერე! შენ არ გაგიშვებ, ეტყ-
ვი რასმე... აქ მე გადამრჩით, იქ იმას
უარესს უზამთ! უკვე ვეჭვიანობ...

— მარტო წერილს შეიძლება არ
გამოჰყვეს! — ერთიოც სცადა ბედანმა.

— ნიშანი გექნება რამე!

— ნება თქვენი არს! — ეტრატი
გადაშალა და კალამი იმარჯვა.

— მე გჯიარნახებ! — აქაც შეედავა
მეფე და ყველამ იგრძნო, რომ ეს გულ-
ლია, ხშირად თვალცრემლიანი მხცოვი-
ნი, თუ საჭიროებამ მოითხოვა, მტკი-
ცე ნებისა და ხელის კაცია. — რა ენა-
ზე მივწეროთ?

— როგორც თქვენ გნებავთ, მან თი-
თქმის ყველა ქართული კილოვანი იცის
და ყოველი მნიშვნელოვანი უცხო ენა!

— დაე მოსწავლემ აქოს მასწავლე-
ბელი! გამოჩნდებო!

— მან კარგა ხანია აჯობა ყველა თა-
ვის მასწავლებელს, ყოველ დარგში,
თუმცა ახლაც ატარებს „მკურნალის შე-
გირდის“ სახელს! და ცალი თვალი უფ-
რო ხშირად ახვეული აქვს!

— დაწერე ქართულ-აზნაით —
„მკურნალის ცალთვალა შეგირდს“...
როგორცა ხარ, ისევე წამოჰყვე ამის
მომტანს, მხოლოდ გვირგვინი თან წა-
მოიღე ტეხურის კაჩით, ღამიანად იღუ-
მალ შემოხვალ. აქ დაგხვდებით. და-
ნარჩენები ღილამდე მანდვე დარჩენენ.
არავინ არ გამოიყოლოა“.

ხელიც მოაწერე...

ბედანმა ხელი მოაწერა და დინჯად
დასძინა.

— გვირგვინი კი აქ გვაქვს!

— ჰოდა, გაუგზავნე ნიშნად! უეჭ-
ველობის სადასტურო უმჯობესი აღარც
იქნება.

მოხუცებმა იდროვეს და კოლხთა მე-
ფეს ძვირფასი ძღვენი მიართვეს. მცი-

რე გვირგვინი და ბართი კი სახლთუ-
ხუცესმა წაიღო, გაღმა ტყეში გასაგზავ-
ნად.

ტყის ბანაკში ფრიალ ფრთხილობდ-
ნენ. ცეცხლს არ ანთებდნენ. ღელისპი-
რა ბილიცზე დღედაღამ „ჩუმ თვალს“
სვამდნენ. ვარსაც უვლოდნენ ბანაკს.

სალამოს პირას ორი ცხენოსანი აღ-
მადღამა უვლიდა ღელეს. არა და არ
გასცილდნენ ფარულ ბანაკის არეს.

ბოლოს ტარიელი და საველაკე გამო-
უნდნენ, თითქოს გზად მიმავალნი.

ცხენოსნები წამოეწივნენ და მოკრ-
ძალებით ბედან-კოლხი იკითხეს. ტა-
რიელმა იაზრა და ახლა გვაზა-მეგრის
იკითხა. მოსულეებმა უმალ მკურნალი
იკითხეს და მერმე მისი „ცალთვალა
შეგირდი“.

ტარიელმა მამინევე აფრინა საველაკე
და „შეგირდი“ იხმო. იგიც კვლავ ცალ-
თვალახვეული ჩამოვიდა.

მოსულეებმა ხალთა გადასცეს, ამო-
კერილი და ცვილის ლუქდადებული.
მითრიდატემ ტარიელი განზე გაიყვანა
და ლუქი „ორთავ თვალით“ შეამოწმე-
ბინა. ასტეხა და ხელი რომ ჩაჰყო,
თავისი მცირე გვირგვინი მოჰხვლა,
აღარც ამოიღო.

ეტრატი შიგვე იღო. ის კი გახსნა და
ჩაიკითხა. ტარიელსაც გაანდო.

— მარტო წერილს ენდობი? იმუ-
ლება რამე არ იყოს? განა ერთ-ერთი
ვერ მოვიდოდა? მივწეროთ, დავიბა-
როთ! ან მე წავაღ!

— არა! უღაოა! — მითრიდატემ ხალ-
თაში ჩაახვდა. მაგრამ ვიდრე კარგად
არ დაღამდა, მაინც არ ვაჰყვა მო-
სულთ... თუმცა მალევე მოვარეც ამოე-
კიდა ეკის მთას.

მითრიდატე „როგორც იყო“ ისე წა-
ვიდა, ტყავსამოსში, ცალთვალახვეუ-
ლი, ერთი ნაბადიც მოიგდო, ყაბალა-
ხიც. გვირგვინი ისევე იმ ხალათივე
წამოიღო.

ტარიელმა და საველაკემ თითქმის ხი-

ღამდე მიაცილეს და უკან გაუჩინარდნენ.

ხილთან მოწვეული და მისი მზღებლებიც დაქვეითდნენ. ხილს იქით, ახლო მთაზე, ციხე-გოჯის კოშკი და ვალაქანი კლდეში კვეთილად ჩანდა. ტეხურში მთვარე რქაუკუღმა ბანაობდა და, საერთოდ, ყველაფერი ბინდ-შეძრულად და თითქოს შებრუნებულადაც გამოჩანდა.

ერთმა მზღებელმა ცხენები წაიყვანა. ხიდი გადაელო და მოჭედნილ კარიბჭეს მიუკავუნა. მალევე შიგ გაუჩინარდა. მეორემ კი ხიდის ყურიდან ტეხურში გადაახედა მითრიდატე.

— ცურვა იცი?

— ვიცი.

— ხომ არ გეშინია ღამის უქმურისა ან ნადირისა?

— ჩემზე დიდი უქმურ-ნადირი რა უნდა შემხედეს?

— იმ მთვარის ბილიკს ხედავ? ცალთვალობა ხომ არ გიშლის?

ტეხურზე მართლაც ბზინავდა ნამთვარალი.

— ვხედავ! რა წვრილსტრიქონა სანახავია!

— ცოტა ადმა აპყვები და იქ, აი, იმ წაფრადებულ ქვასთან, წყლის დონეზე ქვას ნახავ, ის არის საიდუმლო ტეხურის კარი! დიდი ნდობაა უცხო-სათვის აქედან წვევა! იქ გელიან! ტანისამოსს მე მოვატარებ ციხეზე, ხიდის კართ, და იქ ჩამოგიტან. ან იქ სხვას დაგახვედრებენ. ბედნიერებას გისურვებ, ცალთვალავ. მე თოლივე მქვია! ახლა წამო და გაიხადე! გამიგე?

— თვალი მაკლია, თორემ ყური კი არა! კეთილი! — მითრიდატემ შეუმჩინებლად მეორე თვალიც მოიხალავათა და თად-გვირგვინა ხიდის სიმაღლე გაზომა. კარგა მაღალი იყო, თითქმის სამსართულა კოშკის სიმაღლისა. ოთხკუთხად შეკრული, წინ წაზიდული ხარაჩოები გაღმა-გამოდმიდან. მაღალ, შეკუთხულ გვირგვინად ამოდიოდა და მტკიცე მორმრავალ თაღს ჰკრავდა.

თავზე კი, ლორფინებით გადაფენილ სავალს, მიწა ეყარა, ხის მოაჭირიც ჰქრავდა.

„ცალთვალამ“ ქვა აიღო და წყალში გადაავლო ყრუ ხმა მოსწვდა.

— ღრმა ყოფილა!

— ღრმა! — დაუდასტურა თოლიგემ, — მოცურავისათვის სიღრმე სჯობს... და ცალთვალასათვის — მოკლე მანძილი! წამო, უფრო ახლოს ჩაგიყვან! — ხილს უგანა და ტეხურის მარჯვენა კლდეს ჩაპყვა.

— მოდიხარ!? თუ შეფიქრიანდი, ნაბრძანები მაქვს, ქალაქზე შემოვატარო, ცხენებს გავეყვით, მაგრამ იქ მოსვლის საიდუმლოებას ვეღარ დავიცავთ!

— მოვდივარ, მანდ ქვევით დამელოდე! — მაგრამ მითრიდატე სრულიადაც არ ჩქარობდა ჩასვლას, ბალღურმა მოგონებამ ვაიტაცა, მთვარიანში წყალში ხტომა გაიხსენა. „მე ვერასოდეს ვერ დავეჭირე წყალში მთვარე! ახლა ბალღობასაც ვეარგავ და მთვარე ისევ წყალში მრჩება... და რაც ღალისს დავტოვე, ახლა ტეხურში მხედება! ღმერთებო, ჯერ კიდევ რა ბალღი ვარ!“ — თავს შეედავა, მაგრამ კლდეზე მაინც არ ჩაეიდა, ხელად გაიხადა, სამოსი ხიდის ყურეში დაპყარა, ხალთა მოიხელთა, გვირგვინი მოაგონდა. მისი დატოვება არ იქნებოდა. თავზე დაიდგა და ლუკვერთხით ნიკაპქვეშ ამოიჭირა. სამოსი კი ხალთაში ჩასდო და დედიშობილა, შუახილზე, წარსდგა ახალ მთვარისა და ტეხურის წინაშე.

იყო შიშველი და გვირგვინოსანი, კულულები კი მხრებზე ეფინა.

— ჰეჰეი, მოდიხარ!? — ხმა ამოსწვდა ქვევიდან, ტეხურის შხილში ძლივს გაიგო.

უეცრად, სრულიად მკაფიოდ, წყალში, მთვარის სხივში, ლულუფას სახე დაინახა!

— მოვდივარ! — მოაჯირზე შეხტა, გამართა და გვირგვინით თავყირა გადაეშვა მთვარიან და ლულუფიან ტეხურში.

თითქოს მთვარე ამოფრინდა მდინარეიანად და სახე-გვირგვინს შემოენარცხა. მერმე ტეხურის ცივმა ვრუანტელმა დაფარა და კუნთები გამოუძგიფა... სანუკვარი კი კვლავ არსად იყო!

ფსკერს დააწია და აღმატრიალით ტერფები ჰკრა, ხელად წყლის ზედაპირზე, მთვარის ბილიკზე მოექცა და აღმა ჰკრა მალალი მხარული.

ასჭრა კი გაყოლა და წამოშვერილ კლდეს მიატანა. აქ რაღაც შავი კაბადონი დაჰყვებოდა მთვარის ბილიკს.

ხელით მისწვდა და სიცარიელე შეხვდა. თანე რომ წაყო, გვირგვინი კლდეს მოედო. მაშინ დაყვინთა და არც ამოყო თავი. ვიღრე ტანქვეშ წყალი არ შემოვლია.

ახლა კი ერთბაშად ადგა. წყალი საწმერთოლივით ჩამჭრა და მუხლებს ჰქვევით, კოჭებთან ჩაიწრიტა.

უეცარ სიბნელეში მოხვდა. არა, არც სულ სიბნელე იყო. თვალუჩვეულო შეჭი იდგა. არც დღისა, არც მთვარისა... აღმა დიდი გვირაბი აღიოდა. იქ მოსაბრუნებში სანთლები ენთო.

ქვევით, ზედ წყალთან, კლდოვან ენში, თეთრწყერა, თალხსამოსა მსცოვანი იჭდა და ზელმოფარვით უმზერდა წყლიდან ერთბაშად გაჩენილ ჭაბუქს.

მითრიდატემ ვერც კი შეამჩნია მსცოვანი, ვიღრე თვალი კარგად არ შეაჩვია და არ მოისაზრა. მერმეც მიხატული ეგონა — უძრავი და ძლივს გასარკვევი...

— აქ არის ვინმე? — ხმადაბლად იკითხა და უნებურად წყლისკენ გამობრუნდა.

— აქ ვარ, შვილო! საიდან გაჩნდი ასეთი შიშველი და გვირგვინოსანი!? ბერძენთა პოსეიდონი ხარ, თუ კოლხთა ჰეაქ?

— ვარ ჭაბუკი ადამიანი! — მერმე მოაგონდა, რომ ასე ღედიშობილა დგას პაპის ტოლა კაკის წინაშე. ნაპირა კლდეს ეძგერა, ერთი მომსხო ლორფინი ააეცალა წყალშივე დაწყებულ ჭვაკიბეს და წინ იფარა...— მომიტევეთ უეცა-

რი შემოჭრა. მე აქ მელოდებო ვინმე, თუ მთვარის შეცდომის შესხვერპლად ვარ?

— იქნებ ვერაგობისა? შენ, შვილო, განა არ იცი, რა ვერაგია ცხოვრება!?

— ვოცი, უკვე ვიცი, მაგრამ ამის საწინდარი, ამეამად მაინც გამაჩნია!

— მაინც, შვილო!

— თქვენი შუბლს ძარღვი და ქალარა!

— სულ ეგ არის? არ კმარა... ჩემ შუბლის ძარღვს, ამ ნაკლულ შუქში სადღა ჰხედავ? მეტ სიბრძნეს მოვიტხოვ!

— შუბლის ძარღვი, განა მარტო შუბლზე ჩანს? ყოველ სიტყვაში ერთსაც დამატებით გაგიმხელ ფიცის კაცს! სანთელი რომ აღმართე, მერცხალა ნიშანი შეგნიშნე ხელზე! — მითრიდატემ მარჯვენაში მოიგდო მფარავი ქვა და მარცხენა ხელისგული დაანახვა.

მსცოვანი გულის მიღმა ასაყვედურდა:

— შენ, ასე ახალგაზრდას, უწვერულვამოს? ასეთი ფიცი?... — დანარჩენი გაურკვევე ღუღუნში გადაიტანა. მერმე შეამჩნია მენჯებზე მიფარებული ქვა. უმალ თავისი თალხი ქურუმულა გადაიბრო და გადაუტვლო.

— აჰა, მოიფარე... ჩემი თუ გერიდება!

შიშველმა ქვა ვაავდო და ქურუმულა დაიჭირა.

— განა ჩემს სამოსს არ მომიტანენ?

— შენ კი იქ ხარ, სადაც მიისწრაფოდი?

— იქ ვარ!

— მაშინ ისიც გეცოდინება, მე ვინ ვარ?!

— თქვენ თუ იცით ჩემი ვინაობა, მაშინ მეც მიხვდარი ვარ!

— შენ ამიერთ თავით-ფეხამდე გიცნობ. მოიხურე და ახლო მოდი.

მითრიდატემ იუხერხულა, თავად ქურუმულა მოეხურა, პატრონი კი შავ ახალუხის აპარა დაეტოვებინა. მაგრამ ამ დროს ზევით, კიბის თავში, კარის

ქრიალი და ხმები გაისმა. მითრილატემ უმალ აიფარა ქურუმულა, თავზედაც ხელი ივლო. მაგრამ ლეკვერთხი ჩასკენოდა, ააწყვიტა და გვირგვინი ქვას ამოაფარა.

— რა ხმაურია? — ზევით შესძახა მსცოვანმა.

— მარცხი! ხილიდან გადაფარდა წვეული! ჩემი თვლით ვნახე! მარცხია! — ზევიდან ჩამოვიდა ძახილი.

მსცოვანმა ქაბუქს შეჭხედა და მხრებზე აიჩეჩა.

— მარცხი? ხაღიდან? ჩემი წვეული აქ არის!

— აქ არისო! — გვირგვინს თავში დაიჩხა გახარებული ხმა-გნიასი.

— ნება გვიბოძეთ, გეწვიოთ!

— ჩამოდი. თავისი სამოსიც მოართვით, თორემ ვერ გუოვს ბერიკაცულს!

გვირგვინს სანთლების შეჭები და ჩრდილები მოჰყვებოდნენ. ჩამოვიდნენ ბედან-კოლხი, აბიო-იბერი, გვაზა-მეგერი და გური აკანელი. მათ უკან მოჰყვებოდა თოლიგე, მოჰქონდა დაკარგულ წვეულის ხალთა-ნაბადი და ტყავკაბა.

ჯერ კიდევ წყალში მდგარს მიეახლა და წინ დაუწყო სამოსი, მაგრამ პირს-პირ შეჭხედა და ხელი აღარ შეუშვა.

— ის ცალთვალა იყო!

— მიეცი, მიეცი, მაგისია! — თეთრ წვერში ჩაელიბა მსცოვანს, — ეგ ისეთი ვაიბებდა ჩანს, მე კუდიცა და გვირგვინიც დავუნახე შეშეკლს!

თოლიგემ სამოსი დანდო და თავ-ტელსაფსავით გვირგვინს აჰყვია.

— ხილიდან ვადმოფრინდა! პირდაპირ ხილიდან! ჩემი თვლით ვნახე! კოშკის სიმაღლე ხილიდან!

ვიდრე ბერიკაცები ზურგით ეფარებოდნენ. ქაბუკი შეიმოსა და თავისი ნაბადი მსცოვანთ მალალსაფხურა კიბეზე დაუგო. ყველა დასვა. ქურუმულა უკან ვეღარ შეჰკადრა გოჯ-მეფეს და

თავის ხალთასთან დადო. თავადაც ცალ მუხლზე ჩადგა და კოლხეთის მსცოვან მეფეს სალამიცა სცა და ბრძლიშვიტ მოინახა — „არ ცოდნის მიზეზით, შიშვლად ხლებთსათვის!“

— პირველ სიტყვად „მამა-შვილობას“ გეტყვი. — ხელი სტაცა და ქაბუკი გულში ჩაიკრა გოჯმა. — ასეთი შეყრა ჩემი ბრალია, ამასაც თავისი კეთილი ზრახვა ჰქონდა. მე შენს შესახებ ყველაფერი ვიცი, — დანარჩენ მსცოვანთ გადაჰხედა, — იქნებ შენზე მეტიც, შვილო! არ ეფარავ — მოხიბლული ვარ. ეს ჩემი ბებერი გულის საქმეა... მაგრამ ცხოვრება ღმერთთაც, მეფეთაც და მღაბიორთაც უფრო შვაცრია, ვიდრე ბებერი გული! ამიტომ აქ და ასე ვარჩიე შეყრა. ამიერით ეს შენი „წყალნათელი სვლა“ — შენ პირველ ტეხურულ წყალგანათვლად მიჩანს და სახელსაც, დროებით მაინც, სხვას გირჩევ — წელან ალაღებუად ნათქვამს.

— ვაიბებდი! — შესძახეს მსცოვანებმა.

მაგრამ გულჩვილმა მსცოვანმა, სანთლებს შუა თითქოს იერი იცვალა, სახე გაიმჟაცრა, ხმაში ლითონმა უმატა, საქციელში უკარებლობამ.

— ამ სიმაღლე ხილიდან ვადმოხტომა კი მეტისმეტია! შენ იცი, რომ ჩვენ მოლალატეებს ცერით ამ ხილიდან აღარც ერთიც არ ვადარჩენილა! შენ თუ რამე სხვა საზომის კაცი გვეზრდები... დიდება ღმერთებს! ჩემი შვილი რომ იყო, დავსჯიდი თუ ასეთი გამბედავი ხარ, განა ცოტა გვეკირს უაღრესად გასაბედავი და, პირველ ყოვლისა, ჩვენი ტომების ესოდენი სახიფათო მღვთმარეობა, მათი დაქსაქსულობის გამო!

კოლხთა მეფემ უეცრად მოსწყვიტა სიტყვა და გვირგვინს თავისაკენ ასძახა:

— სახლთუხუცესს უხმეთ!

კოტნე ჩანს გვირგვინს კართან ელოდა, უმალ გამოიწინა.

— სამეფო გვირგვინი და წამოსახხა-

მის ეტრატ-კალამიც, სხვა არავინ იხ-
ზოთ!

სახლთუხუცესი შეეყოყმანდა... ქუჩის
კარის გარიგებით, თრ ქართულ სამეფო-
თა, ამ ჭერად კოლხთა და პონტოს
გვირგვინოსანთა შეყრა, ისიც სამ ნა-
თესავეურ სამეფოთა თავკაცების თან-
დასწრებით, თუ ციხე-გოჯში იქნებო-
და, უნდა ტახტის დარბაზში შემდგარი-
ყო, თუ გარე ტყეში — საგანგებო სე-
ფა-კარავში.

ამ წესის შეცვლას, საიდუმლოებაც
ვერ ამართლებდა.

— იქნებ სატახტოში ინებოთ, საპა-
ტიო წვეულებთან ერთად?

— სატახტოც იქ არის და საეროც...
თუნდაც საოჯახოც, სადაც მე ვარ და
ჩემი მეფე-სტუმარი! ჭერჭერობით
ასეა! — და მიუხედავად იმისა, რომ
სახლთუხუცესი წავიდა, მეფე მაინც
განაგრძობდა კილოშებნარულ ბაასს, —
მერმე, ჩემს შემდეგ, შემკვიდრემ გან-
საჯოს. კერძოდ და სახელდობრ, მყავს
თუ არა, არც ამას აქვს მნიშვნელობა!
ცხოვრება და ქვეყანა უმემკვიდროდ
არვის გაუშვებს... ღმერთებმა — ნურც
ინებონ ჩემზე — მსოფიანზე, თუნდაც
შენზე სულ ახალგაზრდაზე, დადგეს
და დადუღდეს მთელი ჩვენი ტომ-ნა-
თესავი! საქმე ისაა, თითო ჩვენთაგანი
ღირსეულ ვიყოთ! — და თეთრად შეკ-
რულ, ბარდნილა წარბებში უტეხი ნე-
ბისყოფის ელვა გაიკრა, მერმე ჩაელი-
მა, მაგრამ კუშტი კვალი აღარ გაუქ-
რა, — შიშველი — გვირგვინით იყავი,
შემოსილა კი უგვირგვინოდ ხარ...
რისგან არის? .

ასე შემკაცრებული გოჯი კოლხელი
უფრო მოეწონა ახლად სახელდებულს,
მაგრამ აღარც თავად მოიბოღინა.

— როგორც კი მოგართმევენ სამეფო
გვირგვინს, მეც ჩემი მცირე ჯილით მო-
გეწვევით, კოლხეთის თეთრო უფალო!

— გადამიხადა! გადამიხადა! — უკვე
ლიად გაიციინა გოჯმა, — მეც მომიბოვა
ახალი სახელი! ღმერთებო, გაგვიზარ-
დეთ ძაეთი ახალი თაობა!

გვირახის თავში ისევ სახლთუხუცე-
სი ჩამოღდა, მას აქ, გვირახის კარავში, —
მაინც დაეცვა „ქუჩის კარის გარიგე-
ბა“ — კოლხთა მეფეს გვირგვინ წამო-
სასხამი და საბრძოლო ღროშა დიდი
გამოჩინებით გამოასვენებინა წარჩი-
ნებულ მესტუმრეთ: აქ კი, გვირახის
კართან, ისევ შიგ მყოფი მსოფიანი
მოიშველია, გარედან კი მხოლოდ თო-
ლიგე შეიყოლა და ისიც უძმალ გამოაბ-
რუნა.

გოჯი კოლხელი მსოფიანებმა შემო-
სეს, ბეწვევითილა წამოსასხამი მხარზე
მოახურეს, გვირგვინი თავად დაიდგა
და კლდის ეხში რომ მორქმით დაჯდა,
ახლა მართლაც კედელბატულს დაეშ-
გაგესა.

სახლთუხუცესმა წვევის წარმართვა
სცადა, მაგრამ „თეთრმა უფალომ“ ყვე-
ლა წესზე ხელი აიღო და მხოლოდ
შეძგერებულ გულზე დაიდო ხელი,
ეტრატიც მოიკითხა... ცოტნე სახლ-
თუხუცესმა ხელად გააჩინა და წერად
მოკალათდა.

გოჯის მოწოდებით ყველა მობუცი
კვლავ ნაბაღზე დასხდა. ახლა მხოლოდ
ყველაზე ჭაბუკი იდგა ფეხზე. მას უკვე
ჯილა ედგა და სანთლების შუქზე სა-
ოცრად მაღალი ჩანდა.

— მამობრივი მონუტემებისა და სა-
თანადო დიდი ბუღის გაჩენისათვის,
ჩემს უახლოეს ნათესავს ვაეიბედია
სპერელს ებოძოს ციხე და ქალაქი
ცხუმი, რომელ არს ბერძნულად დი-
ოსკურია... მისი სანახებით, მითია და
ბართ, სარეც-ურეკით... მისი სავამ-
გებლო ტომებით — კოლხთა, ერთობ-
ლივ შეგროთა, აფსილოთა, აფხაზთა, სვან-
თა, ბერძენთა და სხვათა...

ეს წერილობითი ბოძება დიდი ამბის
დასაწყისად და არსებითად „ანდერძის
წერის“ წინაპირობად ესახებოდა აქ
მყოფთ, გარდა თავად ვაეიბედია სპე-
რელისა. მან კარგად იცოდა, რა მჭიდ-
რო კავშირი არსებობდა სინოპესა და
დიოსკურიას შორის და იქ ჩასვლა,
თუნდაც სხვა სახელით, მომავალი ნახ-

ტომისათვის ზედ-გამოჭრილი იყო, მაგრამ ამ ქაშაღ თავის მკლავებზე უღრიდა.

მაგრამ დახე „თეთრი უფლის“ სიბრძნეს!

— ნება დაერთოს ვაჟიბედიას, სხვას შინაღოს ახალბოძებულ მხარის მართვა.

...მაგრამ დანარჩენი ვაჟიბედიასათვის გაუგებარი ღარჩა.

— აბო-იბერს ეთხოვოს და მოეთხოვოს, — მარცხენა ხელი, გულგამოჩენილად აჩვენა ვოჯმა, — დაუყოვნებლივ იმოციქულოს მცხეთას, საშურო ზარახვის შესაწამებლად... — და კილომინათურად დაურთო, — ბეც თერძს არ დაეცმსგავსოთ, ნაბაღს ერთი კალთა ევაჭრათ, მეორე ვაკეროთ! — და მერმე ისევ „დასაწერად“ განაგრძო, — ამა ბოძების პირველ წიგნს ვადასტურებთ ჩვენ, სახლთუხუცესი ცოტნე! — და ისევ დაბაღ ხმაზე გადავიდა, — ყველა ამ დამსწრე საპატიო მსცოვანთ დაამოწმებინე! — მერმე დიდხანს უმზირა ვაჟიბედიას სპერელს. ისიც შეატყო რომ „ზოგი რამ“ ჭაბუკისათვის გაურკვეველი ღარჩა.

— ილორობას ყველაფერი ყველასათვის გარკვეული და ცნობილი უნდა იყოს!

— მე ხვალვე ვაწვევ მცხეთას! — ზელი ასწია აბოთ.

— სახლთუხუცესი ხელს მოგიმართავს, გური ასკანელი წაიყვანე ჩემმხრივ, მახუნჯაგ ბაიცი დაიბარე... დღე და ღამე, მთა და ბარი ასწოროს და მოასწროს, თორემ იბერთ დიღო მეფე ადერკ, აგრეთვე ახალგაზრდაა, ვინ იცის, რა „ხიღზე გადაგვიბტება!“ და მერმე კიდევ ათას წელიწადს ვცუდლოთ ასეთ ბედნიერსა და უბედურ დამთხვევას!

ესეც მოსჭრა და ახლა გვაზა-მეგრის მიუბრუნდა.

— გვაზავ, რადგან შენ გირჩია სქემ-გურ-მხეთელმა, ცოტაც აცალე და ჩააქოთხე, ყველაფერზე თანხმობა მიეცი, თან შეამოწმე, ხომ არაფერი იყნოსა...

ცხვირმეძებარა უფრო განლავთ, კიდრე მწევაი... მაგრამ ამტუტება მტკი ხელობა! — დანარჩენი კი პირდაპირ ვაჟიბედიას უთხრა:

— ალისტარხოს კი უფროთხილდი, ვერაგად მარჯვეა! ამ უპირატესობით ჰფიქრობს ფონს გასვლას. გაღმა აღვილად მოსაპოვებელი. უმემკვიდრო ტახტი ეგულება! თან კარგი ცხენოსანიც არის და ცხენის მტაცებელიც! არც ყურალობაზე ამბობს უარს! ახალგაზრდა მოკაემირე რომ დამჭირდეს, შენი იმედი მაქვს ვაჟიბედიას სპერელო!

ესეც მორჩა და ბედან-კოლხს გაუბა გრძელსაუბარი:

— ახლაც მისწერეთ პონტოში, კაბადოკიაში, სხვაგან... ვისაც არ დაუღომება იქ, ან საჭიროა რომ აქ იყოს, დიოსკურისა და ნიკოფისას იწვიეთ! მე მათ ორთაგ ხელს მოუფიქროთ... ბოლოს კი ბირთვად, ლაშქრად და ამაღლად დაგჭირდებთ!

გარდა ამისა, ილორობაზე გიწვევთ ყველას, მარულაშიაც მონაწილეობას ცთხოვთ, მეფის დროშის ცხენოსნად ვაჟიბედ სპერელს ვასახელებ! ახლა კი, სახლთუხუცესო, ჩემი სტუმრები არიან ყველანი, ჩემი და ვაჟიბედიასი!

ახალგაზრდები ზედა გოდოლზე აიყვანე, თავისი ხალხით... იქიდან ზღვაც ჩანს! მეც ახლო ვიქნები! ბერიკაცებს გაუჭირდებთ ზევით ასვლა, აქვე მოასვენე. ქედის ციხე-სასახლემში. მესტუმრენი და მესაწოლენი მხოლოდ რჩეული და ესამოკლენი. სერობაზე ყველა აქ დამსწრენი გვაწვიეთ... და გარდა ამათი, ვისაც ვაჟიბედიას სპერელი მოისურვებს!

ხელები აღმართა, გვირგვინი მოიხადა.

— ახლა კი ჩემ ტეხურთან დამტოვეთ და აღარც გვირგვინი მჭირდება. — წამოღგა. გვირგვინი სახლთუხუცესს გადასცა და სამადლობელოდ წამომდგარ-წამოწვეულთ ხელი დაახვედრა. — არც მაღლობა, არც ზეღმეტი სიტყვა. თქვენთვის პირადად მე არაფერს არ

ვაკეთებ. ჩემი გულის წადილს ვეწევი!...
 ამ წყლის მადლს ვფიცავ!
 წამოასახამი ნიქარასავით დასტოვა,

წყალს მიაშურა და ორთავე პეშევით
 ამოიღო... თითებსა და სანთლის შუქში
 ვასტრა.

16. მისრაულა — გოდოლი მრგვთა

ვაიბედ სპერელი და ტყის ბანაკი-
 დან მოყვანილი ტარიელ და სავლაკე
 ღამიანადვე ავიდნენ სულ ზედა გო-
 დოლზე — მისრაულაზე.

ეს უზედაესი ბურჯი საზვერაიე ცი-
 ხეც იყო, მნათობთა საჭვერტელიცა და
 მოგვთა რამლის საყრელი გოდოლიც,
 იგი თიფქმის ნახევარ კოლხეთს დაჰ-
 ყურებდა, მაგრამ ახლა დამე იყო და,
 გარდა ტყიან აღმართისა, გაურცევი
 ემდ-ქედა კედლისა და აქა-იქა თაღე-
 ბისა თუ ქვაბებისა, არაფერი უნახავთ.

კლდოვან ბილიკის თავზედაც უამრავი
 ვარსკვლავები იყო... და მათაც ხელ-
 ახლად მონათლულის თვალში, პონტო-
 საგან განსხვავებული, სწორედ საოცარ-
 რი, მწვანე ციმციმი ასლიოდათ.

მისრაულაშიც, მცირერიცხოვან მეგო-
 დოლეთა გარდა, არვინ იყო. თუმცა
 თავანზე რალაც დამთვარული ლანდე-
 ბი და კანდელები ისახებოდნენ.

— რა ჩრდილებია? — იკითხა ვაჟი-
 ბედიამ.

— ღმერთები! — მოწიწებით აჩუ-
 ჩულდნენ მეგოდოლენი.

— სულიერები არიან?

— მთელი ბაგინ-ბომონი მანდ არის!
 სულიერები თუ უსულონი. ამას კი ვერ
 გეტყვით! გოჯ-მაფა-მოგვმა იცის!

— საჭმელს ჭამენ?

— მსხვერპლს იწირავენ!

ახალსახელა მიხვდა და დაწყნარდა.
 ღმერთები არასოდეს არ უშლიდნენ
 ფიქრს. ახლა კი როგორღაც, ერთიმეო-
 რეში აზრგაყრილად იყო ჩაფიქრებუ-
 ლი.

რამდენი ხანია უკვე გამოსცილდა
 თავის სინოპეს, რამდენიმე სახელიც კი
 გამოიცვალა, თვალწინ კი სულ იქაური
 სურათები ესახვის! ხან მამის თავგაბო-

ბილი სხეული, ხან კოშკის თავანი და-
 აბობოქრებული მოედანი, ხან შავ-ქაჯის
 ფაფარი, ხან ქვესავარძელად მოელან-
 დება სივრცე. მერმე ის შორი გზაც —
 ფიქრისა და სახეების გზად მოსდევს,
 მოფიქრიანობს. საშინელება ყოფილა
 ზომავზე მეტად მკაფიო და მძლეთამძლე
 მეხსიერება! ახლა და, ლულუფას რალა
 უნდა ამ წვერჩაბურდულ მხცოვანთა
 შორის? ჯერ პალესტომის ტბაში რომ.
 ელანდებოდა, მერმე ხობებს რომ გაჰყ-
 ვა, მერმე ტურებს... ახლა ტეხურის
 ხიდთან, წყალში ახალ მთვარედ რომ
 მოეჩვენა ახლაც ყოველ ჩრდილში.
 „იმას“ რომ გულისხმობს. ყოველ ვარ-
 სკვლავის უკან რომ ზის და ელის...
 ელის, მაგრამ მას თუ სავლაკეს! მის
 ზღვის ძმას! ან რას აეკვიტა ეს „თაფ-
 ლიბუხა“ გოგონა!

ნუთუ ამის მეტი დარდსაფიქრალი
 არა აქვს რა! ეჭვის ჭია რომ ღრდნის,
 სულ სხვა გვარისა — მისი ცრუ სიკე-
 დილი ყველამ გაიგო. მალემრწმელად
 დაიჯერა კიდევაც. ახლა წარა-მარა იმი-
 ტომ ხომ არ უცვლიან სახელს, რომ
 მერმე მისი ნამდვილი სიკვდილი ვერა-
 ვინ გაიგოს? არა, ვინც მასთან არის—
 ბოლომდე მასთან იქნება! თითქოს
 ასეა? ზოგი რამ გაუგებარია და ეს იწ-
 ვევეს დაფარულ ტყეილს. მცხეთას მარ-
 ტო რად მიდის აბიო? ან რა ჭარბად
 გულითადი და ორმაგად ნაზომია გოჯ-
 რეფის ყოველი სიტყვა და საქმე? ნუ-
 თუ ახალი „კვანძი“ იხლართება რამე?
 და კვლავ იგია კვანძის თავში? აღლო
 უგრძნობს.

ეს რა ყოფილა, თუ არ იცი, ყოველ-
 თვის ბაღლი ხარ, მაშინაც კი, როდენ-
 საც წლოვანებით აგრე აღარ არის! თუ-

მცა აქ ვერც წლოვანება უწყობდა ხელს. დამატებით გული ეურჩებოდა. რაღაც, ჭერ გაურკვევე და ჩამოუყალიბებელ ლტოლვებით უტოკავდა და ამ ლტოლვებში თავისებური, უჩვეულო ბრალი სწორედ იმ „თაფლობუზას“ აქვს... ჰკითხოს? ტარიელს ჰკითხოს, მორცხვობს! სავლაცეს — მაგრამ სწორედ აქ უჭირს! არა, ეს მორცხვობა არ არის, რაღაც სხვაა — ჭერ უცნობი და განუცდელი გრძნობა... ისიც შეატყობ „ზღვის ძმას“, აფსაროსზე რომ ჩამოუგდებს კითხვას, სავლაცე ყველას ახსენებს, ვარდა ლულუფასი! აღლო კი ზევრ რასმე უგრძნობს. ჩანს ილორზე ბევრი რამე უნდა გაირკვეს, იქნებ გამოჩნდეს კიდევაც.

ტეხური ისევ გამოდონეს, სწორედ გოდოლის მთის ძირში, უხვედრ ადგილას — ჯაბახეთში დადგნენ. თოლიგემ ახლაგოდოლელთ მიასწავლა ჯიხვის ბილიკი და ვაეიბედ, ტარიელ, სავლაცე მყისვე ჩაეწვივნენ ცხელწყლისპირელთ.

საოცარ სურათს წააწყდნენ: ცხენიანკაციანად ყველანი აქა-იქ მოთხრილ თუ მოკუბებულ რუებში იყვნენ ჩამდგარჩაწოლილნი და ორთქლი ასდიოდათ.

მხოლოდ ნისლა ცხენი იყო ვანზე, დაზორკოლიცა და ჯაქვებშებმულიც საბალახოზე დაბმული.

კლდიდან, მრავალ ადგილას დუღილით მოკქუხდა ბუნებრივად ცხელი წყალი. აქა-იქ გოგირდის წიღოვანი ნალექიც ჩანდა.

ვაეიბედიამ შეხსნა ჯაქვი და ცხენთან ყინჩად მივიდა, ჭაქვით, მეფის სუფრიდან ჩამოტანილი ჩამიჩი გაუწოდა. ცხენმა იცნო, მაგრამ არც თუ მონებდა. ვაეიბედიამ ავწარი მოიმოკლა და ხელი უფრო მიუშვირა. ცხენმა ლამაზი ნესტოები გაჰბერა, მერმე ჩარბებიც აათამაშა და ჩამიჩი თავის ქნევით აახრამუნა. ახლა ჩამიჩს ქერაც მიიყოლა ჭაბუქმა. ცხენს ესეც მოეწონა. კარგა დააპურა და ისიც წყალთან მიიყვანა ბატრონმა.

უფრო ახლოს, სათავესთან, ვერც ხელმა გაუძლო ცხელ წყალს და ცხენიც დაფეთდა. ისევ საშუალო, ტეხურგარეული და შეგრილებული წყალი არჩია... ცხენი კარგად გაჰბანა, გედეს ჩააბარა.

— ყოველდღე აბანავე... ახლა მტყიცე სამზადის!

— გაგყავს მარულაში ილორს?! — მიუხვდა გედე.

— გაგყავს.

— მერმე სხვაგან რომ გაგიტაცოს? გახედნა არ გწადთ? ცხენიც ფიქრივით არის, განა ყველას და ყოველთვის ემორჩილება! სიყვარული და გაჭირიცის!

— სიყვარული და გაჭირიც? ფიქრს.

დამე კოშკისშუა სართულზე, სარკმელთან, შფოთიანად ეძინა. მისრაულა — გოდოლი მოგვთა, ჩუმი ჩუქჩუნი იყო აღსავსე.

მეგოდოლენი ფარულად განგაშობდნენ. ღმერთების დარაჯებს საოცრად ეშინოდათ უქმურისა. გოდოლის მთის ტერფთან, ქვევით, ჩრდილო ხეობაში, ჩაულრანებულ ტეხურის პირზე — უხვედრ ადგილას, ცეცხლი შეენიშნათ. ის ადგილი კი სწორედ დიდუქმურიანი იყო!

— ცეცხლი ჯაბახეთს! ცეცხლი ჯაბახეთს! — გამჟოლ ჩურჩულით გასძახოდნენ ურთიერთს გუშავნი.

დილაადრიანად ყველაფერი გამოირკვა. ჯიხვის ბილიკებით ჯაბახეთის მხრიდან, თოლიგე ამოვიდა და ამბავი ამოიტანა.

ტყის ბანაკელებს ნაოსნებიც შემეტებოდნენ. ნავები ხილთან ნაპირზე გამოეტანათ, დარაჯათთვის ჩაებარებინათ. ბედანის განკარგულებით, ყოველი საფასო ციხე-გოჯის საგანძურში შეენახათ.

მთელი ამაღა და ბადრაგი, თოლიგეს შეგზურობით, დამიანადვე, ტეხურის მარჯვენა ნაპირით, ბერთემის გზა-ბილიკზე გავიდნენ, ციხე-გოჯს ჩრდილოეთით დაუარეს და ცხელწყალასთან

რომ ველარ ამორებ, ეს სიყვარულს ნიშნავს თუ გაქირს? — თავისთვის მოულოდნელად იკითხა ვაჟიბედიამ.

გეგი დაიბნა:

— ცხენზე მეკითხები თუ საერთოდ?

— საერთოდ... ცხენზე! — დაბნეულად უპასუხა თავვეურკვევმა ტრფიალმა, — აგრე უხედნი იყოს. გახელემა კი იცის, ცხენს წინ არ გაუშვებს!

— მარულაში, ვოჭვათ, დაიმორჩილე, მაგრამ თარხიაში, ისინდში, ჯომარდობაში... წურთნა უნდა, დაფორღება ცხენი!

— ეს სამარულოდ დავტოვოთ. სხვები ვწურთნოთ... ხანდახან ესეც ვაატარე, თუ მიგეჩვია და გიგუა!

ცხენებს რომ მორჩნენ, ახლა თავად ახალგაზრდები ჩაწვენ ცხელ-გოგირდოვან წყალში. „ზღვის ძმები“ ახლა, „ცხელი წყლის“ ძმებიც გახდნენ.

ვაჟიბედიას უმალ მითრიდატული ფიქრები წამოერიენენ, შორს, ზღვის იქით გაიტაცეს. იქაც არის ცხელწყალა. არა ასეთი ცხელი, მაგრამ არანაკლებ საამო. სახელად კი ბერძნულად ნათარგმნი თერმოდონტი ჰქვია. ახლანდელ ხალიბებისა და ზღაპრულ ჰამორძალების ხეობა! საერთოდ, მოსულები თითქმის ყოველთვის თარგმნიან ადგილობრივ სახელებს და ვისაც ძლიერი მწიგნობრობა და დამწერლობა გააჩნია, იმის გააზრებული ან ნათარგმნი სახელი ჰჩებდა!

ერთი განსაკუთრებული გამონაკლისიც არის, ვისაც უფრო ძლიერად უყვარს * თვისტომი და მისი მიწა-წყალი დაიხ, უყვარს, ფიქრებს რომ ველარ ამორებს... და ხანდახან ეს სულ სხვა რამესაც ნიშნავს!

მითრიდატემ თვალი აარიდა საელაკეს და სხვა ცხელ ვუბეს მიამურა. აღმა აპყვა ცხელწყალას. ერთი ქვა ნახა წყალგამყოფი — აქეთ ტეხურის ცივი ნაკადი დიოდა, იქით ცხელი წყალი. ქვას ცხენით გადააქდა და ცალი ფეხი ცივი წყალში ჩაჰყო, მეორე ცხელში. როდ-

საც ველარ გაუძლო, შემოტრიალდა. ახლა ცხელში ნადები ფეხი ცივი წყალში ჩაშლო და პირიქით.

— ყველა მოგროვდა, შორიხლოდან შემყურებდნენ და ჰკვირობდნენ.

— რას აკეთებ? — ბოლოს შეეკითხა სავლაკე.

— განა მართო ცხენს უნდა წურთნა!

მალე მესტუმრე მოუვიდათ სასახლიდან. თოლიგემ კიდევ ერთხელ გადმოირბინა ჯიხვის ბილიკი. გედეს მოუტანა „მგზავრული“ — „მახუნჯაგ ბაბისათვის მისართმევი — არსიანს“.

მითრიდატემ უკვე იცოდა, რომ ეს „კეთილი დევი“ ჯერ მცხეთას უნდა ჩასულიყო, მერმე, ალბათ, ილორს მოსწვდებოდა მათ.

„რალაცას მიპირებენ, მაგრამ რას? არც ცუდ რამეს ვგონებ! ცოლს თუ მრთავენ? ჯერ ვგონებ აღრეა? ან რატომ არ მკითხავენ, მე ვინ მომწონს, მიყვარს, მეფიქრება?“

— გედე, შენ აფსაროსს ხომ არ გაივლი? — უცერად შეეკითხა და მერმე მოაგონდა, რომ სავლაკეც აქ არის და თავი ჩაჰხარა.

— არა, ბატონო! მოკლეზე გადავჭრი, ორი ცხენით წავალ, დღესა და ღამეს გავასწორებ! ნისლას კი მუხამავრას ჩავაბარებ!

ორი ცხენი აირჩია, ორივეს ქეჩა-მოსართავი გაუწყო, ერთს მოახტა, მეორე მოკლე საბლით აიბა და შურდულივით წავიდა.

ახალგაზრდები უკან, გოდოლში რომ ამოვიდნენ, იქ ბედან-კოლხი დახვდათ. აბო-იბერიც უკვე წასულიყო თავის მეფესთან „გოჯი კოლხთა მეფის მიერ დამატებით წარგზავნილი, პონტოს მეფის გამო სამოციქულოდ“, იმაში ეჭვი არ ეპარებოდა პონტოელს, მაგრამ რა იყო თვით „საგანი“ ამ ასე დაშურებული მოციქულობისა? ვერასგზით ვერ წარმოედგინა.

პონტოს ტახტის დაბრუნების უშუალო მოქმედების ვარაუდი ჯერ შეუძ-

ლებელი იყო. მერმე ის აღელვებდა, რომ ვეღარ ახერხებდა თავისი განწყობილების დაფარვას. აი, სინოპეში, საშინელი ამბების დროს, „ნადედარას“ წინაშეც კი შესძლო „სახეუტყვობა“. ახლა კი ბედან-კოლხი ხელად შეატყობს ხოლმე. ახლაც უგრძნო. მეფედ ზრახული კი უნდა დაეუფლოს თავისი სახის მეტყველებას.

— ბანაკში წესი დაგვხდა? — რბილად შეეკითხა ბედანი.

— სრული წესი.

— ცხენი როგორ გყავს? ვიცო მეტად გიყვარს! დაგჭირდება კიდევაც.

— კეთილად...

მითრიდატემ იგრძნო, რომ ბედანი მისი აღელვების მიზეზს ეძებს.

— გელე და მუხამავერა როგორ არიან?

— კარგად. ლარი შეინახეს. გელე წავიდა.

— სად წავიდა?

— სად წავიდა კი ვიცით, მაგრამ რაღა წავიდა — არა! ჩანს, არც არის საჭირო. საერთოდ, რაც მე მეხება — ის მაინც მითხარით, ფიცის კაცს, თუ ლტოლვილ მეფეს არა! მე ვიცი, რომ ყწლა მადლს მიკეთებთ, მაგრამ ძალა-ძალა ღარც მადლს აქვს მადლი და ძალა!

ბედანმა უკვე იცოდა ჭაბუკის გაბუსუნების მიზეზი. შინაგანად მოიხიბლა ნათქვამის შვევრობით. თუმცა აქ, გოდოლის ეზოში, სხვების ახლოს, არა თქვა რა. ხელით ანიშნა და გოდოლის შიდა კიბეს აპყვა.

გოდოლს ოთხი სართული უნავირის ქედს ომახიანად ადგა. ჯერ კედელ-კედელ მიდიოდა სავალი, მერმე შიგ კედელში იყო ვიწრო კიბე და ბოლოს თავანზე უფრო ფართო თლილი ქვის კიბე აღიოდა.

ჯერ კიდევ კიბის ზღურბლიდან დანახული მისრაულას თავანი სრულსაოცარი აღმოჩნდა. ქონგურების ნაცვლად, რაღაც ქვაკუთხურები და ოდრიკალები იყო. ბედან-კოლხმა მაშინვე ინიშნა...

— მზის სიმადლისა და მთვარის დახ-

რილობის საზომებია!.. ასეთი რამ მხოლოდ შიდა კაბადოკიის კაბეირაში მინასავს, მთავარ ტაძრის თავზე!

თავანზე რომ გავიდნენ, უფრო გაკვირდნენ — ცხრაქანდაცა კერპი წრიულად, ერთი-მეორის პირისპირ იდგა.

რომ შეაკვირდნენ, ყოველ ღმერთს გარეპირიც დაუნახეს. იქვე, ჩამორიგებით, ცხრა კანდელი ბეუტაედა. შუაში კი საერთო სამსხვერპლო და შერუჯული კერა იყო, გვერდზე — დიდი ქვიჩა, ხელწისქვილა და გრძელი ბუკი.

— კარის სამოგვე აქ ჰქონია მათაუფალს! უდიდესი პატივია ჩვენს მიმართ — ღმერთების სავანეში გვისტუმრა!

გულჩათხრობილ ჭაბუკს, სულ დაეკარგა იღუმალ საუბრის სურვილი. აქ ცხრა მოწმე მაინც ჰყავდა და თითოს ორი პირი ჰქონდა.

— ორსახოვანი ღმერთები? იანუსის.. რომაელთა ღმერთების თანამომქმენი?

— გულშეძრულად აწურჩულდა.

— არა, სწორედ კოლხურია! ეს ყოველად შემკული ქვეყანა ხომ დიდი ხილი! ღმერთთა შიდაპირი — თავისთვის, გარე კი — აღმოსავლეთით — იბერიისათვის, დასავლეთით — პონტოსათვის! აი, გოჯი მეფე-უფალის ზრახვა და ტომისაწიერი მსოფლსაჭკრეტისი!

კერპები ჩუმად იდგნენ. ჩუმად იდგა გაკერპებული ჭაბუკიც. ბედანმა მაინც მოითავა თავისი სათქმელი:

— ისიც მართალია, ყველაფერს ჯერ ვერ გეუბნებით, რა ვიცით, რომელ ხილიდან თუ თავანიდან გადაგვიხტები!

მითრიდატემ პირდაპირ შეხხედა. ბედანი შორს, ღმერთებს მიღმა, იყურებოდა და სევდანარევი ღიმილი ეწერა სახეზე. მაგრამ რაც უთხრა, ეს ხუმრობა არ იყო, არც სევდიანი გაკილეა. შედარაჭებულმა მითრიდატემაც უნებურად „ბედანის სამზერსა და საჭკრეტს“ გახხედა, თითქოს იქ ეძებდა ბრძენის ფიქრების ამოსახსნელს. და, ვგონებ, პპოვა კიდევაც...

შორს, დასავლეთით, დასირმულ მწვა-

ნე ხმელეთის იქით, სახედავის მთელ სივრცეზე ჩანდა ამზიურებული, დაღვრილი ვერცხლი სპერის ზღვისა.

— პონტო! ჩემი პონტო!

— ზღვა სპერისა! იქ არის პონტოს სამეფოც. მაგრამ განა მარტო შენია? იგი ნაწილია ქართველ ტომთა სამყაროსა! იგი ერთ-ერთი აკვანია ჩვენ ნათესავთა!

— ამ ხილიდან მე არასოდეს არ გადამოვხტები.

— მაშინ უფრო ახლოც ვთქვათ და გავხედოთ. შენ ხომ გაითვალისწინე, რად გიწყალობა ზღვის ქალაქი და დიდი მამული კოლხთა მცხოვანმა მეფემ?

— დიდი ბუდე შემიქმნა კოლხეთს, სამშვილდე სინოპეს საპირისპიროდ!

— დიახ, უმამობა აღარ გეთქმის! — სხვათაშორის ჩააწვეთა ბედანმა და უმალ ჩაფარცხა, — ახლა ვის დანიშნავ იქ, დრომდე, ვაჟიბედ სპერელის მაგიერად?

— ტარიელ უფროსი ვიხმობ! სხვანაც, შერჩევით ჩამოიყვანოს!

— მოგიწონებ არჩევანს. მაშინ გავაშვადებ წერილს.

— მერმე ვის გაატან?

— ბახო ხალიბი ჯერ არ იქნება წასული.

— არა, არ ვარგა! ის სხვა ჯაჭვია! ნუ გადავხლართავთ! თან იქიდანაც გაუქირდებათ, შეუმჩნევლად ხომალდის შოვნა.

ბედან-კოლხს გაუკვირდა ასეთი სიფრთხილე. განზრახ შეედავა.

— იშოვნიან. ან ბევრნი ჯერ რად გექირდებიან?

— განა მარტო ღმერთები უნდა იმზირებოდნენ ირგვლივ! ჩვენც გვმართებს! და განა მარტო მზერა ან ლოცვა. თუ ვაჟიბედია სპერელი ვარ, ვაჟიბედიებიც მქირდებიან და სპერული ხომალდებიც! ახლავ დაეიწყებ და დროზე იქნება! საშენ მასალას უკეთესს ვერც ვინატრებდით. ყველა ქართულ-ნათესავურ ტომებიდან მცირემცირე ჯგუფი რომ შეეყაროთ, გამოვ-

წურთნოთ, ხომალდებიც ავაგოთ — პირველი სპერული ბურჯი ეს იქნება! ჩვენი მომავალი მიზანი მარტო — მარტოს ტახტის დაბრუნება კი აღარ არის — ჩვენი ტომების შეკრებაცა და ერთად დაცვა!

ბედან-კოლხმა სიხარული ვეღარ დაფარა, ცხრავე ღმერთი ამბოროთი ჩამოიარა, არც ერთისათვის, არც ერთ სახეზე არ შეუხედავს, ყველგან თვალანთებულ მითრიდატეს ჰხედავდა... და ეს მის მიერ დაწერილ წიგნის ამეტყველებული სტრიქონები კი არ იყო, უკვე ნათესავ ტომთა ცხოვრებაში ჩამოწრთობილი საერთო ბალაგრის გრძნობა და კეთილი პირის ფარგი!

— მოვახსენოთ კოლხეთის მეფეს! ნახავ, რა დიდ მხარს აგვიბამს!

— მოვახსენოთ, მაგრამ მე წყალობას კი არ ვთხოვ, დროებით დახმარებას! რომ მერმე ყველაფერი გულით და თავით ვზღო!

— გაამართლო, და არა ზღო — გულითა და თავით!

მეორე დღეს ახალ ნამიანზე გავიდნენ ვაჟიბედია და ძმანი მისნი გოდოლის ქედის კალთებზე, შვლებზე სანადიროდ. კოლხთ მეფესთან „მცირე სუფიანზე“ მამაშვილურად მიიწვია სახლთუხუცესმა „ვაჟიბედია და მისი განუყრელი მეგობრები და მათაც არჩიეს „ქელ-შველიანად“ მისვლა.

გოდოლსა და უნაგირას მიდამოში არავინ ნადირობდა და პირდაპირ საშველეთად იყო ქცეული. გადაადგნენ თუ არა ტეხურს, დიდი არეე წამოაფეთეს. თითო ისარი სტყორცნეს და თითო-თითო დაირჩინეს. მეტზე ვაჟიბედიამ გადაჭრითი უარი სთქვა.

— რათ შეგეცვალა გუნება? — გაუკვირდა საველაკეს, — ვინმეს ხომ არ ამსგავსე?

— შენც თუ? — სახელეწილად დაერთა მეფისწული.

— დღეს, მართლაც, გვეყოფა! —

ერთი მოსმით გადასჭრა ტარიელმა სულსხვავან გასლეთილი საკითხავი.

სამთავე თითო-თითო შველი მხარზე მოიგდეს და ასევე მონადირულ ყაიდაზე დაჰყენენ ქედს, ციხე-სასახლეში ჩავიდნენ.

შეფე, სახლთხუცესი და ბედან-კოლბი კუთხა კოშკის თავანზე ყოფილიყენენ და შორიდანვე შენიშნეს მონადირენი.

— ბედან ჩემო, ხომალდს მთხოვდი ვაჟიბედიასთვის? რამდენი შველიც მოაქვთ, იმდენ ქანდარიანი იყოს!

— სამქანდარიან ხომალდს გილოცავ! შემოსვლისთანავე ჩურჩულით ახარა ბედანმა ვაჟიბედიას.

ახალგაზრდებმა კი გოჯს ფერხთიო დაუწყვეს ნანადირევი. მან მზარეულთუხუცესი იხმო და ახლავე მწვადები ბრძანა.

— საპატიო სტუმრებს, თორემ მე ნარხვის კაცი ვარ!

კუთხა კოშკის თავანზე ორი გაწყობილი დაბალსუფრა მოართვეს... ერთი მსკოვანთა, მეორე ახალგაზრდათა. სამსაინი მხოლოდ ცალ მხარეს უსხდნენ.

მეფემ ვაჟიბედიას იწვია და თავანთავან. კედლის თავზე გაისეირნა. ცალკე საუბარი სურდა...

— ხომალდს მოგცემ, ერთი პირობით, სიტყვაში უნდა მაჯობო. რას დარქმევ?

— ამირანს!

— გიკობნია! დიდებულა! შენი „ამირანი“ არგოსზე ნაკლები სახელოვნობისა არ უნდა იყოს! სად გწადს? — ხელი ასწია მცხოვანმა მეფემ.

— სადაც უწყევს, ილორის უახლოესად!

— ღალიძგაზე! კეთილი. ილორზე რომ მივალთ, იქ იქნება!

ვაჟიბედიამ დიდი მადლობის ნიშნად ხელები მკერდზე მოიყარა, ფიქრმა კი დამატებით სხვა ათქმევინა:

— ღალისი და ღალიძგა ხომ ერთი და იგივე სახელაია?

— რა თქმა უნდა! და განა ჩვენ ერ-

თი და იგივე მოდემისანი არა ვართ? მაგრამ ყოველთვის გვჯერა კი, ეს უბრალო ჭეშმარიტება?

— ჩვენ კი გვჯერა, მაგრამ ეს ბრკმარა ჩვენი საერთო ცხოვრებისათვის!

— მაშ, კიდევ რა, შენი აზრით. უწყევრულვაშო ბრძენო?

— სხვებმაც დაიჯერონ.

— მაგალითად?

— აღმოსავლეთით ბართელებმა, დასავლეთით — რომაელებმა!

— მერმე როგორ უნდა დავაჯეროთ?

— ერთობლივი ძალითა და სულისსკვეთებით! სხვა საბუთს არ იწამებენ!

— შენ მეტად ბევრი გცოდნია, ქაბუჯო, და განზრახვებიც დიდ საზომისა გახლავს, ერთი ხომალდი რას გეყოფა?

— პირველი და არა ერთი!

— კიდევ მთხოვ რასმე? ნუ მერიდები, მამად ჩამთვალე! — მეფემ ხელი დაადო მხარზე. მსუბუქ სამოსის ქვეშ ჯაჭვის პერანგი უგრძნო, — მაინც ატარებ?

— ვატარებ! მეკუთვნის ვახიზულსა და ჩუმ ბრძოლაში მყოფს!

— ჩემთან შენ ზიზანი არ ხარ! მაშ კიდევ რას მთხოვ? ბედანმა მათუყა, მაგრამ მე მრჩევლები კი არ მინდა, უშუალოდ შენი აზრი მწადს!

ვაჟიბედიამ ინიშნა, როგორ აქეთ-იქიდან უცლის კოლხეთის მეფე, თითქოს ყოველ მხრიდან სცდის... და სულ პირველ შეხვედრიდანვე ასე, თითქოს სჯერა და არც სჯერა, რაღაცა. თავს ირწმუნებს თითქოს და, რაც მთავარია, რომ დარწმუნდება უხარია. ვაჟიბედიასაც ეს ამოშინებს, თორემ დიდი ხანი მოთმინება გაუთავდებოდა. მას არ უყვარს, როდესაც იმაზე მეტი სწადთ ათქმევინონ, რაც მას სურს თქვას და გამოაჩინოს!

— ბრძანებამან თქვენმან, მეფეე-მოკავშირეე, დიდო! მე ვიდრე სრულწლოვანი გავხდები, ცხრა ახალი ხომალდიონი დამჭირდება!

— ცხრა ახალი ხომალდიონი? — ახ-

ლა კი, მართლაც, ვინცვიფრად მეფე-უფალი, — ხომალდიონში რამდენ ხომალდს გულისხმობ?

— თითოში ცხრა-ცხრას, ერთიდან ხუთქანდარიანამდე!

გოჯი ჩაფიქრდა. თეთრ-ქათათა წვერზე ხელი შეიხო და შეიჩინა.

ვაჟიბედიამ იგრძნო შეყოყმანება.

— ხე-ტყე უამრავია და საუკეთესო! მთელ მსოფლიოს შეაჯერებს ხომალდებით!

— ეგ არ მაწუხებს.

— ხალხიც ბლომად არის. ათ მაგდენს ეყოფა ჩვენ ნათეხავთა ტომთ-სიმრავლე!

— არც ეგ მაწუხებს, ხოფებზე მონებს დავსვამთ.

— არა, მონებს არა! მე თავისუფალი, ზღვაოსანი მებრძოლები მწადს! — ახლავ შეედავა ჭაბუკი, — მაგრამ თუ არც ხალხი გაწუხებს, მაშინ რაღა?

— ოსტატები. აქაც გვეყვანან, მაგრამ კამარებისა და კაპარკების მოხელენი!

— ეს ჩემზე იყოს! მოვიყვან პონტოდან, სირიიდან, საბერძნეთიდან!

გოჯი გაღიმებულად მოუბრუნდა ჭაბუკს:

— ხომ არ ოცნებობ, ჭაბუკო! საქმეს იადლები?

— არა, მაგრამ თავიდანვე დიდზრახვიანად ვაწყობ!

— კეთილი, რამდენადაც შემძლია, მოგყვები. შენ აწყობ — მე ვიწყებ! მაგრამ ბოლოს იმედი არ მაქვს. ჭაღარას დამიხედე... თუ პირობას მომცემ, რომ ამ „დიდ ზრახვებს“ ჩემს შემდეგ ემეკვიდრები!

— ვღებ პირობას! — გულით წამოიძახა ვაჟიბედიამ.

გოჯმა ხელი ჰკიდა და მამა-შვილურად გადაჰკოცნა. ჭაბუკი ახლდა დაუფიქრდა, რომ მეტად აჩქარებულად დაჰყვა ასეთ დიდ საქმეზე. მხოცვნებს, ჩანს, ყველაფერი მოფიქრებული და აზომილ-დაზომილი ჰქონდათ. მაშინ რაღად არის საჭირო მისგან ცალკე პირობა „ემეკვიდრობისა“?

მაგრამ ფიქრი აღარ დასცალდა, შელის მწვადებზე იწვიეს დაყვანიდან. დაწყნარებით არც მწვადების შეკვამ დასცალდათ.

გვაზა-მეგრმა ითხოვა წვევა. კუნჭულა ფაცხის გზით ფარულად შემოსულიყო. ცოტნე სახლთუხუცესმა პირდაპირ სუფრაზე მოიყვანა.

— მეფე-უფალიო გაახლეთ. პირდაპირ შეხეთის ჭიხდან მოდის. ზოგი რამ ამით ეხებათ, ზოგსაც თქვენ მოგახსენებს ცალკე...

— მოდი, მოდი, გვაზა მოხუცო, ამით რაც ეხება, უთხარ!

— რაღაც იყნოსეს სქვამგურმა და ალისტარხომ, ფრთხილად იყავით... უფრო ცხენს შეეხება. საიდუმლო გუნდი არისო უშაფათის ტყეში შეფარებული, ნისლა ცხენი ჰყოლიათო. ფრთოსანს ამბობენ! საილორო ხომ არ არისო? ნეტავ სასახლეში თუ რამე იციანო? თუ ცხენია — შესაფერისი მხედარიც იქნებაო!

— იმ დღეს მუხამაგრა ჩამოაგდო, მერმე მე ვცადე და უშაფათისაკენ გამიტაცა, ის ხმა მისვლიათ! — მოახსენათ სავლაკემ.

— სულ ნულარ გაგყავთ! — შეწუხდა ბედან-კოლხი, — ამ ბედნიერ ნიშნების ჟამს...

— აბა, როგორ იქნება, ძველ-ცხენოსანო! საწიგნეთმა თუ შეგავიწყა! — ჩაეღიმა ციხე-გოჯის პატრონს, — ქერს აჭმევთ და არ გაატაროთ, ხომ გავიხედათ ცხენი? მაგრამ უშაფათს არიდეთ! მე გულით მწადს, რომ ჩვენმა ცხენმა და მხედარმა ვაიმარჯვოს! — ფიქრთანად და თითქოს გულშეძრულადაც ჩაათავა გოჯმა, — ამას ზოგ რამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობაც აქვს! კოლხეთში ცხენის თაყვანისცემა, არცერთ სათაყვანოს არ ჩამოუფარდება. ამას მე — შაფა-მოგვი ვამბობ!

„ჩვენმა ცხენმა და მხედარმა“ ფრიად აუძგერა გული „მხედარს“.

— სავლაკე! ახლავე, ჩადი და არც

მოსცილდე ნისლას! მუხლიც გაუმართე, მაგრამ ბერთემის იქით არ ვახვიდე.

სავლაკემ დამატებით წასვლის ნება ითხოვა მეფისაგან და ვაემართა ცხელწყალას ტყიურ ბანაკისაკენ.

— ახლა დანარჩენიც მოგვახსენე, გვაზავ!

მაგრამ გვაზა-მეგრი მაინც შეყოყმანდა.

— იქნებ ცალკე სჯობდეს, შეფობამან თქვენმან! აქ ახალგაზრდებიც არიან და არა იმიტომ, რომ არ ვენდობით, დავინდოთ გვინდა! ზოგი გულის ვასატეხი, უპირობისა და შავი ზვანჯების სიბინძურეა და ახალგაზრდებს მაინც ნუ მოვუწამლავთ ოცნების არეს! მერმეც მოესწრებიან!

— აქ ისეთი ახალგაზრდა აღარავინ არის, რომ ვერ შეაფასოს ვითარება! ბალღური ოცნებებისა და ვაქვაცური კეთილზრატეგების განსხვავება დროზევე უნდა შესძლოს მომავლის მოღვაწემ! გისმენთ!

— ავი რამ უზრახავთ, კოლხთ-უფალო!.. როგორც მოგახსენეთ, ილოროზას უკავშირებენ. მარულაში გამარჯვების იმედი აქვთ... ცხენი, მართლაც, შესანიშნავი გაუზრდიათ.

— მოუტაცინათ ჭიქეთიდან... — მწაგრედ ჩაეღიმა გოჯს.

— მხედარიც მოგვხსენებათ.

— ალისტარხო, თავის მამას — სქვამგურს, ვგონებ, სჯობია!

— ყველგან თავისი ხალხი ეყოლებათ. ალისტარხო რომ გაიმარჯვებს, თქვენ დაგალოცვინებენ. და მაშინ ძველ კოლხურ წესით, კოლხეთის ტომგვართა ბჭეების დასტურით, თქვენ — უმემკვიდროსა და მხცოვანს, შვილად და მემკვიდრედ დავისვამენ, ნებით თუ ძალით! ზოლო მათი ძალგულოვნობა, მარტო შინაგან მომხრეებს როდი ემყარება, რაღაც სხვა გარემივლიც აქვს სქვამგურს, მაგრამ არ მითხრა, მაინც არ მენდო! მოიარებით კი სთქვა: „შენ პონტოს ამბები კი მითხარი, მაგრამ ზო-

გი რამ მე შენზე მეტი მცოდნიაო“. ჩემი ძე ან კოლხთ მადას ეშვილებდა, ან მგლის ნაშიერთ ვაშვილებო!... რამ გორი ნათქვამია?

— ახლა ჩემი ნათქვამიც მოისმინეთ! ნებით შვილს დავისვამ, ჩემი საქმის ღირსეულ მემკვიდრეს, ვანა მარტო მარულას ოსტატს! მგლის ნაშიერთა შვილობა კი არ აკლიათ შხეთელ ლეკვებს! ძალით კი — მე გოჯი მქვია!

სიჩუმე ჩამოვარდა. ვაეიბედიამ ახლა სულ სხვა თვალთ შებხედა მის მოსვლას კოლხეთში, პირველშეყრას გოჯ-მეფესთან, ყველა გადაკრული საუბარი, ბედანისა თუ სხვათა, ახლა უეცრად გასაგები ვახდა. ყოველ სიტყვაში ჩაჟდა თავისი ნამდვილი და მკაფიო აზრი... და, რაც უფრო რწმუნდებოდა, უეცარი სიბრაზე ეუფლებოდა, თითქოს ხაფანგში მოამწყვდიეს და ისე ვააბეს, რომ მან ვერც კი იაზრა! ახლა კი მიხედა, მარტო რატომ წავიდა აბიო-იბერი მცხეთას, რატომ შეიყვანეს ტეხურის კარით, დედიშობილასა და შიშველს შეხედა მეფემ, თავით-ფეხამდე ვასინჯა, რომ არაფერი მანკიერი არ შეჰიპაპრონი!

ჯერ წლისთავიც არ შესრულებულა მამის ვერაგული მოკვლის შემდეგ და აი ახალ მამას ურჩევენ, თანაც ისე, რომ მას არც ჰკითხავენ! ორივე ფეხით გააბეს ბუკნა-ჩხიკვი ეს ალისტარხო შეხეთელიც სულ მოჩმახული ამბავია! ხუთთუ ბედან-კოლხმაც, იმ ბერაძეა, ქვასავარძელას მოხუცებმაც ასე მძევლად გაჰყიდეს! ნუთუ მახუნჯავიც, ეს მართლაც „მართალი დეკაკაც“ ასეთი ვერაგი და გაიმგერაა? მაშინ ვილას უნდა ენდოს აღამიანი?

სახეზე ალები ასდიოდა და დასდიოდა ვაეიბედიას, მაგრამ, თითქოს თუ ნამდვილად, ვერაგინ ვერ ამჩნევდა. ან ყველა რად სდუმს, ნუთუ პირველსიტყვად მისგან მოეღიან დასტურს? აღბათ ასეა... და ასე არამც და არამც არ იქნება. იგი პონტოს მეფეა და მორ-

ჩა! არა სხვისი, თუნდაც მეფის შვილობილი!

ეს რა ბედზე ყოფილა დაბადებული, დედა რომში აგზავნიდა! ის პირდაპირ მაინც ეუბნებოდა. მამის უახლოესმა თანამდგომებმა და „მითრატლებმა“ კი გამოტყუებით კოლხეთში მოიყვანეს და აქ უნდათ მისი დაბმა ცარიელ ადგილის ამოვსება. საკუთარი მამის ახლა „შვილის ხელით“ მოკვლა!

სიბრაზემ ბავშვობაში მოაბრუნა, ღრმადიჭრინანობა მოუსხლიტა, მამის თავგაბობილი სახე კვლავ წამოუჩვენა და კრიჷა შეაკერევირა.

სიჩუქმე გაგრძელდა. ბოლოს ისევე გოჯმა დაასკვნა სიტყვა:

— მე ძალადობის წინააღმდეგი ვარ! არც ჩემსა და არც სხვის მიმართ ასეთ რამეს არ დავუშვებ! ღმერთებმა არ შემარჩინეს საკუთარი, მაგრამ არც კოლხეთსა და არც ნათესაეურ ტომების ერთიან მომავალს არ დავტოვებ უმემკვიდროდ! მე კვლავაც ვიტყვი — „ღიად ზრახვების“ მემკვიდრე მწადს უპირველესად! ხოლო შხეთელების შეთქმისა მე უფრო მეტი ვიცი, მაგრამ ცხე-გოჯიდან შხეთი სულ ახლოა და მგლისა თუ რომის იმედი ტყუილად აქვს!

— რომის!? — ხმამაღლა გაიმეორა რომის დევნილმა, — ნუთუ აქაც უკვე აწვდინა ხელი?

მაგრამ გოჯმა სულ სხვა პასუხი გასცა:

— ვაეიბედია, ჩვენ როგორც ვთქვით, ჩვენ-ჩვენი ბედისწერით ნახვედრი და ნატვირთი საქმე ვაკეთოთ — ჯერ ცხრა ხომალდიონი... აი, მათი სადგომი და საშენი ადგილები: მზიმთა, ბიჭვინთა, გუმისთა, ცხუმის ტყე, კოდორი, ანაკლია-ენგური, ხობი, პალიასტომი, აფსაროსი. ცოტნე სახლთუხუცესი და ბედან-კოლხი ყველაფერს მოაგვარებენ. ხის მჭრელებსა და კამეჩებს მოგცემ, ოსტატები, როგორც ითქვა, ილორის პირთან, ღალიძგას შესართავის ახლოს, ხომალდი დაგზავდება, მეხოფრებები

თუნდა დაიტოვე, თუნდა ათავისუფლებ! დანარჩენი ილორს შემდეგ! ყველა წამოვდა.

— ერთიც... უფროხილდი შხეთელებს! თუ შენი რამეც იყნოსეს, არ დავინდობენ! იქნებ უმჯობესი იყოს, არც გამოხვიდე მარულაში ილორს! ჩვენ სულ სხვა საზომის ზრახვებს ვიწყებთ!

გაბოროტებულ-გახარებული ვაეიბედია-მითრიდატე გრძნობისა და გონების შორის გაჩხიბულად იყო და მაინც გაართვა თავი უეცარ თრომტრიალს.

— ცხენს წამოვაყენებ, სავლაკეს შევსვამ!

— კეთილი! მაინც მიაქება, თორემ აღისტარხო ყველას დაშიშავს და დასწავრავს! მიხარია, რომ შენ ასეთი სწრაფი მოსაზრებისა ხარ! და მაინც მომწონხარ, რაც არ უნდა იყოს! — სრულიად მოულოდნელად დაამთავრა და ახალგაზრდები გაუშვა.

ვაეიბედია და ტარიელი ჩაფიქრებულად, უსიტყვოდ ვილოდნენ, მიჰყვებოდნენ ზეაღმავალ, ფრიალოსპირა კედელს, მერმე კედლისძირა ბილიკსა და ტყეს აჰყვნენ.

— ტარიელ, ბედან-კოლხიც მისწერს, მაგრამ შენც მისწერე მამა-შენს, ჩამოვიდეს, როგორც ითქვა, ჯერ კი შენ უნდა ვიპხედო ბოძებულ მამულს, ჩვენს აქაურ დედა-ბუდეს!

აღმართიც ალიეს და გოდოლს რომ ვიადწიეს, ტეხურიდან უკვე საღამოს ბინდი ფეხაკრეფით მოიპარებოდა.

მეგოდოლენი შეშფოთებულნი დახვედნენ. მაცნეს აშხადებდნენ სასახლეში ჩამოსაგზავნად.

— რალაც საეჭვო ნიშანს გვაძლევენ ქვევიდან!

და მართლაც, რომ გადაჰხედეს ჯაბახეთს, ცხელწყალას ბანაკის ტყეში, საღამოს მწუხრში, ჯერ უჩინარ ცეცხლის ნაკვამლი, მელის კუდივით, ხეებს შორის იბლანდებოდა.

— ნისლას თავზე რალაც!? — დაასკვნა ვაეიბედია.

ახალგაზრდებმა იარალი აისხეს; ორი

მეგოდოლენც იახლეს და ჭიხვის ბილიკს სირბილით ჩაჰყვინეს.

ნისლა შორიდანვე დაინახეს. ბორკილდადებული და თოკმომბული, სულ ახლო, კარვის წინ, ყველას სახედავში ება.

კარავში მუხაშავერა და სხვანი თავს დასტრიალებდნენ საველაკეს.

— ჩამოავდო?

— არა. — და მუხაშავერამ ისარგავრილი ქერის თოფრა მიაწოდა, მერმე ნაბადი სულ ვადააძრო საველაკეს და ზურგი გამოუშინგლა.

ზურგზე ისრის ნაიარევი ჰქონდა. ვატიბედიამ მკურნალის შევირდობა მოიგონა, იარა ვაუსინჯა. არც თუ ღრმა იყო, მაგრამ შიგ ქერის მარცვლები შეეტანა ისრის წვერს, თავადაც შიგ ჩარჩენილიყო.

ცხელი წყალი ბლომად იყო — მთელი მდინარე! შოატანინა და მოჰბანა. ცეცხლზე მორუჯული სატევრის წვერით ისრის თავი ამოუგდო და სისხლის დენა შეუჩერა, შეუხვია და მხოლოდ შემდეგ მიაქცია ყურადღება, თავქვე დამხოზილ საველაკეს ბუტბუტს.

— რა ვაკენესებს, ვაეკაცო, არც ისეთი იარაა!

— კი არ ვკენესი, ამბავს გიყვები, ზღვის ძმო! ცხენი კი არა — ქარიშხალია! მაგრამ მაინც მოვაბრუნე, ბერთემს არ გავცდი. ტყეში შევაგდე და ეკადრა შემობრუნება. მერმე ვაშალა მუხლი. გზისპირას, საფარიდან ისარი მომხვდა, თოფრა მქონდა ქერით სავსე. ქენებაში ზურგზე მოქცეულიყო. რომც მდომოდა, მაინც ვერ გავაჩერებდი ნისლას!

ახლოდან ნატყორცნ ისარს თოფრაც გავტანა, ქერიც სანახევროდ დაბნეულიყო.

ვატიბედია და ტარიელი გამოვიდნენ. ბილიკს ქერის „კვალი“ ზოლად ჯერ კიდევ ემჩნეოდა, მერმე სულ შელამდა და ბინდმა დაჰფარა, თორემ „კვალი“ ფრიად ნიშნული იყო.

— ახლავე აჰყარეთ ბანაი! — გასძა-

ხა მუხაშავერას ვაეტიბედიამ, — დილის აქ ქერის კვალი მოიყვანს მუხანათს!

სულ მალე ცხელწყალას ბანაი აიყვარა. საველაკეს შესახებ ბევრი ინტესი, უკან, ციხე-გოჯში მის წაყვანას მოერიდნენ. დაქრის ამბავი აღარ დაიფარებოდა.

ისევ თავად საველაკემ ვადასწყვიტა.

— ცხენზე შევდობა შემიძლია ვაეყვები მუხაშავერას და სხვათა! ჩემი ბედი ყოფილა და ზურგზე ისევ დავიდებ ქერის თოფრას!

ვაეტიბედია ჯერ შეეყოყმანდა, მაგრამ მერმე დაეთანხმა.

— აბა მარდა! ვიდრე ყველა მოემზადებით, რამოდენიმე ცხენი გაჰგზავნეთ გაღმა, გზაზე, ციხე-გოჯისაკენ ცრუ კვალი გაიტანონ. დაბრუნებისას ნაბდის ძველებით ფეხები ამოუკონეთ ცხენებს, უკან სარკესავით უვალი რომ დარჩეს!

რამდენიმე ცხენოსანი რომ გაუშვა, ქვაზე დაქდა და თვალები დახუჭა. თავისთვის მოულოდნელად სრული სიცხოველით წარმოიდგინა ვოდოლის თავანიდან დანახული ვარემიდამო. თვალბუჭულად ჰხედავს შორეულ ქედებსა და ხეობებს, თემშარებსა და გზაკვეთილებს. არც მხარი ეშლება, არც გეზი. გზას გაუკვლევს თავის ნისლა ქარავანს!

— მუხაშავერავ! კვალი გაღმა და ქვევით მიდის, თქვენ კი გამოდმა და აღმა იარეთ, ცხენებს შენც ამოუკარი ფლოქვები! თარგამოულის მთამდე ასე ივლით. მანდ არავინ შეხვდებათ ლამე, მერმე გადით ტეხურზე და ვურძემის მთა ვადალახეთ. იქ მდევარი ველარ მოგყვებათ, ოჩხამურში კი ინგურამდე უფრო მთის გზებს მიეტანეთ. ასე იარეთ ილორამდე! თარგამოულზეც და ვურძემზეც ცეცხლი დამინათეთ, ვოდოლიდან დავინახავ! შენი ნათემგზურობა ვნახე, ახლაც ვაარკვევ!

— ვერ ვაგარკვევ და სადაც მივაღვები, გზას ვავიტან! ერთ კვირაზე ილორს ვიქნებით!

— იქ ზღვისპირას ჩადი, ხომალდი დაგხედება, სამქანდარა „ამირანი“, დამატებითი სიტყვა — „ქერის თოფრა“. აბა, „კვალოსანნი“ მობრუნდნენ და იარეთ! სავლაკესა და ნისლას შენ გაბარებ! თუ მაინცდამაინც, ცხენის ქურდებს კი მოიგერიებთ!

ლამის წყვილიაღში ცხენ-ქარავანი ტყის ბილიკს ფეხამოკრულად, ლანდივით გაჰყვა და გაუჩინარდა.

ვაიბედიამ, ტარიელმა და მათმა გამყოლებმა ნამდვილი კვალის ნასახი დამატებით მიფარც-მოფარცეს და გოდოლის ფრიალო აღმართს შეუდგნენ.

იმ ღამესვე აცნობეს ბედანსა და სახლთუხუცესს, სავლაკეს დაჭრა და ჯაბახეთიდან ბანაკის აყრა. თავად ვაიბედიამ დილაბინდისას, კუნჭულა ფაცხის გზით და ხიდის კართთ ციხე-გოჯიდან გასვლის ნება ითხოვა.

— კიდეც ხომ არ აპირებ ხიდიდან გადაბტომას? — ნიშნულად შეეკითხა ბედანი.

— არა, პირიქით, ხიდზე გასვლას ვლამობ. ხელს ნუ შემიშლით! ერთ რამეშიც უნდა დავრწმუნდე!

ბედანმა დიდხანს უმზირა და ჩუმიად, თითქმის უხმოდ უთხრა:

— კარგი, მოვახსენებ მამადრახულს. მაგრამ მარტო, არამცდაარამც!

— მე თან გავეყვები! — იღროვა და დიდიხანის სათქმელი სიტყვა ტარიელმა. იგი დაახლოებით მიმხვდარი იყო, რას აპირებდა „ნისლას პატრონი“.

მაგრამ კოლხეთის მეფე, არც ამას დაყაბულდა, თოლიგე და მისი მეწყვილე გააყოლა.

როდესაც იარაღსხმულ ამალას ფაცხის გვირაბის თავთან გოდოლის სტუმრები ჩამოუვიდნენ, ტარიელი იცნეს, მაგრამ ვაიბედიას კი კულულა თმა, წინ ზილფად გადმოეყარა, დახეული ახალუხი ეცვა, ჩაგრებილ თასმის უკან ნახახი ჰქონდა გაყრილი, ფეხებზე დახეული პაჭიკები და ქალამნები ეცვა. ძველ,

დაკერებულ ყაბალახის კუმტულში ვაფიცებული ღომის ნატეხი ედღა...

— წავიდეთ! — მიადანა... გახტეხტულ მხლებლებს და წინ წარუძღვა, მაგრამ რადგანაც მხლებლები არ გაჰყვნენ, ველავ შესძახა, — თოლიგე, რა მოგივიდა? გლეხი კაცი, ტყეში სამორგვენის მოსაჭრელად წასული არსად გინახავს?

— გეინახავს, როგორ არა! ურმის სამორგვეც ვიცი! — მოადანა თოლიგემ, — მაგრამ ასეთი მაჭეიერობა კი არ მინახავს.

კუნჭულა ფაცხაში ყველას ხმლები და შუბები დაატოვებინა.

— ფეხით ვივლით, მშვილდ-ისრები და სატევრები თუ მაინცდამაინც!

ხიდის კართან ყაბალახი იფარა, თან ჯერ კიდევ ბნელოდა. ნამძინარემა დარაჯებმა, თოლიგეს ნიშანზე ჩუმიად გაატარეს.

ხიდზე გავიდნენ თუ არა, ბერთემის გზას აჰყვნენ.

ვაიბედიამ ჩქარობდა. ვათენებისას სწორედ ჯაბახეთსა და ცხელწყალას გაღმა-გზიდან დაუბირდაპირდნენ. ტყეში შევიდნენ. მორგვის მძებნელებმა ახლომახლოში სამორგვე რცხილა ნახეს, მოჭრეს და გზაზე გადმოაგდეს.

— ახლა, აი, იმ კლდეს ამოეფარეთ და, ვიდრე არ დავიძახოთ, არ ჩამოხვიდეთ, არც არავის არ გამოუჩინდეთ!

ზევით, დაფარულ ადგილას შეჰყარა მკველები და ტარიელი. თავად კი ახლა სხვა ხე, განზრახი ხმაურით მოსჭრა, მერმე კაფა. ახლა ოღრიკალა მხარე ფერსოდ გამოჯორდნა. მეტი არც დასცალდა. კარგადაც დაათენდა და ვაღმა ნაბანაკარში, ცხენოსნები შენიშნა.

„მიადგნენ“ ქერის კვალს... ახლა ცრუ კვალი ჩემამდე მოვა!“

და მართლაც, როგორც კი დარწმუნდნენ, რომ ბანაკში აღარვინ არის, ავის მზრახველებმა ხელად კვალი აიღეს და ტეხური გადმოფონეს. იქნებ ეჭვიც იქ-

ლოთ, მაგრამ ხის მჭრელის ხმა გაიგეს და მიადახეს:

— ჰეი, ვინ ხარ?

— ჰეი! — პასუხი გასცა და ნაჯახი უფრო შემოჰკრა.

— აქ ჩამო! ჩქარა-მეტქი! შე ოჩოკოჩო!

მემორგვემ ერთი ზეც დაითრია და გზაზე ჩაიტანა.

სამორგვე ხესთან ხუთიოდ ცხენოსანი იდგა, ცხენები ცმუტავდნენ. ნაბანაქარში კიდევ იყო მოზრდილი გჯუფი.

„ტყის მუშაჲ“ ხე დააგდო და ცხენოსნებთან მივიდა. მეწინავე, ულვაშკოკრა და კოხტად ასხებილი, მსუბუქად შეაბჯრული, ცხენბედაურობით იცნო ვაჟბედიამ. ტანმკერივსა, უმუცლოსა და წვივისლამურა ბედაურს შევნოდა უხვად შემკული აღკაზმულობა, მფეთქავი ნესტოები და ლამაზ ყურთა ლურსვა.

— თუ არსებობს, ეს არის ალისტარხო შეთელი! კარგი შესახედავი ვაჟიც ყოფილა და ცხენ-ბედაურიც ჰყოლია! ამასთან კი ღირს მარულა! — გაიფიქრა მითხიდატემ და ყინჩად მივიდა.

— შეთელ-უფალო! რად მიწყრები. შენი ტყე ხომ არ არის აქა?

ალისტარხო ოდნავ დაიბნა:

— მალე ყველგან ჩემი იქნება! რას აკეთებ აქ, ბოში? — მაინც შეეკითხა და აპხედ-დაპხედა.

— სამორგვეს ვჭრი! ფეხი მომტეხოდა მერჩია, თქვენი ჭირიმე, ნაცნობები მაინც ხართ, თორემ დილაადრიანად სულ უცხონი შემხვდნენ, გზად წავეფეთე. არ ვიცი, მისდევდნენ ვისმე თუ მოსდევდათ ვინმე. კინალამ მომკლეს!

— ვინ იყვნენ? — ხელად შემოეხვივნენ მოსულნი.

— აქაურები არა ჩანდნენ. ისე, ილორში მიდიოდნენ. ერთი ცხენი იმათაც ჰყავდათ. არა, ამფერი არა, — ალისტარხოს ცხენს ზელი მოუთათუნა, — ის ნისლა იყო. მაგრამ ნეტა ამ ორი ცხენის მარულა მანვესა და მერმე სულ

არ მინდა ორთავ თვალი. ჩემიან, მორგვიან. ურმიანად! ცხრა ღმერთს ეფეტავ!

— ჰში! რა დარდიმანდი მეურმე ყოფილხარ, ბოში! — ჩაეღიმა ალისტარხოს, — ზედ იჭდა ვინმე?

— არა, ზედ არაფერი არ იჭდა, უბელოც იყო. მაგრამ, ვგონებ, პირალავმული კი იყო. შენთვის კი სწორედ უპრიანი! ხან ესა და ხან ის!

— ბევრი იყვნენ?

— აბა, მართალი ვითხრათ, შიში მომცეს! მაგრამ, თქვენზე მეტნი მაინც დამაინც არც ისინი ჩანდნენ! ერთი დაკრილიც იყო მათ შორის, ძლივს იჭდა ცხენზე! — „მემორგვე“ უხერხულად გადაიწია, დახეული ყაბალახიდან გაფიცებული ღომის ნაჭერი გადმოუვარდა. — მე ბოდიში, თქვენთან უცაქრავად ვარ! — ღომი ისევ აიღო, სული შეუბერა და კვლავ ყაბალახში სასოებით ჩასდო.

— რა გზით წაივდნენ, ბოში? გავაკეთებთ!

— ჯერ უშაფათის გზა მკითხეს! მერმე უფლის კარისა! ასე, ქვევით კი წაივდნენ! შორს არც იქნებიან!

— აბა, დავეწვიოთ! — ცხენი მოსხლეთით შემოაბრუნა ალისტარხო.

— ამ ცხენით ქარსაც დაეწვივა მღევარი, თუმცა პატრონის ქარიანობასაც გააჩნია.

ალისტარხო მწარმარული ვერ უტრძნო სიტყვას, ცხენზე ქანდაკურად შეგოროზდა და თავმომწონედ გადმოსახა:

— ესეც მითხარი, მორგვიანო, ის ნისლა ვითომ აჯობებს ამ ბედაურს?

მემორგვემ ნაჯახი რცხილის შორს დაასვა და დონიჯშემოყრილად შემოაბრუნდა.

— ახლა მე ახალგაზრდულ კეუით გეტყვი და ნურც იწყენ და ნურც გაიცინებ. ამ ბედაურს სუნთქვა ჩქარი აქვს, სულსწრაფი ცხენია, მოკლე მარულას უპირველესი ფალავანი! იმ ცხენს კი გავა-ტანი და ძუა უფრო გრძელი ჰქონდა. დანარჩენი ილორში

გამოჩნდება, თუ ახლა ვერ დაეწიეთ! მე რომ შეხეთელი ვიყო, იმ ცხენს რას გავუშვებდი! მაგრამ, ალბათ, არც იმის პატრონია ნაკლები ვაყვანი!

— ბოში, შენ სამორგვე თავი გქონია თავად! მოდი ჩემთან შეხეთის ჯიხაში, ენას მოგჭრი და ილორს წაგიყვან! — მერმე თავის „სულსწრაფ“ ბედაურს ჰკრა დეზი და ტყის კაეიშიშველა ბილიკზე ნაპერწკლები გააყრევინა. დევნა გაზავრძო.

სხვებიც ჩრდილებივით გაპყვენენ. გაღმა მყოფი მოზრდილი გუნდიც მალევე მიჰყვა ცრუ კვალს.

მაგრამ ამ ცრუ კვალის გატანამ, ერთ სიწართლემში კი დაარწმუნა „მორგვის“ მჭრელი თუ მხსნელი ვაეიბედია. ალისტარხო შეხეთელი ნამდვილად არსებობდა! ეს კი მისი დასკვნებისათვის ფრიალ მნიშვნელოვანი იყო!

აბიო-იბერმა დაიგვიანა. მეტის მოცდა აღარ შეიძლებოდა.

კოლხთ მეფე-მოგვი მთელი საყდრიონით დაიძრა ილორისაკენ. ამ ჯერად მას რჩეული ლაშქრონიც ახლდა. სვანნი, მძიმე აბჯროსნები, მსუბუქად აღჭურვილი, მკვირცხლ ცხენებზე მჯდარი აფხაზები, სულ უბელო, ან ცალმოსართავა ცხენებზე შევიარდნებივით შემოსკუპებული ლაკადელი მოსიარნი, ლეჩხუმთ-თაკვერელი შუბოსნები, ვარდციხელი ხმლოსანნი, ქუთათური მესათხედნი და მეშურდულენი, შორაპნელი

და კაცხელი, ცხენებზე აღმჯდარი შორს შემშვილდენი და მეჩუგლუგენცხეთოს თავისი სიმაღლე ხის შემშვილდენებზე უკრა ხელში. ხისავე მოგვირისტებული, მოზრდილი ფარები მხარილლივ ეკიდათ და სიმღერის დროს მათრახის ტარებით ზედ აგუგუნებდნენ მგზავრულს.

წასვლის დღეს მოვიდნენ არსიანელნი, აქელნი, ოზურგელნი. მათ ლამაზად შემკული და შეფერადებული იარაღი ჰქონდათ. ამბავიც მოიტანეს, რომ სპერელნი ნაგებით ზღვა-ზღვა წამოსულან პირდაპირ დალიძეაზე, ილორის ახლო სანაპიროზე.

კარგა დიდი, თუმცა აღჭურვილობის მხრივ ფრიალ ჰრელი ლაშქარი შედგა.

გოჯ-მეფემ, ვაეიბედია სპერელი — ცხუმის ჯიხის მფლობელი, თავის პირად ამალაში იახლა. ბედანმა იგი და ტარიელი მუზარადდახშულ ხალიბურ აბჯარში ჩასვა. მეფის საჯინიბოდან ერთნაირი, მაღალი, საბრძოლო ცხენები მოჰგვარა. ასე რომ, მათი გარჩევა ან ცალ-ცალკე გამოცნობა შეუძლებელი იყო. მეფემ კი დამატებით სრულსაიმედო და შესაფერისი პირადი მცველებიც დაუნიშნა.

მცირე აღლუმი და ილორის მგზავრთა შეყრა ციხე-გოჯის გარეთ, ტეხურის პირას — ბურთიჭალაზე მოხდა. უამრავი ხალხი დაესწრო. შეხეთლებიც აქ იყვნენ. აღლუმიც მათ ფარულ-შესაგონებლად იყო ნაზრახი.

ზიზიან ზაბიძეს

გამოდითოდა გულგაღვლილი
წითელ მიხაკით ოპერის ბალთან,
ლექსი ნაპირებმორღვეული და მოხეტიალი,
ერთგულ ძალლივით მუდამ თან ახლდა.

დაბარბაცებდა რეტდასხმული, ერთბაშად
მთვრალი —
მიწით, მზის სხივით და მწვანე ფერით.
მოეხვეოდა ხელგაშლილი პაოლოს, ალის,
როგორც შრიალა, „გაუთლელი ლერწამის
ღერი“.

გადაკოცნიდა ძმაკაცებს უხმოდ
თავის მსუქანი, სქელი ტუჩებით...
მერე ძველ არღანს ატირებდნენ შეტებითან
უღვთოდ,
აბრიალებდნენ შავ ღამეში თვალებს
ქუჩები.

მერე უჩუმრად სტოვებდნენ დუქანს,
ანანურისკენ მიჰქროდნენ ეტლით.
სხვა პოეტებიც მისდევდნენ გუნდად,
შებუზუნებდა ლეონიძე მთებს გამშრალ
ყელით.


დიოდა ჯამში მთვარე და ღვინო,
ცერზე სხლტებოდა სიტყვა ალალი.
„ლექსი მეწყერი“, როგორც მიმინო,
ეხეტებოდა გულის ფიცარს ფრთების
ფართქალით.

იჯდა არაგვთან ძმებში ტიციან,
მწვანე ბალახზე მორთხმულ მუხლებით.
საქართველოში როგორც იციან,
ქედს სიყვარულის ედგა უღელი:..

უცქერდა ცას და გრძელი თითებით
მამულზე ლოცვით პირჯვარს იწერდა,
და ხორკლიანი, მსუყვე რითმებით
პოეტებს ლექსის თქმაში იწვევდა.

გვიან თბილისის კარებს აღებდა,
მოჰქონდა უკვდავ ფერთა საპალნე,
და ჯაშუეთის მაღალ თაღებთან
ეძებდა მშფოთვარ სულის საგანეს.

მერე გაჰქრა და ჩვენ დაგვიტოვა
მხოლოდლა სსონა მძიმე სხეულის,
ნედლი ლექსები და ჩუმი თრთოლვა,
გულიდან სისხლად გადმონთხეული...





ჩვენი გაზნიზური არე

პოეზია
თაზო 10

ჩვენი გაბოლილი ვაგონია ცხელი, მობრიალე ქარცეცხლივით, და მეც ვაგონივით გამბოლია სახე — უძილობით გაცრეცილი. მოგვდევს სადგურიდან სადგურამდის სიცხე მაზუთიან ლიანდაგის, სიცხე — მოფარვარე სახურავის, სიცხე — დალურსმული იატაკის. სიცხე უდაბური ტრამალების განა საჩრდილობელს მოვვადირსებს?.. სიცხე მოგუგუნე მატარებლის ქროლვას ემატება მოხალისედ. გზისპირ, მუსულმანთა მინარეთთან, ქვანი აღმართულან საოცარნი, ჭურეტენ წუთისოფლის მდინარებას ვამთა სიანეში გამოშწვარნი. უცხო ყორღანები, რახანია თვალებს მიდამებენ გულცივობით, ჩემთვის ყველაფერი ახალია, გარდა ჭირვეული უძილობის. შუცა მეწამული, გასისხლული უცებ პირისახეს გაიმკაცრებს, თითქოს შეგვიწყალა დასიცხულნი, წვიმა მოგვიელინა ჯარისკაცებს. ატყდა სახურავზე წყარაწკური ხართა საგანგაშო რეკვასავით, წვიმის ბაწართაგან გაბაწრული მიწა შეიშმუნა ქერქდამსკდარი. ახლოს უცნაური სადგურია, არ ჩანს ჭაჭანება სულიერის, და ჩემს საგულეში დაბმულია გული დაუცხრალი გულივერის.

როგორც საწადელის აქრქილება, სისხლი მიკარნახებს: გადახტიო, თქეშში დასველება, გაგრილება ამ დროს მიწეზია საპატიო. სადგურს — ჩალამებულს, უკაცრიელს წვიმა უსიამოდ კევილება და კვამლს საგზალივით უნაწილებს შავი ორთქლმავალის შეკვივლება. ბაქანს აჭენჭებებს შესასვლელთან ზეცა — გადმოღვრილი ჩანჩქერებად წყალის დასალევად, შესავსებად ჩვენი ეშელონი გაჩერდება. ამ დროს სასწაულად ვაგონილა ქართველ დედაკაცის გამოჩენა? სისხლმა გვიკარნახა — ვაგონიდან მისკენ ჰაიპარა გადმოვცვენა. დედას შევეშველეთ, ავდრიანში ტვირთის სიმძიმისგან მხარმოქცვულს; ჩვენი თვალებიდან გარიჟრაჟი შუქად ეღვრებოდა გაოცებულს. როგორ მოხვედრილა ომტრიალში ქალმა ტკბილქართულით გაგვარკვია: შვილთან წამოსულა ჰოსპიტალში. — ადგილგამოცვლილი დაჰკარგვია. ქვეყნის სადგურები გადათვლილი ჰქონდა ხეტიალით დაოსებულს, ქალაღდს გვიჩვენებდა, მანდატივით მთავარსარდლობისგან დამოწმებულს ჩვენთან გამოცხადდა არმტირალი დედა — ჯარისკაცთა სალოცავი, დიდი სიმძიმით, სატკივარით ნარზე მოკალათდა შავოსანი. შორ გზამ უღრანებში ვაგვათრია, ერთად ვირყვოდით მატარებლით,

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 5.

რწმენას ვიათებდით თავსაფრიან მშობლის სიანხოვით დამტკბარები. ღიმილს გვაშველებდა პირმზიანად თვითონ სიცხისაგან დახამშული; შვილის ულუფიდან გვიზიარა ხორცი — ღადიმურად დაშშსული. — მიხვალთ ვაყვაცები შედგერილი, სახლში ჭირნახულის შემოტანნი, — თქვა და გამოგვიღო ბედელივით ძველი, გატყავული ჩემოდანი. თითქოს ნადარბაღო ოთახიდან ლოცვით ეშვლონი შეაჩერა და შვილს სიზმარეულ მომაკითხა, სარჩო მომაწოდა დედაჩემმა. საზენიტოები ეშვლონთან იდგნენ ვერხვებივით თეთრხალემა, არც მტრის თვითმფრინავებს ეშვებოდა ღრუბლის ნაფლეთებში შეხამება. ცის და დედამიწის შენიღბული ბრძოლა მტლავნდებოდა ქვემეხების არაბუნებრივად ნერვიული, მჭახე, უთავბოლო შეყვებით. რკინით მოსალტული სარკმელიდან ღრუბლებს ეჭვიანად ავცქეროდი, გამანადგურებლად ამეკიდა ფიქრი დღენაკლული არსებობის. ვინც გზას გაჰყოლია მებრძოლივით და ვინც უბრძოლველად დაღუპულა, ყველა თანამგზავრი, მეზობელი, ყუთმა შემაცოდა დახუთულმა. მიჯობს ავტომატით დაცხრილული ვეგდო, მიცემული აგონიას, ვიდრე დასაბოშბად განწირული კედლებს შევცქეროდი ვაგონისას. ალბათ, შედედდებდა უბრძოლველად, სისხლი სისხლქარღვებში შეჩერდება. ხელის გაურყველად, უცოდველად წოლას მირჩენია შეჩვენება. ვილაც უხვეულო, უსისხლხორცო მრევდა მომავლის წარმოდგენით: წუთით დაემსობი უსიცოცხლო, მკვდრეთით ჯვარცმულივით წამოდგები. თუმცა გედირსება განთიადის

მაღლით დანაყრება, დაპურება, მაგრამ პირვანდელი ხასიათი შენში არასოდეს დაბრუნდება. სულ სხვა სულიერად გადაგაქცევს სულის ერთიანად გარდამქმნელი ტანჯვა — უმწარესი დადაღვაზე — ორად გამბალთველი სამართლებით. ყოფნა-არყოფნაზე შეგვევლება აზრი ავბედითი თავდასხმისას, სფერო დედამიწის, შეიძლება თავის ქალასავით გადაიხსნას. ვილაც უსისხლხორცო, უხვეულომ ჩემს ტვინს გადარევა დაუმიზნა და მე დამეუფლა უჩვეულო შიში უბრძოლველად დაღუპვისა. გამოეშვიდობე უნატიფეს იმედს, ილუზიას გასაფურჩქველეს. ხვედრის უსამინლეს, უსასტიკეს რისხვას ველარავინ გადაურჩეს. გამოეშვიდობე უსპეტაკეს სახეს — უშენობით ანათროლებს, წუთის გაეღვებას უნეტარესს, სუნთქვას ნექტარივით დამათრობელს. გამოეშვიდობე, დაუკარი თავი უკანასკნელ თანამგზავრებს, სანამ ბედისწერა დაუმიდგარი სულ სხვა სამყაროში წაგაბრძანებს. თავის დასამალად არსებობა არსად, არასოდეს მადარდებდა, მე არ დამებედა არსებობა და არც ბუნაიძის თავდადება, მაგრამ ჯარისკაცის სარბიელი როცა რკინიგზაზე მილასლასებს, როგორ გამოაჩენ საკვირველი სულის მოზღვავებულ სილამაზეს!.. ხალხს ვერ გამოარჩევ ვაცონებში — ბრძოლამონაწყურებ — მონაყივნებს. — ჩემსკენ გამოსწიე, გადმოემვი! — მიწა გამთენია მომაყივლებს ასე, აბეზარი ბადრაგივით, ფიქრი მაცილებდა ნამთვრალევი და გზას კინოლენტად დაგრაგნილი კრძელი სურათივით ვამთავრებდი.

ეწერ და წინათგრძნობას გამართლებდა თუ არ უწერია არასახდენს,

ახლაც დაიკეცოს ბარათებად, ჩემი არსებიდან გადასახლდეს.

ხშირი აფეთქებით ელენება
დაჭრილ მატარებელს კარ-სარკმლები
და შორ დასალიერს ეხვეწება —
გზა რომ გაუნათოს გასაგნები.
ელდის მოლოდინით ვიდრუბლები,
ეზივარ, ტუსადივით გრძელწვერება,
ფანქრით დასაწერი დღიურები
მკაცრი საწუთროთი მეწვება.
ძნელად გასამხელი აღსარებით
გული დღიურივით გადავშალე,
თავს რომ უძღვევლად ვსაღებდი, —
სიყრმის ცოდვებია დამნაშავე-
წლების გახსენებამ გადასძალა
ზათქი საზენიტო ქვემეხების,
წუთით წარმოვიდგენ — სადაცაა
მე და სიყმაწვილე შევეხლებით.
მიმძიმს გარდასულის დატოვება,
რადგან შევეზარდე ზებუნებრივ
წვას და უზუნაეს სათნოებას,
სავსეს უზარვეზო ერთგულებით.
თავთან ვერაფერი გავაწყვე რა,
მტუმაგს დაბერილი საფეთქლები
და ვგრძნობ, მოლოდინის ანაწერა,
დიდი დამაბვისგან აფეთქდები.
ასე საოცარი აჩქროლებით
ჩემს სისხლს არასოდეს უღვევია,
აღბათ, სწუკუნო განშორების
ჯამი სიყვარულზე ურღვევია.
აჰა, გადუჭროლა ეშვლონმა
უფსკრულს საბოლოო გაჭროლებით.
არც მტრის თვითმფრინავებს ეშლებოდა
ტყე და შენიღბული ვაგონები.
ზათქი საზენიტო ზარბაზნების
მაჯისცემისაგით გახშირდება,
გვარყვეს აფეთქება ზარდამცემი.
მინდა თანამგზავრის დამშვიდება.
ქალის ნაღვლიანმა გამოსხედვამ
სახე გამირინდა აფარკლული;
მის ხელს ჩემოდნიდან ამოკყვება
ქრისტე მაცხოვარი ჯვარსგაკრული.
„ჩემს შვილს გადმოხედე, დავრდომილთა
შემწეე, მწყალობელო დამაშვრალთა... —
დედის დაღადისზე ჩამობინდდა
და ცა აფეთქებით გადაშავდა.
ქალი ჯარისკაცებს დაგვაცქერდა,
ოდეს გაათქვცდა ზარგრიალი,
ჯვარცმაგამოვლილის განსაცდელთან

ჩემი დამავიწყდა სატყვივარი.
სახედამაბული დამარღვული
დედა დანოქილი ლოცულობდა,
ვაგონს, სვეტიცხოვლის ტაძარივით,
ლოცვით გაუათა მოცულობა.
აჰა, სადაცაა დაიქუხებს
ხედრი, — საუკუნოდ გაგვაციებს,
მერე ჭირისუფლად ჩაიმუხლებს,
ცრემლებს გადმოგვადვრის
გარდაცვლილებს.

თითქოს საწადელი შეისრულა
ელდამ სარკმელიდან გამახედა:
ზათქით აიზარდა, ელვისუმალ,
მიწა უზარმაზარ ზამბახებად.
გამაყრუებელი აფეთქების
ხმაზე თანამგზავრებს დავაცქერდი,
გზაზე დაბეჭილი, დათენთილი
წახები უბრძოლველი დამარცხებით.
ისევ დაიჭეჭა შემზარავად
და მე, მუსულმანი მოლოცველივით,
როცა დედამიწა შეზანზარდა, —
პირქვე დავენარცხე მოცელილი.
ცხადად გავარჩიე გარდიგარდმო
წყება დაღუწილი ვაგონების.
შეგძლებ — არასოდეს დავიდარდო
ჯამი იავარქმნის, გაოგნების?!.
დასახიჩრებულთა გვამებიდან
ყრუ ხმა ჩამესმოდა ავბედითი,
გონი, თვალთახედვა დამებინდა,
სული ამეგვამლა აბედივით...
მიანც გავარჩიე ცხადად:
უღვთოდ დაღუპულთა შორის,
ქრისტე-მაცხოვარის სატთან
გვამი თანამგზავრი მშობლის.
თვითონ ღვთისმშობელი იწვა
ხრამში ჩასროლილი ბინდად,
ეინც ჩემს სალოცავად იქცა,
ერთად ამგზავრების დღიდან...
თავზე ჭირისუფლად ედგა
მზე და უსაშველო ხვატი,
შვილის სურათივით დედას
ჩაეხუტებინა ხვატი.
— ნეტარ არიანო მორწმუნენი, —
მესმა დაღუპულის ბავთეაგან
და მე, წუთისოფელმოძულებულს,
სული სიმძიმლით გამეთანგა.

როცა ლაზარეთში მომთრევეს,
ფრენდენ ლიანდაგის გაყოლებით
თვალის ბუდეებზე მონადირე,
ლემზე დაგემილი ყვავილონი.
— ძმაო, სიკვდილამდე დაგახსომდეს, —
ვიღაც მესუმრება ტანმოჩინი, —
გულხელდაკრფილი არასოდეს
ალარ იქნებოი მკლავმოჭრილი.
საპყარს შემრჩენია თვალისჩინი,
ხსვა რა სანუგეშო მოგახსენო,

0 3 0 12

ასე, ნირწამხდარი, უცალხელო,
კუნთებდათეთქვილი, ძვალდაფშვნილი,
ვწევარ ხეივანი უსახელო,
დაშლილს მაკოწიწებს თაბაშირი.
შორეთს უბრალოდ დამიგულე, —
წერა მემწელება ცაციათი;
შენ თუ მამობილი დაიბრუნე,
მე ვინ დამიბრუნოს ხასიათი?
თეთრი სახვევებით შესუდრული,
ტოტებგასხეპილი ვიბელები
და ჩემს ფილტვებშია შესრუტული
დაჭირილ ჯარისკაცთა გინებები.
სამ თვეს გაურყველად მძინებია,
დღიდან საშინელი ზარდაცემის.
ახლა ნათხოვარი წიგნებია
ჩემი განუყრელი ძმაკაცები.
ჩემად ვაშრილებ ფურცლებს
და ფიჭრს საგანგებოდ ვმაღავ:
რამდენ საიდუმლოს უძლებს
თავის დათეთქვილი ჭალა.
და რაც დახვეულა ტვინში —
სახე, წარმოდგენა, ცნება,
ჭრება, იცრიცება ჩრდილში,
ჩემებრ უმოძრაოდ ცვდება.
რასაც ჯამთასრბოლა გაცვეთს,
შინდა საფანტივით ავრწყო,
რადგან გაუსროლელ ვაზნებს
ჩემად დამიყვანავს აწმყო,
რადგან ხარვეცილზე მიკრულს,
გარდა რომანების კითხვის,
კიდევ შემძილა ფიტულს
რიგში ჩალაგება სიტყვის.
გწერ და მერიდება უძლურს,
რომ ეს აღსარება წრფელი

მათრობს, დარეკილი კლავიშით,
შენი უტკბილესი რომანსერო!
— ექ, კორდოს ზარებზე
მზე ამოვლავრდა,
ექ, ოქროს ზარებით
დარეკე, გრენადაგ!..
ფრონტის უნახავად დაცემულს.
ფარდა მაფარია მუქწოლებს;
ერთი უყისმათო ასეული
ასე დაიღუპა უბრძოლველად.

ოდნავ დაემგვანოს წუწუნს
და შენ დაგაძალოს ცრემლი.
გწერ და საფუთქლები ხეირთქლიანი,
დილამ გამიგრილა ავდრიანმა,
ჩემი სიზმარეულ თვითმფრინავით
შენსკენ დავიძარი ადრიანად.
შენსკენ გადმოფრინდი ადრე დილით,
რომ არ დამეწავრო ემიგრანტი, —
ჯერ ვერ დაგიყვავებ მადრიდით
ალყაშემორტყმული ლენინგრადი...
ჯერ ვერ გაგაბრუნებს ფრმიტაქით
და ვერც პეტერგოფის შადრევნებით,
ჯერაც განვაშია ლენინგრადში
სამარისებური ჩაბნელებით.
ჯერაც კარსარკმლები მინისვლია
ტაძრებს ზარებიანს, უსარმაზარს,
ჯერაც ესპანელთა დივიზიას
იცვამს გერმანია მუზარადად.
ზათქი ფუგასური ყუმბარების
ლითონს ნამსხვრევებად ახურდავებს,
არყვეს სასახლეთა მდუმარებას.
გლვეს და აპირქვევებს სახურავებს.
ალყაშემორტყმული, დამშვეული,
შორით მომელანდა ლენინგრადი,
სადაც ღრუბლებიდან დაშვებული
სიზმრის თვითმფრინავით შევგრილდი.
შორით შევიცანი ხმაკეილი,
პერს მოარხვედი გადმოცემით,
თითქოს ესპანური გაკვეთილის
ზღაპრულ მდინარებით მათცხბდი.
ტალღა რადიოდან გადაჭროდა
და იმ მორეკილი უგნურებს
„ცისფერ დივიზიის“ გასაგონად,
დრახთა გასაგონად გუგუნებდი.

მათ წინ აფრქვეული ნაღმისებრი დროსა ფრიალებდა შიგვჯვრიანი და მტერს გასცქეროდი განრისხებით სუსტი, კაფანდარა თარჯიმანი. მენსკენ დავიძარი ფრთავაშლილი და ცა დაძახილით შევაჯვრე, უცებ, თოვლისებრი თაბაშირის მყიფე მუზრუჭებმა შემაჩერეს. შემკრთალს დამცინავად დამაცქერდა ჭერი მოქათათე პალატისა და მან უსაშველო ჭაპანწყვეტა, ჯვარცმა, ჭირთათმუნა დამაიკისრა. ტანქვეშ, უძილობის მოსასულგავად, მისვლემტენ ტკივილები ნახებრხვიით, ტანზე მათარია მოსასხამად ღამე — წრიალისგან გახეხილი. ზეზე წამოდგომის მოიმედეს მძრავს და მაჩანაგებს მოგონება, თითქოს გუასავალი მომიკეტეს, ქსელში გამოვლამბებს ობობებმა. ღამე, ლაბრადორის ქვებისებრი, მზარავს ძვალდათუთქვილს, რბილდაბეგილს; ღრმა ძილს არასოდეს ვეღირსები, მსგავსად ჯანდაღლილი გილგამეშის.

ჩემთვის სინამდვილედ სიზმარია და ყრუ ტკივილებით გაუღენთილი ვნაროლავ აუტანელ სიმწარისგან წვეკვასვეული გაზეთივით. არსად, არასოდეს, არნაბრძოლებ კაცს არ ღირსებია ჩემოდნი სხვათა სიბრაღული, თანაგრძნობა, სულში სიმძიმის შემომდენი. ახლოს სასაფლავს ბალახია, სადაც ჰოსპიტალის ბალახინით მკლავი უბრძოლველად დამმარხვია, სხვის მკლავს ჩახვევია ბალახივით. როცა ჩავიძინებ, მორიდებით ჩემზე ჩურჩულებენ: „შეშლილია“... ღამით მდარაჯობენ მორიგენი, დღისით ვალეძების ეშინიათ. და არ მაეიწყდება, პირველყოფლის, რომ ხვალ სასწაულთა მოქმედივით, მე შენს სათნობას მივეყრდნობი, მკლავი მომბეზება მოკვეთილი. მე მწამს სულგრძელობა ღვთისნიერის და ჩემს არსებაშიც მეგულება სულის უსასრულო სიძლიერე, რაც შენ მოგანიჭა ზებუნებამ.

თ ა ზ ი 13

თითქოს მარილივით გაშანშლული თოვლი მომაყარეს ტრამალიდან, თეთრი თაბაშირით დაჯავშნული ჩემი არსებობა დამარილდა. ძალამ ბუნებისამ მაპატისო, რომ ვერ ვიწვსრიებე მაჯისცემას. ენატრობ საიმედო ანაბიოზს და სხვა ასწლეულში გაღვიძებას. როცა შორეული ნათესავის უცხო ხელნაწერით დავიღლები, მიპყრობს მაგნიტური არესავით, ძველი, გარდასული თარიღები. მოყვასს გაცრეცილი ფურცლებიდან უესმენ რიჟრაჟიდან საღამომდის და ვგრძნობ: ყველაფერი უცვლელია კაცის ცვალებადი სამყაროსთვის. თვალწინ ხელნაწერი მეფუთება, ვლანძღავ სიმყუდროვის გამომძალველს, თან არც დასახვევად მემეტება, რადგან თბილისიდან გამოგზავნეს.

სხვათა ასაგდებად, სათავენდოდ სტვენენ სტრიქონები წასაშლელი: განა უქვლესოდ დავმარხვით, ძმაო, უკაბიკო მამაშენი. თითქოს მაცვედრისო მატაოცი, რომ ვერ აუთავდა ნათესავებს, რომ აქვს გულისყური დასალოცი და ეს გულუხვობა აქესატებს. მე თავს მაცოდებდა ენამტვერი, ქალაქდს მაფარება ბადესავით. წერილს ენასავით შევაჭერი გუარი შორეული ნათესავის. ვალი დამაიკისრა უნამუსომ, ღვაწლი დამაცვედრა ხელმოკვეთილს, და მეც ღვარძლიანად უგუპასუხე, რომ ვარ მადლიერი მტერმოკეთის. რომ არ მაეიწყდება გასაჭირში თავის დამძვრენელი გარეწრები და რომ გუეუსწორო ანგარიში, მე მათ გასვენებას დავესწრები.

მძრავდა, მაცეცხლებდა დანამცირებს
 სიტყვა ქორვაჭრული ბოთეური,
 პირქვედამხოზილმა დავაქივე
 კერძი — მორიდებით მორთმეული.
 ჩუმად ავევითინდი ჯანდაცლილი,
 მწარედ ამიკენესდა სატკივარი.
 თვალწინ წარმომიდგა გარდაცვლილი
 მამა მოშუშებულ ნატყვიარით...
 ჩემთან იხსენებდა ბასმაჩების
 ცეცხლში ნასახსოვარ ნაჭრილობებს
 და არ თხოულობდა გასამარჯელოდ
 სკამს და დამადლებულ საჩრდილობებს.
 გარდა რიზიანი ლაშქრულისა
 სხვა არ უსწავლია სიმღერები,
 თახსირ, გატანელ საჭურისთა
 მოდგმას ავინებდა სიბერემდის.
 არსად დაუსრია გალანჩებით
 ქედი ზაგირივით გაძარდუელი,
 ჭირნი გამოტარნულს, გადარჩენილს
 გულში უყვარდა გაზაფხული.
 „მოდი, მომეხვე, მომეკარი...“
 ჩვილ ბაღს მიხუტებდა სისხამდილით,
 ძველი თბილისელი პროლეტარი,
 წმიდა საქმისათვის სისხლდაღვრილი...
 ზოგჯერ ცოტადენ გადასძლევედა
 ცოდვა, არსაძრახი ქართველთათვის, —
 ღვინოს გადაკრავდა ძმაკაცებთან,
 მკრთალი რიზიარბოს ნათებამდის.
 ბანი უხდებოდა დაგუბული
 მხედართ ათასწლოვან საგალობელს,
 შეილნი უმადური საუკუნის
 სვამდნენ წუთისმოყლის სამადლობელს.
 ლოდის უზიდით საჯილდაო
 და სულ ერთმანეთის გაჯიბრებით,
 ნელა მოიყვალა, სათითაოდ
 ხალხი ჭირვარამთან ნაჭიდები.
 განა დავიწყების ჟანგმოცხებულს
 ვხედავ გოლიათებს გაუპარსავს,
 მამის სუნთქვასავით გაცოცხლებულს
 ვისმენ გარდაცვლილთა საუბარსაც.
 დურგლის, მემანქანის, გზისმკეთებლის,
 მხატვრის, კალატოზის, მეფოლადის
 თვალთ წარსულისკენ ვიხედები,
 ბოლო რომანიოვის მეფობამდის.
 რა გზით გაათენეს ოქტომბერი,
 როგორ იღუბჭირეს, იმომშინლეს,
 ბევრი ოქროხელა ოქროპირი
 არც კი მოსწრებია შეილიშვილებს.

და ჰა, დარაბაში გარდაცვლილი.
 ორ ომგადაბდილი, დაღნამწნევი,
 ვილაც ლაზღანდარას დასაცინი
 გახდა უბედური მამაჩემი...
 როცა წილხვედრითი დასასრული
 მომწვეს ახრჩოლებულ პაპიროსად,
 მინდა საკუბოედ გაპარსული
 მშობელს დავემსგავსო პატიოსანს.
 დიდხანს ვწრიალებდი სიცხიანი,
 გვიან ჩამეძინა ღამენათვის
 და კვლავ სიზმარეულ თვითმფრინავით
 ჩემი სამშობლოსკენ გავემართე.
 „მოდი, მომეხვე, მომეკარი“, —
 ისევ მომიხმობდა სისხამდილით,
 ძველი თბილისელი პროლეტარი,
 წმიდა საქმისათვის სისხლდაღვრილი.
 მიველ, მიგაკითხე სასაფლავს,
 სად მას, ცხოვრებაში გაუხარელს
 დღელამ საფიცარი, სათაყვანო
 მიწა დაყვედრებით გაუთხარეს.
 წინადამინდელი ნაწვიმარის
 მძივებს გვირილებზე მინისლულებს.
 უძმით გამომარცვლა სამძიმარის,
 როგორც აცრემლებულ ჭირისუფლებს.
 ვილაც სახიზარი მლოცველივით
 მოვა, გავუწოდებ აბაზიანს
 და თვალს ავარიდებ მოწყენილი
 ჩემი შეჭირვების თანაზიარს...
 გლაბა გამკილაგად გამიცილებს,
 სწრაფად გასწორდება თავდახრილი
 და ჩემს შორიბლო გაიწივლებს
 ხურდა, მოქნეული მათრახივით.
 — ვინ ხარ? — ვკითხები გაოცებით.
 — შეილი მოგველინე დაკრძალულის! —
 თქვა და დაეჯერე საოცრების,
 ჯერ არგაგონილი სასწაულის.
 სახენადღვლიანი, შუბლმალალი
 უცხო შევიცანი გამოხედვით.
 — მთელი საუკუნის უნახავი
 რა გზით, რანაირად წამოხვედი?
 — სიზმრის თვითმფრინავით გეახელი, —
 შვიდად მოპასუხემ გამაწვალა,
 — შენივ ორეული გესახები,
 როგორც უბედური მამაწვალა?
 ცივი გარიერავით შემეცარულმა
 მკლავი შეგარხივ ნაკენესარი,
 ჩემი, აღნაგობა მეცნაურა,
 კაცი მირველავდა სარკესავით.

ხმასაც ჩემნიარად გამოსცემდა,
ჩემებრ გაოცებამორეული,
თავით ფუჭებამდე მამოწმებდა
ცალბელმოკვეთილი ორეული.
თავი სახადივით შემაჯავრა
მისმა ორჭოფულმა გამოსხედვამ.
— მამა! — დავიძახე შინაჭამმა
და ხმა სამარიდან აღმოსდება:
— აქ რამ მოგიყვანა გამთენია! —
მრისხავს გულმოსული მამაჩემი,
ქვეყნად არჩევანი რამდენია,
ერთი დაგრჩენია ასარჩვევი.
რად არ დაიხსომე შეგონება:
როცა ჩავიხელთებს განსაცდელი,

რწმენა ნურასოდეს გვეონება
იმ ძველ მაზარასებრ გასაცვლელი
მაშინ დაემშვიდდები მამაშენი
გულხელდაკრეფილი, კმაყოფილი.
როცა შეერთდები თაბაშირით,
ორ ტოლ არსებობად გაყოფილი.
ჯანი გაირკინე შორღვეული! —
თქვა და გარდაცვლილმა სამარიდან
ჩემი შემიერთა ორეული,
სულის გაორება ამარიდა.
გვიან გამედვიდა, გაღიმებულს
მზე დიდ ავგაროზად დამნათოდა,
სხივთა მსურვალეობით გაღვივებულ
იმედს მიგზავნიდა გასათბობად.

თ ა ვ ი 14

ყრუნი, უფებონი, უხელონი,
კონტუზირებულნი, თვალდათხრილნი,
ერთხმად ავღრიალდით სუყველანი,
აგვეყვა პოსპიტალის ბალდახინი.
ატყდა ხეიბართა, სახიჩართა
გნიას-ღრიანცელი ხმისჩამხლერი,
დუნე მაჯისცემა აგვიჩქარდა,
სისხლი ათქრიალდა სისხლმარღვებში.
ზალში სალუტებად აგრიალდა
ალყაგარღვეული ლენინგრადის,
ვგრძნობდი, ზვავდებოდა სტალინგრადთან
დიდი იერიში ბერლინამდის.
დახშულ პალატაში გამომწყვდეულს,
როცა ზარზეიმი მომელირსა,
მოულოდნელობით გაოცებულს
სახე შეშლილივით მომეღრიცა.
ვიღაც ხეიბარი ჩამშვეოდა.
ცრემლად იღვრებოდა გულკეთილი
მე მას ცარიელი სახელოდან
ხელი გადაჭვბე მოკვეთილი.
სად რა ასაღები ქალაქია —
ებჭობდით დაწოლისას, ადგომისას,
რადგან პოსპიტალი ბანაკია
ჯართა უმალესი სარდლობისა.
წვენი პალატები შტაბებია,
ჯარებს ვანაწილებთ არმიებად
და რაც „საიდუმლო“ ამბებია —
სულ აქ იმღერება არიებად.
ყველამ ყველაფერი დაწერილებით

ვიცით, სარდლებივით, უცილობლად...
ბოლოს საწოლებში ვნაწილდებით
და თავს დაგვადგება უძილობა.
დიღხანს პალატაში გამოკეტის
ზეზე წამოდგომა მაბალღებდა,
ბიჭურ მამჩატებდა მკლავმოკვეთილს
მტერზე გამარჯვების ვანაღღება.
ჯართა გამგებელი უმალესი
გმირულ ლენინგრადის დამცველებთან
როცა ლეიტენანტ სუარესის
გვარსაც ღირსეულად ახსენებდა,
მე არ მაბრუებდა ჰამიშივით
მისი ლენინგრადზე გადაგება,
თვალწინ ესპანელი ქალიშვილის
მედგა ადრინდელი თავდადება.
„ლოლა, ლოლიკელა, ლოლიკელა,
მიწა გიცდის დამწყვარი,
აღრუბლულა ჰაერში
შენი კერის ნაცარი...“
ელერდა ფანდურებზე დანამღერი:
„ლოლა, ლოლიკელა, ლოლიკელა“, —
და მთის ჰაერისგან ანაღერი
გოგო ქალდებოდა ბროლისყელა.
არ მაქვს ყურმოკრულად გაგონილი,
მე და დედულეთი ვესწრებოდით,
როგორ გააცოცხლა მამობილი
ლოლამ სასწაულის შემწეობით...
როგორ აღემართა მესამრიდად,
სენი განარიდა საშინელი...
და მწამს — ქართველია ჭემმარტიად

ყველა — იბერიის ნაშვირი.
 იბერთ გვეძახოდნენ ქართველებსაც.
 მზისთვის ერთნაირად გვიმღერია,
 ერთი მიწა-წყალი გვეერთებდა, —
 გვერქვა ერთიანი იბერია.
 ჩვენ არ გვაბატრონობდა იელოვა —
 ღმერთი — წინამძღვარი ხმაზეადაი,
 თვისით, ათასწლობით ღვინდებოდა
 ხალხის შეუვალი ხასიათი.
 თითქოს ვყოფილიყვე დამნაშავე
 უღვთოდ ლოლასაგან გათიშვაში,
 ჩემს წინ გასისხლული დამნაშავეთ
 ხსოვნის ალაპლაპდა გარიჟრაჟი.
 და მე სამკუთხედი ბარათიდან
 მზრებში მოღუნული, ჩამოდლილი
 კითხვის ნიშანივით დამაკვირდა
 ლოლა სუარესის მამობილი.
 ნვეის გაყინული ნაპირიდან
 სუსხმა დამიჭროლა ჩრდილოეთის:
 ძველი ჯარისკაცი ჩაკვირვია
 დაჭრილ დედამიწას ჭრილობებით.
 და ვინც ესპანეთის დამარცხებას
 თავის უბედობად გულისხმობდა,
 თანამედროვეთა დაფასებას
 გვიან ღირსებია წუთისოფლად.
 სუსხმა დამიბერა ჯანმიქანცულს
 ტანის ამბორკლავად, ამბურძღლავად:
 ლოლას მამობილი ჯარისკაცულ
 წესით ღირსეულად დაუკრძალავთ.
 მე რა მღირსებია სვემოწამულს?
 ომში უბრძოლველად გაშეშება!
 და გზა დიდებისა ხელმოცარულს
 ფუტქვეშ არასოდეს გაწეშლება.
 ჩემი საუკუნის მეთოთხედი
 წამლის შუშასავით გამოცლილა.
 ახალ ჭრილობათა მეთხებით
 ჯამმა დამიბერიყვა დალოცვილიმა
დრო ჰგავს საყმაწვილო ჩიტბატონებს,
 ცხრამთას ასკინვილა გადმოლახავს,
 დაგვეშს, პიპარა მიგატოვებს,
 ტანზე დაგაჩითავს გამოწაყარს.
 მართლაც უმკაცრესი სასჯელია,
 როცა გათამაშებს კამათელი,
 როცა აღარავინ დაგრჩენია
 ხელის ღვთისნიერად გამმრათველი.
 ალბათ, ხელმოკვეთილს, თავგაჩეხილს
 შვილით შვილიშვილზე გადამდები
 ხვედრი შემეყრება მამაჩემის.

ჩუმად, სასთუმალზე გაეთავდები.
 თითქოს დატყვევებულს გაუგებარ
 სიტყვებს მითარგმნიდა თარგმანი
 თითქოს ესპანეთში დაბრუნება
 იყო ესპანელის არჩევანი...
 ჩიხში მომწყვედეული, ხახამშალი
 წერილს დაეცქეროდი ცრემლდაღვენთილს
 და ხმა ჩამესმოდა დამაშვრალი,
 ჩექმით გათელილი ესპანეთის.
 მთხოვდა აბარებას, გამგზავრებას
 მიწა წაბილწული, გადამწვარი!
 — ომის საბოლოო დამთავრებას,
 გასწი, სამშობლოში ჩაასწარი.
 წადი, ჩამოშორდი, შემახვედრე
 მე ჩემს გაწამებულ ქალიშვილთან,
 ვისაც დაბრუნება შეავედრე
 და შორს გადახვეწე გაგრიფმიდან.
 მზარე მომბლაოდა ირემივით
 და თავს სიბეჩავით მაბრალედა,
 ჩემს ფერხთ იჩოქებდა იბერიის
 მიწა დახეთქილი ნაპრალეზად.
 ლოლა სუარესის ნაწერშიაც
 ვეღარ გავარჩიე არჩევანი;
 უნდა სიმარტოვე ამერჩია,
 როგორც ბარათაშვილს — ნახჩევანი?
 ფუჭი ოცნებები მივატოვე,
 კარის სამუდამო გამოსურვით,
 მერგო არადანში სიმარტოვე —
 ეჭვით გამოფურდულ-გამობრული.
 გამოვემშვიდობე თანასწორებს
 და გზა თბილისამდე გაიშლართა,
 დღეთა გარდასულთა სამახსოვროდ,
 ნაშთად აბორგებულ ქარიშხალთა.
 დანახშირებული სადგურების
 კედლებს, დაღუპულთა ანდერძივით,
 თავზე დანათოდა გამუდმებით
 დროშა დაფხავებულ-დაძენძილი.
 რაღაც საოცარი ყურადღებით
 მჭვრეტდნენ ვაგზალიდან ვაგზალამდის.
 მოგარაყვებელი სურათები
 ჯართა უმაღლესი მთავარსარდლის.
 ალბათ აღზევებულს ვემცნაურე
 შვეოწიწებულ ნაწილ-ნაწილ;
 მე მას ჯარისკაცად ვემსახურე
 ერთი უწვერული ყმაწვილკაცი.
 მე არც ქალაქები ამიღია
 და არც იერიშზე გადაესულვარ;
 ჩუმად, დაბადების თარიღიდან,

მოველ სიჭაბუკის დასასრულთან. დღენი ნაოჭებად დამკეცია, — ჩუმად, უსახელოდ გამოვლილი, და თუ ანაზღვეულ ჩამეძინა, — წამოიმღერებენ გარმონივით გამოშაღვიძებენ თარიღები, გამოშაცოცხლებენ წყალდაწრტილს;

ხვედრი ნადარბაღს გამომიცვლის, ჩემთან განახლება მობრძანდება და ხელს მოყვასივით გამომიწვდის ქვეყნის მესვეურთა მოწყალეება. მაგრამ დაცემულთა აჩრდილები ძილში დაყვედრებით მომძახიან: „შენ მანდ არასოდეს გაჩერდები, გახვალ დაღუპულის ოთახიდან!..“ აღარ მეძინება ძილგატეხილს უცნობ ჯარისკაცის ნაბინარში, ათას შორეულებით ვილახები, სანამ მომაკითხავს გარიჟრაჟი. ეგებ უშელონში დაცემული ქალის ვაჟისაა ჭერ-კედლები — სხვისი მწყურებით აფსებული, ჩემი სამოწყალოდ შემეკედლები... მსურა გამქცევია სადგურამდე, თვალწინ მოედანი გადაშლია და ჩემს არსებაში, ვაყურადებ, რალაც იდუმალი განგაშია. როცა ორთქლმავალთა ომახიან წმაზე დედამიწა ბარბაცებდა, ომში დაღუპულის ოთახიდან სისხლი მექაჩება გასაქცევად. ბინა მაწირიალებს ნახევსარი, ბაწრით უძილობას გადამაბაშს. ზღვიდან გამოსალწვევ ნაპირსავით ისევ მომანატრებს ნადარბაღს. და ის დედაკაცი — შავოსანი თაფზე მთვარეულად დამადგება, უნდა უკვდავების წყაროსავით დამის გასათევის დამადღება. „ჩემს შვილს გადმოხედე, დავრდომილთა შემწევ, მწყალობელო დამაშვრალთა...“ ლანდის ღალადისზე ჩამობინდდა, ზეცა აფეთქებით გადაშედა.

ზღვისპირ საამბოროდ დავეხრები

ჩვენი განშორების მრავალწერტილს, და შორს — დასალიერს გადასული ქვეა-ქუხილივით ზარდამცემი, დარკვს, დამიძახებს დასასრული ჩვენი უანგარო გატაცების.

თ ა 3 0 1 5

სახედაძაბული, დაძარღვეული ქალი დაჩოქილი ლოცულობდა... ოთახს, სვეტიცხოვლის ტაძარვით ლოცვით გაუათა მოცულობა. „ო აქ, — ჩამურჩულებს საოცრება, — შვილი მინახულებს საფიცარი... რისთვის აირჩიე საცხოვრებლად ბინა ნაჩუქარი, ნახვისარი?! გასწი! — დამიკივლებს შავოსანი, — ჩქარა გადაბარგდი ოთახიდან, ჩემი დღენიდაგ სალოცავი შვილი სადაცაა მომაკითხავს. კარი გაიღება, გამოჩნდება უცხო ქალიშვილი შუბლმალაღი და ჩემს მაგიდასთან ჩამოჯდება ლანდად მოვლენილი შუალამით. — ვინ ხარ? — ეკითხება დედამერი, — აქ რამ მოგიყვანა, დალოცვილო? ჩემი დედისერთას შესაფერი თუ ხარ, გაემზადე საქორწილოდ! — უცხო საპატარძლოს ვაცქერდები და მე — ნაჯახირალს, ჯანგამოცლილს, უცხად ელდისებრი დაძვერებით, ლოლა ჩამეხვევა, გადამკოცნის. მკლავებს შემოვკედობ, განახლებს წამით მავიწყდება ცალხელობა, ცხადად განცდილივით ამალელებს სიხმრის უცნაური სახეობა. ლოლას, აცხადებულ ნატვრასავით, ჩემთან სასწაული შემოხიზნავს, ქრება დედაკაცი დარდნასვამი სახლში გარიჟრაჟის შემოსვლისას. გარეთ მანქანების გრაგანია და მძრავს განშორება შიშისმგვრელი, მხრებზე ბავირებად დამგრანია ლოლას ნაწნავები გიშრისფერი. დილა გვაღიღინებს

ბასკურ რომანსეროს:

— შენგან გადახვეწი
როგორ მომასვენოს.

შენი სურნელება

მინდა ჩავისუნთქო,

შენი სიმზურვალით

მინდა დავითუთქო.

თვალებს ვუკონიდი ლოლიკელას,

ბავშვურ, პირველყოფილ გაქრულებით,

ყულზე ვებვეოდი ბროლისყულას,

შიში მაგიტებდა განშორების.

ბოლოს ორთქლმაღლების ომხიან

ზარით სინამდვილე მოვარდება,

ომში დაღუპულის ოთახიდან

ქრება წამიერი მოლანდება.

ადრე მოყაყანე სადგურისკენ

თვალი გამეჭკვევა, საითკენაც

ფეჭქვეშ მიმოფშენილი აგურივით

ჩემი მოლოდინი გაიტკეპნა.

ტანის გამიხსენებს შეცეება —

დალღილ სისხლმარღვებში მიმალული,

მესმის ძილისმომგვრელ ლეჭკიებად

ქუჩის საქმოსნური ჟრიაშული.

სულში ჩავარდნილი ნაპერწკალით

ვიწვი, ფერგამკრთალი შესამჩნევად,

მძლავრი მაგნიტური არესავით

სისხლი სამოქმედოდ მექაჩება.

და ვგრძნობ: დასაცლელი, დასახარჯი

ჯანი მცონარობას მიეჩეია,

რადგან ძილნაკლული ნახვეარჯერ

რთულ და გაურკვეველ სიზმრებშია.

ვგავარ გაბრუნებულს აპერკოტით

და რაც გავისარჯე, განვიცადე, —

ცხად და შეუცნობელ გარემოთი

მომდეგს მაისიდან მაისამდე.

მე რაც მაშწუხარებს, მავალალებს
და რაც გულითადად მიხარია,
ჩემზე დროებითი, წარმავალი,
ნაირსახოვანი სიზმარია.

შორი მანძილიდან უსათნოეს

ქალის მაგნიტური გამოწვევაც

სიზმრისმიერია უსათუოდ,

მცდარად მივაწერდი საოცრებას.

განცდა ჯოჯობეთურ წამებთან

რამაც უამრავი გადარია,

და რაც გონდაკარგულს დამემართა,

უემურ ზმანებათა მავარია.

სიზმრად მეჩვენება დაბინდული,

ვრცელი კომკავშირის ხევიანი.

მთაზე — ვაგონები დაკიდული

და გზის ვარდიგარდმო — ხებილნარი,

სადაც მგალობელთა მოსასმენად

სუნთქვგაკმედილი სიწყნარეა,

და რაც სიმწვანება — მოწაფეთა

ხელით მიზიდული სიზმარია.

სიზმრად მესახება მაიდანი,

სადაც სამოვარი იცქირება

თავზე მოგდებული ჩაიდანით

და ძველ ზმანებაში იძირება.

მზვდება სიზმარულ შესახვევით

სკოლა მეოცნებე კაპიტანთა,

სადაც პიონერულ ყელსახვევით

ყრმობა სანთელივით გამოთავდა,

სადაც ლოლიკელას ქდალისფერი

კაბა უხდებოდა მზისლილემა,

ხელში კასტანეტთა აქლერებით

სიზმარეულივით დიდინებდა:

— ეჰ, კორდოს ზარებზე

მზე ამოლეგარდა,

ეჰ, ოქროს ზარებით

დარეკე, გრენადაე!..

თ ა 3 0 16

სხვა თუ გავაფხულის სილამაზეს
ეტრფის, აპრილივით ჭრელკაბიანს,
ჩემთვის უხალისოდ მილასლასებს
და ჰგავს წელიწადი წელკავიანს.
მთანგავს წინაგრძნობა აბუზარი,
და თვთრ ღამეების ჩახუტებით
ღრუბლებს მივფარნენ მთვარესავით
ლოლას ბარათები — სამკუთხედი.

ეჭვი მაწრიალებს გამგმირავი:

„ეგებ გადაიქცა მაწანწალად

„ციხფერ დივიზიის“ მაგინარი, —

მიწის დაძახილმა გადასძალა“.

ფსკერზე დაღეილი წამალივით

მამღვრევს გამჭოლავი დამეჭვება,

შავი დესპანივით წარგზავნილი

ფიქრი ესპანეთში გამეჭვება.

„თუ მან უკითხავად, უბარათოდ
 ომი უღირსივით დაასრულა,
 უნდა გარეშემო ვუფარფატო
 ჩემსავე სიმარტოვეს დათარსულმა;
 უნდა ამოვიწვა საგულედან,
 ვინც ჩემს ილუზიას ასაგნებდა,
 ვინც ჩემს საკურთხვევლს გაუბედა
 ცოვად გაუწირა ასაგდებდა.
 თუ ჩემს არსებაში უმართებლო
 ვჭვად დაფათურობს მორიელი, —
 ჩემი დედულეთის გუმბათებო,
 მთებო, შეგვიფარე ორივენი.
 ისევ გადმოგვხედე ლაჯიხევით,
 ლოცვა გვიჩურჩულე წარმართივით,
 ჩემი დედულეთის საჯიხვენი
 თავზე დაგვასხურე წყალგარდნილით...
 რწმენა, ძალოვნება გადმოგვეცი,
 ჰაერს შენარევი ოსონივით,
 ბოლოს მოგვიჩინე გადმოსხვეწილთ
 მიწა — საუკუნოდ მოზომილი...
 თორემ გაზაფხულის სილამაზეს
 ვერ ვცნობ აპრილივით ტრელკაბიანს,
 ჩემთვის უხალისოდ მილასლასებს
 და ჰგავს წელიწადი წელკავიანს“.
 ნუთუ ფიცარნაგზე დამალურსმეს
 წლებმა წამომდგარი სამარიდან;
 გზაზე შევეფეთე თანაკურსელს,
 თვალი დიდგაცურად ამარიდა...
 გამოვეცნაურე საყვედურით,
 შედგა, დამიყვავა ნაცოდვილარს
 და თან ნახევარი საფეხურით
 თავის აღზევება მაგრძნობინა.
 მაშინ ავბუტბუტდი დარცხვენილი:
 „როგორც ქვამარილი აღზევანში,
 ომი მიწაშია ჩარჩენილი
 და ჩემს დაფხავებულ არსებაში.
 და თუ გზადასულის გახსენებას
 სულში სიმძიმელი შეუშვია,
 რა ვქნა — აკენესებულ ნამსხვრევებად
 ომი ჯარისკაცის სხეულშია“.
 რა ვქნა — ნაცნობების სახეებზე
 ფიქრი ამეკიდა ბუნანკალად;
 ძველი სკოლისაკენ გახელებით
 მიხმობს წინაგრძნობა გულსაკლავად.
 ისევ წარსულისკენ ამჩქარებს
 ძალა — სიმრწემეში დაუცლელი,
 თითქოს მიმელისო დამნაშავეს
 წიგნის მოხვეული თავფურცელი.

სკოლის დერეფნები გასანთლული
 წუთით გამახსენდა ალალებდა
 სადაც სიყმაწვილის გაზაფხული
 ქვეყნის პატრონობას გვაგალებდა,
 სადაც ხასიათის უმნიშვნელო
 ხარვეზს შეუმცდარად ვაფასებდით,
 ვცნობდით მოწაფეებს უნიშნებოდ,
 მასწავლებელთაგან განსხვავებით.
 ტვისტი, როკენ-როლი, ხალი-გალი
 ჩვენ არ გვაროკებდა ქალწულებთან,
 მალე გაცეკვებთო ქარიშხალი, —
 მკაცრი მომავალი გვარწმუნებდა.
 სკოლამ საჯირითოდ გამოგვიშვა
 რწმენით, რომანტიკულ გატაცებით
 და ჩვენ სიჭაბუკე გამოგვითმა
 ომმა — ნადრევი დაკაცებით.
 დაგვჩა აუზდენულ ნატრასავით
 თეთრი ღამეები არქტიკული,
 მწვავე ოცნებების გამპარსავი
 ჭკუა მოგვეძალა პრაქტიკული.
 და ერთ სახელოვან თანაკლასელს
 როცა მივაშურე მწყურგალივით,
 მასთან მთავარივით დამაფასეს,
 თვალი ამიჭრელეს პურმარილით.
 დამხვდა თანატოლი ბატონობით,
 ძველი მსახურივით მეპირფლანდა-
 მკითხა: იმპერიულ ავტომობილს
 ჩამოიტანდიო ბერლინიდან.
 შეეცბი, გავიწურე დარცხენილი,
 როგორც ამალამდელ გაცნობილთან
 და მის სიყმაწვილეს ნაწყენივით
 თვალი გადავაველე კაცობიდან:
 ლექსებს გვიკითხავდა ტანჯულივით,
 თავზე ვველებოდით, ვუფერებდით...
 იყო თავიდანვე აღტურვილი
 პროფესიონალის უფლებებით.
 იდგა დედამიწას მოწყვეტილი
 ხელში დაგრანგილი ეტრატებით,
 ჰქონდა კბილებივით მოცვეთილი
 ოლიმპიადები, ესტრადები.
 ყველა მასწავლებლის სიამაყეს
 პირში შეეცქეროდით პარტენიდან,
 თავის ნაცოდვილარ სივარდასებს
 სულში უმოწყალოდ გვატენიდა.
 სკოლისდროინდელი დაფასება
 გაქრა ჩალიმებით სახსენები,
 ახლა მარმარილოს დაფაზე
 სულ სხვა მოწაფეთა სახელები.

და ვინც გამარჯვების შემოქმედად ფრონტზე სახელოვნად დაცემულა, სკოლის შესასვლელში შემოგვდებათ ყოფილ მოწაფეთა ასეულად. მათი სახელების ბრწყინვალეობა რწმენად გადაცემა შვილიშვილებს, რადგან ახალბედა წინაპრებმა სკოლაც საქართველოდ მიიჩნიეს. სადღაც, უთავბოლოდ გაფანტულებს სკოლის გვერთებდა ზარი, როგორც მოწაწყარე ნაკადულებს იკრებს მაგნიტივით მტკვარი. სკოლა გვაიწვევდა გალოთებულ ომის სახიჩართა გმინვას, ვიწრო ეზოების გამუდმებულ ყაყანს, მეზობლების გნიასს. სკოლამ მუხუემის დარბაზებში გვატკბო სილამაზის ხემსით, ბავშვმა გორგასალის აზარფემას ვუძღვენ უცოდველი ლექსი. სკოლამ დამიბარა: გედინოსო ტალღის უხმაურო ჩავლით, მეფურ ტანისამოსს გერჩიოსო გავლა დაკერებულ შარვლით. და პა, გასანთლული დერფენები. სადაც დაჭრილები შემოლაღეს... კედლებს ვაცქერდები, ვეფეთები სურათს — შავარშიაშემონავლებს. ვიცან დაღუპული მასწავლებლის სახე — მორკალული არშეებით, გვერდზე, დაგრაგნილი ნაწნავებით, ედგა ქალიშვილი ნაშეილები. ლოლას — შავარშიაშემოვლებულს — ვუმზერ, მიდუნდება მაჯისცემა, ვილაც შემომიბღვერს შეღონებულს და ჩემს დამრიგებლად გადიქცევა. სუსტ მხრებს აიჩქავს, აიწურავს სკოლის მესვეური, მოკრძალებით მეტყვის: წაბრძანდითო, ვაჟაკურად, მთვრალი ნურასოდეს მობრძანდებით. მე მას გაეაჩუჩებ, გამიწყრება, მესერის სხაპასუპით, მიყოლებით; — გამოთავებულხართ, გაიწყდებით რომელ შენობაში იმყოფებით. მზერა მელურსმება წარწყურაზე: სადღა წამსვლება?..

... აღარსაით!..

ალბათ, ნაბახუსარს დავემსგავსე,

მისთვის მისტუმრებენ გლახასავით, წესს და მორჩილებას დაჩვეულ მთვრალს ვინ შემომხედავს გაუმწყრალად. წერენ: ლენინგრადში დაცემული ლოლა მამობილთან დაუკრძალავთ. კიბის საფეხურებგაცვეთილი სკოლა გამისტუმრებს ელვისუმად, სადაც უკანასკნელ გაკვეთილზე ზარის მოსასმენად შემოვსულვარ. სადაც შავარშიაშემოვლებულ ლოლას ხატებასთან მივაწვილე ჩემი განუყრელი ორეული — ჩრდილად გარდაქმნილი სიყმაწვილე. ქურა მიმაცილებს თბილისურად, ნელა, დარბაისლურ ნაბიჯებით, თითქოს მამშვიდებდესო ჭირისუფალს: წლებით დაყურსული დადინჯდები. დიდი სადარდელის გასართველად კვლავ ძველ სანახებთან მოვლასლასდი, ტვინში მეწერება ბართებად ფიქრი — მიმართული ლოლასადმი: „ჩემს თავს წარმოვიდგენ უცოდველად და რთულ სამყაროში აღმოვჩნდები. სადაც უქუდბედით უსწორდებათ ღრმა და ნაღვლიანი ნაოჭები. შებლზე ჯვარედინად გადახაზულ ღარებს გასხენება გადამაცლის, თავზე დამახსურავს ახალგაზრდულ ქოჩორს — პარიკივით გადავარცხნის. თვალის უპეებთან შემოკრებილ ხაზებს განსხვივება გამიგლუვებს და ცივ აკლდამაში შემოვყვები ძამაშემოვლებულ თაიგულებს. ნევის ნაყუმბარალ ნაპირებთან რწმენა დამაროქებს პირვანდელი, შეგთოვს უკანასკნელ პატიებას ჩენი სიყმაწვილე პირნათელი. ვილაც მიპასუხებს არდიმანდით: „ტეხო ლამეები გალალია და მის აკლდამასთან გაიბარდო, დაბადებიდანვე გავალა. ვინც შენს სამშობლოში დაბრუნებას გლოვას უშაადებდა განუქარველს, კუბო საუკუნო საკუთრებად თეთრი ღამეების გაუთალეს. ვინც შენს დამტირებლად დაიჩემე, ტანზე ბემბეცურა გადაყრია; ქვეყნის ტრიალივით დაიჯვრე.

რომ ხარ დაკიდული თავდაყირა...“
ბნელი სარკოფაგის მისავალთან
ვიდაც სისინებდა მსახურალივით
და ძნელ არსებობას მიწამლავდა
ტკბილად მოშხამული სახარინით.

რა ხმა ჩამესმოდა არდისული
ბეცი წუთისოფლის თანასოფელს:
„სახედაფლეთილი, გასისხლული
ლოლა სუარესი დაგახსომდეს!“
ძველი ასფალტივით გატკეპნილი
რალა ბედენაა შეხსენება,
როცა ღამეებში გათქვეფილი
სისხლი თვალებიდან მეცრემლებს.
ჩემს რთულ არსებებაში გაატარა
ომმა მწუსხარება სამართებლად,
არვინ მეგულვება ამპარტავანს
ხელის ჭირ-ვარამში გამმართველად.
თითქოს არასოდეს გადამედგას
ფეხი საქართველოს საზღვრებიდან,
ელდით გაოგნებულ ადამიანს
მხრებზე ხატებულები მასხდებიან.
ეწვევარ ბალახებში ჩამარხული,
მსგავნად უპატრონო გარდაცლილის,
თავზე საპატიო ყარაულად
ჩრდილი დამდგომია აკაციის.

და მზე — მეგობართა სანაწილო —
მთანგავს უმკაცრესი სასჯელივით,
შუბლზე მაწერია სამარცხვინოდ,
რომ ვარ მძვეალივით დარჩენილი.
ბორცვი ზოოპარკის მისავალთან
ძათრობს აფეთქებულ იასამნით,
ხოვნა ტკბილსახსოვარ მისამართთა
კენესის დაღუპულთა სიასავით.
ფიქრის გორასავით გადმომცქერის
მწარე გახსენება დაკეშულთა,
ნატყობ — მოუსვლელთა ამოწერიით
უნივერსიტეტიც დასნეულდა.
ვერის ხეობაში სიშავება
ჩრდილის — მწვანეიანზე მობალახეს;
ენანობ: სულსწრაფივით მიჩქარია
სწავლის გაგრძელება ომგადახდილს.
ღანით ამოკვეთილ, ზარნიშიან
ტირიფს მიფაკითხავ სტუმარავით,
სადაც მწვანეიანზე გაგვიშლია
მშვიერებს სტუდენტური პურ-მარილი.
ისევ სიმძიმით ავივსები
და სად კოროზია აკაციის,

თავზე მოგდებული სასმისებით
ჯიხვი გადმომხედავს ძმაკაცივით
ბილიკს წამოვყვები ყიამყარალი,
ჩემთვის ზოოპარკი სამოთხეა,
ბოღმად მოწოლილი ნიაღვარის
მინდა გინებებდა ამონთხევა.
ხელმოცარულობით გალახული
გაგზნდი აყვებულ გალიებთან,
თავზე დამაფრინდა გაზაფხული,
სულში იანვარი გამიმეფდა.
თავი საფიქრალით გამიმრუვდა...
მითრობს ზოოპარკის რიარია,
მარცხნივ გნაასია მიმუნთა,
მარჯვნივ — სოდომური ღრიალია.
თავი ზოოპარკში გავიფხიზლე
და როს მიმინელდა განრისხება,
უცებ, ლეოპარდის გალისკენ
ვიდაც გოგონია გაიქცევა.
ცისფერბაფთიანი, პაწაწინა,
ზამთრის ბალახივით მიღეული,
შედგა, შიშისაგან გამაცია,
ჯიქს რომ გაუწოდა ტკბილეული.
როცა ზოლებიან გორგოლასებრ
მეცი დაიგრაგნა გრძელკბილება,
ფიცხლად გავიჭურა გოგონასკენ,
შემძრა დედამისის შევიკლებამ.
ცეტი ცაციათი ავიტაცე,
ჯიქის მაყრუებდა გახელება;
ქებით, ფრიაბულით დამიფასეს
ბავშვის გადარჩენა მნახველებმა.
დედა ჩამეჭვია ახალგაზრდა,
კოცნა მყაწვილივით დამამორცხვა,
წუთით გასხვაფერდა, გალამაზდა
ჩემი არსებობა გასაოცრად.
წუთითა ჭაბუკობისდროინდელი
ვიდექ თავმოყვარე, მხრებგაშლილი.
— ჩვენთან წამობრძანდით! — მორიდებით
მეპატიებოდა დედა-შვილი.
თითქოს გაემთლიანდი ათწილადი,
როცა პატარამაც გადაამკოცნა,
თურმე შემძლებია ცაციათი
სხვათთვის სიხარულის გადალოცვა.
თურმე ტკივილებით განვიახლე
ჯანი გატანჯული თაბაშირში,
უცნობთ სტუმრობაზე დავთანხმე,
ალარ გამოვიდე თავპატივი.



კარტის ბაბუები თავგასულად
 ჭრიან მანდილოსნებს მაკრიაზე,
 ჩაქას ტრფიალები დარაზმულან
 ლამაზ ვალეტების ყაიდაზე.
 აქით პოკერია ჭაბუკური,
 აქით პრეფერანსი ხანდაზმულთა;
 ფაქტი მეცხრამეტე საუკუნის
 პირველ ნახევარში გადაცურდა.
 ნარდის ოჯახიდან ოჯახამდე
 დარბის, დაწკრილებს კამათელი.
 სანამ იფინახეს მოენახვადე,
 ვდგავარ ხარდანით გასათლელი.
 ჭაღჭეშ დიდებულად გადაშლილა
 სუფრა — სანოვაგით გაზნეკილი,
 ირგვლივ ათნაირი თამაშია,
 თან მე მკითხულობენ გაზეთით.
 ვილაც წითელკაბა ლამაზმანი
 ისე აღრიალებს მაგნიტოფონს,
 თითქოს მოესურვა განაზხარი
 თავი ხელმეორედ დამითოფოს.
 ალბათ, უცნობებში მომწვედელი,
 ვდგავარ ტყიურივით გამომწვევად,
 ვცდილობ, საგანგებოდ მოწვეული,
 მღვრიე ფიჭვებიდან გამოღწევას.
 „ტვისტი“ „ბუგი-ვუგი“ შეიცვლება
 და მე წამომცდება ნაღვლიანად:
 — ასეთ ბაგაბუგში შეიძლება
 ჭერი ჩამოინგრეს ჭაღიანად. —
 კარტის მოთამაშე ყმაწვილთაგან
 ურთი მიპასუხებს გაღიმებით:
 — წყნარზე უწყნარესი მთაწმინდაა,
 მაგრამ აღმართზეა, დაიღვებით.
 პოკერს შეივრდომებთ იმედია, —
 თქვა და დამენანა პასიანსად
 მასთან გამეშალა პენსიასთან
 ერთად სტუდენტური სტიპენდია.
 — არ გსურთ? — გადმომხედა დაყვავებით,
 მასგან შებრალებამ გამარია, —
 თქვენი ნებისყოფით აყვავდებით,
 ხვალვე ითამაშეთ ლატარია
 წლობით ხვედრისადმი მორჩილებამ
 წუთით შემანჯღრია, გამაფხიზლა,
 მისგან ნაჭებარმა მოთმინებამ
 იხსნა უძვეელი გალახვისგან.
 თან ვერ გავიმეტე ასაშლელად

სუფრა — დაზინული სანოვაგით,
 რომლის სილამაზის ჩასანთქმელად
 საჭმის კაცებივით ჩამოვლავდით.
 ლამის სინანულმა ამატირა,
 რომ ვერ გააწვანი ალიყური.
 მგედუდუკესავით განაპირას,
 ცალკე მოკვალათი გარიყული.
 ხუა წელს დროსტარებაგადანაწვევს
 ლხანის მენანება ჩაშხამება.
 „წავალ, აყალმაყალს გადამარჩენს
 სუფრის მიტოვება ნაჩქარევად“.
 ვფიქრობ, დვარცოფივით ამღვრეული,
 ლამის სიმარტოვით გაგნადგურდი,
 თურმე ადრეულზე ადრეული
 იყო გულმოსულის ვარაუდი.
 ჯერ რომ ფიტულებად წარმოიმდგნენ,
 ყველა ღირსებისგან დაცლილებად,
 ჩემსკენ მოკრძალებით წამოვიდნენ,
 მხარი დამიმშვენეს ყმაწვილებმა.
 თვითონ ალიყურით დასასჯელა
 წამსვე იმიტოვა დამორცხვებამ.
 სუფრის ხელმძღვანელის ასარჩევი,
 უცბად, სადღვრძელო გამოცხვება.
 და ის მასპინძელი ენამლაშე
 ცერას უღვაშებზე გადაისვამს.
 მეტყვის: — ღვინობანა მეთამაშე! —
 თან სკამს შეიფერებს თამადასას.
 „მისთვის ყველაფერი თამაშია,
 სტუმარს მეჭიდება დასათრობად,
 ალბათ, დაღვინებამ დააჩვია
 სიტყვაკვიმატობას, თამაღობას“ —
 ფიქრმა გამიელვა გუნებაში
 და კვლავ მომაკითხა სიმძიმელმა,
 მაგრამ ჯარისკაცულ ხუმრობაში
 თურმე ტყვიისებრი სიმძიმეა.
 ადგა მასპინძელი ფერგამკრთალი,
 ხალხის გარუმებას დალოდა,
 შავად გამოუჩნდა ხელთათმანი
 მხარზე დაკიდებულ სახელოდან...
 ჯამი ცაციათი აიტაცა
 და მე ალავერდით შემირიგდა, —
 ჩემებრ უმარჯვენო ჯარისკაცად
 შარშან ჩამოსულა ბერლინიდან.
 დინჯად, დარბაისლის თადარიგით
 თვალს არ მაშორებდა თვალფხიზელი.

სუფრას. გადმოხედა სარდალივით,
 ძმურად გადმოშმახა: — გამიძელი!
 ქვევამ ვალმოხდილი ოფიცერის,
 რიხმა, მარიფათმა გაგაკურმა,
 ჩემი წვლანდელი გაფიცების
 უსაფუძვლობაში დამარწმუნა.
 ხმა არ გაგვიღია ჯარისკაცებს,
 უხმოდ ერთმანეთში მოვბოდიშდით,
 სხვებმა სახეები გაიმკაცრეს
 რაღაც სამწუხაროს მოლოდინში.
 მას ხმა გაებზარა თამადური,
 წუთით დაემგვანა ნათამადარს,
 თითქოს აპირებსო დაღადრული
 ღია სარკმელიდან გადავარდნას.
 და ნან სუდარაში განახვეფი
 სიტყვა კურცხალივით გადმოლალა:
 — უფროს სახლიკაცთა დამმარსველი
 მეღა დავჩინალვ ნაბოლარა. —
 თითქოს დაცალესო ზარბაზანი,
 სუფრას მაჯისცემა გაუყრუვდა:
 ომის სახსოვარი ნავაზნარით
 ხსოვნის დაიღია დაღუპულთა.
 თითქოს აიზარდა, ელვისუმალ,
 მიწა — უზარმაზარ ზამბახებად,
 თითქოს საწადელი შეისრულა
 ელდამ, — თამადისკენ გამახედა.
 წელან გამართული საროსავით,
 ახლა მოხრილიყო მწუხარებით,
 ჩვენმა მასპინძელმა საოცარი
 წუთი გაიხსენა წუხანდელი:
 „ვიღაც მიჭრის გზაჯვარედინს;
 — ცოცხალი ხარ? — მკითხავს;
 ხელს ჩამბღუჯავს, გაგჯავრდები:
 — ვერ გიცანი! ვინ ხარ?..
 მის თვალებში გუბედ დგება
 უცაბედი ცრემლი,
 ჩვენს შესვედრას უერთდება
 ქურჩის ღრინაცელი.
 — ვინ ხარ?.. ბიჭო, ვერ მიციანი?
 აღარც ქერჩი ჯახსოვს?
 — ვერა, ვერ გცნობ! — ვეტყუა კრძალვით
 ნაილაღვე ნაცნობს.
 — სისხლდაცლილი, ჯანდაცლილი
 მაგათრეფდი ცხედარს,
 მე ნეკონე გარდაცვლილი,
 ისევ ცოცხალს ვხედავ.
 ფრონტზე ხვთისოს მეძახოდი,

გახსოვს? ახლა მიციან?

— არ ნინახავს ქერჩის ფრონტი
 ჩემს კაცობას ვფიცავ. —
 ვუბახუხებ დარცხვენილი
 ომგადახდილ ქართველს,
 ისიც ვლდანაცემივით
 თვალებს მომანათებს...
 ვეტყვის კრძალვით, მორიდებით
 და ხელების გაშლით:
 — მაპატიეთ, მომიტყვეთ,
 შემეშალეთ სხვაში.
 ხეთისო წამით გაქვავდება,
 ღრმად ჩახაფავს პაერს
 და ბოდიშით გაქანდება
 ქურჩის სულ სხვა მხარეს.
 ჩაინთქმება ხალხის ზღვაში
 ნაღველწორეული, —
 ვისაც ეძმოს სველ სანგარში
 ჩემი ორეული.
 მასთან პური უტეხია
 ჩემი სახის ყმაწვილს,
 ერთი ჯამით უხვრეპიათ
 კერძი ჯარისკაცის.
 უგებ ჩემი შუათანა
 ძმა შემოსვდა ქერჩში? —
 ვთქვი და მიველად შუალამინ
 ქალაქს ხელში შევრჩი.
 ... მას ეძებდა, ვინც დაკარგა
 და ვერასდროს ნახავს,
 თუ ფრონტული ძმობისმაგვარ
 შეგობრობას ახალს?
 ჩუმად ვიდექ შუა გზაში,
 ვიღაც მეძახოდა:
 ცოცხალსა და მკვდრის წინაშე
 გმართებს ვალის მოხდა!..
 სამარისებურა მდუმარების
 ჟამი გაგვიმეფა მასპინძელმა,
 გვიანფთქებადი ყუმბარების
 მსგავსი მოლოდინი გაგვიგრძელა.
 შემძრა დაყვილებამ თამადისა:
 — დარდი სახმისებით გადავლობოთ! —
 ისევ ძველებურად გახალისდა
 კაცი გაჩენილი საღალბოზოდ.
 „გამომუშვებულა ლაზარეთში,
 შინ არ დახვედრია განსაცდელი“, —
 ვთქვი და ჩავაბრუნე საგანგეში
 სიტყვა, ვაზნასავით დასაცლელი.

ვაბმულ „ოდოიად“ გადაიქცა ჩვენი საგანგებო თავყრილობა, ლხინის გახურებამ დამავიწყა წლობით უძილობა, დაღლილობა. ტაში დაუკარი წარმოდგენით და ჩემს უნებურად, უნებლიედ, მხერა საცეკვაოდ წამოფრენილ მოძმეს მივაპყარი ლულებივით. შურით მივაშტერდი ხისფეხიანს — ფხვჭვეს ნაპერწყლები დასეოდა; ასე არასოდეს მზიზღებია ჩემი უსუსური არსებობა. ცალფეხმოკვეთილი, უმარჯვენო კაცი ციბრუტივით ტრიალებდა, სხეულს გადაბელილს უმჩატებდა წუთისოფლისადმი ტრფიალება. მტრებზე გამარჯვების ბადალია ლაღი მასპინძელი სტუმარისთვის; და მე ვალმერთებდი ადამიანს ტაშის დამკვრელადაც უვარგისი. ქალაქს გადავხედე ვაღვიძებულს, ღია სარკმელისკენ გაენაპირდი, ჩემი საფიქრალით მამისეულ ნადარბაღისკენ გადავფრინდი. მანდა მომისმინოს მამაჩემმა: როგორც დაბრუნებას წარსულისას, ვედარ ვედირსები გადარჩენას ფრონტზე დაღუპული ქალწულისას. ვედარც წუთიერი დამშვიდება, ვედარც შეუღლება მოვასწარით. ლოლა სუარესი ფაშისტებმა მოკლეს ფედერაციო ლორკასავით. თბილისს გადავცქერი ნაღვინარი, ჩემს წინ გარიჟრაჟი სადგურდება. ცნობა — სასაფლაოს დამღიანი — მეწვის ჭირისუფალ საბუთებთან. უკრავს საცეკვაოს რადიოლა და მე — ღამენათევს, სისხამდილით თვალწინ მოგონებამ გამიჭროლა, ზღვისპირ მიფრენილი სიზმარივით. ჩემად გამოჟონავს სიანული და სულს ამაწეწავს განთიადი, ვით ჩემს არსებაში მიმაღული ეჭვი საკუთარი თავისადმი. თითქოს ფინიშისკენ გასაქცევი ვუდი ესტაფეტის გადმოცემას, ძარღვებდაჭიმიული გადავცქერი

თბილისს — დედამიწის საოცრებას. ვუმზერ სასახლეთა მოქათქათე სვეტებს, ვაზრახვეულ მარმარილოს, მათთვის სისხლდაღვრილი მოქალაქე ლამის გასხენებამ გადამრიოს. წუთით მეჩვენება მარადისი, რაც ომს დარჩენია შეუმჩნეველად; ვუმზერ სამაისო პარადისთვის ჯარას მოედანზე შექუჩებას. მშობელთ მხარბეჭებზე შეფრენილი ჭვრეტენ ბიჭუნები, გოგონები: მწვანედ შეღებილი კედლებივით იძვრის ჯარისკაცთა კოლონები. თრთის პროსპექტი ჯარით სავეს, გადავცქერი გაოცებით: თვლემენ მწვანე მანქანაზე დატოტვილი ნაღმტყორცნები. შავ ცხენებში გარეული ერთი ფლალფაფარა რაში როკავს, როგორც ადრეული გაზაფხული ალბანაში. მწვანე ტანისამოსიდან რომ მიშურენ საზეიმოდ, ჭადრებივით ამოზრდილან ზარბაზნები საზეინტო. და ჯარს — მწვანე სამოსიანს, გამოუვლელს ცხელ ქურაში, კარგად ჯერ არ ამოსვლია აჯგჯლილი წვერ-ულვაში. მწვანე კოშკებს ამზურებს მზე — ჯავშანზე ანთებული, ნეღლი თივით სავეს ურმებს ჰგავს სატანგო ათეული. მწვანე პროსპექტს ძლევის მარშით მისდევს სოფლის იდილია... ნეტავ ახლა ვიყო ბავშვი — ფოტოგრაფთან ალბანაში შემერთალს როცა მაკივლია... არ ვიცოდე, ზარბაზანში ჩიტია თუ სიკვდილია. სოფლის იდილით შენიღბული მწვანე საჭურველის დანახვისას, მტკივ: საფეთქლები შეჭირბული, ვფიქრობ დედულეთში გადახიზვნას. ჯარის სამაისო სამზადისი ღია ფანჯარასთან გამაჩერებს. ჩვილ ბავშვს აიტაცებს მამამისი,

მეტყვის გოგონიას გადამრჩენელს:
— თავი ჯარისკაცურ დაიფასე,
ჩემს მკლავს დავერდები მკლავფიცხელი:
სტუმარს ცაციათი ცაციაზე
ძმურად გადამეჭოდ მასპინძელი.
ერთად გადავხედეთ სარკმელიდან
ქუჩებს — მაისამდე გაუცინართ, —
რაც ჩვენ სიცოცხლეში დაგვეკლბია,
მათ სხვა თაობაზე გაუციათ.

თეთრად მოზრდელია სასახლეთა
შუქში ჩაძირულნი მყვინთავებადა,
თბილისს ჩავცქეროდით, ჩახჩახებდა
დილა -- ცვარდაყრილი, შვისთალება,
მწვანედ მოხახხასე საგრილობლად
თავზე დავეცქეროდა შენაბადა
და ჩვენს სიყმაწვილეს დასტიროდა
შავი ორთქლმავალი გარდაბანთან.

თ ა ვ ი 18

გვიმრში ჩაყვანთული ვიძირები,
ჩუმად ვგორგალდები ღვედისებრად
და მწამს — წამიერი მიძინების
გამონალირება მეღირსება.
ბოლმად გახვეული წვრილმანებში
ერთხანს სიმარტოვემ მამურთავა,
როგორც წათვლემილი პირფარეში
ბინამ გამაღვიძა საკუთარმა.
თითქოს ეშელონში დაღუპულნი
მხმობდნენ შეუვალი გარემოდან,
თეთრი ჭერკედლების ზარგუკუნი
ჩემდა გასაგონად განმეორდა.
ხანძარგაჩენილი ბაზარივით
სახლს რა აგნიასებს ასბინიანს,
როცა ნოუსაგლეთს გაგზავნილი
ხალხით ოჯახები დაცლილია?
როცა მოსაგლოვი მოგლოვილა
და ვინც კავკასიის დასაცავად
მთებში დაცემულის ობოლია,
მალე დაკაცდება სადაცაა...
როცა დანგრეული ჭალაჭების
ჩონჩხი სორცშესხმული აღდგენილა,
როცა წლეფანდელი გასაგნები
გზები შარშანდელზე ნათელია!
მაშ რად შეჩვენება სარკმელიდან
ხალხი მოღუშული, დადღასმული,
როცა გაუქმებულ სანგრებისგან
არ წუხს ღეღამიწა დახაზული.
ეგებ განმეორდა საშინელი
რისხვა, მოხეტყილი წარდგნასავით? —
ეფიჭრობე გულუბრყვალო მარჩიელი
და არ წამესვლება აღარსაით.
მაშ ამ გაერევილი კონსპექტიდან
წელან ამოშლილი ასოები,

რაგვარ სასწაულით ცოცხლდებიან.
როგორც გარდასული ნაცნობები.
ან რამ აატირა ოქტომბრელი —
ჩემი მეზობელი — სუთოსანი,
რისთვის ითალხება ოქროსფერი
ჩარჩო სურათისა, კუბოსავით.
აჰა, სადაცაა გამისკდება
თავი დამიკვნესებს გაბზარული,
ვარეთ გავვარდები, მავიწყდება
უცბად წამოსტომა აკრძალული.
ხალხი — თავდაპირილი, დაეტყვილი
ქუჩებს შესვლია მოროდევით.
ღელავს რადიოსთან თავშეყრილი
რალავ გარდუვალის მოლოდინით.
ზარი დარევილი კურანტების
კვავდა ერთგულების დამტკიცებას,
თვალყურს ვადგენბდი ყურადღებით
ქვეყნის წინამძღვარის მაჯისცემას.
მის წინ მშენებელთა არმიები
დადგნენ ძილგატეხილ ეჭიმებად,
ბოლოს, შევიკვლება საყვირების
იქცა მოჭვითინე რქვევიმად.
მჭახედ დააკვილეს ორთქლმავლები
ქველი სასაფლაოს განაპირას,
მისი სურათისგან მოფარებით
ქვეყნის სიმამილიმა ამატირა.
და გზა, უსაშველოდ შორი,
მოკლე ბილიკებით მოვჭერ,
თავზარდაცემულმა ორი
მამა მოვიგლოვე ორჯერ.
ბოლოს უხალისო წლები
მძიმედ წალასლასდნენ სხვა გზით,
როგორც ტყუპისცალი ძმები,
სახით ერთმანეთის მსგავსი.

ქვეყნის უბარაქო მესვეური
უნდა მოგვეთმინა გაისადაც,

ბოლნა — მაღაზიებს შესეული —
პურის რიგებივით გაიზარდა

თ ა ზ ი 19

დროის მონაკვეთი ოცწლიანი
უკვე ამოივსო მიწურივით,
ქვეყნად უთავბოლო წოწილის
ქრება სურვილები მიწურივით.
ჩემი ბალაფერი, საფუძველი, —
დაუოკებელი, დაუმდგარი, —
სული განიწვრთნია გაუწვრთნელი,
ირგვლივ მომაზღუდავს საგუბარით.
მე ჩემს არსებობას ვედავები,
რაც ჯერ გაურკვეველ სიზმარშია
და რაც, წინაპართან შედარებით,
არასრულყოფილად მიმაჩნია.
მკერდზე მაგნიტური არესავით
მიკრავს საკუთარი გალაქტიკა
და არ წამესვლება ადარსაით
მამის დანატოვარ ქალაქიდან.
მე აქ ელექსირად გამოხდილი
წლები წვეთ-წვეთობით მითავდება,
მე აქ წვეიცანი ვალმოხდილი
ქვეყნის დღევანდელი ვითარება.
ასეზით აკლებული, გათელილი,
მტერზე გადასხმული ქედაფივით.
ჩემი ქალაქია ქართვლივით
რთული, ხელმართალი, ქაბაძვირი.
აქ ვინც აღზევებით მიიწვევდა,
ურგო მდინარეში გადაგდება,
ცოტას ღირსებია თბილისელთა
ხელათ აგებული ქანდაკება.
მე აქ სასაფლაოს მიგაიკითხე,
მამას მიგაიკითხე მონაგარმა,
სულის შეურყენელი სინატიფე
ვინც მე შესანახად მომბაზრა.
რიგით ჯარისკაცად დაბადებულს
ძველს ვინ ქველმოქმედი აუგებდა?
ფიჭო ჯვარედინად დალაგებულ
ქვეზე ქანდაკივით სადგურდება.
მამის გამოჩენას ველი
ხვალის იმედებით სავსე,
ჩემსკენ გამოწვდილი ხელი
თბილად შემეხება მხარზე.
რიდით შემყურებენ ჯვრები:

მკერდზე წინაპარი მიკრავს,
ფრთების შეურხეველად ვწვდები
ლურჯად გაღვავებულ ცისკარს.
ტკბილად დამიყვავებს მამა,
როგორც გაწბილებულ ყმაწვილს...
ჩემი გადარჩენის ამბავს
წიგნად გადავუშლი თვალწინ.
შშობელს წავუკითხავ სწრაფად
მტერზე განარჯვების ფურცლებს.
წრფელს და ალაღმართალ ნათქვამს
მამა გულისყურით უსმენს:
ახალ თაობათა აკვნებს
არწევს საუკუნე ჩქარი,
ქარხნებს სურნელებს აკმევს
ზღვიდან მოვარდნილი ქარი.
ქვეყნის ძლევათსილ ძახილს
უსმენს დედამიწა მთელი,
იღწვის მთომარი ხალხი —
პირში სინამდვილის მთქმელი.
ძველი სასაფლაო მისმენს,
ვდგავარ ქუდმოხდილი ქარში.
ალბათ, ვეგონები ვისმეს
წერასატანილი ბავშვი.
წუთით მოკრძალება მძალავს
და ხმის ამოღებას მიშლის,
მინდა გავუშხილო მამას
ჩემი წუთიერი შიშიც.
მინდა გავუშხილო სატივარი
ჩემი გულწრფელობის მოიშედეს:
მაჩტო სარგებლიან-სარფიანი
საქმე აფსფუსებს ზოგიერთებს.
მინდა გულახდილად ვამცნო,
წრფელად მოვასენო მამას,
რომ არ მაბატიებს აწმყო
სულში სამდურავის მალვას:
ზოგს თუ ნოვუსადე ქუდი,
კუსტად გადნომხედავს მადლით,
ზოგი დაუსჯელი ქურდი
დადის თვითგამყოფილ სახით.
ზოგი ახურდავებს ხვალის
რწმენას, ფოლადივით მტკიცეს,

სიტყვა „ამხანაგი“ ლამის
კრების საკუთრებად იქცევს.
ახლოწინაპარი თითქოს
უცებ მამიხვდაო სათქმელს.
მეტყვის: გაბედულად თვითონ
რად არ გაუძღვები საქმეს?!.
რად არ მიაშველებ სიტყვას
ქვეყნის ცხოველმყოფელ ძალას,
რად არ ჩამოახვევ ნიღაბს,
ვინც ჩვენს სინამდვილეს სწამლავს.
გახსოვს?.. ბავშვობაში დაგიშლია
ძველი ხელთოფები, თოჯინები...
ვეღარ ავიწყვია, დაგიფშვინია
შენი საწოდელის მორჩილები.
გრჩება განზრახვებიც ასაწყობი,
როგორც უხელფეხო ტიკინები,
სცდები. მეორდები ათასწლობით
და თან უძღურავით იგინები.
ღრმობისდროინდელი სიმზარივით,
თუ კვლავ შესაცნობად მოგემატა
ბრუნვა ცვალებადი სინამდვილის,
სახეცვლილებანი დროებათა...
მამინ ნიეძალე საჭოჭმანო
საქმეს — მასხართა საქილიკოს,
თორემ გაგწირავენ საჭოროად,
როგორც ხელმოცარულ აღქიმიკოსს.
რისთვის მოგჭამია სახე?
ჰვითხე სადარდელი მოყვას;
ღრუბლის შვეუმწვევლ ნახევს

ღრუბელთ ჭარავანი მოჰყავს.
ეგებ გირჩევენია ჩრდილში
იდგე მოწმესავით ხვალაც!
თუ ხარ ჯარისკაცის ჯიმის,
სიტყვას მოიქნევედ ხმალად.
მინდა დარბაისელს ვკადრო:
ვიცა, დავაშავე ბევრა,
ვიყავ კმაყოფილი მართო
ჩემი დღიურების წერით.
ისევ გულახდილი დავრჩი
შენგან დანატოვარ ქვეყნად;
მინდა შევესავო ხალხში
და არ ჩამითვალო კვეხნად,
თუ ჩემს დაგუბებულ სათქმელს
ზათქით, ქვემეხივით დავცლი,
რადგან სიომამეს მმატებს
წინდა წინაპართა ღვაწლი,
რადგან პროლეტარის სისხლით
გული საგულეში ფეთქავს,
მამავ, მე ვიქნები ღირსი
შენი მონაგარი მერქვას!
ვთქვი და შემობრუნდა ხილვასავით
ძველი სასაფლაო ხოჯევანქის;
გზა-გზა სურნელოვან იასამნის
თოვლში ვფელობოდი კოჭებამდის.
და შორს, მასრებივით ჩაქანგული
თვლემდნენ ქოსმახები არსენალით;
წრეში მამბრუნებდა გაზაფხული,
მძლავრა მაგნიტური არესავით.

ღ ა ს კ ს რ უ ლ ი

დროზე დავამტვრევ ახლებური
რიტმით დაქანგული ურდულეები,
ჩემი გულისკარი გაღებული
აიყდის, რედაქტორო, რუდუნებით.
და თუ სიმლაშეა შერეული
პწკარში გაღობილი ქვამარლის,
სიტყვით შეურიე შენეული,
ღერწი გაუსხალი თალარივით.
თუ ძველ დღიურებში ჩავგრჩენია
ღია ჭრილობები ახალბედებს,
რა ვქნათ, დედამიწაც დაჭრილია,
მაგრამ სატკივარი ახვეურდებს.
როგორც სინამდვილის უარყოფა,
თავის მოტყუება უსასრულოდ,


ასე მესახება უაზრობად
ჩემი არსებობა უწარსულოდ.
კანონზოციერად მიმჩინია,
რომ ჩემს არსებაში ზღვაოდენი
სისხლთან შენარევი სიმლაშეა
თვითმალყოფილების გამომდენი.
უკვდავ აფორიზმთა ბადალია
და არ დაძველდება ქადაგება:
„ხვეწავს, აკეთილებს ადამიანს
თანდათანობითი დაბადება“.
ჩრდილს და დაკაცებას დაუწმინდავს
ჩემში თავოყვარე ხასიათი
და რაც დამკლებია გაუცინარს, —
მისით გამჩენია ხვამაიდი.

რაც ჩემს გარემოში აღმართულა —
 ძნებად, შენობებად, ჯებირებად,
 როგორც ფარვანები ფრთხაბტულა
 ხვალ ჩემს სინათლეში შეფრინდება.
 არ ვოხვო უსაბაბო პატიებას
 ჭარხხებს, ელსადგურებს, წყალსაცავებს,
 რადგან ატირებაც, ალტკინებაც
 მათმა მშენებლებმა დამასწავლეს.
 და რაც დამებედა გამშწარებლად,
 რომ არ გამემხილა — დამასწრობდა
 ძველი ტკივილების დასაძლევად
 წუთით ჩამოვსულვარ ხარაზოდან.
 აღმოსავლეთიდან გადმოღვრილი
 ცისკრის მესხურება ათინათი,
 კონტურირებული, ჩამოღლილი,
 რვეულს ვაჯახირებ ცაციათი.
 მთვარე შვორთქლილი იღუნება,
 როგორც გასატეხი თორწული,
 და მე ვიფურცლები დღაურებად
 შენი უცნაური ორგული.
 მწერდა ახალბედა კალმოსანი
 და მეც დაშლილივით გაემთლიანდი,
 როცა ერთფეროვან აღმოსავლის
 სპექტრში გაითქვიფა განთიადი.
 თვალწინ უთვალავა ნაპერწყალით
 გაჩნდნენ თვალთახედვის ამრევეები, —
 ჩემი მაგნიტური არესავით, —
 სხვათა მაგნიტური არეები.
 სამი მილიარდი სამყაროდან
 კანონზომიერად, ჩვეულებრივ
 ყველა ერთნაირად ამაყობდა
 რაღაც იდუმალა ზებუნებით.
 რთული, მიწიერი არსებანი
 ერთურთს ჩამოჰგავდნენ სიზვიადით,
 მძლავრი მაგნიტური არესავით
 მე მათ ორბიტისკენ ვიზიდავდი.
 რაღაც საოცარი გახელებით
 ერთურთს განელტკვოდნენ მნათობებად,
 კრთოდენ დაბნეული სახეები
 და მათ შემხედვარეს მათრთოლებდა.
 ყველას საკუთარი მაგნიტური
 არე აცოცხლებდა საარსებო,
 სწრაფვა იტაცებდა მაგიური
 დროს და სინამდვილეს გავასწრებო.
 მძლავრი მაგნიტური არესავით
 მეც ამ ომტრიალმა მიმიზიდა
 და არ წამესვლება აღარსაით

ჩემი დამპყრობელი თბილისიდან.
 მე ხე ცხოვრებისა ანდამატი
 მარჩენს, მასულდგმულებს ნუერიანი,
 მე ვარ დედამიწის დანამატი,
 მისი თანამგზავრი უჩინარი.
 მიწის სიყვარული გასართლიმა
 წლებმა პირჯვარივით გადამსახეს,
 ციებ-ცხელეუნიანს, ნაცოდვილარს,
 ძილმაც საჭართველო მაცაცხახებს.
 ჩემთვის აუნთია გაზაფხული
 ბიძებს — მამაჩემის თანასწორებს,
 ჯაჭუურ რეაქციად გადაბმული
 აწმყო წარსულიდან მასაზრდოებს.
 მისგან აღარსაით წამესვლება,
 დაუნაყრებელი გურმანივით.
 ბოლოს დამაკლდება წახემსება
 ჩემსავ დასაკრძალი პურ-მარილით.
 და კვლავ ვიმოვრებ უცალობლად:
 ვთქვი, რაც მიწუხებდა, მაშწარება.
 ჩემს გმირს დროისადმი გულცივობა
 მხოლოდ ურწმუნოსგან დასწამდება.
 იგი დედულეთში გადასახლდა
 და კვლავ ჯარისკაცად წოდებული
 იხდის წუთისოფლის გადასახადს
 ჩემი უცნაური ორგული.
 მას არ ვიხსენიებ სიბრალულით,
 რადგან მოკვდავებზე დღევრძელია.
 მკლავი, დაქარგული სიყვარული
 შვილის დაბადებით შესძენია.
 რაც მას აკავშირებს გარემოსთან
 და რაც წარსულიდან დაღუქვაა,
 მის წესს, ყოველდღიურ გარემოცვას
 ჩემი მაგნიტური არე ჰქვია.
 ფოტოსურათიდან გადმოხრილი
 ბავშვი მეფერება ბროლისყვლა,
 და მწერს მამამისი ვალმოსდილი:
 გოგოს დავარქვით ლოლაკვლა.
 ბარათს ვაქტურდები აღელვებით,
 არ მწადს სიუჟეტის გართულება;
 მიგვირს — უცხოური სახელები
 რარჩე ბუნებრივად ქართულდება.
 და წრე ჩვეულებრივ ირკალება:
 მინდა ტრანზისტორით დავიჭარო, —
 ზღვიდან მოგარდნილი გრივალებად, —
 ძველი ესპანური კაპრიჩო,
 რომლის ჯადოსნური გაეცეცლება
 ლოლას რომანსეროს მივამსგავსე

და მწვავს, გაფანტული ნაპერწკლებად,
 სულის ხელთუქმნელი სილამაზე.
 ყრმობის ირეალურ სიზმრებიდან
 სისხლის ბურთულებში შემალული,
 ზემძლავრ გლექჩერებად იზრდებიან
 შესაძლებლობანი რეალური.
 ძალთა წარმშართველი არხებიდან
 ვდგები, ვეჯახები გულძუნწობას,
 დრო არ მინანავებს არხეინად,
 როგორც თვალაუხელ ძუძუმწოვარს.
 რწმუნა არასოდეს გამზარვია

სხვათა უწმაწური მონატორით,
 თითქოს დედამიწა ბაზარია
 და ჩვენ — უსარცხვილო მოვაჭრენი.
 არა, დედამიწა სამყაროა,
 სადაც, წყაროსავით ღურჯტალღება,
 მოჩქეფს, განახლების მახრობლად,
 დიდი სიყვარულის უკვდავება.
 ჩვენ ვართ სიყვარულის მოსარჩლენი
 და თუ სათუთა არჩევანი,
 ბასრი ორლესულის მომარჯვებით
 მკლავი მომაჭერთ მარჩენალი.



საქართველოს სსრ-ის სსრ-ის სსრ-ის სსრ-ის

მ თ ხ რ ბ ა

ძელებითა და ცემენტით დატვირთული, ძველი, ნიჭარებმოკიდებული ხომალდი „ქორთხი“ სუსხიან დილით გაშორდა გემმისადგომს და ნავსადგურის კარისკენ გაემართა.

თმაშეთოვლილი, შეზარხოშებული კაპიტანი ავთანდილ თოლორაია კაპიტანის ბოგიდან ნალღლიანად მისჩერებოდა გემმისადგომს, სადაც მხოლოდ ერთი კაცი — ყურებზე ქუდჩამოფხატული, ნაცრისფერსაწვემირიანი, მობუზული სანაპირო ნაოსანი იდგა.

„რა საშინელია სიბერე, როცა ცოლ-შვილი არა გყავს, მშობლები, მეგობრები დიდი ხანია მიწას მიაბარე, ზღვაში შენი გასვლა დარდს არავის აუშლის და დაბრუნება არავის გაახარებს.“ — ფიქრობდა კაპიტანი.

ხომალდი ფოთის ნავსადგურიდან ღია ზღვაში გავიდა.

დეკემბრის მზე ანათებდა, არ ათბობდა.

ოდნავ აფურთუნებულ მუქ ლურჯ ზღვაზე უამრავი თეთრი წერტილილი ლიფ-ლიფებდა.

კაპიტანი მტრედისფრად შედგებულ, თამბაქოს სუნით გაყვანილ თავის კაიუტაში შევიდა, პალტო გაიხადა, წამოწვა, თვალწინ ისევ აეხატა მოდიდებულ რიონში ხიდიდან ჩამხტარი მოლისფერთვალეზიანი, ოქროსფერთმიანი, ყელყარყარა ქალი. ხიდზე მიმავალმა ქაბუჯმა ავთანდილმა მღვრიე წყალში გაჭირვებით მცურავ ქალს თვალი მოჰკრა და მყისვე გადაეშვა მდინარეში. ქალმა

თვალეზბრიალა მეზღვაური ახლოს რომ იხილა, დაიკვილა: არ გამეკარო! საყვარელმა მიმატოვა და სიკვდილს ვეძებო. ავთანდილს შეებრძოლა, სახე დაუქაწრა, ნაპირზე ამოყვანილმა კი მომხიბლავად გაუღიმა არყისაგან ჩანისლული თვალეზით, ღამაში სავეს მხრები შეათამაშა, ლოყაზე აკოცა და ალერსით უთხრა: ცოლად თუ მითხოვ, სიკვდილამდის შენი ერთგული ვიქნებიო.

ქალი ჭერ შეეცოდა, მერე შეუყვარდა, მხოლოდ სამი წელი იცხოვრეს ერთად. ავთანდილი შორეულ ცურვაში რომ იყო, ქალი ვიდაც იტალიელ მეზღვაურს გადაეყარა და გაპყვა...

საოცარია ადამიანის გული! მას შენდეგ ორმოცი წელი გაფრინდა. გულიდან კი ვერც ქალის მშვენიერი სახე ამოირეცხა და ვერც დაბრუნების იმედს შეეღია.

ხომალდი ყულევს რომ გაუსწორდა, ზღვაური ამოვარდა, ანძებზე ანტენები, მავთულეები ააუღერა და ჩქარა ჩადგა. მცირე ხნის შემდეგ ხომალდს ეკვეთა მძაფრად, მსუილით, ზავით, ანძებზე ჩამოჯდა და გააფთრებით გააბა სტვენა, თითქოს ციკლონებს, ტორნადოს უხმობდა წყნარი ოკეანიდან, ანტარქტიკიდან..

ზღვა თოვლისფერქოჩრიანი ზვირთებით დაისერა. ქოჩრები ადგილს ინაცვლებდა, ზოგან ფართოდებოდა და გრძელდებოდა, ზოგან პატარავდებოდა და თვალთაგან იკარგებოდა; თითქოს დიდი თეთრი თევზები ამოდოლნენ

ზღვის სიღრმიდან და ისევ იძირებოდნენ.

ტალღები სწრაფად ტანს იყრიდნენ, ქათქათა ფაფარს იზრდიდნენ.

სამანქანო განყოფილებაში მანქანა მღეროდა, კაპიტნის გულში ღამესავეით ღნებოდა სიბერის გამო დაგუბებული სევდა, გულს ეუფლებოდა ტალღებთან, ქარებთან შეჭიდების მძლავრი სურვილი და უცნაური სიხარული. როცა ზღვა დელავდა, სევდა ფეხს ვერ იკრძებდა მის გულში, იგი თითქოს ახალგაზრდავდებოდა, სიჭაბუკე უბრუნდებოდა. უყვარდა ბორტული რყევა, როცა ზვირთები ზომალდის ქიმს ჩანიანად ეხეთქებოდა, ხომალდი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ იხრებოდა, აკვანივით ირწვოდა და შეუპოვრად წინ მიიწევდა. მაშინ კაპიტანს ღრმა ძილი იტაცებდა ხოლმე. ახლაც ტკბილად ჩაქმინა და ხერხივა ამოუშვა.

შავი ქლიავისფერი ღრუბლები მძიმედ, მრისხანედ დაცურავდნენ ცაზე. მათი აჩრდილები ზღვის ზედაპირზე მოგზაურობდნენ, ხან ტალღებს მიჰყვებოდნენ, ხან ტალღიდან ტალღაზე გადადიოდნენ, იზრდებოდნენ, ილეოდნენ, ქრებოდნენ და ისევ ჩნდებოდნენ.

ცა ღრუბლებით რომ გაიჭვდა, ზღვამ ფერი იცვალა — გამწვანდა.

ქარი რანგოუტში ყმუოდა, ღმუოდა, ზუზუნებდა, გაჰკიოდა. შპანგოუტებს, ანძებს, კაიუტებს, ტრუშებს კრაჭა-კრუჭი გაუღიოდა. ბარომეტრის ისარი დამლა იწევდა. მაგიდიდან ჩამოცვენილი კალმისტარი, ფანქრები, ლარნაკი, ახალი ლილისფერი ქუდი იატაკზე დავორავდნენ.

მანქანის სიმღერა შეწყდა.

კაპიტანთან მისი თანაშემწე — ტანმაღალი, ახალგაზრდა, თავით ფეხებამდის სველი მარლენ ბარათაშვილი შეიქრა და მოახსენა:

— ზვირთმა კიჩოსთან ქიმი შელუწა, ფიცრები მოგლიჯა, პლასტიკი ამოვუღეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით, ტრუ-

მებში და სამანქანო განყოფილებაში წყალი მატულობს.

— აღრე რატომ არ გაქაღვიქოქოქოქო წამოიყვირა, წარბებზეგრაგნილი წანოვარდა, დაქანებული ხომალდის იატაკზე დაბარბაცდა, თანაშემწეს მიენარცხა. კაპიტანმა კარი ისე ღონივრად მოქაჩა, თითბრის სახელური ხელში შერჩა.

ჩამოქაფული შეფეხებით გაწუწული რამდენიმე ნაოსანი წყალს ტუმბავდა სამანქანო განყოფილებიდან. როცა ტალღა ხომალდს დააგვერდებდა, ნაოსნები მთვრალბივით ქანაობდნენ, წონასწორობას ძლივს იცავდნენ.

— რადისტი ხომ დაუკავშირდა ნაპირს? — ჰკითხა თანაშემწეს და გაიფიქრა: „ასეთ ღელვას წინათ ადვილად უშკლავდებოდა ჩემი ხომალდი. ახლა დაბერებულა, ვეღარ გაუძლო, მშორდება, ვერასოდეს ენახავ...“ გული ტკვილისაგან შეეკუმშა.

— აცნობა.

— ხომალდი იძირება, რაღას უცდით? შემოირტყით კორპის ქამრები, ჩასხედით ნავში, შენ გაუძლევები. — კაიუტაში შებრუნდა, პალტო ჩაეცვა, იატაკზე მოსეირნე ქუდს ერთ ხანს სდია, ვერ დაიჭირა, კინაღამ ზღარათანი მოადინა. გულმოსულმა ხელი ჩაიჭნია და თავშიშველი კაპიტნის ბოგისკენ წაბაცბაცდა.

კაპიტნის თანაშემწემ მკაცრად მზირალი დიდრონი თვალები გააყოლა ავთანდილს, უნდოდა კუმტად ეთქვა: „ხომალდიდან ფეხს არ მოვიცვლი, ჩაბანი ხომ არ გგონივარ...“ თავი შეიკავა, იცოდა კაპიტნის ხასიათი — ფიცნი, ჭიუტი იყო, შესიტყვება აცოფებდა.

ჩაფსკვნილმა, შუახანს მიტანებულმა მესაქემ კაპიტანს გაუბედავად ჰკითხა:

— რადისტმა ხომ აცნობა ფოტოს, რომ ვიღუპებით? — ხმა აუკანკალდა.

კაპიტანი მოიღუშა.

— საჭეს მე მივხედავ, წადი, ჩასხედით ნავში.

კაპიტანს ეგონა, მესაქე ყასილად მაინც უნარს იტყოდა წასვლაზე. შეცდა, თვალები სიხარულის ცინცხლებით ავე-

სო, ფიცხლავ ზურგი აქცია ზომალდის მეთაურს და ტრაპი ელვის უსწრაფეს ჩაირბინა. სხვა დროს ალბათ შეეზიზღებოდა შესაკე, მხდალებს ვერ იტანდა, ახლა რატომღაც შეებრალა: „იცის, ადრე თუ გვიან გამოვსალმება წუთისოფელს და მაინც როგორ ებღაუჭებმა სიციხლას! რა ძლიერი ყოფილა ინსტიქტი სიციხლისა!“

შტორმ-ტრაპი ჩაუშვეს, ნაოსნები, მემანქანე, რადისტი და კაპიტნის თანაშემწე მოტორიან ნავში ჩასხდნენ, გამბადარ, ჰალარაშერთულ, შეგვრემან ბოცმანს ანტონ ჩიქოვანს ამოდ სთხოვდნენ — ნავში ჩამოხტო.

— ახლავე ჩადი ნავში! — ბოცმანს მგვაფონით მიმართა კაპიტანმა.

უარის ნიშნად ბოცმანმა თავი გააქნია. ნავმა ნაპირისაკენ გასწია.

დაძარღვული, დიდი, ბალნიანი ხელებით კაპიტანი შტურვალს ატრიალებდა, ხომალდი აღარ ემორჩილებოდა, ნელ-ნელა იძირებოდა და მარჯვნივ იხრებოდა.

მწვანე ხავერდისფერი ტალღები ასკდებოდნენ ზომალდის ქიმს. კაპიტან-შენეგები აცვივოდა, ასველებდა, სახეს უწვავდა, ქარი სუნთქვას უძნელებდა. თმაბურღული ნავს კარგა ხანს თვალს აღევნებდა. ნავი ხან ტალღებს შორის უჩინარდებოდა, ხანაც ტალღის ბამბისფერი ქაფქაფა ქოჩორზე აცურდებოდა და კაპიტნის გულს ახარებდა.

ქარმა მიმართულება იცვალა, ახლა ტალღები ყოველმხრივ უტევდნენ ხომალდს.

შორს ქარბობრბალა ბობოქრობდა, ზღვიდან დრუბლებამდე აზიდული წყლის უზარმაზარი სამი მბრუნავი სვეტი ჩაღამებული ჰორიზონტისაკენ მიიქაროდა.

„ნაპირამდე ორი-სამი მილი თუ იქნება, ნავი რომ გადაბრუნდეს კიდევ არ დაიხრჩობიან, კორპის ქამრები აქვთ“, — ფიქრობდა კაპიტანი.

ბოცმანი კაპიტნის ბოგაზე ავიდა.

— ერთმანეთს ზღვებზე, ოკეანეებზე

შევაბერდით, ავთანდილ, გაქირებებს ეამს მიგატოვო? — დაიწყებდა კორპ ტალღების გრუხუნსა და ქაბახს. ტრიალში კაპიტნის ყურამდე ვხა ვაეკაფათ მის სიტყვებს. კეთილი, თაფლისფერი თვალებით გაუღიმა.

— მაშველი კატარღების მოსვლამდე იქნებ ზღვამ ჩანთქანს ხომალდი? მე, კაპიტანი ვარ, ხომალდს ვერ მივატოვებ. შენ ხომ ცოლშვილი გყავს! შვილიშვილები მაინც არ გენატრება? ამბობენ — შვილიშვილი შვილზე საყვარელია.

— კორპის ორ ქამარს ამოვიტან — შენთვის და ჩემთვის, — თქვა და კუბრიკში ჩავიდა.

ამ დროს უშველებელი ტალღა ხომალდს დააცხრა, კაპიტანი გაიტაცა და სათვალე წაართვა, ხომალდი გადააყირავა. ყინულოვანმა წყალმა კრიჭა შეუკრა, სუნთქვა შეუჩერდა. ირგვლივ მიმოიხედა — ევების ბოცმანს მოგვრა თვალიო. ბოცმანი არსად ჩანდა. „ნუთუ კუბრიკიდან ვერ მოასწრო ამოსვლა და შიგ იხრჩობა?“ ბოცმანს ეძებდა, ნაპირის დანახვას ცდილობდა, უსათვალოდ ვერაფერს არჩევდა, ჰაერი სავსე იყო ზღვის ქაფით, თითქოს თოვდა. სადღაც ბლოს ბოცმანი ეგულებოდა, უკეთ, თავს არწმუნებდა — ვაეკატურად ებრძვის ტალღებსო.

კაპიტანი ზღვას მხარტულით მიაბობდა, ჩქარა დაიღალა, პირაღმა იწყო ცურვა, სული ვერ შოიოქვა — ქარი შენეგებს ცხვირპირში სცემდა. „ბაყაყურს“ მიმართა, მიცურავდა მაგრამ საი — არ იცოდა. როცა ზღვაური ქარის, ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან. ბჭე ვერ გაიგებდი — ქარი საიდან ქროდა, ტალღა ნაპირისაკენ მიედინებოდა, თუ ნაპირიდან ბრუნდებოდა. ზღვა დუღდა.

სხეტლი ეთოშებოდა, ღონე ელეოდა.

„ნუთუ დაიღუბა ბოცმანი? ნეტავი ჩამჯდარიყო ნავში, ახლა შინ — ყულევში იქნებოდა“.

კაპიტანი ვეება ტალღამ დაჰფარა. ხელებსა და ფეხებს იქნევს, მაგრამ წყალი ძალზე მძიმეა, ვერ ამოურღვევია. ყლა-

ბავს მარილიან, გულისამრევ წყალს, გრძნობს მწვანე სიკვდილის ცივ კლანჭებს... თითქოს ღამდებდა... ავთანდილი ჩადის ქვევით, იქ მას მოუთმენლად ელოდებოდა ჭიკაბაშვილის ბოცმანი; ისინი ზღვებისა და ოკეანეების თვალშეუვლებ გზებზე შეაბერდნენ ერთმანეთს და ზღვის ფსკერზე სამუდამოდ იქნებიან ერთად... დაბორილდა, ისევ დაინახა შავი ქლიავისფერი ღრუბლები; ისე დაბლა ჩამოსულიყვნენ, თითქოს ზღვაზე დაწოლას აპირებენო. ერთი დიდი მოგრძო ღრუბელი სპილენძისფრად ეღვარებდა.

ავთანდილის საოცრად დამძიმებულ მკლავებს, მხრებს, ფეხებს ფსკერისაკენ ძალუმაღ რაღაც ეზიდებოდა. ტვინი გამალეებით მუშაობდა, გრძნობდა სიკვდილის სიახლოვეს და თავისი თავი ეცოდნებოდა: „მართალია, მოვხუციდი, მაგრამ აგრე უაზროდ რატომ უნდა წავიდე ამ ქვეყნიდან? იქნებ დიდი ხნის სიცოცხლე მიწერია! პენსიაზე გადავიდოდი, ტანხატულა ქალებსა და ყვავილებს ისევ ენახავდი, მერცხლის ჭიკტიკს გავიგონებდი...“

ავთანდილი ვეღარ ხედავს სპილენძისფრად მოელვარე მოგრძო ღრუბელს — ზევით ზღვაა, ქვევით ზღვაა, ყველგან ზღვაა... მან იცის, რომ სიკვდილს ვერ გაექცევა და შიშს, ცრემლისმომგვრელ უმწეობას განიცდის. მთელი მისი არსება ერთ აზრს, ერთ სურვილს შეუტყურობს: ამოვარდეს ზევით, თვალი გადაავლოს ზღვის ზედაპირს, იქნებ მოიჩქაროინ მამუელი კატარღები! მაგრამ არც ფეხი ეშორჩილება, არც ხელი. ჩამობნეულდა, წყალი ყორნისფრად იღებება, რვა-

ფეხას მიერ გადმოღვრილ მელანს ემსგავსება. მერე თანდათან საჩიქაროც შემოდის სინათლე, მატულობს... კაპიტანის გახელილ თვალებს კვლავ ბინდისფერი გადაეფარა, ბინდისფერი გამეფდა მის სულშიც. უეცრად გაელღმა: მოლისფერთვალებიანი, ოქროსფერთმიანი, ყელყარყარა ქალი ეხუტებოდა, ეჩურჩულებოდა: ავთანდილ! სიკვდილამდის შენი ერთგული ვიქნები...
* * *

ყულევში, იქ, სადაც ცისფერი მდინერე ხობი ზღვას ერთვის, ალვის ხეები შრიალებდნენ. მზე ჩადიოდა. ზღვის პირას სილაზე ფეხმორთხმული დედაბერი — ბოცმანის დედა ცის დასალოერს გაკუთრებდა, მოთქვამდა: მკვდარი მაინც მენახე, შეილო... ასე როგორ გაგწირა ზღვამ? შენ ხომ უსაზღვროდ გიყვარდა ზღვა! ოთხი თვეა ძელები და კაპიტანი გამორიყა ზვირთებმა, შენ კი სადა ხარ, შეილო?

გაზაფხული იყო და ზღვა მერცხალივით ელურტულებდა ნაპირთან, მოლისფერი პაწაწინა ზვირთები ეთამაშებოდნენ მზით გამთბარ ყავისფერ სილას, ზევით ამოდიოდნენ, ქაფს იკიდებდნენ, მოხუცის ფლოსტებამდე აღწევდნენ, მერე უკან იხევდნენ. დედის ცრემლი დაეცა შავი, გახუნებული კაპის კალთაზე დაფრენილ ჭია-მაიას და ფლოსტებამდე ამოსულ ზვირთში ჩააგდო. პაწაწინა ზვირთი ნაზად, ელურტულით ისევ ჩალივლივდა ქვევით და ჭია-მაია სამუდამოდ შეაცურა ზღვაში...



ღამე ანგულისა

ენგურაჲსის მშენებლებს!

სალამო ლიბრად წასილავს ღრუბლებს.
შორეულ თოვლის თეთრ ციაგაზე
იღვრება მთვარე,
ზვაგვების ხენეშა გადმოაქვთ ქარებს
და მყინვარების დაწყვეტილი
ჯაჭვის ზრიალი.

მშენებელთა ცეცხლი უტეხი
გრანიტის ლოდებს შესცახცახებს,
ისვენებენ ვაჟაკები ახლა ბრძოლის წინ
და მანქანები ნათამარი გიგანტიებით
დააყუდებიან კლდეებს მძიმედ.

ნაღმების ექო
გვირაბებში დაბუდებულა
და წყალი მოსჩქეფს
ჩამორღვეულ კლდეების ძარღვებს...
გათენებისას დაიწყება ისევ ომი
მყინვარებიდან მოვარდნილ ლომთან,
ნაღმებით ქვების შადრევნები აღიმართება,
აპრიალდება ვაჟაკების მუზარადები.
ვაშობ: ესენი როცა წარსულს გადაჰხედავენ,

მთებში მომწყვდეულ ზღვის ღრიალით
მოვა წარსული

ტიტანურ შრომის გასახსენებლად.
და ზღვის შრიალი გაანათებს
მათ სიჭაბუკეს.

ვიძახი, ენგურ,
მაღე ორ მთას მიგაჯაჭვავენ
გზაჩარაზულმა
სამუდამოდ უნდა იგმინო,
ცეცხლოვან კულზე იტრიალო
გველემშაბივით

და ანათებდე
ელექტრონის თეთრი ქარებით
სისხლით და ხორციით წამომართულ
ბასტიონიდან.

ვიძახი, ენგურ,
ლოდებისგან გამწყრალი წყალი
თეთრდება კლდეზე
მშენებელთა ცეცხლის ქვეშ გმინავს,
და შორეთს უშმა ჩაჰფრენია
ღრუბლებს ქორივით.

მ ე რ ე ა

ღარიკული ფრაგმენტები

აჭრიალებულ ეთერში შვკრთება
ხომლი.

მკერდზე მაყრია
მე ეს მთები ახლა ცარცივით.
პრომეთეს სისხლზე
ამოსული ყვავილებიდან
ჩნდება მედეა
და იტანჯება ფაზისის პირას
დამცხრალ აფრებთან.
მარგალიტების მშიშარა ეტლით

გამოიჭროლეს ტყე უნასებმა
და ჩირაღდნებით აიგოს ღამე.
კენესდა მედეა
ღამის ავსებას
და ურჩხულების ორკაბ კულზე
გოგირდის ალი
ია-იებად ლიცლიცება
უღრან ღამეში.
ჰეკატეს ტაძარს ანთებს მედეა,
დადნა კლდეები



აღმასთა ელდით.
პრომეთეს სისხლზე
ყვაილი კენესის
და განძარცველი სამშობლოს ბედი.

ქალწულის სარტყელს
ჯადო გაუთხავს,
გაუტაცნია გული ეზონიდას,
ქედების შტოებს
ზაფრანის ქარით
ააყვავილებს
და ჩაფა მთვარე.

მსხვერპლი კი მიჰყავს
ველად იაზონს.
ქარი აჩალებს ციციანთელებს,
გაიციმციმებს მახვილი ბნელეთს,
და მსხვერპლის სისხლზე
ძაღვები ჰყეფენ.
იმ ჯოჯობეთის შავი შიმშილით
შეწუხებულა ქარი ღალატით
და უზრუნველად სძინავს მზის
შვილებს.

შეე ჩაქრა
კოლხთა დახრილ შუბებზე.
ფაზისს ჩრდილები გადაეფანტნენ.
ვიღაცა შედის მსუბუქად ტყეში
და აატირებს
ღამეს პეპეტ-
ისეე მობრუნდი
ჩემთან, პელიოს,
შენ ხომ მარადის
ჩემს გულს მღეროდი.
მომეცი ძალა,
დროის სამნები რომ გავარღვიო,
და ჩემი ძველი
მიწა ვიმღერო
შენი სიყვადით.

გადაიბრინეს შენმა რაშებმა.
და მიეწურნენ ბინდს მწვერვალები.
და იხედება
შავი კლდესავით
კოლხების გული
და მრისხანება.

ცეცხლის ხარებით
გადახნულ ყამირს
მთვარე დასტირის

ვერცხლისფერ ზარით.
ძვრფას ქვასავით
შეჰკანკალებს
ქალწული ღამეს.
დადაღულია ძმების ღალატით.
უძლურ არს ჯადო სიყვარულთან,
უძლურ არს ჯადო...

ტიტანურ მივითან
ხვალ კოლხები გაიღვიძებენ
და გამქცევა
პელიოსის სიყვადეს ღამე.

კოლხურ კოსმეტთან
წვალობს სინათლე,
კოლხთა მრისხანე სახეებთან
წვალობს სინათლე,
მზის სამსხვერპლოსთან
წვალობს სინათლე
და ტირიფები ცახცახებენ
ჩქერის წყალივით.
მხოლოდ არგოზე,
მოსიზმარე არგოზე ჰყავის
სიხარული ყაყაჩოსფერი
და ცის სვეტივით
სწორი ტყეები

მოდრეკილა
ორფეოსის ლაფვარდის სულთან.
ზღვას მოზიდავს
ქნარით ორფეოს,
ვარსკვლავთ გადმობრის
ხვალ დაიწვილებს ძვრასავით
ისარი კოლხის
და თავის სისხლზე
გაგული ქალწულს დაედევნება...

გარიჟრაჟივით შესცახცახებს
ელადის გმირებს
ოქროს საწმისი.

მღერის ორფეოს,
სისხლის ღვარი
შეწყდა ტიტანის
და მიეჭარა

კლანჭები შორეთს.
მიჰყვება არგონავთს
ფაზისის ჩქერს.
ფრთხება ფრინველ
მღერის ორფეოს,
მედვა სტირის.

გეორგიანი

669

უჩინარი ზარები

ა მ თ ხ რ ბ ა

ჯექე იღიმებოდა. პაპიროსის ბოლში გახვეული ოთახის კუთხეში ჩუმიდ მიკუნჭულიყო და იღიმებოდა. ბედნიერი იყო აქ რომ იჯდა, ამ ვიწრო, კუბოსავით ოთახში. კედლები ოდესღაც შეეღებათ, მაგრამ შექეიფიანებულ სტუმრებს ჯავრი ეყარათ — ბლომიდ მიესხათ ჭიქებში ჩარჩენილი სასმელი. საღებავი თანდათან ჩამორეცხოდა, ღვინის შხეფები კი უშნოდ აჩნდა. იატაკი ოღრო-ოღრო იყო, პაპიროსის ნაწივეებით მოფენილი. ერთადერთი სიკეთე, რითაც ეს ოთახი დაიტრამბებდა — პაპიროსის ბოლისაგან გამავეებული, საყმაოლ მაღალი ჭერი იყო.

ჯექე ჩუმიდ ავირღებოდა ყველაფერს. იგი ყველაზე წოწოლა და მალაღი ჩანდა, ზემოდან დასცქეროდა სუფრას. მას ახლა მოსწონდა კიდევ ეს ჭუჭყიანი ოთახი, მოუვლელი, ჩამტკრეული ფანჯრები, მინის ნაცვლად სპილენძის ცხაური რომ ჩაესვათ, ფარვანებდასეული ნათურა, ზედ მის თავზე რომ ეკიდა და ძლივს ბეჭუტავდა.

ჯექე ზურას უსმენდა. ყველანი ზურას უსმენდნენ. გოგოები ოდნავ სასმელმოკიდებულნი, თვალმინაბული შესცქეროდნენ ამხანავს. ზურა გიტარას უკრავდა და თან ხმამალა გაჰყვიროდა.

ჯექეს ვცინებოდა, ზურა სწორად არ უკრავდა, სიტყვებსაც შეცდომით ამბობდა, ისე კი მოჰქონდა თავი, თითქოს მისი დაწერილი ყოფილიყოს ეს სიმღერა. ჯექეს ეღიმებოდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. გოგოები მოჭადროებული და

აღფრთხვანებული იყვნენ. აღტაცებას ვერ მალავდნენ. თავი ხელისგულზე ჩამოედოთ, სხეული სიმღერის რიტმისათვის აეყოლებინათ.

ზურას პირდაპირ შამილა იჯდა. შამილა შავტუხა, ლამაზი ბიჭი იყო. მთელი სახე უცინოდა, თვალები მზიარულად უცამციმებდა. აზარტში იყო შესული. ხანდახან ხმას აყოლებდა ამხანავს, მაგრამ სიტყვები უჭირვებდა საქმეს, სიტყვები არ იცოდა და ხარივით ზმუოდა.

სულ ექვსნი იყვნენ. სამი გოგო და სამი ბიჭი, გოგოებიდან ყველაზე მეტს ლალა სვამდა. ლალამ ნიაც აიყოლია. მხოლოდ ზიზის ვერ დააყარებინეს პირი. იგი რატომღაც მოწყენილი გამოიყურებოდა. ჯექეს უკვირდა, ზიზიზე ვერაფერმა ვერ იმოქმედა, ვერც ზუმრობამ და ვერც ამხანავების ჩიინინა — ცოტა მაინც დალიეო.

— მამაშენის ხომ ხარ, გოგო... — გაეხუმრა ზიზის შამილა.

მამამისი კარგა გვარიანად სვამდა. ჯექემ შენიშნა, გოგო გაწითლდა ამ სიტყვებზე. გაწითლდა, მაგრამ რომ არ შეემჩნიათ, ოდნავ გაიღიმა. წითელი, სისხლისფერი ტუჩები დაეჭიმა ზიზის. თეთრმა კბილებმა წამით მეტეორივით გაიფლავეს და გაუჩინარდნენ.

ვერც ზურას სიმღერამ გაამზიარულა გოგო. — დაფრთხვანებულნი იყვნენ, მათა უცნაურია, სულ არ შეცვლილა, ოდნავაც არ შეცვლილა, ისევ ასეთი ჩუმი და სევდიანი... — ფიქრობდა ჯექე.

სხვები იცინოდნენ, აჩენდნენ თავი-

ანთ თეთრ კბილებს და ლამაზ-ლამაზ სადღეგრძელოებს ამბობდნენ. მერე ჰყვებოდნენ თავგადასავლებს, რომლებიც მათ ქალაქში შემთხვევად. იხსენებდნენ ექსკურსიებს ზედაზენსა და შიომღვიმეში. ზურა, შამილა, ნია და ლალა ყველანი ერთ ქალაქში სწავლობდნენ. სამუალო სკოლის დამთავრებისთანავე ოთხივეს ბედმა გაუღიმა და მოეწყვნენ. ისინი თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, ერთად დადიოდნენ კინოსა თუ თეატრში...

ჩემე გულისყურით უსმენდა. მას აინტერესებდა ყოველივე. თითქმის ორი წელი გავიდა, ერთმანეთი არ ენახათ, წერილიც კი არ მიეწერათ ერთმანეთისათვის. ამხანაგები მთელი ღამე ლაზ-ლანდარობდნენ, ხარხარებდნენ და ერთ ამბავში იყვნენ. ჩემეს ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ეს ოთხეული ვერავის ვერ ამჩნევდა ირგვლივ, თითქოს მარტონი ყოფილიყვნენ, ისე, როგორც იქ, ქალაქში. ჩემეს ასეც ერჩივნა, იგი წუხელის ჩამოფრინდა რიგიდან და შეიღსათიანი მგზავრობის მერე ზეირიანად დაევენება ველარ მოასწრო. ამხანაგებს უარი ვერ უთხრა თორემ ახლა სახლში, მშობლებთან ბაასსა და საუბარს არაფერი ერჩია. იგი არც ნანობდა, რომ წამოვიდა. არ ნანობდა იმიტომ, რომ აქ იჯდა, ამ ოთახში, ამ ხალხთან, ამ გოგოებთან და ბიჭებთან, ათი წელი რომ გაატარეს ერთად, ერთ ჰერქვეშ, ერთ საკლასო ოთახში. ათი წელი... ისინი მაშინ მერხებზე იხსდნენ. ამ ბიჭებისა და კონიაკისა და ღვინით სავსე ბოთლების ნაცვლად შავიდებზე რვეულები და სამელნეები ელაგათ. ახლა კი სასმელს ეტანებოდნენ, ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს ამბობდნენ, გიტარაზე უკრავდნენ და თავგადასავლებს იგონებდნენ. მათ უკვე ჰქონდათ რაღაც მოსავონარი და სიამოვნებდათ ეს ამბავი. ისინი ახლა თითქოს ამ ორი წლის ანგარიშს აბარებდნენ ერთმანეთს — აი, მე ეს გავაკეთე ამ ხნის განმავლობაში, მე ეს გავაკეთე.

მართლაც რამდენი რამ შეიცვალა ამ

ორ წელში. რამდენი რამ მოხდა, გოგოები, მაშინ ქალაქი რომ არ ენახათ, ახლა „სვეტსკობაზე“ იდგმდნენ მსოფლიო შამპანურს წრუპავდნენ, მხოლოდ ეს იყო, პაპიროსამდე ვერ მიეღწიათ. ლაპარაკისას თბილისურად უქცევდნენ. ტვისტს ცეკვავდნენ და თეთრ მუხლისთავეს აჩენდნენ. ტვისტს შამილა აცეკვებდა გოგოებს მორიგეობით, ხანაც ორივეს ჩაჰკიდებდა ერთდროულად ხელს და ისე ცეკვავდნენ. ზურა გამწარებული უშენდა თითებს გიტარაზე, თან რაც შეეძლო გაჰკიოდა, შამილა და გოგოები კი ცეკვავდნენ. ნია და ლალა წელში იღვლანჭებოდნენ, ინდოელი მომღერლებივით აქანავებდნენ შუაწელს აქეთ-იქით, იჭაჭებოდნენ და ძაგ-ძაგითა და სექტანტური გახელებით ჩადიოდნენ იატაკამდე, მერე კვლავ იმართებოდნენ წელში. ჩემე და ზიზი ტაშს უკრავდნენ, ზიზი უხალისოდ შესცქეროდა, მაგრამ ტაშს მაინც უკრავდა. თვითონ ჩემეც კი ცეკვავდა ტვისტს, მაგრამ არავის უთქვამს, არავის გამოუწვევია, ისე მანაც არ ისურვა — ხელს არ შეეუშლიათ.

„რა უცნაური გოგოა...“ — გაიფიქრა ისევ ჩემემ და ზიზის გადახედა. ზიზიმ იგრძნო ბიჭის დაჟინებული მზერა და სახე აარიდა.

ზურა ახლა „ფილიპინეების“ ცნობილ სიმღერას აჩხავლებდა. შამილა, ეტყობა დაიღალა, ამჯერად არ წამომდგარა საცეკვაოდ, ფეხებით აჰყვა მუსიკას, ერთი ბრახუნის ასტეხა და ნათურის შუქზე არ ჩანდა, თორემ ალბათ გვირავი მტკრის კორიანტელი დააყენა. შამილას ბედნიერი ადამიანის სახე ჰქონდა. თვალები კალასავით უხტოდა აქეთ-იქით. სიმთვრალე მაინცდამაინც არ ეტყობოდა. შავი უღვაშები უხდებოდა, საერთოდ, ლამაზი გარეგნობისა იყო. ეს თვითონაც იცოდა და უცხო ხალხში თავს იფასებდა. ჩემეს ვერაფრით ვერ წარმოედგინა იგი ვეტქიმის თეთრ ხალათში, გრძელი, შრატით გამოტენილ ნემსით ხელში, საგულდაგულოდ დაბორკილ, მიწაზე სა-

ყოდავად გაშხლართულ ძროხასთან. ყველაფერს და, მაგას ალბათ ვერ წარმოიდგენდა კაცი.

— ეი, თან საქმე... თან საქმე!.. — წაატანა შამილამ ზურას ხელი და გიტარა ჩამოართვა. — ნუ გამოგვაყრუე, თუ ღმერთი ვწამს... — შამილამ ბოთლიდან ღვინო ჩამოასხა და სადღეგრძელებლად მოემზადა.

— რაიმე ისეთი თქვი, ღირდეს სალაპარაკოდ... — ეშმაკურად ახედა მას ლალამ.

— არა, ბიჭო, ვერ ვიტყვი!.. — დაეჭლანა ლალას შამილა. მერე განაგრძო: — ამ ჭიქით ჭეჭე ჯაბუშანურს გაუმარჯოს, რომ გვაღირსა თავი და იკადრა ამხანაგებთან პურისქამა.

— რას ამბობ... — გაიოცა ჭეჭემ.

— გახსოვს, როგორ ვეფიცებოდით ერთმანეთს ძმობას? — შეეკითხა შამილა ჭეჭეს, — მკავეწყალზე ხელუბი რომ დავიკაწრეთ კოწახურის ეკლებით და სისხლით შევეფიცენით ერთმანეთს. ეს ყვავილებიც იქ იყვნენ — ნიას და ლალას გადახედა შამილამ — ა, ასე არ იყო!

— აი, მაშინდელი დაღი, მთვარეუბნით მაძინევია... — გაიშვილა მაჭა ლალამ.

ნიაც ეძებდა ნაჭრილობევს, მაგრამ ვერ ნახა.

ჭეჭე ფიქრობდა: მართლაც ასე იყო. იმ წელს საშუალოს ამთავრებდნენ, ერთ დღეს უცბად მოუარათ რაღაცამ და შეეფიცნენ ერთმანეთს. ამიერიდან ისინი დამეხები იყვნენ. მაგრამ ჭეჭე მალე საღდაც შორს, ჩრდილოეთში გადაიკარგა, ლატვიაში ამოყო თავი, რიგის ინსტიტუტში რადიომექანიკას სწავლობდა. იშვიათად ჩამოდიოდა სახლში, თავის სოფელში. ამხანაგები ამ დროს ახალი წასულები იყვნენ, ან ჭერ არ ჩამოსულიყვნენ დასასვენებლად, ყოველთვის გზაში სცდებოდნენ ერთმანეთს. ამასობაში კი დროს თავისი გაჰქონდა. მკავეწყალზე დარჩენილი დაღი გაჭკრა, გამრთელდა. სკოლის წლები წარსულს ჩაბარდა. ახლა ისინი ინსტიტუტის წლებში შეცვალა. ამიერიდან

მოგონებებილა აკავშირებდა ყველაფერთან. — რაც ბავშვობისდროინდელ წარსულს განეკუთვნებოდა, კლდედ, ქსე, მოგონებები საოცრად ძლიერ განცდებს იწვევდა მასში და ხშირად ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ახლა ხდებოდა ყოველივე, თითქოს უბრალო წარმოდგენა კი არა, ცხადი იყო. შერცხებოდა ხოლმე — თუ მართლა დამძებად შევეფიცეთ, რა ღმერთი ვაგვიწყრა ასეთი, რატომ მეტი არ ვიცით ერთმანეთის შესახებ. უბრალოდ, წერილიც კი ვერ მიგვიწერია ერთმანეთისათვის. ამ დროს იგი წითლდებოდა, ამაში ხომ თვითონაც იყო დამნაშავე, იქნებ მთავარი დამნაშავე სწორედ თვითონ იყო — აბა, ეთავა მას და გაეგზავნა ბარათი. როგორ არ დაუბრუნებდნენ პასუხს, ნამდვილად დაუბრუნებდნენ. მაგრამ წუთი წუთს მისდევდა. არც ერთი წუთი არ ჰგავდა ერთმანეთს. ამიტომ განცდებიც იცვლებოდნენ წუთებთან, საათებთან და დღეებთან ერთად. უკვე სხვა რაღაცაზე ფიქრობდა. სადარღებელსა და საფიქრალს რა გამოლევა. ზიზიზე არასოდეს უფიქრია. სკოლაში ზიზი უხასიათო და უფერული ეჩვენებოდა. ამაღამ კი გაგიჟებული იყო — რატომ არასოდეს უფიქრია ზიზიზე? რატომ არასოდეს განსენებია იგი?

— თან საქმე, ამხანაგებო, თან საქმე! — ევლავ წამოიძახა შამილამ და ფეხზე წამოხტა, — ჰოდა რახან ასეა, ახალმთვარის სადღეგრძელო ჩავახუტუქოთ... იმედია, წინააღმდეგი არავინ წავა — სუფრას გადახედა შამილამ — ზიზი, წინააღმდეგი თუ ხარ, ასწიე ხელი, არა?, ასეც ვიცოდია... მაშასადამე ასე: მართალია, იგი ისე ჩამოგვეშორდა, ისე დაიკიწყა ყველაფერი — ჩვენი მეგობრობა, და-ძმობა და დანაწარმული, ქეთევანწამებულოვით მრავალნატიანი მერხების სიფათები, მართალია, ჩვენ არ ვიცით, რას წარმოადგენს იგი ამჟამად, როგორ შეცვალეს ჩრდილოეთში ცივისისხლიანმა ქალებმა, მაგრამ ვენდოთ მის სიმაღლეს, მის ქათკათა წარსულს და ვადღეგრძელოთ გულწრფელად.

ალალი იყოს ჩემი პატიოსანი სიტყვა შენზე, ჭკვე ჩაბუშანურო... — დაამთავრა შამილამ და ზურას ჩაურა თვალი, მერე ჰიქა მოიყუდა და ნარჩენი ღვინო კედელს მიასხურა — ასე დააქცევს ჩვენი მტერიო.

ჭკვე უხერხულად იჭდა, დამნაშავედ გრძნობდა თავს, ამხანაგების წინაშე მას დიდი ცოდვა მიუძღოდა. ძმობა, დობა, მეგობრობა, ყველაფერი რაც კარგი და წმინდა იყო მათ ურთიერთობაში, დაიფიწყა. ერთი წერილი ვერ მისწერა, სიტყვა ვერ მიაწვდინა. დადიოდა, დაეხეტებოდა ბალტიისპირეთში, ქალაქიდან — ქალაქში, სოფლიდან — სოფელში. ათვალაფრებდა უცნობ ადგილებს, ეცნობოდა ადამიანებს. ამხანაგებთან ერთად მიდიოდა ზღვაზე საბანაოდ. იქ მთელი დღეები იწვნენ ხოლმე ქვიშაან სანაპიროზე, ბურთის თამაშით ერთობოდნენ. საღამომით ჩასხდებოდნენ „ელექტრიკაში“ და რაღაც ერთ საათში საერთო საცხოვრებელში იყვნენ. ზოგჯერ ქალაქის ცენტრში, პეტრე პირველის დარგულ მუხასთან იყრიდნენ თავს. ბუჩქებით მოფენილ ფერდობებზე ნაკადულები მოჩხრიალებდნენ, ნაკადულებში წითელი ნათურები ენთო. ირგვლევ ყველაფერი ლამაზი და მომზიბლავი იყო, ნათურების შუქზე შეუკარებელი წყვილები ერთმანეთის ტუჩებს პოულობდნენ, არაბი მეზღვაურები კი, ორი დღის მეგობრული ვიზიტით რომ იყვნენ აქ ჩამოსული, თავიანთ მიწამართებს უწერდნენ შემთხვევით გაცნობილ ქერათმიან გოგოებს. გოგოები კისკისებდნენ და მეზღვაურებთან ერთად სიგარეტებს აბოლებდნენ.

ჭკვემ ზეპირად იცოდა ქალაქის ცენტრალურ ბაღში ჭარისკაცობით ჩარიგებულ გამოჩენილ ადამიანთა ბიუსტების სახელები, ვინაობა. ხშირად მიდიოდნენ ხოლმე რიგის დიდ სასაფლაოზე, სადაც ლატვიელი ხალხის საამაყო ადამიანები განისვენებდნენ. ქანდაკებები და ძეგლები კი, მათ საფლავებზე რომ დაედგათ, ადამიანების გმირულ ხასიათსა და საქმეებზე მეტყველებდნენ...

ჭკვე გაეცნო გოთურ არქიტექტურას, სწავლობდა სალაპარაკო ენას... დადიოდა ლექციებზე და ბიბლიოთეკაში. ეს იყო და ეს... არც მეტი, არც ნაკლები... ახლა კი რცხვენოდა: ყველაზე მთავარი და წმინდა დავეიწყებინა. ეს იყო სკოლის წლები, მათი ერთად გატარებული წლები. ამხანაგები კი სამართლიანად საყვედურობდნენ.

— ჩვენს წრეს ახალი წევრი შეემატა... ახალი მა, რა... — დაიწყო ზურამ, — ხო და იმას ვამბობ მე, — უნდა გაამართლოს...

— კარგად იყავი, ჭკვე, ბედნიერებას გისურვებ... — ხმადაბლა თქვა ზიზიძე.

— გმადლობ, ზიზი... ყველას დიდი მადლობა... მე მართლაც არ ვიცი, ასე, როგორ მოხდა... ალბათ სიშორის ბრალია, რა თქმა უნდა, თავი კი არ მინდა გავიმართლო... ჩვენ ათი წელი ვიყავით ერთ პერქვეშ და დავიწყება როგორ იქნება... რა თქმა უნდა.

— მო, აბა... აბა... — დაუდასტურა ზურამ.

— ზურა, ერთი „პალუბა“, რა? „პალუბა“... — დაეჭიქა ლლა ზურას.

— მაკოცებ? — ლოყა გაუშვირა ზურამ.

— დიდი რამე... — ვადაკოცა ლლამ ზურა.

— სულ შოკოლადის გემო ჰქონდა... — გააპლაკუნა ტუჩები ზურამ.

— ჰე, გვაჯახე დროზე... — დაუჩქარა ნიამ.

— ერთი შენი კოცნაც არ მაწყენდა... — გაინაზა ზურა.

— აბა, აბა, ბევრი ნუ მოინდომე და გააკეთე, რასაც გეუბნებიან... — ამრიზა შამილა.

— ზურამ, ვითომ მოიწყინაო, ერთი საცოდავად გადმოხედა ნიას — რატომ არ ნაკოცეო და სეფლიანად დაიწყო:

— ...ოი, გეშანო, გეშანო... შენ — დამარწიე მე...“

— ა... — ენა გამოუყუო ნიამ.

მერე წავიდა გაუთავებელი სიმღერა.

ოთხივენი მდებარეობენ. ოთხივემ ზეპირად იცოდა ამ სიმღერის ტექსტი და მდებარეობა, ვიდრე არ მოსწყინდათ. ჭაჭაძე უაზროდ უსმენდა. ზიზიც მოწყენილი იქნა. ჭაჭაძეს უნდოდა ედღეგრძელებინა ზიზი, მაგრამ ზურამ ახლა სხვა სიმღერა წამოიწყო და ვერ გააწყვეტინა. მერე, რომ დაამთავრეს, უკვე გვიანი იყო. მომტანმა შემოაღო ოთახის კარები და სასაღილო იკეტებაო, — გამოაცხადა. ჭაჭაძეს გულით ეწადა ედღეგრძელებინა გოგო, მაგრამ ახლა რაღა გაეწყობოდა, აიშალნენ, ერთი სიცოცხლისხარისხით გავიდნენ გარეთ.

— ზიზი გამოჩნა, რატომ არაფერი თქვა ზიზიზე? — ფიქრობდა ჭაჭაძე. — ყველა ადღეგრძელეს ზიზის გარდა“.

გარეთ სასაამოვნო სივრცე იდგა. ცა ვარსკვლავებს მოეშვედა. მთვარე არ ჩანდა, ალბათ ჩასული იყო. ნელი სიო ქროდა და მთების სივრცე მოჰქონდა თან.

სასტუმროს კარებთან იდგნენ. — ის როგორ იყო, კულინარების დელეგაცია რომ დაბრუნდა საფრანგეთიდან? — შეეკითხა ზურამს ნია.

ზურამ და ლალა ერთად იდგნენ, ლალას ხელყავი გაეყარა ბიჭისთვის.

— თქვი, როგორ იყო, — სთხოვა ლალამაც.

ზურამ დაიწყო: ერთ მათგანს შეეკითხნენ, საფრანგეთი როგორ მოგეწონათ, და ასე უბასუხა:

— უო, ეს რა ვნახე, ბოშო... მოედნები მარა, რა მოედნები, მთლად ხაჭაპურივით მრგვალი... მერე სახლები, ბოშო, სახლები — ჩურჩხელები რომ განახავს გასამრობად ჩამოკიდებული?! საჭმელებს არ იკითხავ? ერთი წიწყა აქლდა თორემ სულ ჩვენებურ ჩივი-ბივის ჰგავდა ღმერთმანი... — ზურამ კარგად ბამძვდა და ყველანი იცინოდნენ.

— შენ მოკვდი. — ეუბნებოდა სიცოლით ლალა.

— აბა სულ ხაჭაპურებად და ჩურჩხელებად აქცია მთელი პარიზი... — ხარხარებად ნია.

ზიზი და შამილაც იცინოდნენ. ჭაჭაძე იცინოდა.

— რომელი საათია? — იკითხა ზიზიმ.

— საათს ნუ გამახსენებ, რა ჩანდაბას საათები. აი, შეხედე ვარსკვლავებს, როგორ მინახულან, მიმალულან, შეხედე ამ ცას, ქათქათა მწვერვალებს. ფუნქულა ლოყები მიუშვირე სიოს უჩინარს და არწმუნე შენი თავი, რომ ყველაფერი შეიძლება იყოსროს ამდამ კაცმა, ამ ცის გულისათვის, ამ სიოს გულისათვის და კიდევ ჩვენი საყვარელი ჭაჭაძე გულისათვის, ოღონდ საათს ნუ იკითხავ, ზიზი... — გაიხუმრა ზურამ.

გოგოებმა ისევ ასტეხეს სიცოლი მართალია, მართალიაო.

— რახან ასეა... — თქვა ზიზიმ. — როგორ უცხად მოარჩულა, — შენიშნა ლალამ.

— ამას არაფერი მორჩულება არ სჭირდებოდა, — გამოუქომაგა ზიზის შამილა. — თქვენი იკითხეთ თორემ...

— ვითომ?.. — სიცოლით დამკვდა ნია.

ამ დროს კინოთეატრის კარები გაიღო და დარბაზიდან ხალხი გამოცვივდა. ხმაურით მოაწყდა ქუჩას. აქ ავტობუსები და ტროლეიბუსები არ დადიოდნენ, ამიტომ ყველა ფეხით მიუყვებოდა შინისაკენ. ისინი რატომღაც ვარბოდნენ, თითქოს ყინავდა და სციოდით, თითქოს შორს იყვნენ მისასვლელები და აგვიანდებოდით. ვარბოდნენ და ერთმანეთს ეცილებოდნენ მეწინავეობას. ისინი ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ სიბნელეში. ამ ადგილას ქუჩა ფართე იყო. შორი-შორს, ბოძებზე დაკიდებული ნათურების სინათლე ვეღარ სწვდებოდა.

ისინი კვლავ იდგნენ. ზურამ ლიღინი შესწყვიტა. გიტარა დაშინავეით დაიჭირა ზელში და სხვათაშორის თქვა:

ხალხია თუ ცხერის ფარა...
— ხი... ხი... — ჩაიციინა ნიამ.
— ხი... ხი... — აჰყვა მის ლალა.

შამილამაც გაიციინა: თავში არავინ ჩაგაფაროს მავ ვულგარულ შედარება-

ზე, წესიერად ილაპარაკეო, — შენიშნა მან ზურას.

— ასე გარბიან ცხვრები ჩრდილები-საკენ... ყველას გვიმწყემსია, მგონი..

— მე არ მიმწყემსია. — თქვა ლალამ.

— არც მე.. — თქვა ნიამ.

— თქვენ თვითონ იყავით სამწყემსა-ვი... — შენიშნა შამილამ.

— თქვენ წითელი კოჭები იყავით, ახ-ლაც წითელი კოჭები ხართ... — კომპ-ლიმენტი უთხრა გოგოებს ზურამ.

— ვითომ რათაო?..

— ისე, რაა... ხატრის გულსათვის-მარტო ზიზი არ იცინოდა.

„რატომ არაფერს ამბობს... — უკ-ვირდა ჭექეს — არ გამოუვიდათ კარ-ვად რომ არ აღდეგრძელეს, უნდა ედ-ღეგრძელებინათ ზიზი...“

— თან საქმე, მეგობრებო, თან საქ-მე... — კვლავ წამოიძახა შამილამ.

— სად წავიდეთ? — იკითხა ლალამ.

— მართლა!.. — გაახსენდა ნიას.

— სახლში!... — თქვა ზიზიმ, — რო-მელი საათია უკვე? — წამოსცდა ისევე.

— უპ... უპ... საათი... საათი... არ შეგ-ვიკლა ხელში?! შენ შუა სუფრიდან უნ-და გავიშვათ ხოლმე შინ, სანამ მთელი საღამო არ ჩავიშხამებია. — გული მო-უვიდა ზურას.

— დაბადების დღეზე ერევნის მალ-ვიძარებს გიყიდიო, რა გინდა მეტი... — დაიმიედა ზიზი შამილამ. იგი ნიას უთა-თუნებდა მხარზე ხელს, თითქოს ეკი-თხებოდა, — ხომ მართალს ვამბობო.

— მართლა, გვიანია უკვე... — ირწ-მუნებოდა ზიზი.

ჭექე არაფერს ამბობდა. მისთვის სულ ერთი იყო სად წავიდოდნენ. ისე, რა თქმა უნდა, ასე გვიან შორს წასე-ლას არ ჰქონდა აზრი.

შუა მოედანზე, საგზაო ინსპექციის მიერ შემოვლებულ წრესთან გავიდნენ. წრე თეთრი საღებავით იყო შემოხაზუ-ლი და მკვეთრად აჩნდა მუქ ასფალტზე. იქვე ახლოს იყო მრგვალი ბაღი, რომე-ლიც რაიონში ერთადერთი იყო და ად-გილობრივ მაცხოვრებელთა სასაიროს ადგილს წარმოადგენდა. ბაღის შესასე-

ლელთან მუავეწყლის შადრევანი ამოჩ-ქედდა. მუავეწყალი საემარს შოროდან იყო გამოყვანილი, ფოლადის მიღებში ეგმო დაკარგვოდა, მაგრამ უბრალო წყალს მაინც სჯობდა. საღამომით, თა-ვისუფლალ დროს, უამრავი ხალხი იყრი-და შადრევანთან თავს.

— მუავეწყალი არ გინდათ? — იკი-თხა ჭექემ.

— მუავეწყალი ნაბახუსევზეა კარგი.

— მოდით, ჩამოვჭდეთ... — გაახსენდა ლალას.

— ვინც არა..

ლალა და ზურა ერთად ჩამოსხდნენ. შამილა და ნია — ერთად. ზიზი და ჭე-ქე ფეხზე იდგნენ, მერე იმათაც ჩაიმუხ-ლეს. ზიზიმ ზედ წრეხაზზე ჩაიმუხლა. ამხანაგების მოპირდაპირე მხარეს. ჭე-ქე შუა წრეში ჩაჯდა.

— ამას შეხეთ, ზურგი მოგვაქცია... — ჭექეზე მიუთითა ამხანაგებს ლალამ.

— რატომ?.. — კისკისით აუბა მხარი ნიამ.

— რატომ? — მისცეს ბანი ზურამ და შამილამ, — აჰ, ვიცით, რატომაც...

— აჰ, ვასაგებია... — ჩაიმღერეს გო-გოებმა.

— ო, მამატიეთ, — იქით შეტრიალდა ჭექე, მაგრამ ახლა ზიზისკენ ჰქონდა ზურგი მიქცეული, წამოდგა, თვითონაც წრეხაზზე ჩაჯდა.

— ყოველ შეკრებაზე ამ წრეხაზთან ჩამოვჭდეთ ხოლმე, კარგი? ზურას კი ვთხოვოთ, სიმღერა დაწეროს სწორედ ამ წრეხაზზე. ის სიმღერა იყოს ჩვენი მარში... — თქვა ლალამ.

— ტექსტი შამილაზე იყოს...

— ხომ დაწერ? — ჰკითხა ლალამ ზუ-რას.

— თუ მაკოცებ, რა თქმა უნდა, — ისევე მიუშვირა ლოყა ზურამ.

— შენ რაღას იზამ? — ჰკითხა შამი-ლას ნიამ.

— თუ კი ლალას მიბაძევ...

სიბნელეში კოცნის ხმები ვაისმა. ჭექე ვარსკვლავებს უყურებდა. ვარ-სკვლავები თვალებს აპაჭუნებდნენ. შორს, მუქი ცის დასალიერთან მწვერ-

ვალები მოჩანდა. ვარსკვლავები თითქოს მწვერვალებს უკრავდნენ თვალს. ეს გრილი, სასიამოვნო სიო კი იმ მწვერვალებიდან მოდიოდა, თან მოჰქონდა მათი სუნთქვა და ჰაეროვნება.

„უცნაურია, ვარსკვლავები ყველგან ერთმანეთს ჰგებან, ოღონდ აქ უფრო კაშკაშებენ, აქ უფრო ახლოსა ვართ ცასთან. ამ მთების მსგავსიცი შეიძლება ნახოს კაცმა სადმე, სადღაც ასეთი გრილი სიოც ჭრის, ზიზი კი... ზიზი ერთადერთია ამ ქვეყანაზე, მეორე ზიზის ვერ ნახავ ვერსად...“

ქუჩაში ძაღლები გარბი-გამორბოდნენ, ოღონდ არ ყეფდნენ, არ იღრინებოდნენ. ალბათ ძველი ნაცნობები იყვნენ, ძველი მეგობრები, გასაყოფი და წასართმევი არაფერი ჰქონდათ ერთმანეთისათვის. მდინარე კვლავ ხმაურობდა. აქ მდინარის შხუილი ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი იყო, როგორც დილით მზის ამოსვლა თეთრი მწვერვლების მხრიდან, ამიტომაც, ალბათ, გამეფებულ სიმყუდროვეს ვერ არღვევდა; მდინარის ხმაური ამ ხეობას, ამ სახლებს, კოშკებს და ყველაფერს, რაც კი აქ არსებობდა, სხეულში ჰქონდა გამჯდარი და ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს ხმა, ეს გრგვინა და შხუილი ასულდგმულებდათ კოშკებს, მთებსა და ველებს, და ტყეში ფოთლების შრიალი იქნებ სულაც მდინარის ვქოა და მეტი არაფერი? გაყვითლებული ყანებისა და სიმინდების შრიალი აბობოქრებული მდინარის ვქოა და მეტი არაფერი?

„ე ნებე, ზეიოზი ბლეშვტ ზოლოტიე, იარზე ზეიოზ, რაი ტვაი გლაზა...“

უკრავდა ვიტარაზე ზურა. მას თავი მლოცველივით მიეშტერებინა ცისათვის. ცას მიშტერებოდა ლალა. ცას უყურებდნენ შამილა და ნია. მღეროდნენ და თან ვარსკვლავებს ითვლიდნენ თათაეისთვის. გოგოებს თავები ბიჭებისათვის მიეყრდნოთ მხარზე და ისე მღეროდნენ.

ჩექემ ზიზის გადახედა. ზიზი არ მღეროდა. არც ვარსკვლავებს მიშტერებო-

და, იგი ასფალტს დაჰყურებდა, თითო რალაც ასოები გამოჰყავდა ზედ.

სიმღერა დაამთავრეს.

— ახლა სად? — თქვა ზურამ.

— ისეთი საღამოა, არ ღირს მაგისა ვაშვება... — ენას იქლესდა შამილა.

— ლევშერისაყენ ვავიაროთ, ჰა?! — წამოაყენა წინადადება ზურამ.

— ვავიაროთ, რა... — თქვეს ვოგოებმა.

„ზიზის, ვინ იცის, როგორ ეჩქარება...“ — გაიფიქრა ჩექემ.

— გვიანი არ არის? — იკითხა ყველას გასაგონად.

— გვიანი?! რამ გაყო დღე და ღამე. სიცოცხლისათვის ორივეს ერთი ფასი აქვს... — გაიკვირვა შამილამ.

— კარგი... — დაეთანხმა ჩექემ.

ნელა დაიძრნენ. ლევშერამდე სულ ორი კილომეტრი იყო. პირდაპირი, მოასფალტებული გზა მიდიოდა. წასვლა-წამოსვლას ერთ საათში ადვილად მოასწრებდნენ.

— რა გვინდა... — თქვა ზიზიმ.

— გეძინება? — ჰკითხა ლალამ.

— ხვალ წავიდეთ დღისით, მზისით, თუ ასეა...

— საახალწლო ნაძვისხეზე კი არა ვართ დაპატიებებული, კამფეტებს არავინ დაგვირიგებს, ისე ვავიაროთ, რა მოხდა... — თავისი მოსაზრება გამოთქვა ზურამ.

— რა შუაშია კამფეტები...

— შენ ვიყვარდა კამფეტები...

— კამფეტები ყველას გვიყვარდა... — თქვა ზიზიმ.

— გახსოვს, ერთხელ ტირილიც კი მორთე, ცოტა მომცესო, ნაძვისხესთან უნდა გვემღერა და შენ კი ბლაოდი...

— არ გახსოვს ასეთი რაღაცა...

— მაშინ ყველას ვვიყვარდა კამფეტები... — გამოექომაგა ზიზის ნია.

შამილა და ნია წინ მიდიოდნენ. შამილას მხარზე მოეხვია ხელი და რაღაცას უყვებოდა. ლალა და ზურაც ხელკავ-გაყრილნი მიდიოდნენ. „რას ნიშნავს ერთმანეთთან ახლოს ყოფნა, მართლაც და-ძმებივით არიან“... — ფიქრობდა

ჩემი. მას უკვირდა; ეჩვენებოდა, თითქოს ზიზის არ სიამოვნებდა ეს ამბავი. არ სიამოვნებდა და უხერხულად გრძნობდა თავს. იქნებ ამიტომაც იყო ასეთი ჩემი, მოკრძალებული და სევდიანი? ან იქნებ უბრალოდ გული წყდებოდა, რომ არ სწავლობდა მათსავით, არ ერქვა სტუდენტი და არავითარი არდადეგები მისთვის არ არსებობდა... მართლა ვინ იცის, რა იყო მისი დღეობის მიზეზი?"

— ...ერთხელ გულისხმად გაიღიმი, რა მოხდა... ზიზი, გაიღიმი და გამხიარულდი... — ჩემს ისიც კი მოეჩვენა, რომ ზიზის მოწყენილობა მისი ბრალო იყო. ვერ შესძლო გაერთო გოგო, ვერ ააღაპარა და გააცილა. რატომ მოეჩვენა? ბოლოსდაბოლოს აქ მარტო ხომ არ იყო, სხვებიც იყვნენ, საერთო მხიარულება ჰქონდათ, საერთო სუფრა ჰქონდათ. მაინცდამაინც ჩემი რა შუაში იყო? მას კი რატომღაც ასე მოეჩვენა.

გზა სათიბზე გადიოდა. მინდვრები ახალი მოთიბული იყო. კოლმეურნეებს ზვინებდნენ დაეღვათ თივა. გამხმარი ბალახის სასიამოვნო სუნი იდგა. სასიამოვნოდ შრიალებდნენ სათიბებში თხილისა და თამელის ბუჩქები, პანტა ვაშლისა და მსხლის ხეები უშველებელ ზვინებდა ჩანდნენ სიბნელეში. ეს უშველებელი ზვინები კი შრიალებდნენ და შრიალებდნენ. მათი ჩურჩული და მდინარის მშუღილი სრულებითაც ვერ არღვევდა ღამის მყუდროებას. პირიქით. — კიდევ უფრო ამძაფრებდა და ამღიერებდა, უფრო შესაცნობსა და მკვეთარ ხდიდა მას.

ჩემი გრძნობამორეული მიბაიჯებდა, თავბრულახვეული იყო. მსგავსი რამ რამდენი ხანია, არ ვანეცადა. თითქოს ძველი ფირი ჩაღო ვიღაცამ საპროექციო აპარატში: ეს იყო ბავშვობის დღეების განმეორება, ზუსტი და დეტალური განმეორება. ისინი აქ დადიოდნენ ბავშვობაში, შაბათ და კვირა საღამოებით უსაქმოდ დახეტებოდნენ ხოლმე და მღეროდნენ. კიდევ უფრო აღოე კი, ბიონერები რომ იყვნენ, ამ სათიბებში

კარებს დგამდნენ. კოცონს ანთებდნენ, ჩაპყლებდნენ ერთმანეთს ხელს და ფერხულს უვლიდნენ. მთზე ბედნიერი არავინ ეგონათ ამ ქვეყანაზე. ნშირად უბნის ბიჭები შეიკრიბებოდნენ და ცხენების დასაჭერად მიდიოდნენ მთაში. საღამე ვიწროებში გამოიმწყვდეოდნენ ფოსტის ან მილიციის ცხენებს, ჩამოიყვანდნენ ბარში და სწორედ ამ ადგილებში დააგვლეებდნენ, ვითომ პარტიზანებსა და წითელარმიელთ ბაძვდნენ. ასევე ენთნენ მაშინაც ცაზე ვარსკვლავები, ასე აპაქუნებდნენ თვალებს, ცის დასალიერთან ჩირაღდნებივით ქათვებდნენ მწვერვალები და ქროდა სიო, დიდი მთების მხრიდან წამოსული. შრიალებდნენ პანტა ვაშლები და მსხლები, იდგა სურნელება მოთიბული, გამხმარი ბალახისა. ბედნიერი იყო ნამდვილად.

ჩემს მამამისი გაახსენდა. წუხელის შეგპირდა რომ სათიბავედ წაყვეებოდა. ზარგავის კოლმეურნეობის მინდვრები ჯერ კიდევ მწვანედ ბიბინებდნენ, საცულედ შეღვრებულოყვნენ.

— ეჭვი, რაზე ფიქრობ, ლამაზო? — მოულოდნელად მოაძახა წინიდან შამილა.

— ლალა და ზურაც შედგენ, უკან მოხედეს.

— ხვალინდელ დღეზე... კოლმეურნეობების სათიბებზე... წუხელის მამას შეგპირდი, მოვხმარებოდი...

— ხა... ხა... — ახარხარდა შამილა... — კოლმეურნეობის სათიბებზე ფიქრობს თურმე...

— უცბად მოწინავე კოლმეური არ გავვინდე, თორემ რაიონის ცენტრში საბატიო დაფაში ჩავსვამენ და მერე იქნებ აღარც იკადრო ჩვენისთანა საწყალ ხალხთან სიარული... ა?... — თქვა ზურამ.

— წლის ბოლოს შრომადღეზე ათ კაცი იქ რომ გამოუწერენ, ქუთაზე მოვაშაგვამ უკვე ჯვინა იქნება თითზე კბენა... — დაიწერია ხმა ნიამ.

— კოლმეურნეო?... — გამოაჯავრდა ლალი.

— ჩვენ რისთვის ჩამოვედით აქ თუ იცი?... — იკითხა შამილამ.

— მაინც რისთვის ჩამოვედით?

— დასასვენებლად, ჩემო კარგო... საცოდავი სტუდენტები მთელი ათი თვე ტუინის ნოხებში არიან... ხუთ-ექვს კვირიანი არდადეგები მაინც ადამიანურად უნდა გაატაროს კაცმა...

— შენ სხვა რამეზე იფიქრე, ისა სჯობია... — უშმაკურად ჩაიციხა ლამამ.

— აი, სავეტი... ხა... ხა...

— ზიზი, შენ რასა იქ?... გეტყობა, ნამეტანს პასიურობ...

— ჰო, მართლა... მიხედე ამ ბიჭს... შუღამისას რა დროის კოლმეურნეობის სათიბებზე ფიქრია...

— ზიზი არაფერს ამბობდა.

უცბად მოსახვევლად დაფეთებულივით გამოეარდა მანქანა. ღამის ბინდში გიჟივით ააპარპალა თვალები და ავტომატის ჭერივით დაუშინა გზის გაყოლებაზე ჯარისკაცებივით ჩარიგებულ მესერს. წინ წასულმა წყვილებმა წივილკივილი ასტეხეს. გოგოებმა, არ დავეინახონო, სახეზე აიფარეს ხელები. მერე — გზის იქით-აქეთა მხარეს ჩახტნენ, სათიბში გავიდნენ და ბუჩქებს შეერივნენ.

მხოლოდ ჭექე და ზიზი იდგნენ თავიანთ ადგილებზე. მათ არც ხელები აუფარებიათ, არც წივილ-კივილი მოურთავთ. შუქფარების სინათლე სახეში სცემდათ, მაგრამ მაინც იდგნენ და არ გარბოდნენ არსად. მანქანა ჯერ კიდევ სავმაოდ შორს იყო. ისე კი ჩანდა, თითქოს აქვე ახლოს, რამდენიმე მეტრზე მოხრივინობდა. მათ შეეძლოთ მიმალვა, მაგრამ რა საჭირო იყო? ოდნავ გაოგნებულნი და დაბნეულნი, ერთმანეთისაგან დამორბეობთ იდგნენ, ბოძებივით უძრავად და უხმოდ. მალე მდინარის შხუილი შეწყდა. ხეთა შრიალი მიჩუმდა. მანქანის თუხთუხი მოედო მიდამოს, მანქანის ძრავისცემა აყრუებდა არემარეს. მათ რომც გაუსწორდა, — მძღოლმა სვლა შეანელა — რა კაბინიდან გამოყო თავი:

— გინდათ, წაგიყვანოთ? — რალაც

ექვნიანი კილოთი შესთავაზა გზაზე გახევებულებს.

— ჭექემ არაფერი უპასუხა.

კაბინაში ვილაც შევებში ჩაცმული ქალი იჭდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ ილიმებოდა. მან მუჭლუგუნე წაპკრა მძღოლს და უსაყვედურა:

— სულელურ შეკითხვებზე არ პასუხობენ... შინ წასვლა რომ ნდომოდათ, აქ მოვიდოდნენ? მიდი, გარეკე, გარეკე... —

მძღოლმა გავი მისცა და გარეკა.

— არა, ვმადლობთ... — ძლივს წაილულულა მათი წასვლის მერე ჭექემ. მერე მხრები აიჩეჩა და ზიზის ვადაზედა.

ერთხანს კიდევ იდგნენ ასე უხმოდ. მანქანა უკვე თვალს მიეფარა, ცვლავ ჩაერთვნენ მდინარე და ვაშლები. გააბეს გაუთავებელი მშუილი და ჩურჩული.

— იცანი? — ჰკითხა ზიზიმ.

— მძღოლი?

— არა, ის შათსანი...

— პისტე არ იყო? თქვენი მეზობელი...

— ჰო, პისტე იყო... — რალაც ზიზით წარმოთქვა გოგომ.

— იყოს, რა...

— უბედური ჭორიკანაა...

ჭექემ ვერ გაიგო კარგად ზიზის ნათქვამი, არაფერი უკითხავს.

— ლა... ლა!!! — დიძახა მერე ზიზიმ.

არავინ გააძსუხებია.

— ნი... ა... — ხელები საყვირივით მიბდო ტუჩებზე და ისე დაიძახა ხელმეორედ ზიზიმ.

— არც ნიას გაუგონია.

— ზურა!!!

— შამილა!!!

არც ზურა ჩანდა, არც შამილა.

— რა ჯანდაბა მოუვიდათ?!... — აღელდა ზიზი.

ჭექემაც დაუძახა, მერე ერთად დაუძახეს, მაგრამ თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ამხანაგები არსად ჩანდნენ. იარგვლოვ კვლავინდებური სიჩუმე და მდუმარება

სუფევდა. ისინი კი იღგნენ შუა გზაზე გახევებულნი და მხრებს იჩეჩავდნენ: „სად გაქრნენ ასე უეცრად?... საოცარია!..“

მერე ნელა დაძრნენ უკან. უხმოდ მიდიოდნენ.

კვლავ ენთნენ ვარსკვლავები ცაზე.

კვლავ ელვარებდნენ შორეული მწვერვალები. და ქროდა მთებიდან წამოსული სიო, გრილი და სასიამოვნო.

მინდოაში იღგნენ თივის ბუღულები. პაერი გაყენთილი იყო გამხმარი ბალახის სურნელით. ეს სუნი რაღაც უცნაურ გრძნობას, თბილსა და მწველ გრძნობას აღძრავდა, რაღაც უცნაურ თავბრუს ხვევდა ადამიანს და აცთუნებდა. ბუჩქები და ვაშლის ხეები კი, ამ სიბნელეში თივის ძნებს რომ ჰგავდნენ, შრიალებდნენ და შრიალებდნენ განუწყვეტლავ, ჩურჩულებდნენ თავიანთ საიდუმლო ენაზე. ამ წუთში ისინი ჰგავდნენ აგრეთვე ქორიკანა დედაკაცებს, და ხეები ქორაობდნენ ხმამალა, უსირცხვილოდ, ყველას გასაგონად, თითქოს რაღაც ისეთი მოხდა, თითქოს რაღაც ისეთი დაინახეს, რომ არ შეეძლოთ. ერთმანეთისთვის არ ეთქვათ, არ ეცნობებინათ. ისინი ლაპარაკობდნენ ხმამალა, ხმამალა... რა მოხდა მერე, მაინც ვერავინ გაიგებდა მათი გულის ხეაზიანს. ხოლო სიტყვის საფანელს კი რა გამოუღვევდათ ქორიკანა დედაკაცებს... ვიდრემდისინ იღგნენ ეს მთები, ვიდრემდისინ ქროდა მათგან სიო.

უხერხული ღუმილი ჩამოვარდა. ჭექე განსაკუთრებით უხერხულად გრძნობდა თავს. რაღაც უნდა ეთქვა გოგოსათვის. უნდა დაარღვიოს ეს ღუმილი. მაგრამ რა უთხრას? ყველაფერი დაავიწყდა ამ წუთში.

— უცნაურია, არა? — დაძრა ენა ბიჭმა, როგორც იქნა.

გოგომ არაფერი უპასუხა.

— იქნებ სახლში გაიქცენ? — ენა ამოიღვა ჭექემ.

გოგომ მხრები აიჩეჩა. თქმით არაფერი უთქვამს.

ჭექეს სუნთქვა შეეკრა და კინაღამ

გაიგუდა. ვერაფრით სათქმელი ვერ უთხრა, სულ სხვა რაღაცას მიეღ-მოუღებოდა.

— უნდა გვედღეგრძელებინე... ყველას დაგვაფიწყდა...

— ეს ჩვეულებრივი ამბავია... პირველად ხომ არ ვიჭექი მაგათთან სუფრაზე!.. — სცილნარევი ხმით თქვა ზიზი. — ეს არაფერი...

— მე მინდოდა წამოვმდგარიყავი და მეთქვა რამე, მაგრამ არ მომეცა საშუალება... მას მერე მთელი საღამო ვფიქრობ, ზიზი დაგვემდურა და იმტომაა ასე უბასიათოდ-მეთქი.

— პირიქით, ჭექე... ეს მე შენთვის მინდოდა მეკითხა... ხომ არ გემდურის-მეთქი.

— რაზე უნდა დაგმდურებოდი, ისე ხომ არ შეიძლება კაცის დამდურება... ტყუილებრალოდ...

— გახსოვს, მამაჩემთან რომ წაქამათლით... მას მერე ორი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში სულ ერთხელ მოვკარი თვალი, რამხელა სულელი ვარ... სინამდვილეში მეტად ხომ არც ყოფილხარ ჩამოსული... მე კი რატომღაც მეგონა, მემდუროდი, შენ თითქოს მემალეობოდი და იმტომ ვერ გხედავდი... რა ვიცი, რატომ ვფიქრობოდი პინცდამაინც ასე... უცნაურია, არა?

— რას ამბობ, ზიზი, აბა რას ამბობ... ზიზი ისევ ძირს იხედებოდა, ოდნავ ნერვიულად მოაბიჯებდა.

— ასეთი წვრილმანი როდის ვიყავი, ნუთუ ასე მიცნობდი...

— არ ვიცი... არ ვიცი...—ენის ბორძიკით ამბობდა გოგო.

ბიქს უნდოდა, გაეფანტა მისთვის ეჭვები. ეთქვა, რომ ყოველთვის ახსოვდა, ხშირად ფიქრობდა და უნდოდა წერილი მოეწერა... მაგრამ შერცხვა: ვერა ვერ მოატყუილებს ზიზის, არაფერს არ ეტყვის, თუ მაინც დამნაშავეა რაიმეში, ღმერთმა შეუნდოს...“

— იქნებ კარვად არ გამომივიდა, მაგრამ რასაც ვგრძნობოდი, ის ვთქვი...

— რა ვიცი, ალბათ... ღმერთმა უწყის, ასეთი არაფერი არ ყოფილა, ჩხუ-

ბი მკვიდრ მშობსაც მოსდით... მე რე რა მოხდა... თუშეცა მე რომ დამნაშავე ვიყავი, მაგას რა ლაპარაკი უნდა...

— არა, ჭეჭე, საქმეც იმაშია, დამნაშავე არ ყოფილხარ... რას ამბობ...

— რაც არ უნდა ყოფილიყო, უფროსია... მამად მეკუთვინის...

— იმასაც ეპვიით მოუვიდა... ხომ იცი, მე ერთადერთი შვილი ვარ მისი და მთელი იმედები ჩემზე აქვს დამყარებული, რომ იტყვიან, ბუხს არ აკარებდაო, სწორედ ისეთია ჩემს მიმართ, რაღაც ეპვეებით არის შეპყრობილი, ეს მთელმა სოფელმა იცის...

— თანაც მამაშენი იყო სხვა რომ არაფერი, მამაშენისთვის ხმა როგორ უნდა გამეცა...

ხიდაძემ მისულოცვნენ. აქ მდინარის შუილში საგრძნობლად იმატა. საუბარი ეშლებოდათ. ხის ფარღალალა ფიცრებისაგან შეკოწიწებული ხიდი ზანზარებდა, ქანაობდა. აქაფებული და აღუღებულნი სისინით მიიკლავებოდა, მფრინავი გველივით მისრიალებდა და უცნაური სისინით მიექანებოდა ბნელ უსასრულობაში. იქითა მხარეს, მაღალ ბორცვზე, ნახევრად დანგრეული კოშკი იდგა. კოშკი დარაჯივით გაპყურებდა მიდამოს და უშველებელ ეჭოს გამოსცემდა.

ამ კოშკს სხვებისაგან განსხვავებით, ასასვლელი კარი გამოქოლილი ჰქონდა. რამდენი ვინმე ეცადა, მაგრამ ვერავინ დაიპყრო, ვერსაიდან მიუღვა და ვერ ააცოცდა. ამიტომ კოშკი იდუმალებით იყო მოცული. მასზე ლეგენდებით კი დადიოდა: მაგაში თამარის ნეშტი ასვენია და იმითმამა ამოქოლილიო. შიგნით უამრავი ოქრო-ვერცხლი დევსო...

მართლაც ბევრმა სცადა კიდევ წერაქვებითა და უროებით შეენგრიათ კედელი, მთელი კვირეები ეწვალენ, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს. ნახევრამდეც კი ვერ შეაღწიეს. ქვები თითქოს მეტალივით იყო ერთმანეთზე მიდუღებულნი. ქერის ფქვილგარეული კირი, ძველად კოშკების ასაშენებლად

რომ ხმარობდნენ, მართლაც უცნაური გამოგონება იყო, ისე კრავდა კედელს, ბევრიც რომ გეცადა, ერთ ნატრეს ვერ დააყრევინებდი. ამიტომაც იყო — ახლადაშენებულევით საღად იდგნენ კოშკები. წვიმა და ზამთრის თოვლიანი ქარბუქი საცოდავად ენარცებოდა, ეხეთქებოდა მის კედლებს. კედლები კედლებად რჩებოდა, დროთა სივლე ვერაფერი დააკლო.

— შეგაწუხე, არა? — უთხრა ზიზიმ.
— რას ამბობ, ეს რა შეწუხებაა?

ზიზი მათი ეზოს ჭიშკართან იდგა და ხელი სახელურისათვის ჩაეკიდა.

— მამაჩემმა თქვა, შენს ამხანაგებში ჭეჭე ყველას სჯობიაო...

— მამაშენმა?! — გაეღიმა ჭეჭეს.
— რამდენჯერმე ვახსენა, ალბათ ნანანობდა, იმ დამეს რომ გაწყენინა...

— მე რა... ალბათ ისე თქვა...

— არ ვიცი, ზუსტად ასე მითხრა...

— პირიქით... მართლა ძაან უშნოდ გამომივიდა, ერთი წერილი ვერავის ვერ მოგწერეთ...

— ჩვენი და-ძმობა დაარღვიე; არა?
— ასე გამოთვიდა...

— ჰმ! — ჩაიცინა ზიზიმ.
— რატომ იცინი?

— ისე...
— ალბათ სიშორის ბრალია...

— შენ ამას ძალიან განიცდი?
— როგორ შემარცხვინეს, ხომ ნახე...

— მაგათ თუ უღვე ყური...

— მევეწყალზე მართლა შევეფიცეთ ერთმანეთს, რა ვიცი, შეიძლება ბავშვური გულტბრყვილობა იყო, მაგრამ ხომ შევეფიცეთ...

— ჰმ! — კვლავ ჩაიცინა ზიზიმ.
— სასაცილოა?

— აბა არა?
— რატომ გეცინება.

— მე რე სადაა ის და-ძმობა, — ცივად თქვა ზიზიმ და ჭიშკარი გამოაღო, — სადაა, მითხარი.

„ — სადაა“ — უნებურად გაიმეორა თავისთვის ჭეჭემ.

— კარგად იყავი, ჭეჭე, — ცივად გამოესალმა ზიზიმ.

- კარგად იყავი...
- შეგაწუხებ...
- არა, რას ამბობ...

ჩემე უკან გამობრუნდა. ხილზე შედგა და მოაჯირს გადაეყრდნო. ხილი ქანაობდა. მდინარე აქანავებდა და არწევდა. სიო აქ უფრო მძლავრად ქროდა, უფრო გრილოდა, ნიავი ცივად სცემდა სახეში. იგი დიდხანს იდგა ხილზე, ხიდის ფარდალალა მოაჯირზე გადაწოლილიყო და ჭოჯობითურ უფსკრულს ჩასცქეროდა. ყურებში გრგვინვასავით ჩაესმოდა მდინარის ხმაური, ტალღების კლდეებზე მიხეთქების ხმა და კოშკის გამოცემული ექო-ძლიერი. ამ წუთას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ხილზე კი არა, ბალტიის ზღვაში კატერის ბანზე იდგა, ამობოქრებული ზღვის უსასრულო ჰორიზონტს გასცქეროდა, გასცქეროდა უაზროდ და უხალისოდ. ვერე კატერი ნაპირს მიადგა, ჩემე ნაპირზე გადავიდა და შინისაკენ გასწია.

მთავარი ქუჩით მიდიოდა. ირგვლივ კაცის ჰაჭანება არ იყო. ძაღლებიც არ ჩანდნენ, ალბათ ეძინათ უკვე თავიანთ ბუნაგებში. ფეხის ხმა დოლის ბრაზუნით გაისმოდა, თითქოს დამბაჩებს ისერიანო. „სად წავიდნენ?“ — ფიქრობდა ამხანაგებზე. თივის ძნები და გამხმარი ბალახის სუნი გაახსენდა. რაღაც უცნაური გრძნობა დაეუფლა — თბილი და ყრუანტელისმომგვრელი. თვითონ კი მარტო იყო, მარტო და მოწყენილი. არასოდეს ასე არ განუცდია მარტობა, როგორც ამაღამ.

ოთახში ფეხაკრეფით შევიდა, უხმოდ გაიძრო ტანსაცმელი და წამოწვა. ჩემეს ეგონა, არავის გაუგია ჩემი დაბრუნებაო, მაგრამ შეცდა. დედამისმა თავი წამოსწია საწოლიდან და წყნარად უთხრა:

- შეილო, ნათესავები მოვიდნენ სახანავად, შენ კი სხვაგან დადიხარ...
- ამხანაგებში ვიყავი, დედი...
- ჩვენც გვენატრები, ჩვენც უნდა დაგვენახო ხოლმე...
- მამა როგორ არის?
- მამაც ნაწყენია, რაღაც ორიოდ

კვირით ჩამოვიდა და წესიერად ვერ მოეკარო თვალიო...

— ხეალ მე და მამა სათიბში მივდივართ...

— ახლა კარგი სათქმელია, ვნახოთ; ხეალ დილით რას იტყვი...

— რა მეთქმის, შეგვიპირდი...

— ჰო, დაიძინე, შეილო დაიძინე.

— კარგი, დედი...

დიდხანს ფიქრობდა, წრიალებდა და ისე ფიქრობდა. მერე, როგორც იქნა, ჩაეძინა. უცნაური სიზმარი ნახა. მდინარეს საოცრად დაეკლო. ძლიერ მოწანწყარებდა. თევზები წყალში ვერ ეტეოდნენ და ნაპირზე ფართხალედნენ, ნერვიულად ბერავდნენ ლაყუჩებს, ამოდ ეძებდნენ სისველეს, წყალი არსად იყო. მზე კი აჭერდა და აჭერდა, მეტი კი აღარ შეეძლოთ, ერთი უკანასკნელად შეხტნენ, ჰაერში მოიქნიეს გამხმარი კედლები და მიწაზე გაიშორტნენ. მთელი ხეობა გამხმარი თევზებით იყო სავსე. ყველა ტიროდა, ყველას ეცოდებოდათ საწყალი, უდანაშაულო თევზები და წუხდნენ. საიდანღაც ზურა და მისი ამფსონებიც მოვიდნენ. მათაც აუჩვილდათ გულა და ატორდნენ. ტიროდა ზურა, ტიროდა შამილა, ტიროდნენ ლალა და ნია. მხოლოდ ზიზი არ ტიროდა. ზიზი იდგა და ისე უყურებდა, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო. ყველას უკვირდა ზიზის საქციელი და გაიძახოდნენ: შეხეთ, ხალხო, რა უგულო ვინმე ყოფილაო. ზიზი აინუნშიაც არ აგდებდა მათ ნათქვამს. იდგა თავისთვის და ეღიმებოდა.

ლალამ მკლავი გაუყარა ზურას და უთხრა:

— გიტარა დაუკარი და გაცოცხლებიან...

— უი, მართლა კარგი გაგახსენდა, თევზებს უყვართ მუსიკა, დაუკარი, იქნებ გაცოცხლდნენ, — შეიცხადა ნიამაც.

ზურამ ცრემლები შეიშრალა. მხარზე თოფივით გადაკიდებული გიტარა ჩამოიღო და დაუკრა. რომელიღაც სევდიან სიმღერას უკრავდა, თან დაშლე-

როდა, მაგრამ თევზებს არ ესმოდათ არაფერი, უგრძობლად იწვნენ და იხრუკებოდნენ მზის სხივებზე. ტანი მთლად გაუწითლდათ და წითელი წინწყლები, პარალელურ ხაზებად რომ ჩაჰყვებოდათ ზურგზე, აღარ ემჩნეოდათ უკვე.

— არ გაცოცხლდნენ, — თქვა შამილამ.

— გაცოცხლდებიან, აი, ნახავ... — იმედს არ კარგავდა ნია.

— მაგათ რა გააცოცხლებთ... — თქვა ზიზიმ.

— გაცოცხლდებიან, — თქვა ლალამ.

— შენ ცუდად უკრავ... — უთხრა ეუცერად ზურას ზიზიმ.

ზურა არ მოელოდა ზიზისგან ამას და გაწითლდა, იმ თევზებივით გაწითლდა, მაგრამ ცდილობდა არ შეემჩნია.

— თევზებს ვერ მოატყუებ, ჩვენ სხვა ვართ, მაგრამ მუსიკაში თევზებს ვერ მოატყუებ...

— აბა, დიდი ვინმე ესენი მყვანან... — ბანზე აუგლო ზიზის შამილამ.

— თევზებისათვის მუსიკა იგივეა, რაც ჩვენთვის ჰაერი... თევზები დღეღამად ისმენენ მუსიკას... — თქვა დარწმუნებული კილოთი ზიზიმ.

შამილამ ვერაფერი უბასუხა.

ვერავეინ ვერაფერი თქვა.

ზიზიმ კი განაგრძო:

— და ამიტომ ისინი არ გაცოცხლდებიან...

მერე კი უხმოდ შებრუნდა და წავიდა. უკანმოუხედავად წავიდა და მიატოვა ამხანაგები.

— საით, ზიზი!.. — მიაძახა ლალამ.

— საით, ზიზი!.. — მიაძახა ნიამ.

— სად, სად მიხვალ!.. — მიაძახეს ზურამ და შამილამ.

მაგრამ ზიზის არ ესმოდა, არ მოუხედავს. წავიდა.

ჩემე ჭაჭურმა გამოაღვიძა. ნამძინარევი თვალები ზანტად მოიფშვნიტა და გამოახილა. მამამისი იყო.

— ადექი, წასვლის დროა... — უთხრა მამამ.

— მოიცა, რა... — პატარა ბავშვივით დაედრიჯა ჩემე.

— წასვლის დროა, გაიგე? [ჩუჩქაყარად გაუმეორა მამამ.]

— გვიან დაწვექი წუხელის. — უხალისოდ იმართლა თავი ჩემემ.

— აღრე უნდა მოსულიყავი...

ჩემე წამოდგა, ჩაცმა დაიწყო.

— რა მოხდა, უჩემოდ ვერ მოითიბება ის სათიბი?

— ვერ მოითიბება... მეორეც და — სიტყვას შესრულება უნდა.

„ — ვერ ვნახავ, ესე იგი, დღეს ვერ ვნახავ... „ — გაუელვა ჩემეს თავში.

— რა ვიცოდი, ასე თუ შემავიანდებოდა...

— უნდა გკოდნოდა, ამაშია საქმე...

— კარგი, კი არ მეზარება...

— თივის სუნი არ გენატრება მანც? თივის სუნი და კალიების ჭრიჭინი...

— როგორ არა, მამი, ჩვენს მსხალს ასხია? ხომ არ ვახმა ჩვენი მსხალი?

— ჩვენმა მსხალმა არ მოისხა...

— რატომ? ყოველთვის ისხამდა!

— წყალი თუ არავინ შეუშვა ძირებში, ფისი თუ არავინ წაუსვა, აბა რა იქნება... რაც შენ წახველი მაგისთვის ვის ეცალა, სხვა საქმეებს ძლივს ავუდიოდით. იმ წელს არ უწუწუნია, წელს კი უკვე ვეღარ ეყო ვაჟაცობა... ნამეტანი დაანდა მოუველელობა და არ მოისხა ყვავილი კი გამოიდო, მაგრამ შეაქცნა, ჭიანჭველები დაესივნენ...

მსხალი სათიბის შუაგულში, ბექობზე იდგა. ბექობი მშრალი და გამოფიტული იყო. მხოლოდ წვიმის წყალი ვერ ჰყოფნიდა, კვირაში ერთხელ რუს წყალი უნდა მიგეშვა. ჩემე ყოველ გაზაფხულს რწყავდა ხოლმე. ზაფხულის პანანაქება სიცხეში ტოტებგაფოფრილი მსხალი მისწრება იყო. უზარმაზარ ჩრდილს აყენებდა და უამრავ ხალხს იზიდავდა. ახლომახლო ნაკვეთებიდან აქეთ გამორბოდნენ დასიცხული გლეხები, კოლმეურნეები. აქ სადილობდნენ. გაზეთებს შლიდნენ ბალახზე, ხსნიდნენ თავიანთ ბოხჩებს და საქმელ-სასმელს

ზედ ალაგებდნენ... ხშირად მოლზე სუფრას აერთებდნენ და ყველა ერთად სხდებოდა. აირჩევდნენ თამადას და წავიღოდა სადღეგრძელოები. უფრო მეტად ეს საღამოობით ხდებოდა, შზის ჩასვლის ეამს, როცა ნაკლებ ცხელოდა და სმა შეიძლებოდა. შუადღისას, ჩვეულებრივ, სასმელს ცოტას სვამდნენ. სიმღერა კი ყოველთვის იყო მიღებული. თითქოს დასაღვეად და დროის გასატარებლად იყვნენ მოსულები, მოხუცები და ახალგაზრდები ძველ მამა-ბაბურ სიმღერებს აფუგუნებდნენ და ერთ ამბავში იყვნენ.

ქალბნ მანცლამაინც არაფრად ეჭამინიკებოდათ კაცების ასეთი წრესგადასული მხიარულება, საქმეზე შესტკიოდათ გული, ქოთქოთებდნენ და უჩქაროდნენ. ქმრები ერთხანს კიდევ ისხდნენ მოლზე, ვითომ ქალების არაფერი გვესმისო, მერე კი ადგებოდნენ და ბუზღუნით მიჰყებოდნენ თავიანთ დედაკაცებს — რას გააწყალე გულიო, ზოგიერთები ქმრის მოლოდინში თვითონ იღებდნენ ცელებს და თიბვას იწყებდნენ — იქნებ ახლა მანც შერცხვებს და გამოვიდესო. ქალი რომ ცელს მოკიდებდა ხელს, ეს მამაკაცისა და ოჯახის სირცხვილად ითვლებოდა, ამიტომ ამ დროს კაცები წყვეტდნენ სიმღერას, ტოვებდნენ სუფრას, ყოველგვარ საქმიანობას და თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ თავიანთი სათიბებისაკენ, ურჩი დედაკაცების დასაშოშმინებლად...

— ბევრი ხალხი იქნება? — ჰკითხა მამას ჭეჭემ.

ამ დროს დედამისიც შემოვიდა კარებში.

— მანც ადგი, შეილო?

— გადაირია კაცი და რალა მექნა...

— ხალხი კი იქნება... — თქვა მამამისმა.

— აბა, აბა ბაზარი არ იყოს დღეს... რომ მიგყავს ვაჟკაცი, ამუშავე კიდევ... სმა სხვა დროს...

— შენ ვაჟკაცი უძახე, კინალამ აზულუქუნდა... წუხელის გვიან მოვედიო...

— არ მოვედი? — დაიმოწმა ჭეჭემ დედამისი.

— გვიან მოვიდა... გოგონა...

— ყველაფერი და მაგათი ამხანაგობის არაფერი მწამს... ჩვენ დროს სხვა იყო, ამხანაგობაც ვიცოდით და ერთმანეთის გატანაც. მაგენი თითო ჭიქას გადაყლურწავენ და გინებაზე გადადიან...

— გოგოებთან არავინ იგინება... — თქვა ჭეჭემ.

— გოგოებიც იყვნენ? — სახე გაუნათლა დედამ.

— რა თქმა უნდა... ჩვენები...

— გოგოები თორემ რა გოგოები... უშნოდ ვაპრანჭულ-გამეტიჩრებულები, ლაქლაქისა და კობწილობის მეტს მგონი არაფერს აყეთებენ... რას ჰგვანან, ღმერთო ჩემო. თივის ზვინებივით არ ადგათ თავზე საზღვარგარეთულია თუ რალაც ეშმაკისფრად შეღებილი თმები? რა გაუწყრათ ასეთი...

— როდის იყო მამაშენი ქალებში ერკვეოდა. მაგას რომ ჰკითხო, ქალმა სარკეში არ უნდა ჩაიხედოს. შენ ის მითხარი, ამხანაგებიდან ვინ იყვნენ?

— ლალა იყო...

— მართლა ლალა... ქაჯი და ეშმაკი. — თქვა ქელეშბიმი.

— ნია იყო...

— უარესი მეტიჩარა...

— კიდევ ვინ იყო?

— ზიზი იყო.

— ზიზი? — თვალები დაჰყიტა დედამისმა.

— ზიზი? — დაინტერესდა ქელეშბიმი.

— ზო, ზიზი... რას გაიკვირვებ.

— არა, ისე... — თქვა დედამ, — ზიზი დიდებული გოგოა...

— ზიზიზე თქვით რაც გენებოთ... ზიზი სოფლის თვალია... — თქვა ქელეშბიმი.

— იყოს მერე, ვინ უშლის... — ჩაცმას მორჩა ჭეჭემ.

— უნდა შეკრებილიყავით? — ჰკითხა დედამისმა და ქელეშბის გადახედა.

— დათქმით არ დაგვიტყვამს.

— თუ დათქვით, უხერხულია... რას იტყვიან ამხანაგები.

— დარჩი სახლში, მართლაც უხერხულია... — დამოწმდა ქეღეში.

— რა დარჩენა აგიტყდათ, არაფერი ჩვენ არ დაგვიტყვამს.

— არა, შეილო, როგორც გინდა, — დაუტკბა დედა.

— თუ მივდივართ, წავიდეთ... წიდან სული არ მომატქმევიწინე... — ოდნავ გაოცებული კილოთი უთხრა მამამისს ჭექემ.

— აიკიდე საგზალი და წავიდეთ, ვნახოთ, რა ბიჭიცა ხარ...

— კარგად, დედა... — გამოემშვიდობა ჭექემ.

— ფრთხილად იქნე, შეილო, ცელი, გადაჩვეული ხარ...

— არ მოითლის ბარძაყებს, ნუ გეშინია, თორემ მინდორი ფშუტურებითაა საყვე, სისხლისგან არ დაიცლება... — დაიძმედა ქალი ქეღეშიში.

შუადღემდე შეუსვენებელივ მუშაობდნენ. გამწარებულები უსვენდნენ ცელეშ. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ. ჭექემ ტრუსის ამარა თიბავდა. მთელი ტანი ეწვოდა მზისაგან. სიზმრად ნანახ თევზებს დაემსგავსა, ნაკერჩხლებზე შემწვარ კიბორჩხალასავით გაუწითლდა ზურგი. ქეღეში მალულად ეჭიბრებოდა შეილს. უხმოდ აკვირდებოდა. მერე შეეშინდა, არ გამასწროსო და მიეპირფერა:

— შეისვენე, შეისვენე წუთით...

მეზობელ ნაკვეთებზეც ტრუსების ამარა მუშაობდა ხალხი. ქეღეშიში არაფრით არ გაიძრო მატყლის სქელი შარვალი — თქვენსავით სინდის-ნამუსი კი არ დამიკარგავსო. ვანუწყვეტლივ გაისმოდა ცელების ლესვისა და ჩაქუნით გამოკვერვის ხმა. კალოები ცელის ხმაზე ხტოდნენ, ვაი-ვიშით გარბოდნენ და თავგზააბნეულები აწყდებოდნენ აქეთ-იქით.

ჭექემ და მამამისი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. ნაბიჯ-ნაბიჯ აწვედნენ ბალახს. შუადღისას ძალიან ჩამოცხა. ყველამ მსხალს შეაფარა თავი. მეზობლები დიდის ამბით კითხულობდნენ

ჭექეს, თანაც საყვედურობდნენ — ძალიან დაგვივიწყეო. ჩვენსაკრამდენი ხანია არ ყოფილხარ, თუ არ გამოვივლი, იცოდე, გვეწყინებაო. ყველანი სთხოვდნენ, სწვეოდა ოჯახში, პატივი ეცა მათთვის. ჭექემ პირდებოდა, აუცილებლად გინახულებთო. ბიჭის პასუხით ნასიამოვნები გლუხები უღვაშებზე ისევამდნენ დაკოქრილ თითებს და ვაყვაცობასა და განათლებას ულოცავდნენ. ზოგიერთი თავიანთ ჭარისკაცობას იხსენებდა და რუსულად ეკითხებოდა რაღაც-რაღაცეებს.

ჭექეს სიამოვნებდა მათთან საუბარი. უხაროდა და სიამოვნებდა. ეს იყო გულღია და მიმნდობი ხალხი, რასაც ფიქრობდნენ, იმას ამბობდნენ. ეს ჭანსალი და მალალი სულის ხალხი იყო, ჭექემ შინაგანად ისვენებდა მათთან. მერე ყველამ იბანავა იქვე, პატარა მდინარეში, რომლის კალაპოტი მთლიანად მურყნისა და ტირიფის ბუჩქებით იყო დაბურული. ქალები მაინც ზურგშექცევით დასხდნენ მობანავეებისაყენ და თავისთვის ჩურჩულებდნენ რაღაცას. ოდნავ რომ აგრილდა, ქათმებივით კრიბი ატეხეს და კაცებს დაუწყეს ძაბილი — აბა ჩქარა, ცელი გაცოდებაო...

სალამოს დუშოლით მოდიოდნენ შინ. ჭექეს სახსრებში სტეხდა დაღლილობისაგან, მაგრამ არ იმწნედა. ორი წლის განმავლობაში დღეს პირველად იმუშავა ასე თავდაუზოგავად. ზურგი და პირისაზე ეწვოდა, უხურდა.

მამამისი, ეტყობოდა, კმაყოფილი იყო. უღვაშებში ძლივს შესამჩნევად ეღიმებოდა, შეილს რომ არ შეენიშნა. აეროპორტთან ზემო სათიბებიდან მომავალი ხალხი შემოუერთდათ, მხარზე ცულგადადებულნი მოდიოდნენ ისინიც. მათაც სათითაოდ მოიკითხეს ჭექემ. სახლში მიიბატიყეს — მოდი, ამაღამ ჩვენთან გამოიარეო. მოდი, ჩვენც გვინახულებო. ჭექემ დაღლილობას იმიზეზებდა და სხვა დროისათვის პირდებოდა. იგი ბედნიერი იყო. პირველად გრძნობდა ასეთ დამოკიდებულებას უფროსების მხრიდან. ამაღამ პირველად

შეიცნო თავი კაცად, ეს არც თუ სახუმარო და უბრალო საქმე იყო. მას, როგორც ტოლსა და თანასწორს, ისე ელაპარაკებოდნენ. ორი წლის წინ კი ასე არ იყო. მაშინ მათ ყოველ სიტყვაში დამრიგებლურ და ჭკუისმასწავლებელ კილოს ზედავდა. ახლა კი აქეთ ეკითხებოდნენ რჩევა-დარიგებას სთხოვდნენ. ისიც პასუხობდა, როგორც შეეძლო. უხაროდა ამ ხალხთან ახლოს ყოფნა, მათთან ბაასი და სიარული: „არღვევების თორმეტ დღეს ერთ კვირასაც მივუმატებ, მართლა ყველას ვესტუმრები და ყველას მოვიწინებ...“ — გადაწყვიტა ჯექმე.

ნიასა და შამილას მშობლებიც აქ იყვნენ. ზურას მამიდამ, კოლმეფურნების მოწინავე მერგოლურმა ხამაძლამ ჰკითხა ჯექმეს:

— შენი ამფსონები რად არ წამოიყვანე? არ შეკადრებოდა მათთვის ცელისქნევა? ან იქნებ მათი მშობლები, წელზე ფეხებს რომ იდგამენ, გიყები არიან. საბედია და ივანე, თქვენ რას იტყვიოთ ამასზე? — ახლა იმათ გადახედა ზურას მამიდას.

„საწყალი სტუდენტები, მთელი ათი თვე ტენის ჭყლეტაში არიან, ეს კვირები მაინც აღამიანურად უნდა გაატაროს კაცმა...“ — გაახსენდა ზურას ნათქვამი ჯექმეს: —

— იმათთვის არ მითქვამს, თორემ წამოვიდოდნენ...

საბედლას მაგრად შემოეხვია ჭრელი თავსაფარი, დაღარული მზისაგან გაშავებული დაწვები მოუჩანდა. მან ერთი უხალისოდ გადმოხედა მათს მერგოლურს. თქმით არაფერი უთქვამს.

— თქმას რა აზრი აქვს... თქვი, რამდენიც გნებავს, ვის ესმის რო... — წვერზე მოისვა ხელი ივანემ.

— მართლს ბრძანებთ, ივანე... ციდან ხომ არ ჩამოფრენილან, კარგად იციან, მუშაობა რომაა საჭირო... იმდენი მაინც უნდა შეჰქმნა, რომ შენ გეცხოს... ერთადერთი ვიცი, ხის სოკო, სხვას რომ აზის კისერზე და უდარდელად შეპლიდინებს წუთისოფელს, ერ-

თადერთი და იმასაც პარაზიტს ეძახიან... — ჩაერთა მათს საუბარში ქელეშბი...

— მართალია, მართალი... — დაუდასტურეს სხვებმა.

მერე შემოერთებულები ჩამოსცილდნენ, თავთავიანთ სახლებსაყენ შეუხვიეს. ის და მამამისი კვლავ მარტონი დარჩნენ. უხმოდ მიუყვებოდნენ შარას. ქელეშბის რაღაცის თქმა ეწადა, მაგრამ ვერ ბედავდა. ჯექმე ამჩნევდა, მამამისს რაღაცის თქმა რომ ეწადა და უცდიდა. ბოლოს, როგორც იქნა, ენა ამოიღვა:

— ძალიან გეწვის? — რაღაც უხერხულად გადახედა შეილს ქელეშბიმ.

ჯექმე არ მოელოდა ამ შეკითხვას. მამას არ უყვარდა ასეთ რაღაცეებზე თავის შეწუხება. ზედმეტ ლოლიავს და ყურადღებას ვერ იტანდა.

— არა, არც ისე...

— ამაღამ მაწვნიოთ დავხილოთ...

— გაივლის ალბათ...

— ხვალ დაისვენებ... ხვალაც და ზეგაც...

„კიდევ კარგი, თორემ ნამდვილად ვერ შეეძლებდი...“

— ზეგ ვიმუშაებ...

— არა, ზეგაც დაისვენე...

— როგორც გინდა...

მერე კვლავ დუმილი ჩამოწვა. სახლამდე ერთი აღმართი დარჩათ ასავლელი. გზა საქონლით იყო საყვსე. მამლარი საქონელი ბლაოდა და არქინებოდა. იყო ერთი გამიშვი.

— ზიზიმ წელს დაუსწრებელზე ჩააბარა... ზიზი სოფლის სიამაყეა... — თქვა ქელეშბიმ.

— მართლა?! — ეს ამბავი პირველად ესმოდა ჯექმეს.

„მართლა ჩააბარა? რატომ არაფერი თქვეს? მივეულოცავდი მაინც. უნდა ეკითხა რამე სწავლის თაობაზე, თვითონ უნდა ეკითხა, ეს როგორ მოუვიდა...“

— ზიზი ოჯახის უფროსია... მამამისის იმედზე მტერი იყოს...

— სვამს კიდევ?

— სვამს და ჩხუბობს... შიშით მგონი

აივანზე ვერ გამოსულა გოგო. მიკვირს, წუხელ როგორ გაბედა...

„შე კი არც მივულოცე... არც ვადღერბელე და არც მივულოცე...“

— ზიზი სოფლის თვალია... — გაიმეორა ძვევ მამამისმა.

ჯემი იწვია. ხელები თავქვეშ ამოედო და თვალები ჭერისათვის მიეშტერებინა. გვერდითა ოთახიდან ხმაური და ლაპარაკი მოისმოდა. კარების ჭრიალი არ წყდებოდა. ეს მეზობლები მოდიოდნენ სტუმრად და საქეიფოდ.

— სადაა ი, თქვენი ბოფში... — კითხულობდნენ ისინი, — ახალი მთვარე გვინახავს და მავას ვერ მოგვარით გემოზე თვალი... არ უნდა გვაჩვენოთ?

— დაიდალა... — მოკლედ პასუხობდა ქელეშში.

— ხვალ კვირაა, მთელი დღე შინ იქნება... უდასტურებდა მას დედა.

„გავაღ დავენახებები...“ — გადაწყვიტა ჯემემ, მაგრამ ტანი ვერ აიბრია და უკანვე მიეგდო. დაქვილივით იყო. კვლავ ამოიღო ფაქქვეშ ხელები და ფიქრებს მიეცა.

იმ დღეს ზურამ აიყოლია და ვიღაც ნათესავეებში წაიყვანა. ნათესავეები რისი ნათესავეები იყვნენ, სსამელი რომ არ დაეძალეზინათ. იმდენი ასვეს, ძლივს გამოზანცალდნენ ჭიშკარში. მღეროდნენ. ჯემეს არ უყვარდა მაინცდამაინც სიმღერა. იმ დღეს კი რამდენადაც შეეძლო, არ დაუზოგავს თავი. მღეროდნენ და ღრიალებდნენ ხმამაღლა. ხიდზე რომ გამოდიოდნენ ზიზი და მამამისა შეემოხვდათ. ზიზის ხელი ჩაეკიდა მამამისისათვის და მხარში ამოდგომოდა. კაცი მაღალი, შავგვრემანი იყო. სქელი წარბები და მოკლედ დაყენებული უღვაშები ჰქონდა. ორივენი რვიანებს ხაზავდნენ. ზიზი მორცხვად მოჰყვებოდა მამამისს. ამ ფარალალა ხიდზე მთვარლის მარტოდ გაშვება არაფრით არ შეიძლებოდა. მათ დანახვაზე ზურა თითქოს გამოფხიზლდაო, რაღაც გაიწვაგამოიწია და ჯემესთვის გადახვეული მკლავი გაინთავისუფლა. მერე ისევ ზიზის გადა-

ხედა ჯემემ. იგი უეცრად გაწითლდა, აიღწია. ჯემეს ეუცნაურა: „ჩვენი თურცხენია... რა მოხდა, მთვარლია გაცივებერ ჩვენც მთვარლები ვართ, ან სხვა არავინ დამთვარლა? მითუმეტეს, პირველად ხომ არ თვრება. მთელმა სოფელმა იცის, რომ ლოთია... მამ რამ გააწითლა ასე?...“

— მე... მე... შენთან საქმე მაქვს... — დარდიმანდულად აუწია კაცმა ხელი ზურას.

— ჩემთან? — გაიკვირვა ზურამ, თან რალაცნაირად ორჯოფულად მიესალმა გოგოს.

ზიზი კიდევ უფრო გაწითლდა. პასუხი არ დაუბრუნებია. თავი დაეხარა და მიწას დასჩერებოდა.

ჯემემ მიესალმა ორთავეს. კაცს მისთვის არ სცებლოდა. არც ზიზის გაუცია ხმა. ჯემე გაოგნებული იღვა ერთხანს და გრძნობდა, აქ რაღაც საიდუმლოება იმალებოდა, საიდუმლოება, რომელიც მხოლოდ თვითონ არ იცოდა, მაგათ კი ყველამ იცოდნენ. ზიზის ქცევა ეუცნაურებოდა ყველაზე მეტად.

— ხო, შენთან, თუმცა რა საქმე უნდა მქონდეს გუშინდელ ლაწირაკებთან... — დაახეთქა ზიზის მამამ.

ზურას მსწრაფლ ჩამოუცვივდა მხრები, ბლუტუნი აუვარდა, თითქოს ენა დაეზაო, ხმა ვერ ამოიღო. ჯემეს გადმოხედა მვედრებელი თვალებით — თუ ძმა ხარ მიშველეო, — ევედრებოდნენ ისინი. ყოველშემთხვევაში ჯემეს ასე მოეჩვენა.

კაცმა ერთი მოუქნია და სახეში სთხლიშა ზურას, თან ვაჰყვიროდა:

— დაიკარგე აქედან. ტუტუცო, დაიკარგე, ვიდრე მთელი ხარ, გაიგე?!

„რა უნდოდა ამ კაცს ზურასაგან, რას ერჩოდა ტყუილუბრალოდ? საკვარე ჭირკვივით მოდგა და უთაქუნებს და უთაქუნებს თავში.“ — ფიქრობს ჯემე.

— კი მაგრამ... რა იყო... რა მოხდა... — თავს იმართლებდა ზურა.

— წადი რა, წადი... — უჩურჩულა მას ზიზიმ.

— შენ ხმა ვაკმინდე და აქეთ გამოი-

წიე, თორემ მდინარეს ხომ ხედავ... — დაუჭყვივლა გოგოს მამამისმა.

— რაშია საქმე? ჩვენ არაფერი გვიკადრებია, მგონი... — ჩაერთა საუბარში ჭექე. იგი მხრებს იჩეჩავდა — არაფერი მესმისო.

კაცმა ერთი ისევ შეუღრიალა ზურას: — თითქოს არ იცოდეს, რა იყო... თითქოს არ იცოდეს, რა მოხდა... — და კიდევ უნდა სცემოდა, რომ მათ შუაში ჭექე ჩადგა. კაცი გაცოფდა და რალაც ველური ხმით ახარხარდა:

— კუმ ფეხი გამოჰყო და მეც ნახირ-ნახირაო... — დიძახა მან სასოწარკვეთილი ხმით და სახეში სთხლიშა ჭექეს. ჭექე წაბარბაცდა და ხილის მოაჯირს გადაეყიდა, — ვერ გაჩერდები შენთვის? — იგი ისევ მიიწევდა საცემრად, ჭექეც შეეშადა, მაგრამ ამ დროს ვილაცებში შემოესწრნენ და გააშველეს. ზიზის მამა იქით, სამანქანო გზაზე გაიყვანეს. ფერწასულ ზურასთვის ზიზის ჩაეკიდა ხელი, ისინი ერთად მივიდნენ ჭექესთან.

— წადით რა სახლში... — სთხოვა ორთავეს ზიზიმ. მერე სწრაფად შებრუნდა და ხალხის ალყაში მოქცეულ მამამისისაკენ გაიქცა.

ჭექეს ლოყა უხურდა.

— რას ერეოდი ჩვენს საქმეში... — უთხრა ზურამ.

— რა საქმეში, არ გამაგებინებ, რა საქმე გაქვთ ასეთი, ან რა ვთქვი ისეთი.

— აი, რა თქვი... გასიებული გაქვს პირისახე.

— დიდი რამე... ისე კარგად კი მომადლო.

ისინი მოედნისაკენ გაემართნენ და მთავეწყალთან მივიდნენ.

— რომ დათვრება ასეთია მაგი.

— ვიცი, თორემ ნაღდად არ შევარჩენდი.

— ამხანაგის მამაა, რა მოხდა...

— მერე რა, იყოს. ტყუილუბრალოდ მშობლები არ მცემენ.

— კარგი, შევეშვათ...

— რა უნდოდა? ნაწყენი ხომ არაა

შენზე. ისე კი დავიწყო რალაც, ხომ იცი.

— არა, რას ლაპარაკობ... — ზურამ.

— მაშინ ვიცი ყოფილა...

— უბრალოდ, მთვრალია და ესაა, მეტი არაფერი... — კვლავ ვიძეორა ზურამ.

— მთვრალი რამდენი მინახავს...

ერთხანს იდგნენ, მერე სახლებსაკენ გასწიეს.

— ბოდიში, რა? — მოაძახა უნიდან ზურამ.

— რა ბოდიში...

— ჩემი გულისათვის გცემეს...

— კარგი...

„რისთვის, რატომ აურიო?“ — ფიქრობდა მთელი ღამე ჭექე. მაგრამ გამოცანას ამოხსნა არ ჰქონდა, მერე შეეშვა, შეეშვა მაგრამ სულ ერგვენობადა, რომ ზურა მის შეკითხვებზე არასწორად პასუხობდა. ზურა მას სიმართლეს უმალივდა. ასე ერგვენობადა და ეს სწყინდა. არც ახლა იცოდა ჭექემ, რას ერჩოდა იმ ღამეს ზიზის მამა ამხანაგს, რისთვის მიმართავდა ასეთი შეურაცხყოფელი სიტყვებით. რატომ აიღწეა ასე ერთბაშად გოგო. მსგავსი რამ მანამდე არ შეემჩნია ზიზისათვის და უფრო იმიტომ უკვირდა მისი ილაპინდელი საქციელი. საერთოდ იმ ღამეს ბევრი რამ მოხდა ისეთი, გაუგებარი...

„აღბათ ისე, ტყუილუბრალოდ... ხომ ხდება ხოლმე... მოუვლის კაცს და მივარდება ვილაცას...“ — ეუბნებოდა ჭექეს მეორე ხმა. მერე ჩაიქნია ამბზე ხელი და მეტად არც უფიქრია. არც გახსენებია ის ამბავი. მაშინ პატარა იყო, საშუალო სკოლის მოსწავლე, მერე რა მოხდა, უფროსმა სცემა. ამაში განსაკუთრებულს და მაინცდამაინც საწყენს არაფერს ხედავდა ჭექე. უმცროსებს ყოველთვის მართებდათ უფროსებისადმი პატივისცემა და მოკრძალება. მაგრამ აი, გუშინ საღამოს ზიზიმ კვლავ მოაგონა ის ძველი ამბავი. ჭექე ძალაუნებურად ჩაფიქრდა ისევე და ორი-სამი წლის მერე ხელახლა ვაუკეთა ყოველი-

ვეს ანალიზი. მაგრამ რაღა გამოვიდა? ისევ აერ-დერიი ყველაფერი და კვლავ გაუგებარი დარჩა ყოველივე. ბოლოს დაღლილობამ თავისი გაიტანა. ჩაეძინა, ღრმად ჩაეძინა და ხერხევა ამოეშვა.

ჯექვე ღერეფანზე იდგა და ეზოში იხედებოდა. ეზოში ღორები დასუნსუნებდნენ, ქათმები კრიახობდნენ და გაფაციცებულნი ექებდნენ საკბილოს. ეზოს კუთხეში, ლაფაროსთან, ხარები იწვნენ და ილოღნებოდნენ. მათ ისეთი ქკვიანური, რაღაც სევდიანი სახეები ჰქონდათ, თვალები ისე მიეშტერებინათ შორეული მთებისათვის, საგაზაფხულო იალაღებისათვის, საიდანაც წინა დღეებში ქელეშბიმ ჩამორეკა ისინი, თითქოს ნატრობდნენ — ნეტავი იქ აგვიყვანაო. მაგრამ მათ ნატვრას ასრულება არ ეწერა. ქელეშბის ახალ-ახალი მარხილი მოეშაღებინა მათთვის, ახალ-ახალი უღელი გამოეთალა, კოწახურის ღერისაგან გამოთლილი ტაბიკები საგანგებოდ გაეხმო. მინდვრები კი სავსე იყო შინ მოსაზიდი თვის ბულუღებით.

ჯექვეს არც ეს ღორები ენახა, არც ეს ქათმები და ნაცრისფერი ბულა. „აღბათ მაამ თუ იყიდა, ან გაუცვალა ვინმეს...“ კიბეები ჩაირბინა და ხარებთან გაჩნდა. ჯექვე მოეფერა, ზურგზე გადაუსვა ხელი. მერე მეორესთანაც მივიდა, ნაცრისფერთან. იგი ჯექვეს მიახლოებაზე წამოხტა და ახლოს არ გაიკარა. ჯექვე აედევნა და რქებში ჩააგლო ხელუბი. ხარმა გაიწ-გამოიწია, ოღონდ ჯერჯერობით ძალას არ ხმარობდა და რაც შეიძლება თავიზიანად გაურბოდა არამკითხეს. ჯექვემ შუბლზე მოუსვა ხელი, მერე ნელ-ნელა ზურგზე გადაუტარა. ხარი მალე დადრკა, რქენა შესწყვიტა და გაჩერდა. ჯექვე მიენდო და მიეფერა. „ვერ მიცანი?“ — ეუბნებოდა ხარს იგი. „ნუთუ არ გახსოვარ?“ — სინამდვილეში ხომ არც თვითონ ახსოვდა, მაგრამ ისე ეუბნებოდა. ხარი თითქოს მიუხვდა კეთილგანზრახვას, თანდათან მიენდო, მერე მუხლები მოიკეცა და მუწავზე გაწვი — გიცანი თორემ ასე

უცხად ხომ არ დაგიშინაურდებოდიო. „იწექით და მოინელეთ თქვენი ბალახი, შაქრად შეგერგოთ...“ — უთხრა მათ ჯექვე. მერე ბალთან მივიდა, ღობეზე გადაეყარნო და შიგნით შეიხედა. ეს ბალი წელს გაეშენებინათ მშობლებს. „— ამხელა ეზო რად გვინდა, ახლა ძველი დრო ხომ არ არისო“ — უთქვამს დედამისს ქელეშბისათვის, მანაც ირწმუნა და ერთი ნაწილი გადაბარა, შემოღობა, ხეხილი დარგა. დედამისმა პამიდორისა და კიტრის ჩითილები იშოვა, ნიორი, ხახვი და კომბოსტოც ჩაყარეს, წყალი მიუშვეს და მშვენიერად იხარა ყველაფერმა. ჯექვეს უკვირდა, რაღაც თორწელიწადში რამდენი რამ შეიცვალა უიმისოდ. თვითონ კი ამ დროს შორს, გადაკარგულში იყო. თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. ამ ცხოვრებას სტუდენტური ერქვა. გაახსენდა რიგინ საერთო საცხოვრებელი. ქალაქის განაპირას ახალი სტილის ხუთსართულიანი შენობები. სამსაწოლიანი ოთახები, წითელი კუთხეები, სადაც ტელევიზორს უყურებდნენ ხოლმე. გამოცდების დროს კი ტელევიზორს გამოერთავდნენ, დღეღამე მეცადინეობდნენ. გაახსენდა თანაოთახელი ამხანაგები. მორიგეობა დილა-საღამოობით, კვირაში ორჯერ კარტოფილის ფტქენა და სამზარეულოში ტრიალი. სამზარეულოში გაზი ჰქონდათ. პირველად არ იცოდა გაზქურის ხმარება. აუფეთქდა კიდეც, კიდეც კარგი, იოლად გადაჩა, მერე და მერე კი შეეჩვია. საერთოდ, ბევრი რამ ისწავლა და კარგად შეეწყო სტუდენტურ ცხოვრებას. ახალგაზრდები იყვნენ სულ და უფრო მძაფრად იგრძნობოდა სიცოცხლის რიკმი. ხშირად კლუბში კონცერტებს მართავდნენ. მეორე ნაწილში ციყვებს აწყობდნენ. ყველანი ციყვდნენ, გოგოები ყოველთვის სამყოფად იყო. არავინ რჩებოდა ნაწყენი და უკმაყოფილო. არასოდეს არ ახსოვს, საერთო საცხოვრებელში აყალიბდალი და ჩხუბი გოგოების თაობაზე. იმ კორპუსების ბინადარნი ერთმანეთს იცნობდნენ და პატივს სცემდნენ. ჯექვეს რესტორანთ

„ასტორია“ გაახსენდა. ეს რესტორანი მთავარი უნივერსიტეტის მეოთხე. სართულზე მდებარეობდა, საუკეთესოდ ითვლებოდა მთელს ქალაქში. ერთხელ, გამოცდების ჩაბარების მერე, ამხანაგმა თანაკურსელებმა გადაწყვიტეს იქ გაეტარებინათ საღამო. მათ ჭექეს ინიციატივით მაგიდები ერთმანეთს შეაერთეს და ისე დასხდნენ.

საღამოხანი იყო და მთელი დარბაზი ცეკვავდა. მუსიკა ლატვიურ სიმღერებს უკრავდა. ჭექეს ქართული ჰქონდა მონატრებული და მუსიკოსებს სთხოვა დაეკრათ რაიმე. მუსიკოსებმა, სიამოვნებით, დო ლალიძის „თბილისი“ დაამღერეს. დარბაზი გამოცოცხლდა. სიამოვნებამ ახალი განწყობილება შემოიტანა. ზოგიერთებმა ჭექეს გადახედეს — ალბათ მაგისი ხელი ურევიაო. ჭექე ერთადერთი შევუღლებიანი იყო მთელს დარბაზში, თანაც ეს-ეს იყო, მუსიკოსებს ელაბარა. ძაბიქები გამხიარულდნენ. გოგოები თვლებს ნაბავდნენ. ანტრეტებში ხმაილა ამბობდნენ საყვარელი პოეტების ლექსებს. წამოდგებოდნენ ფეხზე და მთელი დარბაზის გასაგონად ორატორობდნენ. ყველაზე დიდი პატივი იან რაინისის ზედა იმ საღამოს. ისე, საერთოდ, უმრავლესობა ლექსები სიყვარულზე იყო. გოგოებიც ამბობდნენ ლექსებს. რაღაც უჩვეულო საღამო გამოვიდა. ასეთ უცნაურ განწყობილებაზე არასოდეს არ ყოფილან, არასოდეს არ მიუციათ თავისთვის ამდენის უფლება. ჭექეც წამოდგა, გალაკტიონის „მე და ღამე“ თქვა და დაჯდა. მერე ვიდრე სხვები წამოდგნენ. არ დაყენეს საშველი. მეზობელი მაგიდებიდან ვილაციებმა სთხოვეს, გეყოფათ მეტიო. მაგრამ ვინ მოუსმინა. მაშინ აღმინისტრატორს უბმეს. მანაც ვერაფერი გააწყო. ბოლოს ვილაციამ შორიდან ჩანგალი ისროლა, ჩანგალი ზედ თეფშზე დაეცა და ნამტვრევებად აქცია, ჩახანი გააღინა, თითქოს იარაღი ისროლესო. ბიჭები წამოხტნენ, მკლავები დიკაბიწეს და ატყდა ერთი გაწყვე-გამოწყვე, ღრიალი და მუქარა. ყველაფერი ერთ-

მანეთში აირია. მილიციამღა უშველა საქმეს. მთელი ჯგუფი თანაწაბრბანეს და შუალამედე აყურყუტეს კომუნდატურაში. როგორც კი ოდნავ გაუარათ სასმელმა, გამოუშვეს და ნახირივით მოედგნენ ქუჩას. ტრანსპორტი არ იყო უკვე. ფეხით იარეს საერთო საცხოვრებლამდე. მღეროდნენ. იმდენი არასოდეს არ უმღერია. ყველა მღეროდა და თვითონაც აყვია, ამხანაგების ერთსულოვნებისათვის ყველას ანგარიში უნდა გაეწია. მეორე დღეს, აზრზე რომ მოვიდნენ, თავში ირტყეს ხელი, მაგრამ რას უშველიდნენ მომხდარს.

— მეღექსეობა რომ დაიწყეთ, აბა რა გეგონათო... — ამრახებდნენ ფილოლოგები, — ჩვენს სფეროში არ უნდა შემოჭრილიყავითო...

— აბა რადიოტალღების გავრცელებაზე ხომ არ ილაპარაკებდნენ სუფრაზე... — ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ სხვები.

ასე გადიოდა დღეები, თვეები... ერთი არ ჰგავდა მეორეს, მეორე — მესამეს. ამ დროს კი აქ, მშობლიურ სოფელში ბევრი რამ ხდებოდა ისეთი რაზეც შას წარმოდგენა არ ჰქონდა, მხოლოდ წერილებიდან თუ გებულობდა რაიმეს. აქაც ცხოვრება იყო. ამ სოფლის ხალხს თავისი ცხოვრება ჰქონდა, აქ ისინი სულ სხვა ფიქრებითა და სიხარულით ცხოვრობდნენ. ჭექეს უკვირდა, რამოდენა განსხვავება იყო მათ იდეალებსა და ცხოვრების დედაზრს შორის. მიუხედავად ამისა, ცხოვრება მდინარესავით მიიწვიდა წინ. ანგრეიდა გამოფიტულ ქანებს მიწისას, იდებდა ახალ კალაპოტს და აფართოებდა თავის ხეობას. ჩიქემ არ იცოდა, როგორ ატარებდნენ ზურა, შამილა და სხვა მისი ამხანაგები დროს, რა იყო მთავარი და მეორეხარისხოვანი მათი წარმოდგენით, მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო იგი, როგორც არ უნდა ეტარებინათ დრო, მას მაინც ცხოვრება ერქვა, ირგვლივ ყველგან ცხოვრება დუღდა, ცხოვრება სუფევდა თავისი მრავალფეროვნებითა და მრავალსახეობით.

ბავშვებს ევილ-ხივილმა ფიქრები-
დან გამოარკვია. ბავშვები მათი უბნე-
ლები იყვნენ. სადღაც მიიჩქაროდნენ.
ჩემი გალავანზე გადადგა და გადასძახა:

— ეი, ბიჭებო, რაშია საქმე?
ისინი შეჩერდნენ, უკან მოხედეს და
ერთხმად უპასუხეს:

— კინოში მივდივართ...
— რა კინოა?
— „კაპიტანი დაბაჩი“... — დაიძახეს
ერთხმად.

— „კაპიტანი დამბაჩით“... — თქვა გა-
უბედავად ვიღაც ონავარმა.
სხვებმა სიცილი ასტეხეს.
— ხომ არ გინახავთ? — ჰკითხეს ბავ-
შვებმა.

— კი, ვნახე...
— კარგი სურათია?
— ო, კარგი სურათია...

„კაპიტანი დაბაჩი“ ჩეხოსლოვაკური
ფილმი იყო. ერთი წლის წინათ ნახა.
მამინე მოეწონა, „შეიძლება ერთხელაც
ნახოს კაცმა...“ — გაიფიქრა და სახლ-
ში აირბინა, ტანსაცმელი გამოიცვალა
და გარეთ გამოვიდა.

დღემისი დერეფანზე გადმოდგა და
მოაძახა:

— სად მიხვალ დილაუთენია... სტუმ-
რები უნდა მოვიდნენ...
— მალე დაებრუნდები, დედი... —
უთხრა ჯემქემ.

„იქნებ ზიზი ვნახო სადმე...“
— თქვენსას მართლა ვერაფერს გაი-
ვებს კაცი... — ჩაილაპარაკა დედამისმა
და ოთახში შებრუნდა.

მშვენიერი ამინდი იდგა. კვირაობით
იშვითად ვინმე საქმიანობდა. ხალხი
უხოვებში გამოფენილიყო. ქალებს ერ-
თად მოეყარათ თავი და რაღაც საინტე-
რესო და დაუჭერებელ ამბებს უყვე-
ბოდნენ ერთმანეთს. სიცილისაგან იჭა-
ჭებოდნენ, იდგა ერთი კის-კასი. კაცებს
ქუდები ეხურათ, უფროსებს შავი ჩოხე-
ბი ეცვათ. ახალგაზრდები თეთრ პერან-
გებში გამოწყობილიყვნენ. ხალხი
ჭგროდ იდგა ჭიშკრებთან, გზავსაყა-
რებთან, ხანშიშესულ მოხუცებს პირში

ყალიონი გაერტოთ და ორთქლმავლ-
ბივით ამოლუბდნენ.

— გამარჯობათ...

— ო, ახალმოვარეს ვახლავართ... —

პასუხობდნენ ქალები და კაცები. ქა-
ლებს რაღაც ვაკვირებულნი და გაოცე-
ბული სახეები ჰქონდათ, გაოცებულ
მზერას ვააყოლებდნენ ხოლმე. ჯემქემ
გრძნობდა ამას და ეუცნაურებოდა მათი
სახეების გამომეტყველება, მათი ხმის
კილო, რაღაც უცნაური გრძნობა ეუფ-
ლებოდა. თითქოს ეს ხალხი მას რაღა-
ცას უმაღავდა, თითქოს ამ ქალებმა და
კაცებმა რაღაც საინტერესო ამბავი
იციოდნენ და მას უმაღავდნენ, არ ეუბ-
ნებოდნენ.

„რა უცნაურია, — ფიქრობდა ჯე-
ქემ, — ალბათ მეჩვენება რაღაცა... შეიძ-
ლება მეჩვენება...“

სასურსათო მაღაზიის კარებთან გო-
გოები შენიშნა. იქვე გვერდით სატვირ-
თო მანქანა იდგა. ამ გოგოებს შორიდან
იცნობდა ჯემქემ, მათ ორი წლით აღრე
დამთავრეს საშუალო სკოლა, უფროსე-
ბი იყვნენ. მათთან შავებში ჩაცმული
ქალი იდგა. თითქოს სადღაც ენახა იგი.

„ხო, პისტის... პისტის...“ — გაახსენდა
ჯემქემს. მერე ზიზის სიტყვები მოაგონდა:
„უბედურნი ჭორიანა...“ შავებში გა-
მოწყობილი პისტის ისე განირჩეოდა
სხვებისაგან, როგორც ყვავი მეთოვლი-
ებისაგან. იგი რაღაცას უყვებოდა მათ
და თან ეციინებოდა. ჯემქემ დაინახა,
გაჩუქდა. სხვები ჭარისკაცებივით გას-
წორდნენ წელში. ამ დროს მაღაზიიდან
მძლოლი გამოვიდა, ის იყო, გუშინდელა
მძლოლი, მან პისტის გადახედა, მერე
გოგოებს მიუბრუნდა:

— მაგი იმდენს ბაჭი-ბუქობს, მდინა-
რეები აღმა აწყავს, ჰო და დროს რა-
ტომ კარგავთ ტყვილა... — მან მანქანის
კარი გამოაღო და შიგ შევიდა.

პისტიმ ენა გამოუყო მძლოლს, მერე
გოგოებს გაუცინა, მართალი არ გეგო-
ნოთ რასაც ამბობს, ასეთი ხუმრობა
იცისო, გამოემშვიდობა და თვითონაც
ჩაჯდა კაბინაში.

„ის მძლოლია, გუშინწინ საღამოს

მას და ზიზის რომ შესთავაზა — თუ გინდათ, წაგიყვანთო“.

— გამარჯობათ... — მიესალმა ჭეჭე გოგოებს.

— გამარჯობათ... — ღიმილით უბასუსხეს მათ.

„ჩვენით სად არიან? უკვირდა ჭეჭეს, — ზიზი სად არის? მთელი სოფელი ქუჩაში იყო გამოფენილი, ზურა და მისი ამხანაგები კი არ ჩანდნენ. კინოთეატრის წინ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. უმრავლესობა ბავშვები იყო. კვირაობით მათთვის ათკაბიციან სურათებს უშვებდნენ. პატარებიც აღდგომის დილასავე მოელოდნენ კვირას. არავის არ უნდოდა გაეცვლინა. ზოგი ნაპტირალევი, დასიებული თვალებით მოდიოდა, ეტყობა, ქვირად დაუჭდა მშობლებისაგან ნებართვის აღება.“

ჭეჭე მტავვეწყალთან შექუჩებულ ბაჭებთან მივიდა და საითითაოდ ჩამოართვა ხელი. ისინი ფეხბურთზე კამათობდნენ. ყველა თავისას გაიძახოდა და ამტყიცებდა. მალე ფოსტის ფანჯარა გაიღო და ვიღაც ქალმა ჭეჭეს დაუძახა — მოდი, ერთი წუთითო. ჭეჭე მივიდა. ქალმა დებეშა გადასცა: „პრაქტიკა აღრე გვეწყება. ოცდაათისათვის აქ იყავი...“ — ეწერა დებეშაში. ჭეჭემ ხელმეორედ წაიკითხა. რა ქნას, ოცდაათამდე სამი დღეა იყო დარჩენილი. მერე ზიზი გაახსენდა. სად არიან ჩვენები, სად არის ზიზი? ზიზი... ზიზი... ზიზი... — რეკდა ვიღაცა ზარებს. ზიზი — ჩუმი და სევდიანი; ზიზი — სოფლის სიამაყე. არა, მას არ შეეძლო ასე მალე წასვლა, ყველაფრის მიტოვება, ზიზის მიტოვება. ნათესავების მიტოვება. სად არიან ჩვენები? სად არის ზიზი?

— რა იყო? — დაუძახეს ბიჭებმა.

— არაფერი, დებეშაა რიგიდან — ოცდაათისათვის აქ იყავიო...

— მერე, მიდიხარ?

— არა, არ წავალ...

ჭეჭემ დებეშა დაკეცა და ჭიბეში ჩაიღო.

უცბად, გაღმა მხრიდან სასწრაფო დახმარების მანქანის საგანგაშო ყვირი-

ლი მოისმა. ეს ხმა სოფელში უბედურების მომასწავებლად ითვლებოდა. ყველა ზვისკენ მიტრიალდა, საიქნაც მანქანას უნდა გამოეყოლა. მალე გამოჩნდა კიდევ. კაბინაში რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი იჯდა. რალაც შეშფოთებული სახე ჰქონდა. სხვა არავინ ჩანდა სარკმელში.

— ვინ არის? — კითხულობდა ხალხი.

— რა მოუვიდა? — იღვა ერთი ჩურჩული.

არავინ არაფერი იცოდა. მერე გაღმა სოფლიდან მოსულმა ბიჭებმა თქვეს: ზიზია, ცუდად გახდარათ...

ჭეჭე გავიწვინა — აღმათ მომეჩვენაო. მაგრამ ბიჭებმა ისევე გაიმეორეს ზიზის სახელი. თავბრუ დაეხვა. „ცუდად გახდა? რატომ გახდა ცუდად, რა იყო?“ — ცაზე რალაც საბედისწერო რგოლები გამოიკვეთნენ. რგოლები ტრიალ-ტრიალით ეშვებოდნენ ძირს, თანდათანობით ფართოვდებოდნენ, მერე ერთბაშად მოწყდნენ ცის კაბადონს და თავზე წამოეცნენ ჭეჭეს. ახლა მის თავზე დაიწყეს რგოლებმა ბრუნვა, წისქვილის დოლაბებივით ბრუნავდნენ, ბრუნავდნენ და თან გრიალ-გრიალი გაჰქონდათ. მერე ძალა მოიკრიბა. წუთით გონს მოეგო, დოლაბები მოსწყდნენ თავიდან და რკალეზად იქცნენ. ტრიალ-ტრიალით აიჭრნენ ისევე ცაში, თანდათან დავიწროვდნენ და მუქ სილურჯში გაუჩინარდნენ.

ჭეჭე ადგილბდან მოწყდა და სასწრაფოს გაედევნა. ბიჭებმა ველარაფერი მოასწრეს, შეტყბნენ და გაკვირვებული მზერა გააყოლეს. ჭეჭე მირბოდა. ბალის გასწვრივ მირბოდა. აღმათ უცნაური სახე ჰქონდა. ხალხი გაოცებული თვალებით მიშტერებოდა და აშკარად ვერ მალავდა თავის გაკვირვებას.

— სად მირბის თავქუდმოგლეჯილი?

ამ პატარა სოფელში ყველა იცნობდა ერთმანეთს. რომ იტყვიან — მოხარულს ვიცნობო, სწორედ აქაურებზე იყო ნათქვამი. ყველა პატარა თუ დიდი ამბავი ბომბივით სკდებოდა და მეორედ ღდეს მთელმა სოფელმა იცოდა უკვე-

მით უმეტეს, კვირაობით და საერთოდ უქმე დღეებში ახალი ამბის გავრცელება კიდევ უფრო ჩქარდებოდა ხოლმე.

ჩემე ბაზრის წინ აღმოჩნდა. ბაზარში წუთით თავი ანებეს ვაჭრობას, წუთით დაივიწყეს ზუგდიდიდან და ქუთაისიდან ჩამოტანილი პამიდორისა და კალასა და ჰაღიშიდან ჩამოზიდული სულგუნის ფასები. აქეთკენ შემოტრიალდნენ. ბაზართან თავდაღმართი იწყებოდა. იგი მირბოდა შეუჩერებლად, თითქოს მასზე იყო დამოკიდებული ზიზის გადარჩენა-არგადარჩენა. მალე საავადმყოფოს თეთრი შენობაც გამოჩნდა. შენობა ორსართულიანი იყო, რაღაც უცნაურ ყაიდაზე აშენებული. გარს უამრავი სათავსოები შემორტყმოდა და საკმაოდ აუშინებდნენ. ეზოში ბუზებივით ირეოდა ხალხი. სასწრაფო დახმარების მანქანა კარებთან იდგა. მანქანა ცარიელი და გამოკეტილი იყო. ჩემე დარაჯს მიეჭრა. ნიკაპზე ლეჩაქწყარულმა, მკაცრი გამოხატულებების ქალმა მკაცრად მიმართა:

—სად მიძვრებით, არ შეიძლება... — ქალს ცივი, გამყინავი ხმა ჰქონდა.

ჩემემ უკან დაიწია.

— ცოცხალია? — ჰკითხა მან მოუთმუნლად.

— ვინა? — უხეშად მიუგო ქალმა.

— ამ მანქანით რომ მოიყვანეს...

— რა ვიცი მე, ექიმებს ჰკითხე... დღეს ორი მოიყვანეს...

— ბოლოს რომ მოიყვანეს.

— ცოცხალი უნდა იყოს ჯერჯერობით.

„შენ მოკვდი მის ნაცვლად...“ — შეუკურთხა ჩემემ.

— შემიშვი, რა?

— არ შეიძლება, მოქალაქევე, არ შეიძლება...

„რა ვქნა?“ — ვერაფერი ვადაიწყებია ჩემეს.

—სალამოს ნახავ, აი დაჭეკი და დაელოდე...

ჩემე ბურის წერტილს ფარდულთან,

გრძელ სკამზე ჩამოჯდა. ავადმყოფები მზეზე გამოსულიყვნენ. ისინი ლაპარაკობდნენ ოჯახზე, ცოლებსა და ბავშვებზე, ლაპარაკობდნენ ყანებსა და სათიბებზე. ახალგაზრდები გოგონებს ეარსიყებოდნენ, კომპლიმენტებს ეუბნებოდნენ, კარტს ეთამაშებოდნენ.

ჩემე იჭდა გაოგნებული და უაზროდ შესცქეროდა ამ ადამიანებს. თითქოს ცხრა მთას იქიდან ჩაესმოდა მათი ლაპარაკი. შინაარსდაცლილი, ცარიელი სიტყვებიდა აღწევდნენ მის ყურთასმენამდე. შორეული ზარები კი რეკდნენ, რაღაც სავალალოდ და გულსგამწყვლავლად რეკდნენ. ზარები თითქოს ცაზე ეკიდა და ვიღაც უხილავი არსება აედარუნებდა. მათი ხმა თანდათან შემაზრუნევი ხდებოდა. თანდათან ცივი, აუტანელი. ბიჭს ერთნატილი უვლიდა სხეულში და აცხცახებდა.

„კი მაგრამ, რაშია საქმე, რა ხდება?“ — ვერაფერი ვაგეგო ჩემეს. დღეს ყველაფერი უცნაურად ეჩვენებოდა თავიდანვე. ახლა კიდევ ეს ამბავი. ეს მაინც ხომ არ იყო მოჩვენება? აღარ შეეძლო მეტი ასე, აღარ შეეძლო და წამოხტა ადგილიდან. კვლავ კარებთან გაჩნდა:

— უფროს ექიმს სთხოვე... — უთხრა მან დარაჯს.

— შენთვის სცალია სწორედ...

— ნათესავია ჩემი... — დაიყვირა ხმა-მალა ჩემემ. ამ ქალმა სულ მოთმინებიდან გამოიყვანა და დაიყვირა.

— როგორი ნათესავია?

— ბიძაშვილია...

— მართლა?

— ჰო, მართლა და დროზე დაუძახე...

— მერე გეთქვა თავიდანვე... — ვითომ გაულიმა კიდევ ქალმა, თავისი ჩაქანგული კბილები გამოაჩინა და ტანის კეკლუცი რხევით გასწია დასაძახებლად.

ჩემე დღევად. არასოდეს ასეთი რამ არ მოსვლოდა, არ დამართნოდა, არ განეცადა. „ნუთუ ეს მხოლოდდამხოლოდ ამხანაგური გრძობაა და მეტი არაფერი? — ეკითხებოდა იგი თავისთავს — ნუთუ სულ ეს არის?“

საავადმყოფოს კიშკრიდან ყვირილი მოისმა. ჭექე ფიჭობიდან გამოერკვა და იქითვე გაიხედა. ეზოში ფეთიანივით შემოვარდა ვილაცა. იგი იგინებოდა და ილანძღებოდა. ახლოს რომ მოვიდა, წუთით შესდგა, გამომწვევი სახე მიიღო და ჭექეს მიანგრდა. ძლივს იღვა ფეხზე, თითქოს ეს-ეს არის, წაიქცევია.

ჭექე იღვა გახვეებული, არაფერი ესმოდა. მერე იმ კაცისკენ გაიწია, შევეშველებიო. „ზიზის მამა... ზიზის მამა... — ყურები უწიოდა ბიჭს. — საწყალი... საწყალი...“

— შენ მაინც შენი გააქეთე, არა? — დაიღრიალა მან შემაზრზენი ხმით, ზევევით დაიბუბუნა, დაივრუხუნა და ჭექესკენ გამოქანდა — უმწეო ქალზე იყარეთ ჭავრი, არა? — სასოწარკვეთილი ღრიალებდა იგი — შემირცხვინეთ სახალბოდ და მთელი სოფლის სალაპარაკო გამოხადეთ...

ჭექეს არაფერი ესმოდა. „ნუთუ ამ სიტყვებს მას ეუბნებიან? ნუთუ ყველაფერი ეს ცხადში ხდება“. აღვილიდან არ განძრეულა. ხელები მოკვეთილივით ძირს დაუშვა და სახეში შესცქეროდა გაბეცებულ ადამიანს. მუშტი ლოყაზე მოხვდა. თვალუბიდან ნაპერწკალივით გადმოსცვივდა რალაცა. წაბარბაცდა და ძლივს შეიკავა თავი. მაღე კვლავ წამოვიდა მუშტები. ზიზის მამა იღრინებოდა და თან ურტყამდა — შენ, თქვენ ყველამ შემირცხვინეთ და ჭვეყნის სალაპარაკოდ გამოხადეთ ერთადერთი გოგო...

ჭექე წაიქცა. წაიქცა და მიწაზე გაიშოტა. „არა, არა... — ბუტბუტებდა იგი, — თუნდაც იმიტომ, რომ ზიზის მამა...“ მერე ვილაცამ ააყენა, ცხვირსახოცით მოუსუფთავა სახე. ეს მთავარი ექიმი იყო, მისი ბიძაშვილი. იქით კიშკართან, ზიზის მამა დალანდა. მას ხალხი შემოხვეოდა და ძალით მიჰყავდათ. „არა, არა, თუნდაც იმიტომ რომ ზიზის მამა...“ — ჩაილაპარაკა კიდევ ერთხელ ჭექემ და ბიძაშვილს შეხედა.

— კეკუაზე აღარაა, თანაც ნასვამია... — თქვა მან.

— ზიზი როგორაა, ზიზი... — შეეკითხა ჭექე.

— კარგად არის... გადარჩა... ჭექემ გაილიმა.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი...

— ამალამე გამოეწერება...

— მართლა? — გაუხარდა ჭექეს.

— ჰალსტუხი გაისწორე და პირი დაიბანე. — ონკანზე მიუთითა ბიძაშვილმა.

ჭექე ონკანთან მივიდა, წყალი მოუშვა და სახე შეუშვირა ცივ წყალს. მერე ცხვირსახოცით შეიმშრალა.

— გტკივა? — ჰკითხა მას ბიძაშვილმა.

— რა? არა, სულ არ მტკივა.

— გალურჯებული გაქვს, მოდი, შეგიხვევ... — არა მტკივა, რათ უნდა...

— მართალია, რასაც ამბობენ? — შეეკითხა ბიძაშვილი.

— რას ამბობენ? მე არ ვიცი, რას ამბობენ.

— ზიზი შუალამისას ჭექესთან უნახიათ, ლეუშერის გზაზეო...

— მერე?

— ესე იგი, მართალია?

— ასე იყო. ამხანაგებმა გავიარეთ, ექვსნი ვიყავით ერთად.

— თქვენ ორნი უნახიხართ.

— ხო, ჩვენ ვიდექით შუაგზაზე...

— სხვები? სხვები რა იქნენ?

— არ ვიცი. ჩვენ ვიდექით, მერე წამოვედით.

— იმ გოგომ კი ვეღარ აიტანა და სისულელე გააქეთა... იოდი დაუღვია...

— მაგრამ ჩვენ პირდაპირ სახლში წამოვედით... რა მოხდა...

— ხალხმა სხვანაირად გაიგო... მამამისს სხვაგვარად უთხრეს, მამამისი მას მერე სრულ კეკუაზე არაა, შენ თეოთონაც ნახე... გოგომ კი ვერ აიტანა... ისეთი სათუთი და ნაზია, ასეთ რამეს ვერ აიტანდა...

— რა ვიცი, არაფერი მესმის, — მხრები აიჩეჩა ჭექემ.

— ჩვენი სოფლის ამბავი კი უნდა იცოდე...

— უკრაინა, ესე იგი, ჩემი გული-
სათვისაა ყველაფერი...

— გინდა, ნახო?

— ჰო, თუ შეიძლება...

მეორე საბრძოლველზე ავიდნენ. თეთრ
ხალათებში გამოწყობილი მედღეები და
მოძველებული ცნობისმოყვარე თვალუ-
ბით მისჩერებოდნენ. ბიჭი ამ უცხო გა-
რემოში რაღაც უხერხულად გრძნობდა
თავს. ანთებული თვლები ყოველი
მხრიდანს თითქოს შანთებს უყრიდნენ.
ოთახში, სადაც ზიზი იწვა აღელვებული
შევიდა. პალატა ვიწრო იყო; ერთსაწო-
ლიანი. ფანჯარასთან საბანში გახეველი,
გაფერმკრთალებული გოგო შენიშნა,
რაღაც საცოდავად გამოიყურებოდა.
შესამჩნევად გამხდარიყო ამ ორ ღლე-
ში. თვალები ჩააცვენოდა.

— გამარჯობა, ზიზი... — ჩურჩულით
აღმოხდა ჭეჭებს.

ზიზიმ ძლივს შესამჩნევად გაიღიმა.

„გამარჯობა, ზიზი, სინჩუმისა და დე-
მილის ანგელოზო...“ — გაიფიქრა გუ-
ნებაში ჭეჭემ. მას მოეჩვენა, რომ ეს სა-
წოლი, კარადა და კედლები იმიტომ არ
ხმაურობდნენ, იმიტომ გატრუნულწყე-
ნენ ასე, რომ ზიზი არ დაეფრთხოთ,
რომ ზიზი იწვა ამ ოთახში და იგი ვანა-
გებდა მყუდროებასა და სინჩუმეს. თით-
ქოს ამ უსულო საგნებმა იცოდნენ
ლაპარაკი, შეეძლოთ ხმაური და ახლა
ზიზის ხათრით ჩაეგდოთ ენა, ზიზის
ხათრით დამუხრებულიყვნენ.

— როგორა ხარ, ზიზი...

— კარგად, ახლა კარგადა ვარ...

— ცუდად გამოვიდა, სულ ჩემი გუ-
ლისთვის მოხდა.

— შენი? — გაიკვირვა ზიზიმ.

— მაგრამ, რა ვიციოდი თუ ასე...

— სულაც არა... ეს ისე მოხდა. არა-
ვის გულისათვის...

„ისე მოხდა?“

— მე რომ არა, ვერაფერს იტყოდ-
ნენ...

— შენ ადგილას სხვა შეიძლება ყო-
ფილიყო, მთავარი ეს კი არაა... — ჩურ-
ჩულით ამბობდა ზიზი.

„რა უკრაინა... რა უკრაინად ლა-
პარაკობს...“

— ერთად ვიდექით, რა მოხდა, მერე
ეგ რა სალაპარაკოა... — თქვა ზიზიმ.

— იმ შუალამისას რა ჭკაი მიგვარბე-
ნინებდა.

— სოფლის ამბავი ხომ იცო, ასეა...

— რა უკრაინა, მარტო ჩვენ ხომ
არ ვიყავით...

— მარტო ჩვენ ვიყავით... სხვები და-
იმაღლნენ და მარტონი დავრჩით...

— არ მესმის, მაინც არაფერი არ მეს-
მის...

— შენ, შენ რა მოგივიდა? — სახეზე
შეხედა გოგომ.

— ეს არაფერი, გუშინ თიბვისას დაე-
ვარდი...

— შეიხვიე... რაიმე წაისვი და შეიხ-
ვიე...

— არა, არ უნდა, გაივლის...

— ამხანაგები სად არიან?

— არ ვიცი, არავინ მინახავს.

ერთხანს დღემილი ჩამოვარდა. მერე
ზიზიმ თქვა:

— საწყალი მამაჩემი, ალბათ გაგიყე-
ბულია, წელან მესმოდა მისი ყვირილი.
ჭეჭემ სახეზე მოისვა ხელი.

— ჰო, ექიმებმა არ ამოატარებდნენ.

ჭეჭე უხერხულად იჯდა. რაღაც მო-
უსვენრად იყო. მერე ჯიბიდან დაჭმუჭ-
ნული დებეშა ამოიღო: გაშალა, კვლავ
შეინახა. რაღაც უნდოდა ეთქვა, ვერ გა-
დაუწყვიტა.

— რა არის ეს? — იკითხა ზიზიმ.

— დებეშა, ინსტიტუტში მიძახებენ...

— უნდა წახვიდე?

— არ წავალ...

— შეიძლება, ასე?

— არ შეიძლება, მაგრამ ერთხელ მეც
დავარღვევ წესრიგს...

„უნდა ვუთხრა. ახლა თუ ვერ ვუთხ-
არი, კერასოდეს ვერ ვეტყვი...“ — თა-
ვის თავს ებრძოდა ჭეჭე.

— ზიზი, იცი, რაღაცა ჩემს თავს, რაც
ჩამოვედი, უფრო სწორად, იმ დამის მე-
რე, ერთად რომ ვიყავით, სულ ვფიქ-
რობ და ვფიქრობ... — ბიჭმა ერთი-
ღრმად ამოისუნთქა, თითქოს რაღაც

ტირთი მოიშორაო. ახლა იგი ელოდა, რას იტყოდა გოგო, რა განაჩენს გამოუტანდა. ლოდინი აუტანელი იყო. კვლავ შეიკრნენ კედელზე რგოლები, რგოლებში ტრიალი დაიწყეს. შორიდან კი მოისმა ავგებდითი ზარების ელარუნე. ვილაც უხილავი არსება ძლიერი ხელებით აელარუნებდა მათ.

გოგომ გარეთ, ფანჯრის ჩარჩოებს შორის მომწყვდეულ მტრედისფერ ცაზე გადაიტანა მზერა, რალაც ნერვიულად დააფახულა თვალები და ხმადაბლა დაიწყო:

— იმ წელს ჩვეულებრივი ზამთარი იყო. გახსოვს, ლემელს რომ შემოვეხვეოდით დასვენებისას. ზამთრის ღრუბლიან დღეებში ოთახში ბნელოდა და რალაცნაირი სიმუცდროვე სუფევდა. ჩვენ ყველანი ვთხოვდით, რომ ემღერა, დასვენების ათი წუთი თავისუფალი გვექონდა და მისი სიმღერა ყველაზე კარგ გართობად მიგვანდა. იშვიათად, რომ უარი ეთქვას. ჩადგებოდა წრეში და ხმადაბლა იწყებდა. იმ ოთახს, იმ სიმუცდროვეს სწორედ ისეთი სიმღერა უხდებოდა. ჩვენ მაშინ ყველას მოგვწონდა მისი ხმა. მთრთოლვარე, გრძნობიერი ხმა ჰქონდა, მოთქმასავით ნელი ხმით მღეროდა. ხშირად ჩვენც ავყვებოდით ხოლმე. მე ყველაზე უფრო მომწონდა ალბათ, იმიტომ რომ სხვებზე ცხოვლად ვგრძნობდი, როგორ უხდებოდა ჩვენს ოთახს, ჩვენს საკლასო მერხებს, შეუღესაც კედლებსა და ახლადწამოჩიტულ, უკვე სხეუარულის გრძნობაჩასახულ ბიჭებისა და გოგონების მელანქოლიურ განწყობილებას ეს სევდიანი, წყნარი სიმღერა.

ერთხელ, სახლში რომ მივდიოდით, ნებისყოფა ვერ მეყო და მას ვუთხარი ამაზე. არაფერი არ დამიმალავს. წიგნებშიც კი არ შემხვედრია სადმე, პირველს გოგოს რომ გაენდოს ბიქისთვის თავისი გრძნობები. მე კი ასე ვგავაცეთე. იქნებ არასწორად მოვიქცევი. ერთი რამ კი უცნაური იყო: არასოდეს, არც მაშინ და არც მას მერე, აი, დღესაც კი არ

ვნანობ იმდღევანდელ ჩემს საქციელს. თითქოს არაფერი ისეთი არ მომხდარა, მაგრამ რატომღაც მეორე დღეს, თვეებში ვერ შევხედე. მას მერე კი, ყოველთვის, მის დანახვაზე, ვწითლდებოდი, რატომღაც მრცხვენოდა... ეს იყო და ეს... მერე მივხვდი, რომ მიყვარდა. მიყვარდა. ამას თვითონაც მიხვდა. ზოგიერთმა ამხანაგმაც გაიგო, ჩვენებმაც შეიტყვეს. შენ ალბათ არაფერი არ იცოდი, ასეთ ამბებს არასოდეს არ აქცევდი საერთოდ ყურადღებას. რომ გცოდნოდა, აქ აღარ იჯდებოდი ახლა, ყოველშემთხვევაში, პირველი მნახველი აღარ იქნებოდა ჩემი. ასეა. მიყვარდა. ნამდვილად მიყვარდა... და მიყვარს ახლაც... რა ექნა... — ზიზი გაჩუმდა, სული მოითქვა. გაწითლებულ სახეზე გამხდარი ხელი მოისვა და მერე განაგრძო:

— თორემ სად ის ხმადაბალი, ჩუმი სიმღერა და სად ეს, გულისწამლები ჯახხები, წივილ-კივილი და ღრიალი. ახლა სულაც არაა ისეთი, მაგრამ საუბედუროდ, მე ხომ იგივე ვარ, ჩვენს ამხანაგებში მე ერთადერთი ვარ, ორსამ კვირაზე ხანგრძლივად სოფელს რომ არ გასცილებია, იქნებ ამის გამოც არის — მე ისეთივე დავრჩი... მე ისევე ის წლები მასაზროლებენ, იმ დღეების მოგონება და ის ერთადერთი საყვარელი გრძნობა... იგი ისევე ხელშეუხებელი და მთლიანია... არ ვიცი, მას ვუყვარდი თუ არა ოდესმე, ოღონდ მე მჩვენებოდა, რომ მოვწონდი და უხაროდა ჩემთან ლაპარაკი. გახსოვს, მამაჩემმა რომ ატრია? მერე შენ გამოექომავე და მოგხვდა კიდევ. შენ რა შუაში იყავი. მაგაზე იყო გაბრაზებული, მაგრამ შენზე კი იყარა ჯავრი.

ჯექვს თვალწინ წარმოუდგა ორი წლის წინანდელი საღამო, მათი ხილზე შეხვედრა; გოგოს ალწილი სახე. ზურას ოდნავ დარცხვენილი, შეშინებული ლაპარაკი მანამისთან. გამოცანა, რომელიც აქამდე ვერასოდეს ვერ ამოხსნა, ახლა ნათელი და გასაგები გახდა.

თურმე რა ხდებოდა, მე კი აზრზე არ ვიყავი...

— ისე ჩვენებს, მგონი, საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ, მაგრამ იმ დამის მერე ზურასთვის არც მომიკრავს თვალი, მალე სწავლა დაეწყო და სულ ჩაიქნია ხელი ყველაფერზე არდადეგებზე ისე, უბრალო სალამს მეუბნებოდა, სხვათაშორის თუ გამცემდა ხმას, როგორც გუშინწინ, საღამოს, ისე. დღენიადავ ლალასთან და ნიასთან იყო. სხვა არაფერი ახსოვდა თითქოს ამ ქვეყანაზე. ეს იყო და ეს... ასეა ახლაც, მაგრამ მე მაინც მიყვარს და რა ექნა... მიყვარს მისი სიმღერები; ის, სკოლისდროინდელი სიმღერები. ეს კი არა... გიტარაზე სულ ვერ უკრავს... მაშინ უფრო კარგად მღეროდა, მაშინ ჩუმად და წყნარად მღეროდა...

ჯემე ნერვიულობდა. ხელებს იფშენებდა, წრიალს აეტანა და აღარ იცოდა, რა ექნა. მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა:

— მე კი ვერაფრით ვერ წარმომედგინა, რატომღაც ვერ წარმომედგინა...

— შენ ახლაც ვერ ხვდები ბევრ რამეს... თუნდაც, აი, გუშინწინდელი ამბავი ავიღოთ, „ამხანაგობა“ ვიღაცამ შირმად აქცია, ან იქნებ, ვინ იცის, იქნებ თავისით იქცა, ან თვით ცხოვრებამ აქცია. ეს აღარ არის უკვე წიგნებში რომ ვხვდებოდით, უანგარო, სუფთა, ლამაზი ამხანაგობა... იგი კულისებს მიღმა თამაშად იქცა... მე მთელი დამე ეტროდი, ჩემთვის ჩუმად ეტიროდი, შენს პირდაპირ ვიჩქეჩი მაგიდასთან და განა ეს ძნელი შესამჩნევია იყო? ძალიან ძნელია, საყვარელი ადამიანი სხვას რომ შესციკინებს შენს თვალწინ. ამიტომ ვდუმდი, ვდუმდი. დუმილი კი ტირილს ნიშნავდა. ხალხს ალბათ ჰგონია, მხოლოდ იმ ქორების გამო გავწირე თავი, რა ექნა, ეგონოს, შენ კი ვაიგე, რომ ეს არ არის მართალი. არა მგონია, ვინმემ ქორებზე მოიკლას თავი. სიყვარული კი ყოველს შემძლეა, როცა არ გავიმართლებს, უკვე აღარაფერზე დარდობ, ყველაფერს ფასი ეკარგება შენს თვალ-

ში და თავში ათასი სისულელე ერევა. მერე თუ ნებისყოფამ გიმტყუნა... წყნარად სულია შენი საქმე, ასე დამემაჩროს მეც და აი, ხომ ხედავ, სად მოეხვდი. არ ვიცი, როგორ გადავრჩი, და არ ვიცი ეს ბედნიერება იყო თუ უბედობა... გადავრჩი კი... ეს არის და ეს... მაგრამ ამას ყველას ხომ არ ეტყვი, ყველას ხომ არ აუხსნი, საკითხავია, ვაიგებენ? რატომღაც მგონია, რომ ვერაფერი ამას ვერ ვაიგებ და ვერც თანავიგრძნობს... არც შეიძლება ალბათ ამის თანავიგრძნობა... სიკვდილის თანავიგრძნობა სისულელეა და მძიმე დანაშაული... შენ კი სიმართლე გითხარი, შენ ერთადერთი ხარ... — გოგო გაჩუმდა, მეტი არაფერი უთქვამს. ჯექე რეტიანივით წამოხტა სკამიდან. არ იცოდა, რა ექნა, სირბილით გავარდნილიყო კარში თუ მშვიდად დაეჭირა თავი. ამდენმა მოულოდნელობამ თავგზა აუბნია.

— მართლაც ასეა.. მე ბევრ რამეში ვერ ვერკვევი, როგორც ჩანს... — გოგოს გადახედა და გამოეშვიდობა:

— კარგად იყავი, ზიზი...

— კარგად იყავი... — ძლივს გასაგონად დაუბრუნა ზიზიმ და საბანი მიიხურა სახეზე. ჯექეს ქვითინი შემოესმა, ზიზი ბავშვივით ქვითინებდა. რაზე ტირილი? სიკვდილი გადაიტანა და ახლა კი ტიროდა, ტიროდა...

ნერვიულად გამოაღო კარი. სწრაფად გაიარა დერეფანი, კბეებს ჩაუყვა დაბლა სართულზე და ეზოში გამოვიდა. ისეთი გრძობა ჰქონდა, თითქოს სრულ ჭკუაზე არ იყო. გიყვივით აბარბალებდა თვალებს. ბაკიდან გამოვარდნილ ირემს ჰგავდა, რომელსაც ეს-ეს არის დააჭრეს რქები და ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, რა ამბავიც დატრიალდა მის თავზე.

— მოინახულე? — კბილების კრეჭით ჰკითხა დარაჯმა.

ჯექეს არაფრის თავი არ ჰქონდა. საცალფეხო ბლიკს ჩაუყვა ქვევითაყენ და ღობეზე დატანებული ჭიშკარი გამოაღო.

— ყმაწვილო, იქით არ შეიძლება, —
მიადახა დარაჯმა, — გზა დაგებნა?

ჭექქეს არ მიუხედავს. ჩაირბინა ბილი-
კი და მდინარის ნაპირზე აღმოჩნდა.
ერთხანს ლოდზე ჩამოჯდა და მდინარეს
გასცქეროდა. მერე წამოდგა და მალლა
აუყვა. ქუჩაზე გავლის თავი არ ჰქონდა.
ახლა „გამარჯობა-გავიმარჯოც“ არ შეეძ-
ლო. ასეთი გუნებაწამხდარი არასოდეს
არ ყოფილა. ამ ერთ დღეში ყველაფერი
აირია, ყველაფერი ყირაზე დადვა. თავი
უბრუოდა და გასკდომამზე ჰქონდა. კა-
ლიასავით დახტოდა რიყის ლოდებზე.
სახერხ ჭარხანამდე ააღწია. ჭარხანა
მდინარეს ნაპირზე იყო აშენებული, რომ
ნაკლები ხმაური ყოფილიყო, მაგრამ
კვირაობით არ მუშაობდნენ მხერხავე-
ბი, ელექტროსახერხი ბორბლები ტყუ-
ილა იდგნენ. ერთიმეორეზე ახორავე-
ბული დასახერხი მორები ელოდნენ თა-
ვიანთ რიგს. სახერხი ჭარხანა დუმდა.
სამაგიეროდ, მდინარე აყრუებდა ყვე-
ლაფერს. მერე ელსადგურს გაუარა.
არც იქ შეხვედრია ვინმე. იქიდან სა-
მარბილო გზა იწყებოდა. გზა ახალი გა-
ეთებული იყო. ერთი წლის წინ, რაი-
კომის დადგენილებით, მთავარ ქუჩაზე
მარბილების მოძრაობა და საქონლის
რეკვა-მორეკვა აკრძალეს და ამან ამ
ახალი გზის გაყვანა გამოიწვია. ახლა
სოფლები საქონელს ამ გზით მიერე-
კებოდნენ საძოვრებზე, ამ გზით ეზიდე-
ბოდნენ შინ თივას და შეშას. მდინარე-
ზე გადებულ ხიდთან გზა მალლა უხ-
ვევდა, მთავარ ქუჩას კვეთდა ერთ ად-
გილზე, მერე ისევ ცალკევედებოდა და
რიყეში ეშვებოდა. ჭექქე ზევით აუყვა.
სწორედ ამ დროს მოესმა ძახილი: ზუ-
რა და შამილა ქუჩის ღობეზე გადმომ-
დგარიყვნენ და ეძახდნენ—ამოდი, ამო-
დიო... ლალა და ნიაც იქვე იყვნენ. ჭე-
ქქეს სულ არ გაზარებია ამ წუთას მათ
დანახვა.

— კი მაგრამ, სად მიდიოდით იმ შე-
აღმისას, რა გინდოდათ? — ჩაესმა ჭე-
ქქეს ბიძაშვილის ნათქვამი — სხვები,
სხვები რა იქნენ?...“

მართლა რას აიკვირებს იმ შუალამი-

სას ლეუშერიში წასვლა? — მარები
აიჩენა ჭექქემ. ან მერე რატომ დაიკალ-
ნენ და სად გადაიკარგნენ ასე უცერად?
ზიზი თავიდანვე უარზე იდგა, თითქოს
გრძნობდა წინდაწინ, რა მოჰყვებოდა
მათს სეირობას. ზუმობა იყო ყოვე-
ლივე თუ შეყვარებულთა დამალობანას
თამაში? ადენი სადღეგრძელოები და-
ძმობასა და მეგობრობაზე ნუთუ მხო-
ლოდ პოზიორობა და ცარიელი სიტყვე-
ბის ბრახაბრუბი იყო და მეტი არაფე-
რი? აკი ზიზიმაც უთხრა იმ დამეს—„მე-
რე შენ მაგათი გჯერა? მერე შენ ასე ვა-
ნიცილი?“ მთელი ათი წელი სჯეროდათ
ერთმანეთისა, მთელი ათი წელი უსმენ-
დნენ ერთმანეთს და აბა ვისი უნდა ერ-
წმუნა? ამ ფიჭრებს სულ სხვაგან, სხვა
გზით მიჰყავდა ჭექქე, ეს გზა არ მიემარ-
თებოდა სკოლისაკენ, დაფხაჭნილი,
მელნით მოთხვრილი მერხებისაკენ, ზო-
ოლოგისა და ფიზიკის გაკვეთილებისა-
კენ, ბაყაყებს რომ კვეთდნენ და ომისა
და ამპერის კანონებს იზებირებდნენ.
მამნ ისინი ერთი ოჯახის წევრებივით
იყვნენ, ერთმანეთს შეჩვეულნი. მართ-
ლაც და-მეგებივით უყურებდნენ ერთმა-
ნეთს. ერთად ესწრებოდნენ კინოსა და
ადგილობრივ კულტურის სახლში, ად-
გილობრივი ძალებით გამართულ უღიმ-
ლამო წარმოდგენებს, ამხანაგის ლხინი
ყველას ლხინი იყო, მწუხარება — ყვე-
ლას მწუხარება. ამ ფიჭრებს კი იგი
სხვაგან მიჰყავდა, ჭექქესათვის უცნობ
ადგილებში. დარტაფებზე მიემართებო-
და და სადღაც ვიწრო კლდეებთან იკარ-
გებოდა, სადაც კაცი შეიძლება გადა-
ჩეხილიყო და უსახელოდ გამოსალმე-
ბოდა სიცოცხლეს. ჭექქეს არ უნდოდა
ამ გზით სიარული, მისთვის უცხო და
მიუღებელი იყო იგი, მაგრამ ფიჭრს
თავისი გაჰქონდა და მიარბენინებდა
შიშველი კლდეებისაკენ, სადაც არც ერ-
თი მცენარე არ ხარობდა და ვერცხ-
ლისფერი, მშფოთავარე ჩანჩქერები აღარ
ეკიდნენ დალის კულულებად კლდეთა
ჭიმებზე. ყველაფერი იყო უცარიელი
და იდუმალებით სავსე. ჭექქეს ამ კლდე-
ებისაკენ მიერეკებოდა ფიჭრები.

ზევიდან გიტარის ხმა მოისმა. ზურა უკრავდა. ხალხი შემოხვეოდა და უსმენდა. შამილა გუნდრუეს უკმევდა ზურას, ხელფეხს აყოლებდა სიმღერის რიტმს.

გოგოები ჭექეს მისჩერებოდნენ, საღ გადაიკარგე, რომ არ ჩანხარო. იმ დამეს გიძახეთ, მაგრამ ხმა ვერ მოგაწვდინეთო, ასეთ... ისეთ...

ჭექეს არაფერი ესმოდა. დალურჯებული, ნაცემი სახით იდგა მათ წინ და ღოინჯი შემოეყარა.

— ახალმოვარეს ვახლავარ... — მივიდა მასთან შამილა, — ბიჭი, ვინ გცემა ასე უმოწყალოდ, სულ დაუღილავებიხარ... — მან ხელი გაუწოდა ჭექეს.

ჭექე კვლავ ღოინჯშემოყრილი იდგა და წრედ შექუჩებულ ხალხს გასცქეროდა. ზურას შეეწყვიტა თავისი „ოჩი ჩიორნიე“, გაოგნებული იდგა, აღარ იცოდა, გაეცინა თუ სერიოზული სახე მიეღო. გიტარა სახრესავით ეჭირა ხელში — თითქოს დამტვრევას უპირებსო.

— დაუკარი რამე... დაუკარი... — სთხოვდა ხალხი ზურას.

— დაუკარი, „ოჩი“ დაუკარი... — ეხვეწებოდნენ ქალები.

ზურა კი გაბევებულიყო. იგი და ჭექე მოჩხუბარი მამლაციწებივით იდგნენ ერთმანეთის პირისპირ და ურთიერთს შესცქეროდნენ.

ამ დროს საიდანლაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მოწინავე მერგოლური, ზურას მამიდა გამოჩნდნენ. თავმჯდომარე მაღალი, სახენიაარევი კაცი იყო. საფეთქლიდან ნიკაპამდე ჩამოყოლილი დარი სამამულო ომს დაეტოვებინა სამაბსოვროდ. თავზე კარგად მოთელილი, ნაცრისფერი სვანური ქუდი ეხურა. ჭიუტი, ჩაფიქრებული სახის იერით მისჩერებოდა მომღერლებს.

— ზურა, ამ ახალმოვარის სახელზე დაუკარი რამე, იქნებ გამხიარულდეს და განგვანათოს თავისი სხივებით... — მიამახა ზურას შამილამ და ახარხარდა.

ჭექე საყელოში მისწვდა შამილას და ისე მაგრად მოქაჩა, კინაღამ ჩამოახია პერანგი. მერე ზურასთან მივიდა და გიტარა ჩამოართვა:

— შენ სწორად არ უკრავ, ადრე უფრო კარგად მღეროდი... — გაუმეორა ზიზის სიტყვები, მერე გიტარა მოიქნია და ქუჩის კიდეზე ჩაყოლებულ მესერს გადაამტვრია. ერთხელ კიდევ გადახედა გაწითლებულ ძმაკაცს, მოკვეთილივით რომ დაეშვა ხელები, გადახედა შეკრებილ ხალხს, გაოცებისაგან თვალები რომ გადმოეყარკლათ, ერთხელ კიდევ გადახედა ლალას, ნიას და შამილას და ქუჩას აუყვა.

უენიდან მოესმოდა თავმჯდომარის რიხიანი ლაპარაკი. იგი ზურას და მის ამხანაგებს მიმართავდა:

— ხეალ თქვენც უნდა შეგაწუხოთ, სამუშაო კარზეა მომდგარი და ჩვენ კი მუშახელის ნაკლებობას ვანვიცდით... უნდა მოგვეხმაროთ, სხვა გზა არაა... თქვენი მამა-პაპებივით თიბვა-ფარცხვას თუ ვერ შესძლებთ... სიმღერა ზომ გემარჯვებათ... პატარა კონცერტებს ჩაატარებთ, დარწმუნებული იყავით, დაღლილ-დაქანცული გლეხები ძალგან ნასიამოვნები დარჩებიან... გიტარას კი ჩვენზე იყოს, ახალთახალ გიტარას გიშოვით...

მომღერლები არაფერს ამბობდნენ...

ჭექე უხმოდ მიდიოდა. დალურჯებული და დაღვრემილი სახე ჰქონდა. შემხედურთ თვალს არიდებდა და სალაშზე თავის დაკვრით პასუხობდა. იგი ბეჭებით გრძობდა ქვევით, მოედანზე გახვეებული ხალხის ცნობისმოყვარე მზერას. კვლავ უხურდა ზურგი. მერე მოსახვევს მიეფარა და გაუჩინარდა.



მეორე დღით, ათ საათზე თვითმფრინავში იჭდა. თვითმფრინავი ათადგოლიანი იყო. ათივე დაეკაეებინათ მგზავრებს. რაღაც გულდაწყვეტილი იყურებოდა სარკლიდან. გულდაწყვეტილი მისჩერებოდა გასაცილებლად წამოსულ ხალხს, ხელებს რომ იქნევდნენ. ახსენდებოდა დედამისის სახე, გამომშვიდობებისას რომ ჰქონდა და გული ეწურებოდა. დედა ტიროდა, არ უნდოდა, შეემჩნია შეილთან განშორების ტყვილი.

მაგრამ ცრემლებს ვერაფერი მოუხერხა. ცრემლები დაპაღუბით ჩამოსდიოდა: ლოყებზე.

— აჟი ორ კვირას დავრჩებიო, შევილო... — ეუბნებოდა იგი.

— ჩვენი მსხალი გაისადაც აღარ მოისხამს... — უსაყვედურა მამამისმა, — შენ თქვი, ფისს წავეუსვამო და არ შეუსრულე...

— ნათესავები რას იტყვიან, მეზობლები რას იტყვიან...

— რა გქნა, დედი, დებეშას ტყუილა ხომ არ გამოგზავნიდნენ...

— შენი ამხანაგები უამინდობის ცნობებს აკეთებენ და არაფერს ეუბნებიან...

— არ შეიძლება, თორემ რა მეჩქარება...

თვითმფრინავი ასაფრენად დაიძრა. მოთბულ მინდორზე გაქანდა, გაქანდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეახტა ზეცას. ისარივით აიჭრა ცაში. თან აიტაცა ათი გული ათი ადამიანისა და თავის გუგუნს შეეერთა მათი გულისცემა. აეროდრომი უკან დარჩა. ახლა სოფელი, კოშკები და მანუბები გამოჩნდა. თვითმფრინავი, როგორც მერცხალი, თავის ბუდეს — გარს უვლიდა სოფელს და სიმაღლეს იღებდა, რომ დათოვლილ მწვერვალებს გადავლებოდა თავზე. სოფელი თანდათან პატარავდებოდა. თანდათან პატარავდებოდნენ ქუჩებში ფეტვის მარცვლებივით მიმოზნეული ადამიანები. მერე ყველაფერი გაუჩინარდა; იყვნენ მხოლოდ მთები და მანუბები, რომელთაც ირგვლივ გადაყ-

ვითლებული ყანები და გადაბოტრილი სათიბები შემორტყმოდათ, მტეტი ვუღვდური.

გონიერებისა

„რა იქნენ გზაორწოხები და კოშკებსშორისი ვიწრო შუკები?“ სოფელი ერთ მთლიანობად გადაქცეულიყო, სოფელი კი არა, ეს იყო კოშკებისა და მანუბების ხროვა. „სად არის ჩვენი სარავი, ჩვენი წყარო მოწანწყარე?“

ამ წუთში ჯექეს ეჩვენებოდა, რომ იგი ასე შორიდან უყურებდა ცხოვრებას, ასე მკრთალად ხედავდა ყოველივეს და მთავარის იქით ვერასოდეს ვერ ამჩნევდა წვრილმანებს, რომელთა დანახვა ასეთი საჭირო და აუცილებელი იყო. მას წარმოდგენა არ ჰქონდა ათასგვარად დადვლარჭნილ ბილიკებზე, რომლებითაც თურმე უამრავი ხალხი დაიარებოდა. ეს იყო უცნაური და მწარე გაფიქრება, განშორების გრძობასავით უცნაური და მწარე. თეთრი მწვერვალები, სარკმლიდან რომ იმზირებოდნენ თვითმფრინავში, ვერ ქმნიდნენ მის სულში სიმშვიდესა და მყუდროებას. თვითმფრინავი კი ტრიალად იქცა, ტრიალებდა და ტრიალებდა, თანდათან იღებდა სიმაღლეს, თანდათან ჩაგრაგდა კავკასიონს. ზანდაზან სარკმელთან ღრუბლის ფთილა ჩაიჭროლებდა, დაჭრილ წეროსავით ჩაფარფატდებოდა და გაუჩინარდებოდა... სოფლები კი თანდათან პატარავდებოდნენ. ისინი ემსგავსებოდნენ ბუდეებს: ჯერ არწივისას, მერე ჩხართვისას და ბოლოს მზეწვიასი...

ჩამდენს მგტს ვცოცხლობ

ჩამდენს მგტს ვცოცხლობ, იმდენად უფრო
ვერ ვთმობ: ტკბილ მამულს, ზეცას კრიალას,
მშობლიურ კერის ღაღარს ჩაუქრობს,
წითელი ღვინით საგსე ფიალას.

ჩემებრ ჭაღარა როს მესტუმრება,
სუფრა გვაგონებს უღარდელ ხანას.
გავესუმრები, გამეხუმრება,
ურთ-ურთს ვაამებთ, — ვლონდებით თანაც...

ვამობთ: დრო მიჰქრის, სიცოცხლეს
გვტაცებს,
სანამ ვართ ღვინი ვატაროთ ღვინით;
კეთილს ვაქებდეთ, ვგმობდეთ აგვაცებს,
ხარობდეს გული პურით და ღვინით.



ჩემი და შენი სამშობლო

შეგობარ უკრაინელ პოეტს,
ოლესა წოვიცკის.

ჩემია ჩემი სამშობლო,
შენი სამშობლო შენია;
ეს სალოცველი გულისა
ღმერთს ჩვენთვის გაუჩენია.

მე ჩემი მიყვარს, შენ-შენი,
გვაქვს სიყვარულის ბარაქა,
ამიტომც ჩვენმა ცხოვრებამ
გაიღალ-გაიარაგვა.

ახლაც მახარებს ბილიკი,
ბალღობის დროს რომ მივლია;
ჩემი სამშობლოს მთების რძე
დედის ძუძუსებრ ტკბილია.

სიამით ავსებს თვალს და ყურს
ბურქებში ბულბულთ გალობა,
ცის თაღზე ვარსკვლავთ კენჭები
დახვავებული კალოდა.

ვისაც თავისი არა სწამს,
გულს არ უნთია ზატივით...
ჩემმა სამშობლომ მასწავლა
სხვისი სამშობლოს პატივი.

და მინდა შუქი გეფინოს
ჩემი მზის გაზაფხულიდან;
მეც მალხენს შენი სამშობლო,
რადგან შენ გიყვარს გულითა!..

გამოთხოვა ი. გრიშაშვილთან

ლეჩაისთვის სიტყვა ვერ მოვაბრუნე,
შენი სიკვდილი ისე შემძიმა,
და გულის სითბო, რაც მე მარგუნე,
თვალეებს ცრემლებად ჩამოეწვიმა.

ლექსი ხომ გულის ამღერება,
 შენს არყოფნაზე როგორ ვიმღერო?
 სიტყვა ჰანგებად ვით დაიდურება
 ამ დიდი გლოვის სამაგიეროდ!

შენ იყავ კაცი, მაგრამ თ, არა,
 კაცი კი არა, — კაცი ჩვენცა ვართ;
 შენ დაჰყვებოდი ნიავს ონავარს
 ხმამოღულუნე მინდვრის ლერწამად.

შენ სუნთქვა იყავ ქართული ლექსის,
 ხელთ გეპყრა მისი ნაზი სიმები,
 მის ბედზე მუდამ ხმამაღლა კენესდი,
 თავს ცისკარივით დასციმციმებდი.

შენ გულში ენთო თბილისის დილა,
 თითქოს მისი მზე შენ ერთს გებარა,
 მან საიდუმლო შენ გაგიშხილა,
 რომ ტკბილ ლექსებად გადმოგედვარა.

რომ გვეგრძნო სიტყვის უმრეტი მადლი,
 იღვენთებოდი, როგორც სანთელი,
 თავს გადგა დიდი თამარის ლანდი
 და რუსთაველის ჩანგის ნათელი.

მაგრამ გათავდა... შენც იმ გზით წახველ,
 სულმნათ წინაპრებს რითაც უვლიათ,
 ვინც ამალღებდა სამშობლოს სახელს
 და მისთვის შრომას არ დაუღლია.

და გული წყდებათ მტკვრის კლდეთა
 ბურჯებს,
 ძველთ ნანგრევებს თუ ახლად ნაშენებს,
 რომ მზით ანთებულ თბილისის ქუჩებს
 შენი ღიმილი არ დაამშვენებს.

მაგრამ დარჩები მუდამ სულმნათი,
 სიტყვის ბეგთარით გაუცვეთელი,
 როგორც მეტეხის თეთრი გუმბათი
 და ნარიყალას ძველი კედელი!..



მედი უკვე აღარ იყო

მ ო თ ხ რ ბ ა

6

ივლისის მზე ცეცხლოვანი სხივებით გვაცხუნებდა. თხის ნაფეხურებით დაწინწკლული ყინული დნებოდა ჩვენი კარვის წინ. ქვეშ წყალი ისე ხრიალით გარბოდა, თითქოს ეს ყინული გავარვარებულ დედამიწაზე ყოფილიყოს დაგებული. ჩვენი წყაროც გადაიზარდა. უზომოდ მოიმატა. ყინულის საფარველს იშორებდა სულშეხუთული დედამიწა. სადაც კი ხელი მიმიწვდა და მოვახერხე, ყველგან გადმოვატრიალე ყინულის დიდრონ-დიდრონი ფილები. სიმძიმის ქვეშ დაღრეცილი საცოდავი კორჩიოტები წელში ძლივსძლივობით სწორდებოდნენ.

ზაფხული გაშუალდა. „ნეტავი ბაჭვა მალე ამოვიდოდეს. — ვნატრობდი მე. — დედას, ალბათ, ყველა საოჯახო საქმის გაკეთება თვითონ უხდება. ვინ აუწევს გოდორს მხარზე შესადგმელად თამბაქოს პლანტაციასი, ლუქმას ვინ დაახვედრებს, როცა მუშაობით დაღლილი შინ დაბრუნდება... ნუთუ ეს დასაქცივი ბერლინი ასე შორსაა, რომ მამამ აქამდე ვერ მოახერხა ჩამოსვლა?“ შერე იმის წარმოდგენას ვეცილობდა, თუ მაღალ-მაღალი, მხარბუქიანი, ორდენებითა და მედლებით მკერდლამშვენებული მამა როგორ შემოაღებს ჩვენი ეზოს ჭიშკარს, ძლიერი, ვაკეკური ხმით როგორ დაიძახებს დედას სახელს და უმალ გაკვირვებული იკითხავს: „ბავშვი სადღაა, შინ რატომ არ დამახვედრე?“ დედა ამაყად უბასუხებს: „რამდენი წელია შენ წასული ხარ და

პანჩა ისევ ბავშვი გგონია? დიდი კაცია უკვე, არტელის ჯოგს უღვია მთაში, მწყემსებთან არის“. რას ვაიკვირებებს და გაიხარებს მამა! მე მაშინ ვერ კიდევ ვერ ვგრძნობდი, რომ ხუთი წლის უნახავ მამაზე ფიქრი და ოცნება, მისდამი შვილობრივი სიყვარული და ერთგულება სხვა ახლობელ ადამიანზე — მახმულზე გადადიოდა. ვერც იმას ვხვდებოდი, რომ ამ ორმოცი წლის, დაოჯახებულ, მაგრამ ჯერაც ისევ უშვილო კაცის გულში მე მამა-შვილურ გრძნობას ვალვივებდი და თავის მამობრივ სიყვარულს ის ჩემზე ხარჯავდა.

ერთხელ დიდი მონდომებით გავაკეთე სადილი. დილითვე, როცა ის ჯოგი საძოვარზე მიერეკებოდა, მე ნაჯახით ამოვიჩხე ყინულში ორმო და შიგ მანუნიანი ქილა ჩავდგი-ყინვა კიდევ აცივებს და კიდევ ასქელებს მაწონს. როცა მზე ცის თავანზე ავიდა და ჩვენი კარვის ჩრდილი თითქმის მთლიანად დაილია, მე კალათაში ჩავაწყე მომზადებული სადილი და მივაშურე იმ ადგილს, სადაც მახმული უნდა დამხვედროდა.

დარწმუნებული ყარაბაში, რომ სადილი ამჯერადაც მისთვის მიმქონდა, რათა სუფთა ჰაერზე ყელი ჩაეკოკლოზინებინა, გზადაგზა ტუჩებს ილოკავდა, ნერწყვს ყლაპავდა, ძაღლური ერთგულების ნიშნად კუდს აქიციებდა, ხან ჩამომჩჩებოდა, ხანაც წინ გამისწრებდა და ხანაც გულზე შემომებლატებოდა. შუადღის გულზე თოფი რა საჭირო იყო, ამას ვერ გეტყვოდი, მაგრამ ის მაინც მხარზე მეკიდა. არასგზით არ შემეძლო უთოფოდ სიარული. ის თითქოს ისევ

მჭირდებოდა, როგორც მოყინულ ფერ-
დობზე ამავალ კაცს წრიაბები.

მივედი ადგილზე. წინასწარი მოლაპა-
რაკების თანახმად მანმული აქ უნდა დამ-
ხვედროდა. ჯოგი ხარბად წიწკნიდა
ბალახს. მწყემსი არ ჩანდა. „აღბათ, სად-
მე ახლოსაა და ახლავე მოვა,“ — გავი-
ფიქრე მე და მძიმე კალათა მიწაზე ჩა-
მოვდგი. დავუსტვინე. დარწმუნებული
ვიყავი, უკანიდან მომეპარებოდა, ორი-
ვე მხარზე ხელს მომხვევდა და თოფი-
ანად ჰაერში ამისერიდა. ასე რამდენ-
ჯერ უქნია. კარგა ხანს ვიცადე, მერე
ნელა შემოვბრუნდი და დავინახე, რომ
მანმული არ იყო, მხოლოდ შიშველი
მთის თხემი დამცქეროდა თავზე. უფრო
ხამაძლა დავუსტვინე, კიდევაც დავი-
ძახე... უკაცური ხეობიდან ჩემი ხმის
გამოძახილი მესმოდა. ყარაბაში, რაკი
მიხვდა, მანმულის ნახვამდე ლუქმას არა-
ვინ მაკმევსო, აქეთ-იქით გავარდ-გამო-
ვარდა. ისიც მანმულს ეძებდა. ხან ამ
ბილიკს დასუნავდა, ხან იმას, ხან ბორც-
ვზე ავარდებოდა, ყეფდა, წყმუტუნებ-
და. „ჯოგი უკლებლივ აქ არის. იცოდა,
მეც აქ უნდა ამოვსულიყავი, თვითონ კი
ისე შორს წავიდა, რომ ხმაც ვერ მიმიწ-
ვდენია?“

მხრიდან თოფი გადმოვიდე, საფანტი-
ანი ვახნით გავტენე და ჰაერში გავის-
როლე. იმედს ჯერ კიდევ არ ვკარგავდრ,
რომ მანმული მოულოდნელად ამოპ-
ყოფდა თავს ბორცვის უკან, ან კალთას
ჩამოირბენდა და აღერსიანი, კეთილი
ღმილით მომაგებებდა: „ტყუილად რა-
ტომ ისვრი თოფს, ნადირობის ღმერთი
გავიწყურება!“

ყარაბაშმა რაღაც სუნი იკრა, ჩაყუნ-
ცდა, თავი ასწია და ლავლავი შორთო.

— მიდი, ყარაბაშ, მიდი! — გავამხნე-
ვე მე. ისიც თითქოს ამას ელოდა. ყე-
ფითა და წკავწკავით დაეშვა თავდალ-
მართში. მე თოფი ხელახლა გავტენე,
ფეხზე შევყავენე და ძალს კვალდაკვალ
დავედევნე. ჩემს წინ შჭერისა და ქყო-
რის ბუჩქებით დაბურული ხეობა იყო.
ძალღმა ბუჩქებში შერგო თავი და თვა-
ლის დახამხამებაში გაუჩინარდა.

კარგა ხანს მესმოდა ყეფა, რომელიც
თანდათან მშორდებოდა, მერე უხუც
შეწყდა. თავს ზემოთ რაღაც უცხო
ფრინველმა შეიფრთხილა, ფრთები გა-
ასავსავა და დაიხზავლა. ავიხედე და
ყორნები ვიცანი. ისინი თავს დასტრი-
ალებდნენ ხეობას. დროდადრო დაბლა
დაეშვებოდნენ ხოლმე, მაგრამ დაჯდო-
მის მაგიერ ისევ ჰაერში აიჭრებოდნენ
და ერთმანეთს თავს ესხმოდნენ. ქვე-
მოთ ნისლი გახშირდა. კიდევ გამეგრძე-
ლებინა გზა თუ აქ შეეჩერებულყოფი?
მანმულს რამდენჯერმე ვყავდი გაფრ-
თხილებული: სადაც არ უნდა იყო, თუ
ნისლი წამოგეწია, იქვე მოიცადე, ვიდ-
რე ნისლი კვლავ გაიფანტებოდესო. ახ-
ლა ლოდინის დრო სადა მქონდა. ბუჩ-
ქებში გზას გაჭირვებით მივიკვლევდი და
იქით მივდიოდი, სადაც ძალღ გაუჩი-
ნარდა. ერთხელ კიდევ დავიყვირე, რაც
ძალა და ღონე გამაჩნდა, მაგრამ იქვე
მიგხვდი, რომ ჩემი ხმა შიშისაგან თუ
რაღაც სხვა რამის გამო მთლად გამქ-
რალიყო და ის თავადაც ძლივს მესმო-
და. ზეს მივეყრდენი და გავინახე, იქნებ
რაიმე ვავიგო-მეტქი. ყვაეები უფრო
მეტე ვაფთრებით ჩხაოდნენ. უცებ,
თითქოს ვიღაცას კეტი დაურტყამსო, ყა-
რაბაშის საცოდავი წკავწკავი შემო-
მესმა. ახლა კი მიგხვდი: რაღაც დიდი
უბედურება შეგვემთხვა. ძალღმა წკავ-
წკავითა და წკმუტუნით მოირბინა.

— ყარაბაშ, ნუ გეშინია, მომყე! —
შევაგებე მე. მაგრამ ძალღს აღარ
უნდოდა იქით წამოსვლა, აღარც გვერ-
დიდან მშორდებოდა და თითქოს მთხო-
და, მიშველყო. ნისლი ჯანღად იქცა. ჩა-
მოხნელდა. ბეღად ნიაგმა დაუბერა და
ჯანღმა გაფანტვა იწყო. შორს, გამკვირ-
ვალე ბუჩქნარის მიღმა, ადამიანის ფი-
გურა დავინახე. ადამიანი თოვლში ჩა-
ჩოქილიყო და ხელებით რაღაცას ეძებ-
და. თოვლზე შავი ნაბადი იყო გაშლილი.
თითქოსდა ვიღაცას ახურავსო. მანმუ-
ღი ვიცანი. შიშმა თანდათან გამიარა და
დაკარგული ძალღონე თანდათან ღმიბ-
რუნდა. „ნეტავი რას ეძებს ამ თოვლ-

ში? — დავუძახე. მან მკვეთრად ასწია თავი და ჩემკენ გამოიხედა.

— არ მოხვიდე! აქ არ მოხვიდე! — ყური მომპრა მახმუდის გაუცხოებულმა ხმამ. ასე უხეშად თავისდღეში არ მოუშართავს. შევდქი. მახმუდს მთლიანად ვერ ვხედავდი, შჭერის შტოები მეფარებოდა. მან, რაკი შენიშნა ადგილიდანაც არ ვიძვროდი, ხელახლა დამიღრიალა:

— ახლავე დაბრუნდი უკან!

გზაში დამეწია. კრინტი არ დამიძრავს. ნაწყენი ვიყავი და თავჩაღუნული, ხმაამოუღებლივ მივდიოდი. ყარაბაში მახმუდს ყოველთვის აღტაცებული სიხარულით ხვდებოდა. ახლა კი, დაინახა თუ არა, წელანდელი ტკივილი გაახსენდა, აწკმუტუნდა და კულამოძებებული საღაღაც გაიქცა. ნახახის ტარი სველი იყო. მახმუდს ხელებიც სველი ჰქონდა. ნაბადი დაეტოვებინა.

— ნაბადი დაგვიწყებია, მახმუდ, აქ დამიცადე, ახლავე მოვიტან!

— საღ მიხვალ, დაბრუნდი უკან! ნაბადი ყარავში დაეტოვე.

კიდევ უფრო განვცვიფრდი. მე ხომ ჩემი თვალით დავინახე ნაბადი საღაც იყო, მაგრამ უკან დაბრუნება იმდაგვარად ამიკრძალა, უმაღლვე მივხვდი, რისამე თქმა ახლა საესებით ზედმეტი იქნებოდა.

როდესაც ჯოჯთან ავედი. საღილი შევახსენე, ამჯერად ძალიან გემრიელი კერძი გამომივიდა-მეთქი, თავიც მოვიწონე. ახლაც მწყინდა, უსაზღვროდ მწყინდა, ისე რომ დამიყვირა ხეობაში, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ხელის ტკივილმა გაუხსენა, ყველაფერი მწვავე ტკივილის ბრალი იყო და შევეცადე, როგორმე მიმევიწყებინა ჩემი გულისტკივილი.

— მოგშივდებოდა... დიდი ხანია მიცდი? — მახმუდმა ხელი გამოიწონდა რათა ჩემთვის ხელი თავზე გადაესვა. ძალიან უყვარდა თავისი უხეში თითებით ჩემი ხუჭუჭი თმის აჩეჩვა. და ახლაც, როგორც კი შევნიშნე, თმაზე ხელის გადასმა უნდა-მეთქი, თავი

მორჩილად დაეხარე. მეგონა, ეს ალერსი მთელ წელანდელ წყენს სხობლოთოდ გადამაეიწყებდა. მაგრამ მან, თითქოს რაღაც გადააეიწყადა, უცებ უკან წაიღო თავისი ხელი. ესეც, რაღა თქმა უნდა, არ დამიჯდა ჰკუაში.

— დაიწყე, მე ახლავე მოვალ, ცივ წყალს ამოვიტან, — ვუთხარი და კალათი წინ დავუდგე.

— პანჩა, — მითხრა მან, — წავიდეთ, ყარავში ვისადილოთ.

ყარავში რომ შევედი, ცეცხლი დაანთო, წყალი შედგა გასაცხლებლად და მერე, როცა წყალი გაცხელდა, დიდხანს იბანა ხელები. მე ვიცოდი, რომ მახმუდს სისუფთავე უყვარდა, მაგრამ არც ისეთი აზიზი ვახლდით, ყოველი საღილობის წინ ხელები ცხელი წყლით ებანა და მთელი ყარადლი წყალი დაექცია. ეს თავის დღეში არ უქნია.

— ჰამე შენ, მე რას მიცდი! — მითხრა ისე, თითქოს თვითონ სხვა საქმე ჰქონოდა. მერე შემომხედა. მქრქალმა ღიმილმა გადაურბინა დაღლილ სახეზე. არც იმის მიხვედრა იყო ძნელი, რომ ამ მშვიდობიანი ღიმილით ჩემს დაშოშმინებას ლამობდა. ყარავში ხელახლა დამებადა აზრი დავიწყებული ნაბადი გამეხსენებინა, რადგან ის აქ არსად იყო, თანაც ამინდი გაფუჭებას ამირებდა, მაგრამ მე ხელი ჩავიქნიე, ალბათ, ისადილებს და თვითონ მოიტანს-მეთქი და ხმის ამოღებას ისევე სიჩუმე ვამჯობინე.

რაკი დაინახა, უმისოდ ახლოსაც არ გავეკარე საქმელს, მომიჯდა.

— მახმუდ, თუ ყველი და მაწონი უკვე მოგებურდა, გინდა, ახლავე შამხი შეგიწვა?

— არა, რატომ, ღომი მშენიერად მოგიშუშავს.

ის ამოდ ცდილობდა მოეჩვენებინა, თითქოს ჰამდა. შევატყე, ჰამა საერთოდ არ შეეძლო. სამაგიეროდ მე დაეტრიალდი. ადგა და გარეთ გავიდა. თვალი გავაყოლე. კარს იქით დადგა, გულზელი დაიჭო და ხეობას მიაბ-

ყო მზერა. აღარ ვიცოდი, რით დაეხმარებოდი. მეც გარეთ გამოვედი და გვერდში ამოვედექი. ხეობის თავზე წელანდებურად ტრიალებდნენ და ყრანტალებდნენ ყვაეები.

— რა დაინახეს ნეტა იქ?

— პანჩა, გახსოვს ის კაცი, მე რომ მელაპარაკებოდა იმ დღეს, სადილი რომ აღარ ვაჭამეთ?

— როგორ არა, საძაგელი კაცი იყო.

— ხომ არ გახსოვს იმ მთის სახელი, სადაც იმას კარავი უდგას?

— აქედან ერთი დღის სავალიაო, ასე ამბობდა, მაგრამ რა ჭვია ადგილს, მე მგონია, არ უთქვამს.

— ბაჭა შინც ამოვიდოდეს დროზე. — თავისთვის თქვა მან და ჩაფიქრებული იქით წავიდა. სადაც ჯოგი გყავდა დატოვებული.

სალამოს ჩვეულებრივზე უფრო ადრე დაბრუნდა. ცა ყომაღ ღრუბლებს ჩაემუქებინა. წვრილად სცრიდა. მახმული ისევ სველი იყო. თითქოს კოკისპირულ წვიმაში ევლოს. მხოლოდ პიჯაკი ეცვა. ნაბადი არც ამჯერად მოიტანა.

თხებს რომ ვწველიდით, რომელიღაც თხამ რალაცით გააჭავრა და იმანაც ისევ დაუზოგავად შემოჰკრა მუშტი, რომ საბრალომ ერთი დაიბლა და იქვე წაიქცა. ესეც არ აკმარა. გატუქყინებული რძე თავზე გადაასხა. ასეთნაირად პირუტყვს აროდეს არ მოჰქცევია.

ვახშამზე უარი თქვა. კარავში დაუბრებულეებივით ვისხედით. ცეცხლი თანდათან ინავლებოდა. ღამე შავ ნაბადს ახვევდა მთებს და მშვიდად ეუფლებოდა ყოველივეს. ღამის მყუდროებას მხოლოდ ხანდახან არღვევდა მთის კაების შორეული კაკანი.

მორაკრავებდნენ ანკარა წყაროები.

ომი უკვე აღარ იყო...

და შეშის ხორასთან. ახლო მივედი და სიტყვა პირზე შემამხრა. მახმული ჩვენი ტაბაკს ჩეხავდა, შეუბრალებლად იწვეოდა და აპობდა ნაჯახით.

— მახმულ, რას აკეთებ? — გაგებდე და ვკითხე.

— ნიჩაბს!

— ნიჩაბი რად ვინდა, კაცო?

— ნაგვის გადასაყრელად. ცოცხით ერთ ადგილზე მოაგროვებ და მერე ნიჩბით გადაყრი.

— იჭრა რალზე ვჭამოთ?

— გამოენახავთ რამეს.

ჩვენი საბრალო ტაბაკისაგან ტარ-მომრგვალებული პირფართო ნიჩაბი გამოვიდა.

— მახმულ, წუხელ არა გციოდა?

— როგორ, შენ შეგციოდა თუ?

— მე ხომ ნაბადში ვიყავი გახვეული.

— ნუ გააჭირე საქმე, რა გაგიხდა ეს ნაბადი!

მე ცეცხლი დაეანთე და კარდლით წყალი დავეიდე, ახალი ღომის გასაქეთებლად. მახმულმა ნაჯახი ქამარში გაიჩრტა და ჯოგს გაჰხედა. თხები უმალ დაიძრნენ ადგილიდან. თუკი რამ ენა მოიძებნება პირუტყვებთან სალაპარაკოდ. მახმულმა ეს ენა ზედმიწევნით იცოდა. ერთი სიტყვის თქმა საქმარისი იყო. ჯოგი მის ბრძანებას უყოყმანოდ და განუხრებლად ასრულებდა.

— საძოვარზე მიდიხარ?

— ვერ ხედავ თუ?

— ასე აღრიანად?

— დამშეული არიან.

— შენ თვითონ არ ამბობდი, სანამ ცვარი არ გადაშრება, ჯოგი არ უნდა გამოიყვოს სადგომიდანო? ჯერ მზეც არ არის ამოწვერილი.

— ჰქუას ნუ მასწავლი!

ისევ უგუნებოდ იყო. მიხვდა, უდიერმა კილომ ისევ გული მატყინა და ნათქვამის შერბილება სცადა — ჯარისკაცივით გამოიჩინა, ხელი საფეთქელთან მიიტანა და წამიერი ღიმილით მომმართა:

— ნება მიბოძეთ, ამხანაგო მეთაუ-

რო, თხები საძოვარზე გავდნო!

— წაიყვანეთ! ჯოგს ყველა ბალახი მოაჭამეთ, იქ ერთი ღერიც აღარ დარჩეს წამლად. მაგრამ მწყემსს რომ დაავიწყდა თავისი საუზმე? იქ მშვიერი როგორ გასძღებს?!

— ჰო, მართლა... პატარა წასახემსებელი არაფერია?

— ცხელი კერძიც ახლავე იქნება.

ამაზე აღარაფერი უპასუხნია. ნიჩაბი მხარზე გაიღო და აუჩქარებელი ნაბიჯით გაპყვა ჯოგს.

— ნიჩაბი რად გინდა, კაცო, საძოვარზე? — დავადევნე მე.

— ბინულში სილა ჩაცვივდა და უნდა ამოვწმინდო.

ყარაბაში კუდის ქიციანით აედევნა. გუშინდელი წყენა უკვე დაჰვიწყებოდა.

— ყარაბაშ, დაბრუნდი უკან! — მოუბრუნდა მახმუდი.

— წამოგყვეს, რას გიშლის, საქმელი უკვე ვაჭამე.

ძალლი გაუბედავად შედგა. ვერ გავგო, რა დანაშაულის გამო უწყურებოდნენ. სხვა დროს, როცა წასვლა ეზარებოდა, მახმუდს ძალით მიჰყავდა ხოლმე. ახლა პირიქით მოხდა. აბა, რა და როგორ უნდა ვაეგო ყარაბაშს! ბოლოს, ძალღმა გადაწყვიტა. პატრონი, ალბათ, შეხუმრებათ და მაინც აედევნა.

— დაბრუნდი უკან, არ გესმის შენ?

— დაიდრიალა მახმუდმა და ქვას დასწვდა. ყარაბაში შედგა. მახმუდი ვატრილადა და გზა განაგრძო. იმავე წამს დაიძრა შალლიც და ტუნძულით გაპყვა უკან. გულმოსული მახმუდი დაბრუნდა, კარვლიდან თოკი გამოიტანა, ყარაბაშს კისერში ჩააბა და მეორე ბოლო იქვე შემოახვია კარვის ბოძზე. ყარაბაში, მართალია, მძინარა და ზარმაცი ძალლი იყო, მაგრამ სარგებლობაც ბევრი მოჰქონდა. ზის აგერ, მაგალითად. წყნარად ან თვლემს. უცებ თავისებური ძალღური აღლთით იგრძნობს ნადირის სიახლოვეს, წამოხტება და საშინელ ყეფას ასტებს. მთელი ჯოგი წამსვე

ფეხზე დადგება. ჩვენც გაფურთხილდებით.

— არ გამოუშვა!

— გიშლის რამეს?

— არ გამოუშვა, გულებნები!

— სადილობისას სად იქნები, იჭრა სად ამოვიტანო?

— ნუ ამოიტან, არ მინდა დღეს სადილი.

— საუზმეც არ გიჭამია. ნუ გეშინია, თუ შორს იქნები, მოვაგნებ, გზა არ დამეზნევა.

— მე თვითონ მოვალ და აქ ვისადილებ. თუ დამავიანდეს ნუ დამიცი, ჰამე.

„სიკეთეს გიშვრებით და ვერკი ხვდებით. არ გინდათ, ნუ გინდათ!“ — თითქოს ეს გვითხრა ყარაბაშმა, მოიკეცა, ცხვირი კულტკეშ ჩაჰყო და დაიძინა.

ამ დღეს პირველად მომენატრა სახელი. აქამდე ამას თითქოს არც კი ვგრძნობდი, ახლა კი საშინელი სიმართოვე შემომაწვა გულზე. მიზეზი მახმუდის საქციელი იყო. მე მეჩვენებოდა, რომ ის რატომღაც სხვანაირად მეჭეოდა. ვერ ვიტყვი, ცუდად-მეთქი, მაგრამ მახმუდი ველარ მეცნო, ის თითქოს მახმუდი კი არა, სხვა კაცი იყო. იქნებ ჩემი მომზადებული კერძი არ მოსწონდა? თვითონ ვაეკეთებინა, ბატონო, დავუშალე? ან ძალლი რად დააბა? აქ ვინმეს უტებნდა თუ? ახლო-მახლო ერთი კარავიც არსად იდგა, აღამიანიშვილი დასანახავად გვენატრებოდა. ჯოგსაც არა უქირდა-რა. მაშ, რამ შეუცვალა გუნება? ფეიქრობდი და ვერაფერს მივმხედარიყავ.

კარავი გამოვგავე, ირგვლივაც შემოვუარე ცოცხით. სულ დაეკრიალე იქაურობა. შეუადრისას, მზე რომ ცის თავანზე ავიდა და ჩვენი კარვის ჩრდილიც გაქრა, სადილი გავშალე და ლოდინი დავიწყე. ღომი გაცივდა. ან აგერ მოვა, ან აგერ-მეთქი, ფეიქრობდი. რამდენჯერაც ამოვიტანე წყაროდან წყალი, იმდენჯერ გამიბთა. კიდევ ჩავიბინე, ერთხელ კიდევ ამოვიტანე. ის

მინც არ ჩანდა. „ჯოგი ალბათ ძალიან შორს გარეკა. წუხელ ვახშმად, არაფერი უქამია, ამ დილასაც უმადოდ ისაუბნა. რასაკვირველია, შეშინდა, ბავშვს ტყეში გზა არ დაებნესო და სადილის წაღების ნება ამიტომ არ მომცა. მინც წავალი თუ ვიპოვნე, ხომ კარგი, თუ არა და, რა მომივა, უკანვე დავბრუნდები!“

სადილი ხელსახოცში გავახვიე, გუდაში ჩავდე და კარვის კარი გამოვიხურე.

ჯოგი გუშინდელ ადგილზე დამიხვდა. მივიხედ-მოვიხედე, მახმულიც სადმე ახლოს იქნება-მეთქი, კიდევაც დავუძახე, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ისევე როგორც გუშინ, ის ახლაც არსად ჩანდა. ნეტავი დამეჭვრებინა და არ წამოვსულიყავი. უთუოდ ეწყინებოდა, რატომ არ დამიჭერაო. მაგრამ არც ამით დამშავებულა რამე, თუ სადილი წამოვუღე! — ვფიქრობდი და ძებნას განვაგრძობდი. რამდენიმე მსგავსი შემთხვევა მოვიგონე ამ ჩემი თვითნებობის გასამართლებლად. ერთი მაშინ მოხდა, როცა ჩვენს მწყემსურ კარავში ფეხი პირველად შემოვდგი. ნესტორა ბაბუა სამი დღის ამოსული იყო. და აი, ვზივართ სამინი, ნესტორ ბაბუა, რომელიც სულ მალე აულის გზას უნდა გასდგომოდა, მახმული და მე. ისინი ჯოგს დაჰყვებოდნენ ხოლმე მე კი პატარა თიქნებთან ვრჩებოდი კარვის წინ. ერთხელ, სადილობისას, როცა შევატყე, ახლა ისინი მალე დაბრუნდებიან-მეთქი, ღომი გავაკეთე. მახმული სიამოვნებით შეექცა ჩემს ნახელავს, ნესტორ ბაბუამ კი ეშმაკურად გაიღიმა და სავსებით სერიოზული ტონით შენიშნა:

— პანჩა, შენ ისე მონდომებულად გიღუღებია ღომი, რომ ნახევარზე მეტი ფსკერზე მივიწვავს.

— რას ამბობ, ნესტორ ბაბუა, სულ ფეხალ-ფეხალ ჩავყარე ადუღებულ წყალში ფქვილი დადხანს არ მიღუღებია, უცებ მოიხარშა! — თავი ვიმართლე მე.

ამ სიტყვებზე ორივემ მხიარულად გადაიხარხარა.

— რა გაციენტო, წყალი ადუღებულში არც კი იყო, ხელად მოვშუშე. — ისევ ვცადე მე თავის გამართლება.

— მიტომაც გამოვიდა ცომი! — ჩაიციხა ნესტორ ბაბუამ და ადგა, ღომზე თითიც არ დაუწია.

შემდეგ, როცა მახმული არ იყო, მითხრა:

— არა უტირს-რა, მალე ისწავლი. არ დაგაეწყდეს, რომ სადილი უნდა გავაკეთო. ეს არის მთავარი! ჯოგის მოვლას დიდი ყურადღება და დრო სჭირდება. ხანდახან შეიძლება ისეთი დღეც გამოეროოს, მახმულს თავის მოსაფხანნი დროც ალარ ექნეს, არამცთუ სადილ-ვახშმის დამზადებისა. მაშინ შენ უნდა იმარჯო, გვერდში ამოუდგე, წყალიც უნდა მოუტანო და იჭრაც გაუკეთო.

თავზე ყვავმა დამჩხავლა და მე უმალ გამოვერკევი სასიამოვნო მოგონებიდან. ხეობის ასწვრივ ისევ ტრიალებდნენ ყვავები. თვით ხეობას კვლავინდებურად სქელი ჯანლი აწვა.

ყურს ნაჯახის შორეული კაყუნი მოსწვდა, რბილი და ყრუ. ხმის მიხედვით კაცი ადვილად მიხვდებოდი, რომ ხეს არ ჭრიდნენ. ძალიან მომინდა, მახმულს უკანიდან მიეპარვოდი და ცხელი სადილი მოულოდნელად დამეღა მწვანეზე. რატომღაც მეგონა, ამით ვსიამოვნებდი და გუნებას გამოვუკეთებდი. ნისლში არაფერი ჩანდა. ნაჯახის ხმას მივეყვი. მთის ნისლი ზღვის ტალღას მიაგავს. ის ხან აზვირთდება და ნაპირისაკენ წამოგორდება, ხანაც დაილევა და უფსკრულში ჩაიკარგება. გაიხედავ, ნისლია, ნახევრი ნაბიჯის იქით არაფერი ჩანს. დაუბერავს ნიავე და ჯანლი უეცრად გაიფანტება.

ნიავის ერთი ასეთი დაქროლებისას წინ თითქოს რაღაცამ გადაიბრინა. ქვემოთ, მთის ძირას, პაწაწინა მწვანე ბაქანს მოვლანდე თვალი. ბალახებს შუა, აქა-იქ, ჩრდილში შემორჩენილი თოვლის ნაფლეთები იდო. ორივე მო-

საზღვრე მთის კალთები ამ პაწაწინა მინდვრის კიდეებს ებჯინებოდა. ამგვარ ადგილებს მთაში ნესტორ ბაბუა „მონადირის ქას“ ეძახდა. ყოველთვის გვირჩევედა „ქისაგან“ თავი ყოველთვის შორს დაგვეჭირა. ჩაცურებით აქ ადვილად ჩაცურდებოდი, მაგრამ ამოსვლა კი ვეღარ მოგართევს: ორივე მთის კალთა ძალიან ციცაბოა. ზაფხულზე, როცა თოვლი ცოტაა, გამოცდილი და ღონიერი კაცი როგორმე მოახერხებს „ჭიდან“ თავის დაძვრენას, მაგრამ თუ თოვლი ღრმად დევს, იქიდან დათვიც ვეღარ ამოფოფხვდება.

ნისლი წამით კიდეც გაიფანტა და იმ საბედისწერო „ქის“ შუაგულში მე მახმუდი დავინახე. მას ზურგი შემოეჭყცია ჩემთვის და მიწაში წელამდე ჩაფლული ხან ნაჯახს ხმარობდა და ხან ნიჩაბს — მონათხარ მიწას ზემოთ ჰყრიდა.

— მეც ჩავალ! — გამიელვა აზრმა. ნისლი ისევ და ისევ სჭელდებოდა. მოვიკადე, ვიდრე ისევ არ დაუბერა ნიაგმა. „ნეტავი რად უნდა, მიწას რომ თხრის? — მიტრიალებდა თავში აზრი, — აქ, სულ ერთია, ვერც პირუტყვი ჩავა და ვერც კაცი. მაშ, რისთვის თხრის?“

ჯანღმა ხელახლა დაიწყო გაფანტვა. ცოტა წინ წავიწიე. ახლა სწორედ თავზე ვადექი მახმუდს. კიდეც გადავდგი ნაბიჯი და... გული შემეჭანდა დაფეთებულმა უკან დავიხიე. მე ერთხელ უკვე შექონდა ნანახი, როგორ დამარბეს ჯარისკაცი მდინარის პირას ჩვენი აულის ბერეკაცებმა. საფლავიც ვნახე. მერე, როცა კუბოს მიწა მიიყარეს, საფლავზე პაწაწინა მოგრძო ბორცვი ამოიზარდა ბორცვზე ხის ჭვარი დასვეს. შიშის კანკალმა ამიტანა. მთელი კვირის მანძილზე გულგახეთქილს მელვიძებოდა ხოლმე. აი, სწორედ ისე და იმდაგვარად თხრიდა მიწას მახმუდი, საფლავს თხრიდა. გვერდით უკვე მოჩანდა მეორე, თავმოდგმული საფლავი, ბორცვზე ხის ჭვარიც აღმართა. შიშისაგან თვალთ დამიბნელდა მაინც

მოვასწარი იმის დანახვა, რომ შავი/ნაბადი ისევ რალაცას ჰქონდა წაფთხებული. იქვე შტერის შტოვებმა ცუხრისამ დროს ჯანღმა ხელახლა გადაუარა ხეობას და ვაი, რომ ყველაფერი ვერ გაეარჩიე. იქნებ ეს ხსნაც იყო. შიშისაგან გული ისე ძალუმაღ მიძგერდა, აღარც კი შესმოდა ნაჯახის მძიმე და ყრუ ჩახახუხი. ნისლი ვიფარე და უკან უკან წავედი. მერე სულაც მოვეკურცხლე.

აღარც კი მახსოვს, კარავში როგორ დავბრუნდი. ვერც იქ გამიძლო გულმა. ნაბადში გავეხვიე და თაროზე მივიკუნეე. თან მეჩქარებოდა მახმუდის მოსვლა და თან კიდეც მეშინოდა ამისა. ნაბადში საცოდავად მოკრუნჩხულმა ვცადე ნახული გონებაში გამეაზრებინა, ყოველივე გონების სასწორზე ამეწონ-დამეწონა. პირველივე შემოიხვნილმა აზრმა ტვინი გამიხვრიტა. ვერ იქნა და ვეღარ მოვიშორე, „ალბათ, მოკლა! — ფიქრობდი და ვებრძოდი თავს, რათა ეს არ მეფიქრა, — ალბათ, მოკლა ის კაცი!“ მე რომ არ მომესწრო და უნებლიედ ხელი არ შემეშალა, მაშინვე მოკლავდა, ნაჯახით გააბობდა შუაზე. ნეტავი ამისთანა რა უჩუბრჩულა ყურში, რომ მახმუდმა სასიკვდილოდ გამეტა? ზო, ნამდვილად, მახმუდმა მაშინვე განიზრახა მისი მოკვლა, მაგრამ თავი შეიკავა, არ უნდოდა ჩემი სახით მოწმე ჰყოლოდა, ახლა კი ამ ადგილას ისევ შეხვდა და მოპკლა. ისეთ ადგილზე მარხავს, სადაც მოკლულის საფლავს ვერასდროს ვერაინ იპოვნის.

მთები სიჩუმეს მოეცვა. ქვიდან ქვაზე ტტებოდნენ და მოჩხრალბდნენ ბროლივით გამჭვირვალე ნაკადულები. ისმოდა, როგორ ძოვდა ბალახს ჯოგი. ჩვარივით დაფლეთილი ღრუბლები ეფარებოდნენ მთვარეს და ისიც

გარბოდა, რათა მალე დაედწია თავი ტყვეობისათვის.

მახმულს ჩემი ნაბადი შევთავაზე, ისიცა ვთხოვე, ერთად დაწვეთ-მეთქი, მაგრამ იუარა, დაწვა და ტყაპუკი წაიფარა. როცა მთვარე წუთით შეჩერდებოდა ცაზე, გადმოგვხედავდა და კარავს თავის უსიცოცხლო სხივებს მოჰყენდა, მე ჩუმად წამოვწევდი ხოლმე თავს და მახმულის სახეს ვაკვირდებოდი. თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ, ვიცოდი, არ ეძინა. მეც უძრავად ვიწევი და თავს ვიმძინარებდი. ცაზე მიცურავდა მთვარე, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ძალიან მინდოდა თვალი მომეტყუებინა, მაგრამ ვერა და ვერ დავიძინე. სულ უფრო შორიდან და შორიდან მესმოდა ჩანჩქერის ჩხრიალი. მთვარე თანდათან პატარავდებოდა. აი, ის მოიჭანცა და შედგა. ქუთუთოები დამიმძიმდა. საიდანღაც თხის ბლავილი მოისმა, სადღაც ძაღლმა შეჰყეფა. მახმული უძრავად იწვა. კარავში მშვიდი ფშვინვა ისმოდა. მთვარე... ვარსკვლავები... ყველაფერი დაპატარავდა. ძილმა არტახები მომიჭირა. ვეღარ გამეგო, სიზმარი იყო თუ ცხადი: ვილაც ჩურჩულებდა. ჩურჩული წამომახილებსა და ყაყაში გადავიდა. სიტყვებს ვერ ვარჩევდი. გულგადმოტრიალებულმა თვალები გაეახილე. მახმული მოუსვენრად ტრიალებდა თავის ხმელ საწოლზე, რაღაცას ბურტყუნებდა, იტანჯებოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა. უცებ გამოედვიძა. წამოჯდა. თვალები მოიფშვნიტა. მე ისე ვაჩვენე თავი, თითქოს ისევე მეძინა კარვა ხანს იჭდა. სახე ხელისგულზეში ჰქონდა ჩამხობილი. მერე მიწვა, ხელახლა წამოჯდა, ფეხები ძირს ჩაყარა და ხელების ცეცებით გავიდა კარვიდან. ფიჩხი შემოიტანა, კერიასთან ჩაცუქდა და ცეცხლის დანთებას შეუდგა. კარავი პატარა ალმა გაანათა. ერთხანს ცეცხლთან იჭდა, მერე ადგა, გარეთ გავიდა და იქ, კარს იქით, გულხელდაჭობილი გაჩერდა.

„ვერ გაუმხელოა, არა და ხელი ულ-

მერთოდ სტკივა, — ვფიქრობდი მე, — იქნებ სხვა კრილობებზეც აქვს? —

მან უკან მოიხედა და მე ნახა დღე ვეღარ დავიფარე თავზე. ისევე დამიდგა თვალწინ ნანახ-განცდილი. „ომი იყო. იქ ადამიანებს ხოცავდა. განუთში ხომ ეწერა, რომ იქ რამდენიმე ათეული გერმანელი გამოასალმა წუთისოფელს. მაგრამ ისინი გერმანელები იყვნენ, მტრები. იმიტომაც ხოცავდა. იქნებ ეს კაციც გერმანელი იყო? რა იცი! იქნებ მახმულმა განზრახ თქვა, ოდესღაც ერთად დავიარებოდით სანადიროდო, რათა მე არ შემშინებოდა? იქნებ გერმანელი არა არის, მაგრამ გერმანელებს ეხმარებოდა? მახმულმა ხომ თავისი პირით თქვა, ამისთანები ფაშისტებზე უარესი არიანო ასევე ამბობდნენ აულში იმ ადამიანებზე, რომლებმაც სული ეშმაკს მიჰყიდეს, სამშობლოს სიყვარული ფულზე დაახურდავს და გერმანელთა ჯარს მთებში გზას უკვლევდნენ. კი, უთუოდ ერთი იმათგანია, ვინც გერმანელებს წინ მოუძღვოდა მთებში. მახმულს ორდენი უბრწყინავს მკერდზე, სამშობლოს საკეთილდღეოდ თავი, ვინ იცის, რამდენჯერ დაუღვია. ამისთანა კაცი გამცემსა და მოლალატეს როგორ დაინდობს!“

მე ვცაადე „იმ კაცის“ სახის გახსნება, თვალუბის გამომეტყველების, ხმის კილოს აღდგენა. სწორედ მტაცებელი ცხოველივით აყურებოდა აქეთ-იქითრაც უფრო ნათლად ვიხსენებდი ყოველ წვრილმანს, „ის კაცი“ მით უფრო ემსგავსებოდა ჯაშუშს და გამცემს, ვისი ამბებიც არაერთ დიდ და მცირე წიგნში ამომეკითხა. „ახია, თუ მოკლა, ღირსიც იყო, მე კი შევშინდი და მახმულს საფლავის გათხრის დროსაც ვერ მოვეხმარე. ეგ კიდევ რა მოხმარება კი არა, გამხელაც ვერ გაუხებდე. რომ იქ“ ვიყავი და ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე. რა მხდალი ვარ ვეტყვი! ზეალ დილასვე, ავდგები თუ არა, ყველაფერს ჩავეუკავლავ. ვეტყვი, შენ რომ არ მოგველა, სულ ერთია, მე მოვეკლავდი-მეთქი. აბა, ის სიცოცხლის

ღირსი იყო? თოფს გავტენიდი და შიგ შებღში მივაჭდობდი ტყეიას, დათვივით ვაბდავლებდი!”

ახლა უკვე გული მომდიოდა საკუთარ თავზე, რომ მახმულთან მაშინვე არ მივედი. მოთმინება აღარ მყოფნიდა, როდის გათენდებოდა.

მახმული კარავში შემოვიდა, ცეცხლს ფიჩხი დაუმატა და წამოწვა. გარეთ ძალი აყვფდა-გავიგონე, როგორ წამოიშალა და შეშფოთდა ჯოგი. ყარაბაში ისევ გაავებული ძაბვანებდა, თითქოსდა ნადირს მიეტანაო. მახმული გარეთ გავიდა და დაუსტვინა.

— რას უყვფეს? — მეც გარეთ გავედი და კეითხე მახმულს.

— ჩუ!

— ღრენა გესმის?

— დათვებია.

ხეობასა და ჩვენს სადგომს შორის ბინდბუნდში ძლივს ვარჩევდი კლდოვან თხემს. ყარაბაში ამ თხემზე აიჭრა და გააფთრებით დაუწყო ყვფა ხეობას.

— რა ღმუილია, ერთმანეთს ჭამენ თუ?

— მოიტა თოფი!

კარავში შევევარი და თოფი გამოვიტანე. მახმულმა სავაზნეც ჩამომართვა.

— იქ ნუ წახვალ, აქვე გაისროლე!

— უნდა დავაფრთხო... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მახმულმა, — სუნი იკრეს მავ მგლის არჩივებმა!

ჯოგმა ყნოსვით იგრძნო ნადირის სიახლოვე. დამფრთხალნი ერთიმეორეს ეხლებოდნენ და მჭიდროდ შექუჩებულნი ელოდნენ, რა მოხდებოდა.

მახმულმა თხემი გადაიარა. ორჯერ ზედიზედ გავარდა თოფი. შემდეგ გაგრძელებული სტვენა გავიგონე. მალე მახმული უკან დაბრუნდა და ჩვენ ისევ დაეწყით დასაძინებლად. ის იყო, თვალი მივლულეთ, ძალმა ხელახლა ატეხა ყვფა. ისევ მოისმა დათვების კბილთა ღრქუნა და ძიძგილ-ძიძგილი. ეს ამბავი გათენებამდე არ შეწყვეტილა. ყარაბაში მთელი ღამე ყვფდა-დამფრ-

თხალი თხები ფრუტუნებდნენ და ბლაოდნენ. ჩვენ რამდენჯერმე გავისროლეთ თოფი და სტვენა და ყვირილიც ავტეხეთ. თავს წავდებდით თუ არა, ვიდრე წავგვიძინებოდა, ყვფა და გნისაი ისევ თავიდან იწყებოდა. ისევ ვდგებოდით ზეზე, ისევ ვისროლდით თოფს, ისევ ვუსტვენდით. ამასობაში კიდევაც ინათლა. მეც და მახმულიც ჯერ კიდევ უძილარები ვიყავით.

— მე წაივალ, ცხენს მოვძებნი, შენ კი, მზე ამოვა თუ არა, ჯოგი გარეკე, — მითხრა მახმულმა და კარგა გათენებისათვის აღარ დაუცდია, კარვიდან გავიდა.

როდესაც ამ ალაბიურ საძოვრებზე ამოვდიოდით, ჩვენი ბარგი და სანოვავე ორ ცხენს მოჭქონდა. ერთი მათგანი შინ მიმავალმა ბაჯამ წაიყვანა, მეორე კი მახმულმა საღლაც სხვა მთაში გადარეკა. ბალახი ჩვენი სადგომის გარშემოც საკმარი იყო, მაგრამ მახმულს ეშინოდა, ვაითუ ამ ოღრო-ჩოდრო ადგილებში ცხენი საღმე დაგვიარცხდესო. იქ, სხვა საძოვარზე, ცხენს არაფერი ვაუჭირდებოდა. სალი კლდეებით შემოზღულულ ვაკეზე შეგეძლო თუნდ მთელი ზაფხული უმეტეალებოდ დაგეტოვებინა.

„მაგრამ ახლა ცხენი რისთვის დასჭირდა? — ახალმა ფიქრმა ახალი ბუნდოვანი ეჭვი მოიყოლა, — არა, იქ არ წასულა, ცხენი მხოლოდ საბაბია!“

ეს ეჭვი თუ ვარაუდი საღამოს გამართლდა. მახმული ისე დაღლილი დაბრუნდა, ფეხებს ძლივს მოათრევდა. მტკივან ხელს მეორე ხელით ისრესდა და იჭმუნებოდა. მზე უკვე გადასცდა კლდოვან თხემს. ახლოვდებოდა თხების მოწველის დრო. მე შემეძლო მახმულს მივხმარებოდი თხების გამოწველისას, მაგრამ ამდენი თხის მართო მოვლას ვერ ავუვიდოდი. მახმული მიმიხვდა, რატომაც ვიყავი ასე ამრეხილი და მითხრა:

— შეუშვი დედებთან თიყნები მოსწოვონ, რაც იქნება, იქნება!

— აწყენთ ამდენი რძე!

— ნუ გეშინია, არ აწყენთ.

— ყველის დამზადების გეგმას რით-
ლა შევასრულებთ?!

— ნუ გააჭირე საქმე მაგ შენი გეგ-
მით!

ხასიათი გამიფუჭდა. ღამის განმავ-
ლობაში ნალოლიაგები გადაწყვეტი-
ლება განუხორციელებელი დარჩა. ახ-
ლა სულაც აღარ მინდოდა, მახმუდი-
სათვის გული გამეხსნა და მეტყვა,
რომ „მე ყველაფერი ვიცოდი“.

მახმუდმა ჯოგზე გული სულ აიყა-
რა. დილ-დილაობით თხებს მე მიეგრ-
ეკებოდი საძოვარზე, საღამოთი კი
ჯოგი თვითონ ბრუნდებოდა უკან. ყარ-
აბაში ისე დაეშინებინა პატრონს, რომ
როგორც კი ის კარავში ფეხს შემოდ-
გამდა, ძალი წყავეწყავით გავარდებო-
და გარეთ. დათვები ყოველდღე
ბრდღვინავდნენ და ჩვენ იძულებული
ვიყავით დილაზე გვეფხიზლა. ხოლო
როცა მათი ალიაქოთი მიწყდებოდა და
ძლივს დასაძინებლად დაეწეებოდი, ხე-
ლახლა მფხიზლებდა მახმუდის სიზ-
მარეული შფოთვა და ბურტყუნი, ან-
და უეცარი შექრეოლება ცეცხლის პი-
რასა.

ლაპარაკს თითქოს გადავეჩვიეთ. სახ-
ლი ღლითიღლე უფრო მენატრებოდა.

მესამე ღღეს, როგორც კი დაღამდა,
მახმუდმა თოფი და ნაჭახი წაიძღვა-
ნა და აღმართს აუღგა. მე სირბილით
გავეყვი უკან. ის თხემზე ავიდა და იჭი-
დან ძირს გადაიხედა ზეობის ფსკერ-
ზე, იქ, სადაც ერთხელ მახმუდი გაუ-
ვალ ბუჩქებში დაეინახე, ცეცხლს
მოკვარი თვალი. ამ ღამით დათვებს
აღარ შევუწუხებდით. მახმუდმა მა-
ინც ტანჯვა-წყალებით გაათენა. მე უკ-
ვე შემიჯდა აზრი, რომ თუ სიფხიზლეს
არ გამოვიჩენდით, უზრუნველ ძილში
მახმუდის მიერ მოკლული კაცის სული
მოგვიტაცებდა, ანდა დათვები შემოვ-
ვიცვივებოდნენ კარავში და შეგე-
ქამდნენ. ჯერ კიდევ ვერ მომეხერხებინ-
ა მახმუდისათვის ვულის გახსნა სა-
ამისოდ გამბედაობა არ მყოფნიდა, ან
შესაფერის წუთს ვერ ვპოულობდი.

ერთხელ, საცხებით მოვულოდნელად,
მახმუდმა თვითონვე მომცა გულახდი-
ლი ლაპარაკის საბაბი.

— პანჩა, — მითხრა დალილობისა-
გან ილაჯგამოცილიმა, — გახსოვს,
ერთხელ შენ რომ მომიყუევი, ენახე, რო-
გორ დამარხეს მდინარისაგან გამორი-
ყული ჯარისკაცის გვამით?

— მახსოვს, როგორ არა!

— მართლა შეგეშინდა?

— აბა რა, საფლავის ისე მეშინია...

ნახევარ წელიწადს არ გამივლია იმ
გორაკთან, სადაც ის დამარხეს.

— ეჰ, ერთი შენა ხარ კიდევ!

უმაღლესი გადავწყვიტე: „ყველაფერს
ვეტყვი! ვეტყვი, რომ არაფრისაც არ
მეშინია!“ ავდექი, მის წინ მოწაფესა-
ვით გამოვიჭიმე და, თითქოს დაზები-
რებულ გაკვეთილს ყვებოთ, ამოვღერ-
ლე:

— მე შენ დაგინახე...

— სად? როდის?

— რომ მითხარი, სადღილი არ მომი-
ტანოო. მაინც წამოვედი, ძებნა დაგიწ-
ყე და დაგინახე. შენ იქ...

— რა „იქ“, რა „მე“?

— მახმუდ, შენ სწორად მოიქეცი,
ის რომ მოკალი. გამცემი და მოღალა-
ტე იყო. ამისთანები ფაშისტებზე უა-
რესი არიან. ახია!

— ვიზე ამბობ, ბიჭო, ვინ მოვკა-
ლი მე?!

— შენ გგონია, ვერ დაგინახე, საფ-
ლავს რომ თხრიდი?

ის ისე გაოცებული შემომყურებდა,
თითქოს ჩემს მაგიერ თვით ეშმაკი
გამოცხადებოდეს. შემდეგ ტურჩებზე
დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა და
გულგრილად მითხრა:

— აი, თურმე ამას რა სისულელეები
მოსვლია თავში! იმ ადგილას, ბიჭო,
წინათ ცივი წყარო გადმოდიოდა. მთა
ჩამოიქცა და წყაროც ქვეშ მოიყოლა.
დამენანა და გაეთხარე. რაც მე იქ მუ-
შაობა დამჭირდა...

მე მივწეკი და გავეინახე. „ტყუილად
გამოუტყუდი, — ვფიქრობდი გუნება-
ში, — არ მენდო. იქ წყაროს რა უნდა!

წყარო კიდევაც რომ იყოს, ვინ მოიხმარს, ვინ ან რა ჩაევა იქ წყლის დასალევად! ნუ მეტყვის, რაკი არ მენდობა, სულ ერთია, მე მაინც არავის გავემხელ, თუნდაც ათჯერ გამომიძახონ და დამკითხონ!"

— რა ბავშვია, არ ამომხადა სული? ერთს ეუბნები და ეს მეორეს ფიქრობს! მოგეწებება წურბელასავეთ და არ მოგცემს საშველს! — მახმულდი ადგა და ამ სიტყვებზე კარვიდან გავიდა.

ვინანე, ნეტავი კინტი არ დამეძრა-მეთქი. „ვინ მეძალეზობდა, ენა ვერ დავაყენე? ისედაც ამრეზილი მიყურებდა, ახლა სულ შემძულელს!“

მახმულდი შემოვიდა და უხმოდ გაიშორა თაროზე. მზე ისე აცხუნებდა, რომ კარავში ვეღარ გავძელი. თოფი ჩამოვიღე, მხარზე გადავიყიდე და გარეთ გავვიღე. ვერ გამეგო, რა ვქენი ისეთი, რა დავაშავე, სულის სიმშვიდით დაეურღვიე. კარვის მოპირდაპირე კლდის წვერზე რომელიღაც ფრინველებს ბუდე ჰქონდათ ვაკეთებული. ფრინველები გუნდ-გუნდად მოფრინდებოდნენ ხოლმე და თითქოს ჩემს გამოსაგავრებლად აყაშყაშდებოდნენ. რამდენჯერ დავემუქე, კუდით ქვას გასროლინებთ-მეთქი. მოშიშვლებულ თხემზე ავფოფხდი და კლდის წვერს, სადაც ბუდეები მეგულებოდა, იქიდან დავაკვირდი. აქამდე ამოსვლა არც თუ ისე ადვილი იყო. ხრიოკ ფერდობზე ერთი ბუჩქიც არა ხარობდა, ზედ რომ ხელი მოგველო, ძირს კი, ხეობაში, ქაფმორეული მთის მდინარის ანჩხლი ჩხრიალი და ბუხბუხი ამოდიოდა-უცებ მახმულდის ძახილი მომესმა. ამ წუთში უკან ჩამოდიო, მიყვიროდა და ხელის მკვეთრი მოძრაობით ამასვე მანიშნებდა. მეც ასევე ვანიშნე, მესმის, ნუ გეშინია-მეთქი. სულ ცოტა მანიშლის ავლა მინდოდა კიდევ, რათა თოფის ტყვია იმ აბეზარ ფრინველებამდე მიმეღწია, მაგრამ მახმულდი უფრო გააღმასა და იმნარი ვაფთრებით დამიწყო ყვირილი, რომ კლდის წვერზე არხეინად ჩამომხდარი ფრინველები

დაფრთხნენ და გაფრინდნენ. მე გული მომივიდა და მახმულდისათვის რომ სამაგიერო ვადამეხადა, უფრო მეტი მონღომებით განეაგრძე გზა კლდის წვერისაკენ. ამის დამნახავი მახმულდი სულ გადაირია და ადლიანი ნაბიჯებით ჩემკენ გამოემართა. სხვა რაღა გზა იყო — დაებრუნდი. ქვემოთ რომ ჩამოვედი, მუხლებიდან სისხლი მდიოდა. ამ სისხლის დანახვამ მახმულდი მეტად გააოცა.

— რამდენჯერ უნდა გითხრას შენ კაცმა, კლდეზე პორქუილს თავი დანებო?! —

— რას მიყვირი, ვერ მეტყვი ადამიანურად? თუ ფეხი დამისხლტება, მე ჩამოვვარდები, შენ ხომ არა! რომელი ძუძუთა ბავშვი მნახე! ნურც ეს დავაიწყდება: თოფსაც მშვენიერად ვისვრი!

— უნდა ჩავირაკუნოს კაცმა თავში ეგ შენი თოფი! არც იმასა აქვს შენზე მეტი ქუა, ვინც ეგ განდო და აქ გამოგატანა!

— ამ თოფს მაინც არავის...

ამ სიტყვების დამთავრებისათვის აღარ დაუცდია. თოფი ხელიდან გამოიტაცა- კიდევ კარგი, უხმოდ გავეცალე, თორემ გამლახავდა. კინლამ შემქამა თვალებით. სანამ კარავში ორნი ვიყავით, თავს ვიკაეებდი, ხოლო როცა ის წავიდა და მარტო დავრჩი, გულში ჩაგუბებულმა ბოლმამ ერთბაშად ამოხეთქა. დასისხლიანებული მუხლების შეხვევის დროს მაინც მომშველებოდა! სისხლი არ დამანახო, დაიყვირა და მარტო მიმატოვა. „ნუთუ ჩემი სისხლიც კი ზიზლსა ჰგვრის?“ რა სათუთად ვეპყრობოდი ერთმანეთს ადრე, როგორ ვუყვარდი! მომავონდა აულში მარტოდმარტო დატოვებული დედა, მამის სახის წარმოდგენა კი ვერ შევძელი და ცრემლმორეული ავზულუქუნდი. მახმულდი, სწორედ მახმულდი არ მიშვებდა შინ, თორემ აქამდე ენახავდი დედასაც, მამასაც, ორივეს ენახავდი...

სალამოს, როცა მახმულდი სამწყეს-

რიდან დაბრუნდა, მე უკვე დამშვიდებული ვიყავი. დაინახა თუ არა ნამტირალევი თვალეზი, შევეცოდე და შერიგების ნიშნად მომეფერა:

— მოვიჩიო მუხლი თუ ისევ გამოგდის სისხლი? ნუ, ნუ მაჩვენებ! — და მაშინვე სახე მიიბრუნა.

მე ჩუმად ვიჯექი.

— ვისთვის ვამბობდი? — შენთვის!

— განაგრძო მან თავის მართლება, — ფეხი რომ დაგცდენოდა, რას აპირებდი?!

ვარი ჯავახეთის მხარის აღწერისას ამბობს, რომ „ამავე წყალზედ არს ფოსო ანუ ჩუღურეთი“. საკვირველია, რომ ამავე ნაწილშიც ქალაქ თბილისისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერა-ჩამოთვლისას ვახუშტი ჩუღურეთზე არაფერს ამბობს, მაშინ როცა მისსავე შედგენილ თბილისის გეგმაზე ჩუღურეთი დატანილია (№ 62) მოსახლეობის დასახლების აღწერილობით — უჩრდებოთ.

სიტყვა „ფოსო“ ვახუშტის თანადროულს დიდ ქართველ ლექსიკოლოგს საბას ასე აქვს განმარტებული: „ფოსო, ფოსო მცირე დიდობობია“... მეორე ცნობილი ლექსიკოლოგი ნიკო ჩუბინაშვილი ფოსოს ასევე განმარტავს: „ფოსო, ფოსოვი მცირედ დიდობამდებელი ადგილი, ямина, ухах“.

ჩუღურეთი ნაწარმოებია თურქული სიტყვიდან ჩუღურ-ჩუგურ-ჩუგურ და ნიშნავს ფოსოს, ორბოს. 1826 წლის თებერვლის ერთ-ერთ საბუთში ვხვდებით ჩუღურეთის ეტიმოლოგიის ახსნას: „...ჩუღურეთი არის თათრულს ენასა ზედა მცირე მამული, რომელშიც ორმა ანუ სამმა გვარმა მიაფარონ თავი თვისი“.³

სიტყვა „ჩუღურეთი“ არც ერთ ჩვენს ლექსიკოლოგს არა აქვს შეტანილი თავის ლექსიკონში. ჩვენსა სახელმწიფოდ, სიტყვა „ჩუღურეთი“ დღესდღეობით შემორჩენილია შიდა კახეთის სოფლებში — გრემის, ენისელის, აღმარისა და შილას დიალექტურ ლექსიკონში. იქ მცხოვრები გლეხები ამბობს თბილისის ამბობენ ხოლმე: — „შარშანა, აი იმ ჩუღურში ხაია ვადამეხება“, ანდა „იმ ჩუღურში ბევრი ზღმარტობა“ და სხვ. „ჩუღური“ იქ დაბევრული მითის კალთის-ფერდის გამოშატავება ცნებაა ასეთი მისი ფერდზე შეფილია ბუჩქნარი ანდა ტყე. ვახუშტი ბაგრატიონი ზუსტად ასეთი რელიეფით წარმოგვიდგამს ჩუღურეთს 1735 წ. თბილისის გეგმაზე.

ამგვარად, სიტყვა „ჩუღურეთი“ ნაწარმოებია გეოგრაფიული ცნების აღწერილობითი სიტყვიდან „ჩუღური“, რომელსაც დავითო „ეთ“ სუფიქსი, რის შედეგადაც მივიღეთ დასახლებული პუნქტის—ადგილის სახელწოდება. ამ შემთხვევაში „ეთ“ სუფიქსი სახელის ფუძისაგან აწარმოვებს დასახლებული პუნქტის საფუძის სახელწოდებას „ჩუღური“ — „ჩუღურეთი“.

აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ შიდა კახეთის დიალექტურ ლექსიკონში გეოგრაფიული ცნების აღწერილობით ტერმინად „ჩუღურის“ შემორჩენა გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება ძველი ჩუღურეთის მკვლევარი კახეთიდან ყოფილიყვნენ ვადმოსახლებულნი.

ვახუშტის 1735 წლის თბილისის გეგმის მი-

¹ ვ. ბერიძე, თბილისის ზურთომომდგრების ბელები, ტომი 1, გვ. 10.

² ვ. ბერიძე, მე-18 საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები, 1947, ტ. 1, გვ. 134

9. „მნათობი“, № 6

³ ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1941, გვ. 130.

⁴ სპ. ცენტრ, არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 1153, გვ. 71.

ხედვით სოფ. ჩუღურეთი ყოველი მხრიდან შემოზღუდულია ბუნებრივი საზღვრით. მას სამხ. მხრიდან აყრავს ზევი, ხოლო დასავლეთის მხრიდან—მდინარე მტკვარი. ჩუღურეთის ჩრ. და სამხრეთის საზღვრების ზუსტად დადგენაზე გვეხმარება ორი საორიენტაციო პუნქტი — სოფლის სამხრეთი ხევის (ჩუღურეთის) მარჯვენა მხარეს მდგარი სომხის საყდრის „სუბ-კარაქის“ (№ 61) და ჩრდილოეთი ხევის (დოდი ხევის) მარჯვენა მხარეს მდგარი კვირაცხოვლის ეკლესია (№ 63).

გვემით სოფლის მოსახლეობა მოთავსებულია აღნიშნულ ხევეს შორის და განსახლებულია მდინარე მტკვრის ნაპირზე. ჩუღურეთის ორად, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად ყოფს მასზე გამავალი „აქვალის გზა“, რომელიც იწყება ქალაქის კარდან (იხანდიან) და მიემართება მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირისაკენ.

ვახუშტის შემდეგ „ჩუღურეთს“ აღარ ვხვდებით თითქმის XVIII საუკუნის დასასრულამდე. რუს მოგზაურს გიულდენშტედტს საქართველოს რუკაზე (შედგენილია გერმანულად 1772 წ.)¹ ქალაქ თბილისის გვერდით დატანილი აქვს სოფლები: ეკია, დილომი, დიდუბე, ნავთლუდი, ჩუღურეთი, მოგზაურს არ აღნიშნავს, რაა ამის მიზეზი, არ ვიცი, შეიძლება ლეიანობის გამო ისე შეთხელდა მოსახლეობა, რომ მოგზაურმა ასეთი პატარა პუნქტის რუკაზე დატანა, არ ჩათვალა მიზანშეწონილად. რუსი მკვლევარი ქალაქის გარეუბნების განსახლების აღწერასას მოგვიტობებს: „...მიდამო ქალაქის გარშემო, ისე როგორც მთელი საქართველო, მკერდ და ცუდადაა გაშენებული და დასახლებული“². შეიძლება ვიუღლდენშტედტი უბრალოდ შეეცა რუსის შედგენისას და არ დაიტანა სოფელი ჩუღურეთი. ამას იმტომ ვფიქრობთ, რომ ძნელი წარმოსადგენია ეკიის გვერდით ჩუღურეთის პირწმინდად გაქრობა: ანდა შეიძლება მან ჩუღურეთი თბილისის გარეუბნად მიიჩნია ქალაქთან სიახლოვის გამო. მოგზაური მტკვრის მარცხენა ნაპირს ასე ხედავს: „...მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ქალაქის პირდაპირ, არის ბაღები და ყანები“³. მოგზაური არაა დაინტერესებული ვაარკეთის, რომელ დასახლებულ პუნქტს ეკუთვნის აღნიშნული ბაღები და ყანები.

პიშჩევიჩის 1785 წლის თბილისის გეგმის (შედგენილია ფრანგულად) ექსპლკაციასზე ჩუღურეთი საერთოდ არაა აღნიშნული. მის ტერიტორიაზე: № 85-ით აღნიშნულია ქართული მონასტერი, ხოლო № 86-ით — სომხური მო-

ნასტერი. სომხური მონასტრის ჩრდილოეთით ბაღი გაშენებული, სხვა აღნიშვნა ამ ტერიტორიაზე არაა. ვფიქრობთ, რომ გეგმაზე დატანული № 85-ით აღნიშნული უნდა იყოს ცხოვლის ეკლესია, ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ № 86-ით აღნიშნული სომხური მონასტერი უცნობია და სად უნდა მდგარიყო, ძნელი გასარკვევია. თუ ვეარაუდებთ, რომ პიშჩევიჩის შედგენა მოეუბნა ქართული და სომხური მონასტრების გეგმაზე დატანისას და მის შეცდომას გაეასწორებთ, მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ: ქართული მონასტერი № 85 არის კვირაცხოვლის ეკლესია, ხოლო სომხური მონასტერი № 86 იქნება ცახულის 1735 წლის თბილისის გეგმაზე დატანილი „ახალი სოფლის“ ეკლესია, რომელიც გაშენებულია მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

შეიძლება პიშჩევიჩმააც თავის გეგმაზე იმავე მიზეზით არ აღნიშნა ჩუღურეთი, რა მიზეზითაც აუარა გვერდი ვიუღდენშტედტმა, ეკრძოდ, ჩუღურეთის ტერიტორიის ახეზღობის გამო.

1800 წლის თბილისის გეგმაზე (შედგენილია რუსულად) ჩუღურეთი დატანილია № 10-ით. გეგმაზე ჩუღურეთის ასეთი წარწერა აქვს ურочище Чугурети. აქვე ჩუღურეთის ტერიტორიაზე დატანილია მასზე გამავალი აქვალის გზა და მის აღმოსავლეთით მდებარე კვირაცხოვლის ეკლესია.

1800 წლის თბილისის გეგმის განხილვისას პროფ. შ. მესხია აზრობს, რომ „...დროს ძველი დასახლებული იყო ჩუღურეთი“⁴. ამაში პატრიცტუმულ მცენიერს არ ეეთანხმებით, და თუ რატომ, ამას უფრო ქვემოთ ვიტყვი.

ამგვარად, ჩვენს ზელთ არსებული თბილისის გეგმების მიხედვით ჩუღურეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის გაჩენა უნდა ვივარაუდოთ XVIII საუკუნეზე ადრეულ ხანაში (ვახუშტის 1735 წლის თბილისის გეგმა). როგორც უკვე ვთქვით, გეგმაზე დატანილი მოსახლეობის აღნიშნული უჩრდეთში მოგვიანებენ, რომ აღებულ პერიოდში სოფელი ჩუღურეთი მჭიდრო და მრავალრიცხოვანი დასახლებუა. შემდეგ იგი ნელ-ნელა კლებულობს ან სულ ქრება (გიულდენშტედტის საქართველოს 1772 წლის რუკა, პიშჩევიჩის 1785 წლისა და 1800 წლის გეგმები).

ჩვენ არ ვიცი, რა ეწოდებოდა ვახუშტზე ადრეული ხანის ჩუღურეთს და რა სახის მდურნეობას მისდევდნენ მისი ბინადარნი (ქალაქის-

¹ კ. ვამერელო, საქართველოს 1772 წლის რუკა, 1964 წ.

² ვიუღდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 89.

³ იქვე, ტ. I, გვ. 93.

⁴ თბილისის 1735 წ. 1785 წ., 1800 წ. გეგმების და ექსპლკაციის ხმარებისას ესარგებლობთ მაშისა ბერძნულილის წიგნით — „თბილისის გარეგანი სახე მე-18 საუკუნეში“, თბ., 1965 წ.

⁵ შ. მესხია, თბილისის ისტორია, გვ. 385.

ბირა სოფლები და უბნები არიან როგორც საფეოდალ-სამფერწეო, ასევე ხელოსნური).

ძნელი დასაყრბელია, რომ შუა საუკუნეების ძლიერი და გავრთიანებული საქართველოს დედაქალაქის სანახები უთვისებელი ყოფილიყო და „ჩუღურეთი“, როგორც სოფლის ან უბნის დასახლება არ განენილიყო, ანდა არ ყოფილიყო ამის მცდელობა. მით უმეტეს, რომ სამართალ არსებობდა ყოველგვარი პირობა: ქალაქის, როგორც ბაზრის, სიბალოჲს, მის ტერიტორიაზე გამავალი, იმ დროისათვის ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი გზა „ავჭალისა“, რომელიც თბილისს (მეფის სასახლეს) „ქალაქის კართი“ (სანაის) აკავშირებდა ჩრდილოეთთან. „...გზა მცხეთიდან არაგვზე ხადით მიდიოდა (შეიძლება ამის მოწმობა იყოს სოფელი ყაჭვი, რომელიც სადაც არაგვის მარცხენა მხარეზეა ნაგულისხმევი. შეიძლება ამ სოფლის სახელიც ამ ხიდთან იყოს დაკავშირებული...). ეს გზა მამინ აგრეა წარმოსადგენი: მცხეთა, არაგვი, ყაჭვი, ჟეიხი და აქედან ავჭალისაკენ“.¹

ავღუბიკოსი ნ. ბერიძენიშვილის მოსაზრებას ემორჩება თბილისის 1800 წლის გეგმის ექსპლიკაცია: „Дорога в деревню Авчал, а от оной у местечка Мухет выходит на большую, в Россию, идущую дорогу“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ავჭალის გზა“ ეახუტება აქვს დატანილი თბილისის 1735 წლის გეგმაზე (№ 74). უნდა გავიხსენოთ, რომ ავჭალის გზა სათავეს იღებს „ქალაქის კართან“ და გადინალია ჩუღურეთის ტერიტორიაზე. ავჭალის გზას ქვეყნისათვის ჰქონდა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიური და სამხედრო-საფორტიფიკაციო მნიშვნელობა, იგი ქვეყნის ცენტრს აკავშირებდა პერიფერიებთან, (ეგრძელ, ჩრდილოეთთან), სოფლის უკავშირებდა ქალაქს, დამამზადებელს — გამსაღებელთან, გზა ხელს უწყობდა ქარის სწრაფ ფორსირებას და სვტ.

ავჭალის გზის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ვარკმობაც, რომ ეს გზა იწყება „ქალაქის კართან“, ისანთან. ვალეანში დატანებულ ქარს ქალაქისათვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ქვეყნისათვის გზას. ქალაქის კართდან იწყებოდა სატრანზიტო გზები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში. ასე რომ ქარის ქალაქის ვალეანს იმ მხრიდან ატანდნენ, საიდანაც წარმოებდა ინტენსიური მიმოსვლა და ვაჭრობა.²

XII საუკ. დასასრულს და XIII საუკუნის

¹ ნ. ბერიძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, 1966 წ. გვ. 18.

² Ш. Месхиа — Города и городской строй феодальной Грузии XVII и XVIII вв., 1959 г., გვ. 401.

დასაწყისში საქართველოს მეფე რეზიდენციად მტკვრის მარცხენა ნაპირს ირჩევს. ამარი მეფე იმყოფება „...საქალაქისა შავისა“ ციხესა ისანსა...³, მტკვრის მარცხენა ნაპირზე ჩქვტყა სიციცხლე. სხვადასხვა საქონლიან დატვირთული აურაცხელი ქარავანი თბილისში შედის „ქალაქის კართი“; გამარჯვებული მეფე მტკვრის ნარათველ ნადავლს მტკვრის მარცხენა ნაპირზე „ქალაქის კართდან“ გლდანამდე ფეხს; მეფე ჟეიხის იწერს დიდების ეკლესიაში, ქორწილს იხდის დიდების სასახლეში: „...და მოვიდეს სრასა დიდებისასა, სანახებსა ტფილისისასა. და მუნ ქმნეს ქორწილი“.⁴

არ უნდა დაგვთიწყედს, რომ დიდებულში მიმავალი გზა გატანილია „ჩუღურეთის“ ტერიტორიაზე მდებარე ორ ხევზე, „ჩუღურეთისა“ და „დღებზე“. საგულეებელია, რომ სწორედ ამ დროს ვახენილიყო „ჩუღურეთის“ ტერიტორიაზე სოფლური დასახლება, ანდა შეიძლება ამის მცდელობა იყო, მაგრამ ბედის ფეოდალ-მართობამ ქართველი ხალხის ისტორიის წინსვლა ქერ შეაფერხა, მერე კი წაიდა დატრიალა. ჩუღურეთის სოფლად ჩამოყალიბება ჩანასახშივე მოსპო მოძალდებულმა მტკვრმა — მონღოლებმა, თურქებმა, ყიზილბაშებმა. თბილისი დროის მკითხ მონაკვეთში რამდენჯერმე დაარბიეს, გაძარცვეს და დაანგრეს, ერთ ახლის გაკეთებას და აშენებას კი არა, მტრისაგან მიუყენებულ იარების მოშუშებას უნდებოდა. მოძალდებულ მტრის გამოისობით ბევრი საქარენო გზა გავერანდა და დაიწყებას მიეცა. ვერც ავჭალის გზა აქვდა ამ ხვედრს, იგი ის; ინტენსიურად აღარ გამოიყენებოდა. „ავჭალის გზამ“ ჩრდილოეთთან კავშირის დამყარებაში პირველობა „დიდების გზას“ დაუთმო. „ავჭალის გზა“ ადგილობრივ გზად იქცა, თუმცადა მოლიანად მიიწი არ ქარავანს თავის მნიშვნელობას.

XVII საუკუნის დასაწყისში არაგვის ვიოლიზი ერთსათვი ნეზარი, რომელსაც თბილისში „...დაახლოებით იქ, სადაც ბიონერების სასახლეა“ ან საქართველოს მეზუეშია...⁵, ეღკა სასახლე, მდინარე მტკვარზე, ახლანდელ ბარათშიყოლის სახელობის ხიდის ადგილზე, ავჭალს ქვიტიკობს ბურკეზეზე შემდგარ „2 ან 3 მალიან“⁶ ხიდს. აქ ხიდის არსებობაზე ლაპარაკობს პლატონ იოსელიანი. მისი გადმოცემით სხენებულ ხიდს დიდხანს არ უყარსებია, მისი

¹ ქართლის ცხოვრება, სიმონ ყაუხჩი-შვილის რედაქციით, ტ. 2, გვ. 24.

² დასახელებული ნაშრომი, გვ. 47.

³ ვ. ბერიძე, მე-18 საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები, 1947 წ., ტ. 1, გვ. 133.

⁴ კეზერელი-კოპაძე, თბილისის ხიდები, 1961 წ., გვ. 36.

⁵ Платон Иоселиани. Описание древностей города Тифлиса, 1866 г., гв. 257.

მომლის მიზეზი უცნობია. შეიძლება მისი ხის ნაწილი აღიდგებულმა მდინარემ მოშალა, ანდა ბტრია რომელიმე შემოსევის მსხვერპლი ვახდა, ხოლო ჭვის ბურჯები, როგორც ვახუთი „კავკასი“ მოგვითხრობს, აუფლექებიათ 1909 წელს მუხრანის ხიდის მშენებლობისას.¹ საინტერესოა, რამ უკარნახა გორთხ ფეოდალს მდინარე მტკვარზე ხიდის აგება. მკვლევარი კვეზერელი-კობაძე, საჩხველობის ისტორიკოს პლატონ იოსელიანის ცნობით, იმეორებს მის აზრს და წერს, რომ არაგვის ფეოდალმა ნუგზარმა, რათა სახიფე ვადასახდისაგან ვათავისუფლებინა თავისი ქვეშევრდომები, თავისი ხარჯით ააგო თბილისის მამინდელ გარეუბანში ჭვის საყრდენებზე განლაგებული ხის ხიდი. აღსანიშნავია, რომ ხიდის მშენებლობა, მისი აგება მკვად შრომატევადი და ძვირად ღირებულ ი საქმე იყო. ხიდზე ვადასელისს მგზავრი იხდიდა სავანებო სახიფე ვადასახდეს, რა-მელსაც კრფდა ხიდის თავში მდგომი ბირი. მცხეთის ხიდზე ვადასელისს ბაჟის აკრფდეს მშვენიერად აღწერს იოანე პატრიარქი „აღლ-მასობაში“: „სახიდურზე“ მოგვითხრობს რუსი მოგზაური ვიულდენშტედტი: მცხეთის ხიდის „...საჩხველობისათვის ერთი მცხეთელი აზნაური იღებდა ხიდის ბაჟსა“² რადგანაც ხიდის ითვალისწინებდა, შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ ითვლებოდა, უძველესია, მისი ამგვარი ისეთი ადგილს ამოირჩევდა, სადაც მოსახლეობა მრავლად იყო და მიმოსვლა ინტენსიური იქნებოდა. ძნელი დასაყრებელია პლატონ იოსელიანის და კვეზერელი-კობაძის აზრი, ვითომდა არაგვის ერისთავს მტკვარზე ხიდის აგებინას ამოქმედებდა მხოლოდ ქველმოქმედება და პეპანიერობა, და ბოლოს, ვანა ხსენებულ ხიდზე მარტო არაგვის ერისთავის კუთვნილი გლეხები დადიოდნენ? ვანა იმ დროს თბილისის გარშემო დასახლებული სოფლები აღარ იყო? ეჭვს ვარყვია, არაგვის ერისთავი მტკვარზე ხიდს მარტო თავისიანებისთვის არ ააგებდა: აღსანიშნავია, რომ ხიდის არსებობა დამოკიდებული იყო მის ინტენსიურ ექსპლუატაცია-გამოყენებაზე, რადგანაც ხიდის შეეთება-აღდგენა ხილზე გამოვალ მგზავრებისგან შემოსულ თანხით ხდებოდა.

ნუგზარ ერისთავის მიერ აღნიშნულ ადგილს ხიდის აგება მიგვიჩინებს, რომ XVII საუკუნეში აგვალის ვხა გამოიცილებდას იწყებს და თავის ადგილს იკავებს ქვეყნის ეკონომიურს და პოლიტიკურ ცხოვრებაში. XVII საუკუნის საქართველოში საქალაქო ცხოვრება ცოცხლდება, ხელახლა იწყება თბილისის დეკარბელე-ბული უბნების გამოცოცხლება და დასახლება. შესაძლოა, XVII საუკუნის დასაწყისში ჩუ-

ღურეთის ტერიტორიაზე აღნიშნული ხიდის აგებამ ბიძგი მისცა მისი ტერიტორიის ადგი-სებას და განსახლებას, ან პირინა, ნუგზარ ერისთავს აქ ხიდის აგება უკარნახა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფლების: ჩულურეთის, ნაკიის, დიდუბის, აგვალის, გლდარის ხელახალმა განაშენიანებამ და ეკონომიურად მომპლავებამ. ხიდის აღნიშნულ ადგილზე აგე-ბისას შესაძლოა ვათავისწინებულ იქნას ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორიც, თბილისის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქის ვალავანში დატანებული კარები.

თბილისის ზღუდეს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ჩრდილოეთიდან, დატანილი ჰქონდა სამი კარი: კოვრის, დიდმისა და ქვემო, ანუ წყლისა. „კოვრის“ (კოვრის) კართი შემოადიოდა სამხრეთ-დასავლეთიდან მოსული მგზავრი, „დიდ-მისას“ უფრო ჩრდილოეთიდან ეძალებოდა მგზავრი, ხოლო „დიდმის“ კარის ცოტა მოშორებით, აღმოსავლეთით, მტკვრის ახლოს მდებარე „ქვემო“ კარი ძირითადად ემსახურებოდა გარეუბნელებს, და, ალბათ, აგვალის გზით მოსულ ქალაქისპირა სოფლებსა და ჩრდილო-ეთელ მგზავრებსაც.

XIX საუკუნეში, როცა ჩუღურეთი და ძველი ეტყია თბილისის შემოუტრეთს, მათ ტერიტორიაზე გამოვალ ძველ აგვალის გზის ნაწილს მდინარე მტკვარიან სახალისის გამო ეწოდა რიყის ქუჩა (აწინდელი ხეთავუროვის ქუჩა).

ჩუღურეთის ტერიტორიაზე, აღმოსავლეთით, ვადიოდა მეორე ვხა — „ნუგზარ ვხა“. იგი გატანილი იყო აგვალის გზის პირაულურად, და-ახლოებით იქ, სადაც დღეს რკინიგზა გადის. „ნუგზარ ვხა“ მიემთარებოდა სოფელ ავლაბი-დან და სადაც დიდუბესთან თუ აგვალისთან უერთდებოდა აგვალის გზას. ძირითადად ამ გზით საჩხველობდნენ აღმოსავლეთ საქართვე-ლოდან წამოსულნი.

მიწისზედა ძველებიდან ჩუღურეთის ტერიტორიაზე დღესდღეობით შემორჩენილია სამი ეკლესია: „კვირაცხოვლის“ ქართული ეკლესია, „წმ. ნიკოლოზის“ ქართული ეკლესია, და „ღუთისმშობლის“ სომხური ეკლესია.

ამათგან ყველაზე ადრეულია „კვირაცხოვ-ლის“ ეკლესია, რომელიც მდებარეობს ჩუღურეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დიდ ზევის მარჯვენა ნაპირზე, რკინიგზის ხაზთან, შე-მადლებულ ადგილზე (დღეს მის დეკარბული აქვს ეკლესიის სახე, იგი გადაკეთებულია სა-ცხოვრებელ შენობად).

რა ხნისაა კვირაცხოვლის ეკლესია, არ ვი-ცით, იგი ქართულ გეოგრაფს, ვახუშტი ბაგრა-ტიონს, დატანილი აქვს № 63-ით თბილისის 1735 წლის გეგმაზე. ეკლესიის მიმდებარე გო-

¹ «Кавказ», 1909 г., № 127.

² ვიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, გვ. 59.

რასამლოცველობის — ყენის, კვირიკობის). (სამგორის ზღვის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით) გვაფიქრებინებს, რომ კვირიკობის ეკლესია უფრო ადრინდელი უნდა იყოს. შეიძლება იგი ადგას ლეოთაბა კვირიკის ძველი საეკლესიო ნიშის ადგილას.

საგულგებელია, რომ დროთა ცვლაში წარმატებულმა ლეოთაბა კვირიკამ ქრისტიანულ რელიგიაში კვირიკობის სახელი მიიღო: «Расположенная в селении Тчалисопели Тчартальского ущелья Мтиулетии христианская церковь с окружающим ее небольшим участком земли у мтиулов почиталась под названием Квирацховелис хати в качестве святилища божества Квириа.»²

მლოცველთა შეგნებაში წარმართთა კვირიკის და ქრისტიანთა ეკლესიას კვირიკობის ერთი და იგივე დუნქის შესრულება ეკადებათ. ეს სალოცვეობა განაგებდნენ იმპერეიურ საქმეებს. ამაზე მტყუყველებენ კვირიკის ეპიტეტები; ხმელთ-მთურავი, კარავიანი. მას ეკეთებოდა ცოდვამადლის განკითხვა, წულაობა, მოსავლანობა, განაყოფიერება და სხვ. თვით სახელი „კვირიკობელი“ უნდა იყოს კომპოზიტი კვირიკისა და ცხოველისაგან. „ცხოველი“ — ცოცხალი, ე. ი. კვირია და ლეოთაბა საცოცხლისა და ნაყოფიერებისა. შეიძლება ძველად, ქართველი ხალხის წარმართობის დროს, დღევანდელი კვირიკობის ეკლესიის ადგილზე იდგა წარმართ კვირიკის კარავი შეიღ. (ეპიტეტი: კარავიანი).

ახლა რაც შეეხება კვირიკასა და ყენის კავშირს. აკად. ივანე ჯავახიშვილი, უხემა რა ზემო სვანეთში საყველიერო დღესასწაულის მურყვანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ჩვევებს და მათ შორის „კვირიკის“, დასკვნის, რომ სვანეთში დაცული ამ ჩვევებით შეიძლება მენტაცულად ყენიობის პირველყოფილობის დადგენა. დროთა სვლამ დაამახინჯა წულაობისა და ნაყოფიერების მთავარი ლეოთაბის — კვირიკის დღესასწაულის პირვანდელი სახე და იგი თბილისურ, საერთოდ ქართულ ურღამში, შემოინახა ყენიობის სახით. რაღაც „კვირია“ და „ყენი“ მიუხედავად მათი სახელების წარმოშობის დროის სხვადასხვაობისა, იდენტურ-

ნი არიან (ყურ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ყენიობა ბევრი რამით ჰგავდა „კვირიკის“ წეს-ჩვევის)¹, ამდენად, ჩვენი „ახალი“ წესით ნახსენები „ყენის გორა“ კვირიკობის ეკლესიასთან გენეტიკურ კავშირში უნდა იყოს. კვირიკობის ეკლესია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვარაუდის სახით პირველად თავის 1775 წლის თბილისის გეგმაზე № 85-ით უნდა ჰქონდეს დატანილი. 1800 წლის თბილისის გეგმაზე № 11-ით კვირიკობის ეკლესია ნანგრევების სახითაა დატანილი. გეგმის ექსპლიკაციაში გიოტილოვთ: «Разоренная грузинская церковь святого апостола Фомы». ეს უსათუოდ აღ-მამკანდახანის თბილისზე 1795 წლის გამანდგურებული შემოსევის ნამუსტრეცია. ხევის, რომლის პირსაც კვირიკობის ეკლესია დგას, გეგმის ექსპლიკაციაში ეწოდება «Цховели хви». ეს სახელი ეკლესიის სახელიდან უნდა იყოს ნაწარმოები: კვირა + ცხოველი. კვირიკობის ეკლესია XIX საუკ. 80-იან წლებშიც არ უფიქრა აღდგენილი, მის შესახებ 1884 წლის თბილისის გეგმის ექსპლიკაციაში აღნიშნულია: «св. Георгия (строилась церковь на Красной горке)».

ქართველები კვირიკობის დღესასწაულობდნენ აღდგომის სწორს. საქართველოში კვირიკობის, წმიდა თომას დღეს, იცოდნენ დიდი ზემო. კვირიკობის დღეს ქართველთა წესი იყო ბურთის თამაში. ეკლესიაში წირვის შემდეგ ორ ჯგუფად გაყოფილი ხალხი ერთმანეთს ეცილებოდა ბურთის აღებაში. თამაშში მონაწილეთა რწმენით რამელი ჯგუფიც გაიმარჯვებდა და აიღებდა ბურთს, მთელი წლის განმავლობაში უფრო კარნახული ექნებოდა. ზოგჯერ ბურთის ვლექნენ რამდენიმე ნაჭრად (იმდენად მაკეთიო მზნუნელობა ეძღვოდა ბურთს), ნაკლეკის პატრონი დარწმუნებული იყო, რომ მის ოჯახს მთელი წელიწადი არ მოაკლდებოდა სოხვე და მარაქა.

თბილისში წითელი გორა, Красная горка, ეს სახელი უწრდა ერთი ჩვევის, „კვირიკობის“ დღეს წითელი კვერცხების დაგორების გამო. საოცარი სანახაობა იყო: დილაადრიან კვირიკობის გორაზე მლოცველები ანისხატის ეკლესიიდან მომავლებდნენ ზატს, რომელზეც ხალხი მოცულობდა. ლოცვა-წირვის დამთავრების შემდეგ იმართებოდა სახალხო დღესასწაული. სანახაობანი, ჭირითი, ცეკვა-თამაში და ლბინი.

ჩელდრეთის მეორე ქართული ეკლესია „წმ. ნიკოლოზისა“ დგას მტკვრის ნაპირას. იგი სამნაიანი გუმბათიანი ეკლესიაა. წმ. ნიკოლოზის

¹ გ. წიტილევი, „ყენიობა“, გაზ. „კვალი“, 1893 წ., № 6, გვ. 8, 10.

² П. Иоселиани, დასახელებული ნაშრომი, გვ. 262.

1 Подробная карта окрестностей г. Тифлиса, в масштабе 1:84000, ... в 1868 году, Тифлис.

2 В. Вардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, стр. 13.

3 საბა სულხან ორბელიანი, ტ. 4/2; ი. ჭილაშვილი. ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 13.

4 ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ნაწ. 1, გვ. 72.

ეკლესიის ადგილის მინიშვნებისას უზუსტობას უშვებს პროფ. ვ. ბერიძე, რომელიც წერს: რომ „მას გვერდით (სამების ეკლესიის. თ. ბ.) შეიძლება მოვიხსენიოთ მხოლოდ წმ. ნიკოლოზის ეკლესია კუკიაში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მარჯვნივ ხიდის მახლობლად“¹; შემდეგ მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ეკლესია 1859 წ. აუციან ღუჯანზე იოანე იმნაძის თაოსნობით, უფრო ადრინდელი, 1815 წ. აშენებულია, ეკლესიის ადგილსა“². «Ведомость о церкви», რომელიც იხსნება ეკლესიის მოძღვრის შოშიაშვილის ოჯახში, გვამცნობს ცნობას ეკლესიის აგების შესახებ. ამ ცნობის მიხედვით ეკლესია აგებულია 1856 წელს ეკლესიის შემოსავლითა და მრევლისაგან შემოწირული სახსრებით; ეკლესიის სამხრეთ სვეტში დატანილ მარჯაოლოს ფილაზე დაწერილი ეპიტაფია გვეუწყებს ეკლესიის აღმშენებლის ვინაობას: „ეს არს განსუსტუნებელი ზღმნი ამას დავეციდრენით მარჯუნოე მხარეს ლეთაების ხატინ წინ განისტუნებენ გუამნი, ამა ეკლესიის აღმშენებლის უწმინდესის სინოდის კანტორის ჩუენის დეკანოზის იოანე პეტრეს ძის იმნაძისა გარდაცვალებულისა 1872 წ.-სა მარტის 4-სა შობიდან 84-ის წ.-სა და მეუღლისა მისისა მაგდანელ მაკარის ასულისა გარდაცვალებულისა 1876 წ.-სა სექტემბრის 30-ს შობიდან 66-ის წლისა“.

1901-1902 წლებში მრევლიდან შეგროვილი სახსრებით, საქართველოს ეგზარქოსის ნებართვით ეკლესია გაფართოვდა, მას მიემატა ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავები. მშენებლობას შთააუვიწყდა ეკლესიის მოძღვარი სოლომონ შოშიაშვილი. მშენებლობა დაჯდა 4.000 მანეთი. მოძღვარ შოშიაშვილის მოწვევით 1901-1902 წლებში ეკლესია მოხატა თეოთონაწყვლმა მხატვარმა გიგო ზაზიშვილმა. გიგომ ეკლესია მოხატა თამარ მეფისა და დეიო აღმაშენებლის ფრესკებით, აგრეთვე აღადგინა ძველი მხატვრობა. შოშიაშვილისავე თაოსნობით ეკლესიაში XIX სუეტების 80-90-იან წლებში დაარსდა ქართული სამრევლო სასწავლებელი, სადაც თეოთონე ისწავლიდა. აღსანიშნავია, რომ შოშიაშვილი ერთ-ერთი პირველია იმ ქართველ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც ქართულ ეკლესიასთან დააარსეს სამრევლო სასწავლებლები. მოძღვარ შოშიაშვილთან (არამელიც წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ეზოში ცხოვრობდა), როგორც ქართველი ერის მესვეურთან და გულმშატკეპართან, ზშირად დაიარზობდნენ დიდი ილია, სოფრომ მკალიშვილი, იაკობ გოგებაშვილი და ზაქარია კვიციანი.

საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული 1832 წლის ერთ-ერთი საბუთი გვაუწყებ-

ბინებს, რომ წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ადგილზე ადრეც უნდა მდებარეობდა რომელიმე ან დაინგრა, ან იოანე იმნაძემ გააფართოვა ანდა ძველის ადგილზე ააგო ახალი ეკლესია. მოხსენიებულ საბუთში არის ვინმე პოდპორუჩი ნაკშიძის სთოვნა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ნიკოლოზ ფალაენდიშვილისადმი: «В городе Тифлисе по левую сторону реки Куры между веревощным мостом и церковью с-ю Николая (в Чугуретах) имеется пустопорожные место пространством с берегом реки Куры на 100 квадратных саженей...»; ნაკშიძე მოითხოვს, ნება მიეცეს აღნიშნულ ადგილზე «Постоялый двор»-ის ანდა «Гостины»-ის აგებისა, მას ამ სთხოვნაზე უარი ეთქვა, რადგანაც ჩუღურეთის ტერიტორია ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო აზოშილი და დაგეგმარებულია. დამოწმებური საბუთი საინტერესოა იმით, რომ წმ. ნიკოლოზის ეკლესია მოხსენიებულია ჩუღურეთში³ უფრო ადრე, ვიდრე იხსენიებს «Ведомости о церкви». აღსანიშნავია ერთი გარემოება: როდესაც საქართველოს ეგზარქოსი თეისა მოხსენიებს ბარათში ჩამოთვლის თბილისისა და მის გარეუბნებში არსებულ ყველა მართლმადიდებლურ ეკლესიას⁴, არ იხსენიებს ჩუღურეთში მდებარე წმ. ნიკოლოზის ეკლესიას. როგორც ჩანს, გამოჩენია. იმავე საბუთში ვხვდებით საინტერესო ცნობას: ჩუღურეთი მტკვრის მარჯვენა ნაპირთან დაეგროებული ყოფილა დროებით «веревощный» ხილით, შეიძლება ეს იყო დაკიდებული, ბონდის ხილი.

ჩვენს მოსაზრებამ, რომ წმ. ნიკოლოზის ეკლესია 1856 წელზე უფრო ადრინდელია, ადასტურებს აგრეთვე თბილისის ისტორიის მკვლევარის პლატონ იოსელიანის ცნობა: «Церковь в предместии Тифлиса Кукия во имя явления св. креста построенная в 1815 году и освещенная Экзархом Грузин Митрополитом Варламом, для населения тамошнего в Куке, после переселения из опустевшей деревни Дедубе между двумя нынешними немецкими колониями. Недавно на развалинах этой церкви построена другая с куполом и освятаена во имя св. Николая Чудотворца»⁵. თონე მკვლევარი ეკლესიის ადგილის მინიშვნებისას უშვებს უზუსტობას: იოსელიანისეული კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესია, უცუვლია, არის ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესია.

¹ საქ. ცენტ. არქ. ფ. 209, აღწ. 1, საქმე 411, გვ. 2.

² აღნიშნული საბუთი, გვ. 3, 5.

³ საქ. ცენტრ. არქ. ფ. 209, აღწ. 1, საქმე 294, გვ. 4, 5.

⁴ П. Иоселиани. Описание древностей города Тифлиса, 1866 г., стр. 86.

¹ ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წ. წ., ტ. 2, გვ. 29.

² იქვე.

სია, რომლის ადგილასაც ითანე იზნაძეს აუშენებია ახალი ეკლესია; კუკიაზე კი აგებულია წმ. ნიკოლოზის სომხური გრიგორიანული ეკლესია, რომელსაც საქართველოს მართლმადიდებელი ეგზარქოსი ვერაკეთარ შემთხვევაში ვერ აკლავსებდა, როგორც ამას პლატონ იოსელიანი აღნიშნავს¹.

ჩუღურეთში მდებარე მესამე ეკლესია „ლუთისმშობლის“ სომხური ეკლესია, იგი იდგა მექონეთა და პანასევიჩის ქუჩებს შორის (აწინდელი მ. ათიათა და ნ. ჩხვიძის ქუჩები). ეკლესია აგებული უნდა იყოს XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, მისი აგების ზუსტი თარიღი არ ვიცით. აღნიშნულ ეკლესიას ვხვდებით 1831 წლის 16 დეკემბერს შედგენილ საბუთის № 22-ით, სომხურ ეკლესიათა სიაში².

ჩუღურეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით დღევანდელი ვიბალიჩის ხევისა და რკინიგზის გადასვლეთ ტერიტორიას — რკინიგზის გადაღმა მხარეს — ეწოდება „ელია“. ელია ქართულ აპოკრიფულ მოთხრობებზეა და სასულიერო ლექსებში „ღრუბულთა წინამძღვარია“ ე. ი. იგი განაგებს სტეპას, ელვა-ქუბილს, წვიმას, გვალვას³.

ჩვენს მიერ დამოწმებული არაა ელიაში რაიმე საეკლერო ნაგებობის თუ სალოცების ნიშან-ჯგოლი. მსგავსი რამის აქ არსებობაზე არც ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი წყაროები მივეითებდენ. საინტერესოა ელიას ეტიმოლოგიის დადგენა. ჩუღურეთის ტერიტორიაზე ამ სახელის შემორჩენის საკითხის გარკვევაში გვეხმარება პლატონ იოსელიანი:

«На Авлабаре есть высокая возвышенность горы, известная под именем Махата (მახათა)⁴. На ней была церковь св. Пророка Илии. На это возвышение, как эмблему чудесного его возшествия на небо, приходили и приходят на поклонение в день праздника святого 20 июля. Кирпичные основания, воз-

¹ როგორც ჩანს, მკვლევარი ვ. ბერიძე, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე საუბრობს, სადაც მისი პლ. იოსელიანის მოყვანილი ცნობით. იხ. ვ. ბერიძე, დასახ. შრომა, გვ. 29.

² საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 209, აღწერა 1, საქმე 294, გვ. 3.

³ ალექსანდრე ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია. 1919 წ. გამოც. 111, გვ. 111-115.

⁴ XIX საუკ. 90-იანი წლების თბილისის გზამკვლევის მიხედვით, მახათის მთა ჩუღურეთის ტერიტორიის ფარგლებში შემოდის. Путеводитель по Тифлису, изд. К. И. Вегичева в Тифлисе, 1896 г.

вышающиеся на один аршин, еще целы!».

პლატონი აღგილი ძეგლებს ცნობას აძლევს ჩუღურეთში ელიის არსებობის გარკვევისათვის. შემთხვევითი არ უნდა იყოს მახათის მთაზე ილია წინასწარმეტყველის სახელობის სალოცების არსებობა. მახათის მთა ახლომახლო მდებარე მთებისაგან გამოირჩევა და გამოიყოფა თავისი მკვეთრი კონფიგურაციით. პირამიდის ფორმის მქონე მახათის მთა ცისკენაა აღმართული და ღვთაება ილიასათვის უფოოდ მშვენიერ ადგილს წარმოადგენდა. როდის ააგეს მახათაზე ილია წინასწარმეტყველის სახელზე სალოცავი თუ ეკლესია, არაა ცნობილი. მაგრამ თვით ფაქტი აქ ილია წინასწარმეტყველის სალოცების არსებობისა ნათელსა ფენს ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

დაახლოებით 34 საუკუნის წინ მესაქონლემომთაბარე ებრაელმა ტომებმა არაბეთის ნახევარკუნძულზე დაიბრუნეს ქანანეულთა სახელმწიფო, რომლის მოსახლეობა მიწათმოქმედებას მისდევდა და საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგა. დამპყრობელ ებრაელებს აქ დახვდათ ადგილობრივი სხვადასხვა ლეაება. დამპყროველმა, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ბევრი რამ შეითვისა დაპყრობილისაგან. ქანანეულთა მიწათმოქმედების, კეცა-ქუბილისა და წვიმის ღვთაება იყო ილე-ელ, რაც ქანანეულთა ენაზე ნიშნავდა ღმერთს⁵. მას შემდეგ, რაც მომთაბარე ებრაელებმა ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, მათაც იმავეს ილე-ელ ღვთაების ელტო.

ილე-ელ ქანანეულთა ღვთაებამ ილია-ელიას სახე მიიღო ებრაელთა ღმერთის ადრეს სახელის შემოკლებული იას სახით დამატებით: ილ+ია ელ+ია.

ღვთაება ილიამ ბევრი რამ შეითვისა თავისი წინამორბედი ღვთაების ილე-ელისაგან: იგი ვახდა იცხლის მფრქვეველი (ელა, კეცა-ქუბილი) და წყლის სტიქიის (წვიმის, წარღვნის) ღვთაება. ამგვარად, ღვთაებათა ბანთონში ილია-ელია განაგებდა მიწათმოქმედების საქმეებს. იუდეველთა ღვთაება ილია-ელია გადმოვიდა ქრისტიანთა რელიგიამდე. ილია-ელიამ ქრისტიანულ ღვთაებათა ბანთონში მოსაგლს, კეცა-ქუბილის ფუნქციების შემსრულებლად ადგილი დაიკავა. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ

¹ Платон Носелиани დასახელებული ნაშრომი, გვ. 260-261.

² ვ. ვ. სტრუვე, ჰველი აღმოსავლეთის ისტორია, 1946, გვ. 326-327.

³ С. А. Токарев, Религия в истории народов мира. М., 1964, стр. 346—347.

⁴ დღესაც სემიტურ ენაში ელ-ელ ღმერთის ნიშნავს.

⁵ Л. Пинчук. Ильян день, 1966, გვ. 23—29.

მისი დღეობა იმართებოდა შუა ზაფხულში — 20 ივლისს, როცა პეტრის მოსავლი მიწოდებოდა და ამინდს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მოსავლის აღებაში. სიტყვა და ხშირი წვიმები მომავლენებლად მოჭმედებად ჰქირახებულენ, ხალხი, რომელსაც სჭიროდა ილიას ძალისა მის შესახებ, რომ მათთვის საარსებო წყარო არ მოეპოო და მჭარველობა გაეწია.

ამგვარი ილია და ელია ერთი და იგივე დედაბაა, ამასთან დაკავშირებით აღნიშნავია, რომ ქრისტიანული ეკლესიის ეკლდის მხატვრობაში დამოწმებელია მხოლოდ ილია წინასწარმეტყველის გამოსახლება. ევქერიძის, რომელიც წინასწარმეტყველის ფრესკის არსებობა ერთხელ კიდევ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ილია და ელია საბულები იფენურია და ერთ დედასავე ეკუთვნის. ამდენად ჩუღურეთში ელია წმინდის არსებობა უკვე აღადგინა მათთვის არსებული ილია წინასწარმეტყველის ეკლესიის თუ სალოციის გავლენითაა. სახელი ილია დაიკარგა და შემორჩა ზღუდრეთის ურფაში მცირე რაიონში მისი სახელი ელია.

მთელი სათქმელია, როდის შემოვიდა ილია-ელიას დედაბა ქართულ დედაბაში მათთვის, თუმცა მის აღრეულობაზე ლაბარაიანს ელია დედაბის ვინაა ქართულ ზეპირსაბუცეობაში.

ქ. თბილისი და მისი სანახები სოფლებითა და ვარეუბნებით ოდიფანვე მეფის კუთვნილებაა. ჩვენ უკვე არაერთგზის აღნიშნეთ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის ეკონომიტი და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალაქისპირა სოფლებს, ავბედიითაინ ღრის აქედან აფრილი და ვახიზულია მოსახლეობის ზღადა წამოყვანის და მათ დასახლებას. ვამუდმებულში ოქმში და ამით ვამოწმებულში მოსახლეობის ვამუდმებულში სახელმწიფოს არსებობაში სამკედროსასიცოცხლოდ ვახადა უცხოის ქვეყნით შემოსულ ჩვენს სამხრანებელსა შინა დასახლება, ე. ი. იმიგრაციის საითობა. იმიგრაციასა და რეპატრაციას ქვეყნის აღორძინებასა და სამეურნეო ცხოვრების აღდგენაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამან თავისი სახევა პიოქა ქართულ სამართალში. XVIII საუკუნის მიწურულს კანონაროქტა კრებულს „სამოქალაქო საქმეებისათვის“ ვახილვისას მკვლევარი დავით ფურცელაძე აღნიშნავს, რომ: „ქართულ-კახეთში ჩამოსახლებული სხვა გვართომობის პირთა გარდა № 1 კანონაროქტის უცხოის ქვეყნად შემოსულთ წყალობაზედ, სითარხნეულად და ბინის მიცემად“... იმიგრაცია და რეპატრაციისათვის ზღადა წმინდის შეწყობის პო-

ლიტიკა საქითია, რათა „გამარჯვდნენ ახალ მოსულნი ჩვენს სამხრანებელსა შინა ქვეყნის შესამატებლად“ (მეფ. ივ.)

ევქერიძის, სწორედ ამ პოტიკით, ქვეყნის სამეურნეო და ეკონომიტი პოლიტიკით ხელმძღვანელობდა მეფე ერეკლე მეორე, როცა თავისი კუთვნილი ქალაქისპირა მიწები — სოფელი ჩუღურეთი თავად ამატველს უბოძა 1795 წლის დეკემბერში. საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულია 1829 წლის 29 მარტის ერთი საბუთი (მართალია, დოკუმენტი ვეინი ბანისაა, მაგრამ მეტი მნიშვნელობაა და ნათესავს ფენს საქართველოს სახელმწიფოს ისტორიის უფროსკენ პერიოდს). ესაა სახანისა ექსპედიციის მოხსენება საქართველოს მიფარმართებლისადმი, ამ მოხსენებაში ვკითხულობთ: «Экспедиции суда и расправы, находит: В письмах Царя Ираклия от 15 ноября 1795 года значится между прочим, что он по просьбе Князя Георгия Амаатуни о деревне удостоверяет, что ее пожалует и еще безнаследственности Татарский в Тифлисе имени, Сад и Лавин; а в другом от 23 декабря 1795 года Царь Ираклий написал: Нашу Государственную деревню Чугуреты с принадлежащими местами и крестьянами детаю Саркис-Аги Карапету и Георгию пожаловали на вечное владение и ныне повелеваем Эгши-Аге-баше Томазу Орбелиянову оную деревню отдать в вечное владение». თვით წყალობის სოფელს ვერეულობით ვერ მივაკელით და ამდენად აღნიშნულ საბუთს პირველი წყაროს მნიშვნელობა ვაღვეა სოფელ ჩუღურეთის ისტორიისათვის.

ექვს ვარეუბა, რომ აღა-მამამად-ხანი ქალაქ თბილისისა და მისი მიდამოების დარბევისას ჩუღურეთისავე ვანადგურებდა და მოშლიდა. შეიძლება ამ მნიშვნელობით ისარგებლა თავადმა ამატველმა და მეფეს სოფელი ჩუღურეთი ვამოსთხოვა. ასეა თუ იგი ფაქტი რჩება ფაქტად: 1795 წლის 23 დეკემბრიდან სოფელ ჩუღურეთის მფლობელი ზღადა თავადი ამატველი იგი ყოველ ღონეს იმხარდა, რათა თავისი უფლებების ვასამტკივებლად ახალ მამულზე დაესახლებინა თავისი ყმა გლეხები. ამის გარდა პოტიკით საბუთში ხომ სწერია, რომ ერეკლე მეფემ მის სოფელთან ერთად გლეხებიც უბოძა.

XVIII საუკუნის ბოლოს მეფის კუთვნილი დომენის სოფ. ჩუღურეთის სათავადო მამულად ვაღვეა მიფვანიშნებს იმაზე, რომ ობიექტური პირობების გამო XV-XVI საუკუნეში დამყვებული საქართველოს სახელმწიფო აბარა-

1 ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1965 წ., ტ. 2, გვ. 188.

2 დ. ფურცელაძე, სამოქალაქო საქმეებისათვის, 1960 წ., გვ. 41.

1 დ. ფურცელაძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 46, 47.

2 საქ. ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 2 აღწერა 1, საქ. 1553, გვ. 112-113.

ტის დეცენტრალიზაცია გრძელდებოდა. სოფ. ჩუღურეთის თოვად ამატუნის მფლობელობაში გადასვლა, როგორც ნაწყობზე მამულისა, განმარტდა მეფის ხელისუფლების დასუსტებას და თავადის გაძლიერებას.

როცა ვიხილავდით თბილისის 1800 წლის გეგმას, არ გვიზიარებ პოეტსორა შ. შესხისას აზრს, ვითომდა ჩუღურეთი ამ დროს (ე. ი. 1800 წლისთვის) დასუსტებულ უფადაყოფო.

გეგმაზე დატანილია: «Урочище Чугурети». «სიტყვა» «Урочище» ცნობილ რუს ლექსიკოლოგს დაღს ასე აქვს განმარტებული: «Урочище — всякий природный знак, мера, естественный межевой признак, как: речка, гора, овраг, гривна, лес и пр.» დ. უშაკოვის რედაქციით გამოსულ ლექსიკონში ამ სიტყვის ასეთ ახსნას ეკითხულობთ: «Урочище» а, ср. 1) Естественная граница, природная межа (напр... река, лес, гора, овраг и т. п.).

2) Участок, местность, отличающейся от окружающей наким либо естественным признаками, напр., лес среди поля, болото, и т. п.

ვფიქრობთ, 1800 წ. გეგმის შემდგენლის მიერ ჩუღურეთის მოხსენიება «Урочище»-დ გათვალისწინებულია ადგილის რელიეფის, ხეივანის, გამო. ჩუღურეთი ხომ მართლაც ბუნებრივ ზღუდვას წარმოადგენდა თავისი სამი ხეივით და მდინარე მტკვრით, რომლებიც მას გამოყოფდნენ მომიჯნავე ტერიტორიისაგან. რუსი მკვლევარები და მოგზაურები მომდევნდნანამდე უზირად მოიხსენიებდნენ თბილისის გარეუბნებს — ავლაბარს, ჩუღურეთს, კეკეისს, დიდუბებს «Урочище»-დ¹. მართალია, გეგმაზე ჩუღურეთში არაა დასახლების აღნიშვნული ნიშანი, მაგრამ გაიხსენიეთ, რომ მეფე ერეკლე მეორემ 1795 წლის დეკემბერში სოფელი ჩუღურეთი გლეხებითურთ უბოძა ამატუნს, დავუვით, რომ მეფემ თავადს უბოძა ცარიელი მამული, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ 1795 წლიდან 1800 წლამდე თავადმა ამატუნმა ახალ მიწულში არ დასახლა თავისი ყმა-გლეხები ანდა იმიგრანტურ-რეპარტიანტები. ამას ხომ ყოველნაირად უწყობდა ხელს მეფის ხელისუფლების კანონი. ჩუღურეთი რომ დაუსახლებელი და მატერიალურად არამომგებიანი უყოფილიყო, მეფე ვითარგი XII-ის მეუღლე მარიამ დედოფალი აღარ შეეცდებოდა გიორგი ამატუნს.

მარიამ დედოფალმა სოფელი ჩუღურეთი მიიტაცა მეფე გიორგი XII-ის ვაზდაცვალების (1800 წ. 28 დეკემბერი) შემდეგ, როცა მეფის

მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრები ერთმანეთს ეცილებოდნენ სამეფო ტახტის დაკავებაში, მამულთა მითაცებაში და სხვ. დედოფალმა მარიამმა ისარგებლა გიორგი ამატუნის რუსეთში ყოფნით და მისი მამული სოფელი ჩუღურეთი, მისსაკუთრად, როგორც მეფის კუთვნილი ძველი მამული, დიდა დაეპარობა ატყდა ვერ ამ ცილობის, ხოლო შემდეგ ამატუნის მიერ სოფელ ჩუღურეთის მომიჯნავე სოფლების — კეკეისს, დაღუბნისა და ავლაბრის მიწების მიტაცების მცდელობისათვის.

1802 წელს, საქართველოში რუსული მმართველობის დაარსებისთანავე, გიორგი ამატუნმა სარჩული აღწარა მარიამ დედოფალს წინააღმდეგ ჩუღურეთის მამულის გამო.

ამატუნის საჩვენებელი დედურეთის მამულზე და მამულის საზღვრების დადგენის საკითხში, რომელსაც იკვლევდა და აღვრდა ხან ერთი, ხან მეორე ექსპედიცია, თითქმის ოთხი თვეული წელი გასტანა.

სოფელ ჩუღურეთის საქმის გაკანონებას ხელს უწყობდა ერთი მხრივ რუსი საზღვრების მოხელეების მიერ ქართული ენის უცოდინარობა, არაკვალიფიცირობა და დაუღებრობა, მეორე მხრივ კი ამატუნის ვაჭნილობა და სოფლიო. ამატუნმა თავის სარჩულს თან დაურთო ერეკლე მეფის ბოძების სოფელი. სამოქალაქო ექსპედიციამ განიხილა წარმოდგენილ საბუთებს და სოფელი ჩუღურეთი ამატუნს დაუბრუნა. ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო საკანონმდებლო დამატაცია სამოქალაქო ექსპედიციის ვადაწყვეტილებამ.

1804 წლის 20 დეკემბერს საქართველოს უმაღლესმა მთავრობამ სახაზრო ექსპედიციის წინაგებით ხელახლა დამატაცია ჩუღურეთი ამატუნის მფლობელობაში². მაგრამ ამატუნის არ დაჯერდა და პრეტენზია განაცხადა ჩუღურეთის მომიჯნავე სოფლების — ძველი კეკეისს, დიდუბისა და ავლაბრის კუთვნილ მიწებზეც, რამელიც სოფელ ჩუღურეთის ფარგლებში არასოდეს არ შემოდიოდა. 1807 წლის 17 დეკემბერს საქართველოს მთავარმართებელმა გენერალ-ფელდმარშალმა გრაფმა გუდოვიჩმა კვლავ დამატაცია 1804 წლის 20 დეკემბრის დადგენილება. ამის საფუძველზე დადგენილების სისრულეში მოყვანის მიზნით საქმე გადაეცა აღმასრულებელ ექსპედიციას: მან თავის მხრივ საქმე გადასცა გუბერნიის მიწისმომწესს ვიკატინს, რომელსაც უნდა ემუშადა მისი ჩუღურეთის გეგმა. ექსპედიციები

¹ საქ. სახ. ცენტრ. არქივი, დასახლებული დოკუმენტ, გვ. 44.

² საქ. სახ. ცენტრ. არქივი, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 1553, გვ. 18-20.

³ საქ. სახ. ცენტრ. არქივი, დასახლებული დოკუმენტ, გვ. 213.

¹ К. К. 1847 г., стр. 158; К. К. 1865 г., стр. 62.

² საქ. სახ. ცენტრ. არქივი, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 1553, გვ. 23.

და უმაღლესი მთავრობა ამატუნის საქმის განხილვისა და დადგენილების გამოტანისას საფუძვლად იდებდა მთავარმართებელ ციციანოვის პირველის სურმბათაშვილისა და უწიკა-აბაშის თამაზ ორბელიანის ჩვენებასი, — ეს უკანასკნელი, უშუალო მონაწილეობას იღებდა ერთელ შეიარაღებულ ბრძანებებს თანახმად ამატუნისათვის სოფელ ჩუღურეთის ზომების საქმეში. რასაკვირვებელია, ყველაზე უფრო სწორედ მას ეყოფინებოდა თუ რა საზღვრები ეკავა ჩუღურეთს და ეინ სახლობდა მის ტერიტორიაზე. მაგალითად, ერთი საბუთის მიხედვით 1809 წელს ჩუღურეთში, დიდებული გლეხების გარდა სხვობებზე, განჭვლები და სხვა კუთხის სახაზინო გლეხები¹.

ერკელ მეფის ემიკა-აბაშის, თამაზ ორბელიანის ჩვენების თანახმად სოფელ ჩუღურეთს ტერიტორია შემოიფარგლებოდა ასე: ჩრდილოეთიდან მას ზღუდავდა თელის წყაროს ხევი (დიდი ხევი, — თ. ბ.), რომელიც იწვევოდა ილღვიანის ტბასთან (ტბამ ეს სახელი მიიღო მის მიდამოებში გაფრცხლებული მცენარის — ილღუნის-აღღუნის, სამასურ ტიპის, გამო-თ. ბ.) და ეშვებოდა მტკვრამდე; სამხრეთით შემოიხლუდებოდა ისევე ხევი (ჩუღურეთის, — სუმ-კარაბეტას, — აბაღიჩის, — თ. ბ.), რომელიც სათავეს იღებდა მახათას მთასთან და ეშვებოდა მტკვრამდე; დასავლეთიდან შემოიხლუდებოდა მდინარე მტკვრით, ხოლო აღმოსავლეთით ხევი, რომელიც მიემართებოდა ავღაბრიდან და ეფრთღებოდა თელისწყაროს ხევს.

ამატუნს აფრბადა ამ საზღვრებს იქით მდებარე მიწებიდან ღალის ალბა. მაგრამ იგი მაინც თავისას არ იშლიდა, პრეტენზიებს აცხადებდა ამ საზღვრების იქით მდებარე მიწებზე და მასზე დასაბუთებელი გლეხებისაგან მიწის გადასახადს თხოვლობდა.

ჩრდილოეთის საზღვრის აღნიშვნისას ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გაგრძობას: ილღვიანის ტბასთან მდებარეობდა თელისწყარო და მისგან კარვად მოშორებით, სამხრეთისაყენ, მდებარეობდა თელისწყაროს ხევი. თელისწყარო დიდების ტერიტორიაზე იდო. ერთი შეხედვით სხედწოდებოდა ერთნაირობა (თელისწყაროსხევი, — თელისწყარო) ზელს აღევდა ამატუნს. რუსმა მოხელეებმა, რომლებიც ამ საქმეს იმბედნენ, კითხვით ენა იარ იყოდნენ და იშველიებდნენ თარჯიმნებს, თარჯიმნები კი ბიზირად აზარსორად უთარჯიმნდნენ, ურვედნენ ამ ორ დასახელებას ერთმანეთში, რაც თავისთავად დიდ არეულობას ქმნიდა სოფელ ჩუღურეთის ჩრდილოეთი მხენის დადგენაში. ეს აყო ერთ-

ერთი მიზეზი იმისა, რომ ერთი ექსპედიციის დადგენილება ინსტანციიდან ინსტანციაში გადადიოდა; საქმე ირღვეოდა ხან ამატუნის ხელახალი სარჩულით, ხან კიდევ ჩუღურეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრები იმ გლეხების სარჩულით, რომლებსაც ღალის ალბით აფორივებდა ამატუნს.

1817 წელს გაორგი ამატუნის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა ისევე ატყეს დაეკარგა ჩუღურეთის საზღვრების გამო. 1827 წლის ბოლოს სამხედრო გუბერნატორის სიბიავინის მმართველობის დროს გამოყოფილმა სამაქრო ექსპედიციამ აღადგინა და დაადგინა ჩუღურეთის ზუსტი საზღვრები. 1829 წლის 29 მარტს სახაზინო ექსპედიციამ ჩუღურეთის შესახებ თავისი მოხსენება და გადაწყვეტილება წარუდგინა საქართველოს მთავარმართებელს ვენერაბ პასკევიჩს. სახაზინო ექსპედიციის კომისიის ამ მოხსენებაში შეფარებული ქმნიდა თავისი წინამორბედი კომისიებისა და ექსპედიციების დადგენილებები და დასკვნები, რას საფუძველზეც თავად ამატუნის მამული, სოფელი ჩუღურეთი, შემოიფარგლა მისი ბუნებრივი და არსებული ძველი საზღვრებით. დადგინდა, რომ ჩუღურეთი მიიცავს: 49 დესეტინა და 1040 საყენ სასარგებლო მიწას და 3 დესეტინა და 200 საყენ გამოუსადეგარ მიწას, ჩუღურეთის მიწაზე სახლობს 104 კომლი მოსახლე, აქედან: 12 საყულსიო, 44 სახელმწიფო და 48 სათავადო და სააზნაურო გლეხი.

ეს აქტი უზენაესმა სენატმა დაამტკიცა 1836 წლის 4 მაისს.

მართალია რუსეთთან შეერთებით საქართველომ, დაკარგა თავისი სახელმწიფოებრიობა, დამოუკიდებელი სახე, მაგრამ არსებობდა ამ აქტის ძირითადი პროგრესიულიება გამოიხატებოდა იმაში, რომ ქართველმა ხალხმა ფიზიკურად შეინარჩუნა თავი, რაც აუცილებელი და ესოდენ საჭირო იყო ეროვნული კულტურისა და ეკონომიური ცხოვრების შემდგომი აყვავებისათვის.

სულ მცირე მშვიდობიანი შესვენებაც კი საქართველო აღმოჩნდა, რათა თბილისს გაგრძედა თავისი საუკუნოვანი ზღუდე და მდინარე მტკვრის ადგილს, ორივე ნაბიჯზე განეერცო თავისი ტერიტორია და ფარგლები.

თავდაპირველად ქალკმა მტკვრის მარჯვენა ნაბიჯზე, ე. წ. გარეთუნის ტერიტორიაზე დაიწყო განაშენიანება, რასაც ზელს უწყობს რუსეთისაყენ მიმავალი გზა. გზა ხომ ყველაზე დიდი ფაქტორია განახლება-განაშენიანების საქმეში.

უკვე XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში დღის წესრიგში დადგა ქალაქისპირა სოფლების — ჩუღურეთის, კუკისა და ხარდუხის ქალაქთან შეერთების საკითხი.

1823 წელს მოეწყო თბილისისპირა სოფლე-

¹ საქ. სახ. ცენტრ. არქივი, ფ. 2, აღწ. I.

საქ. 213, გვ. 18.

² საქ. სახ. ცენტრ. არქივი, ფ. 2, აღწ. I, საქ. 213.

ბის ქაშარაღერი აღწერა. ამ აღწერის შედეგად ვარკვე, რომ ჩუღურეთის ტერიტორიაზე სახლობდნენ როგორც მიწათმოქმედი ყმა გლეხები, ასევე სხვადასხვა ხელოსან ხელოსანი. სოფელ ჩუღურეთის ტერიტორიაზე სახანესათესად გამოიყენებოდა 5.000 დღური მიწა, ხოლო გამოიყენებოდა იყო 500 დღური მიწის ფართობი. აღწერის შედეგადვე გამოირკვა, რომ ჩუღურეთში იყო: ათი აგურის ქარხანა, ოთხი სამეთუნეო ქარხანა, რვა სამღებრო, სამი სამკედლო, ერთი სანის ქარხანა, ერთი საღალაქო, ორი დღქანი, ორი გაჯის ქარხანა, ერთი თორნი. მოხსენიებული ქარხნები, ცხადია, არ უნდა წარმოედგინათ ამ ტერიტორიის დღევანდელი გავებით: იმდროინდელი ქარხანა იყო პატარა სახელოსნო, სადაც მუშაობდა ორი-სამი ან ცოტა მეტი ხელოსანი. მკვლევარი ვ. ჯაიშვილი, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა საქართველოში კერამიკული წარმოების ისტორიას, ტერმინ „ქარხნის“ წარმომავლობის ისტორიის ახსნისას არასწორად განმარტავს მის ეტიმოლოგიას. იგი წერს: „...ჩანს ქარხანა წარმოშობილა ტერმინ „ქურხანიდან“ (ვ. ჯაიშვილი, კერამიკული მრეწველობა საქართველოში, 1957 წ., გვ. 48).

„ქარხანა“ ზოგადი შინაარსის სიტყვაა. იგი სპარსული წარმოშობისაა და წარმოადგენს ორი სიტყვის ნაზავს „ქარ“ — საქმიანობა და „ხანე“ — სახლი, ე. ი. სახლი, შენობა, სადაც რაღაც საქმიანობას ეწევიან. ასე რომ „ქარხანის“ წარმოშობას „ქურხანისთან“ საერთო არა აქვს არა.

დღიების მიწაზე ჩუღურეთელებს ეკუთვნოდათ ცხრამეტი მაღის. ამგვარად ჩუღურეთი ყოფილა როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე ხელოსნური მეურნეობის უბანი.

20-იან წლებში სოფელი ჩუღურეთი და ეკუთვნის შეემიქნენ ქალაქ თბილისს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული იყო ეს სოფლები ქალაქისათვის მიერთებულად გამოეცხადებინა: «Сел Куки и Чугуреты так тесно соединены с городом, что необходимо требует для обоюдной пользы причислить оных к Тифлису, а поэтому предлагают вашему превосходительству сделать надлежащее распоряжение, чтобы жители оных состояли в городском ведомстве и под влиянием Тифлисской полиции»².

ამიერიდან ჩუღურეთი და ეკუთვნის თაიხუფლდებოდნენ საერაობა პოლიციის მეურნეობიდან და შედიოდნენ თბილისის პოლიციის ზედამხედველობაში.

მართალია, ჩუღურეთი და ეკუთვნის შემოერთების თბილისს, მაგრამ მათი მცხოვრებლები ისევ სოფლის მეურნეობაზე იყვნენ და ისევე იმეურნეობდნენ, როგორც ჩვეულებრივი საბატონო ყმა გლეხები.

ქალაქთან ჩუღურეთის ტერიტორიული შეერთების მოუხრედად მისი კეთილმოწყობის, აზომა-დაცვემარების საქმეში კარგა ხანს არაფერი გაკეთებულა. საქართველოს მთავარ-მართებლების ხშირ-ხშირი ცვლა ხელს უწყობდა იმ ქაოსს, რომელიც გამეფებული იყო ადგილობრივი მართვის აპარატში. ადგილობრივი და საერთოდ მეფის რუსეთის ხელისუფლება იმ დროს დაინტერესებული იყო კავკასიის მთიანეთის ამბებით (კავკასია ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო დაპყრობილი) და სამოქალაქო საქმეებს ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ.

1827 წლის 29 ივნისს დაარსდა ქალაქ თბილისის მომწყობი კომიტეტი, რომელსაც იცის რებოდა თბილისის კეთილმოწყობა. მას უნდა ეზომოდა და გვემხე დეიტანა ყველა დაუსახლებელი სახაზირა მიწის ნაკვეთები. იმ შემთხვევაში, თუ კერძო პირი მოითხოვდა სახაზირა მიწის ნაკვეთის გამოყოფას, კომიტეტს უნდა გაეთვალისწინებინა შემდგომში აღნიშნულ ადგილზე ხომ არ ამენდებოდა სახელმწიფო დაწესებულება: უნდა ვანებოდა გვემხე და პრაოქტების გამოტენა სახარები იმ პირთა წასახლისებლად, რომლებიც აპირებდნენ მიწის ნაკვეთის შექმნას; მიეკეთათ ყურადღება ძველი შენობების შეკეთებისათვის; დროის დაუყარავად გამოეძებნათ ქალაქის შუაგულში მდებარე სსაყალასათვის ახალი ადგილი და სხვ¹.

XIX საუკუნის დასაწყისში ჩუღურეთში მეტწილად მიწური სადგომები და ერთსართულიანი ბანიანი სახლები იყო ნაშენი, ყოველგვარა გვემხისა და პრაოქტების გარეშე, უსიტემოდ. იმ დროს ასე თუ ისე ქუჩის სახეს ატარებდა ძველი ატვალის ვაზ (შემდგომში რიყის ქუჩის სახელით ცნობილი), რომელიც, როგორც ზემოთ აღწინშნეთ, ვატანილა იყო ჩუღურეთის ტერიტორიაზე. ერთი სიტყვით ჩუღურეთის კეთილმოწყობას ესპირიტობოდა კონკრეტული ღონისძიებანი.

1827 წლის 11 ოქტომბერს თბილისის სამხედრო გუბერნატორი სპიავინი ქალაქ თბილისის მომწყობი კომიტეტს მითითებას აძლევს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქალაქთან ახლად შემოერთებული ეკუთვნისა და და ჩუღურეთის კეთილმოწყობის საქმეს: უნდა შემდგარიყო აღნიშნული უბნების გვემა; სასტიკად იკრძალებოდა ამ ტერიტორიაზე მშენებლობა მთავრობის წებადურთველად და

¹ საქ. სახ. ცენტრ. არქივი, ფონდი 254, აღწ. 1, საქ. 608, გვ. 283-284.
² საქ. სახ. ცენტრ. არქივი, ფონდი 16, აღწ. 1, საქ. 3123.

¹ ივევე.
² საქ. სახ. ცენტრ. არქ. ფონდი, 209, აღწ. 1, საქ. 321, გვ. 2-3.

გვემაზე დაუბრუნდა: უნდა დაგვემარტუ-
ლოყო ქუჩების მითითების თანახმად; თუ ქუჩის
კატანას ზღვს შეუშლიდა რომელიმე ძველი
ნაგებობა, ის უნდა აედოთ და ა. შ.

ჩელურეთისა და კუკის ტერიტორიის ახალი
ქუჩებისა და კვარტალების (თუ ასეთი რამ
ყოფი) გვემაზე დატანა დავეღლა კომიტეტის
წევრს ინჟინერ-პოდპორუჩიკ ლანჩაევს, მაგ-
რამ სამწუხაროდ ეს საქმე ზედიდან ხელში
გადდიოდა: ლანჩაევის შემდეგ ამ საქმეს სა-
თავეში ჩაუდგა ანჩიოვი (1831 წ.), რომელმაც,
თავის მხრივ, ამ დავალებას შესრულება გადა-
ბარა სოკოლოვანსკის.

გვეს გარეშეა, რომ საქმის შემსრულებელთა
ასეთი ხშირი ცვლა კარგ შედეგს ვერ გამოი-
ღებდა. საქმე ფერხდებოდა და ჩელურეთის
ისეთვე გარეგნული სახე ჰქონდა, როგორც
საუქუნო¹ დასაწყისში.

1818 წელს, საქართველოში გენერალ ერ-
მოლოვის მოთავსობის დროს, ჩვენში
ეიტენბერგიდან ჩამოსახლეს გერმანელები. სა-
ქართველოში გერმანელებმა დაარსეს თავიანთი
კოლონიები. ძველ კუკისა და დიდუბეს შო-
რისაჲ განსდა გერმანელთა ახალი დასახლება.

ამ დროს თბილისის მარჯვენა ნაწილი მარ-
ცხენას უკავშირდებოდა ავლაბრის ხილით.
ნორმალურ მიმოსვლას დაბაკოლებას უწყნი-
და ჩელურეთის ზენარა, ამიტომ ადგილობ-
რავმა ხელისუფლებამ ბირველ რიგში ყურად-
ღება მიაქცია საკომუნიაციო საკითხს, გზე-
ბისა და ხიდების მშენებლობას.

1827 წლის 26 დეკემბერს სამოქალაქო გუ-
ბერნატორის მითითებით იწყება ჩელურეთის
ხიდის მშენებლობა ავლაბრის მხარეს. ხიდის
შენებლობაზე დაბარებული სააღმშენებლო მა-
სალა, გარდა ქვისა, შეტანილი იქნა ქალაქის
ხარკით².

რასაკვირველია, ხიდებისა და გზების მშე-
ნებლობაზე ადგილობრივი ხელისუფლების ასე-
თი დიდი ყურადღება გამაჩნობებული იყო
პირველ რიგში სამხედრო საქმეებში. მეფის
რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიაში, კავკასიის მთი-
ანეთში, ჭერ კიდევ არ ჰქონდა ფეხა მოკიდე-
ბული.

თბილისის პოლიცემისტერის 1831 წლის 11
დეკემბრის მოხსენებაში საქართველოს სამო-
ქალაქო გუბერნატორის ზაველესიასადმი მო-
ცემულია სია თბილისის ხიდებისა. თბილისში
რვა ხილია, აქედან ერთი ჩელურეთში ყუ-
გურეთსკი (ხიდი, თ. შ.) იაზ თიფლისა კ
გორცამ ვ შავ-ხვსურეთიბ³.

¹ საქ. სახ. ცენტრ. არქ., ფონდი 209, აღწ. 1,
საქმე 5, გვ. 1

² საქ. სახ. ცენტრ. არქ., ფონდი 16, აღწ. 1,
საქ. 3519, გვ. 1.

³ საქ. სახ. ცენტრ. არქ., ფონდი 16, აღწ. 1,
საქ. 4459, გვ. 22-25.

«Ведомость о количестве мостов кои
нужно устроить; 1. Через реку Куру из
нескольких сводов близ Мухранских го-
родских ворот, по уважению тому, что
бы сблизить соединение деревен — Ку-
ки и Чугуреты с городом (легко) при-
соединенных по тракту через Тифлис и
горским народом»¹.

ფიქტობით, აქ საქმე გვაქვს XVII საუკუნეში
არაგვის ერისთავის მიერ მტკვარზე აგებულ
რამდენიმე შალიანი ხიდის აღდგენის შედეგო-
ბასთან. ზემოთ მოყვანილ საბუთში ადგილი
იხე ზუსტად არის მინიშნებები, რომ გვეის
შეტანა არ შეიძლება. ხელისუფლებას ხიდის
აშენება უნდოდა როგორც კუკის ჩელურეთ-
თან კავშირისათვის, ასევე კავკასიის მთიანეთ-
თან კონტაქტის დასამყარებლად, რაც ამ შემ-
თხვევაში უფრო აინტერესებდა.

ქალაქის მოშენებაში კომიტეტმა ჩელურეთის
კეთილმოწყობისათვის ბევრი ევრაფერია გა-
აკეთა.

კავკასიის მეფისნაცვლის სახელთ პირველად
მიიღო გრაფმა მიხეილ ვორონცოვმა (1845-
1854), იგი ახალი თანამდებობის შესასრულებ-
ლად თბილისში ჩამოვიდა 1845 წ. ვახაჭულ-
ზე.

მეფისნაცვალ ვორონცოვს კავკასიაში ადგი-
ლობრივი ხალხის მიმართ იგივე რუსიფიკატო-
რული მიზნები ამოძრავებდა, რაც მის წინა-
მორბედ შეფის რუსეთის მოხელეებს. ოღონდ
მათგან განსხვავებით იგი ამ მიზნების მისაღწე-
ვად სხვა ზერხსა და პოლიტიკის ხმარობდა.
გრაფი ვორონცოვი თავის რუსიფიკატორი ჩა-
ნაფიქრის განსახორციელებლად უფრო მეტ
მოქნილობასა და მანერბობებს იჩენდა: მის
დროს იწყება ქალაქ თბილისის გაცხოველ-
ებული ინტენსიური საქალაქო მშენებლობა;
მისი მმართველობის დროს ხდება თბილისის ვა-
ეფრომიზირება, — ქალაქიდან იღვენება (ყო-
ველ შემთხვევაში ამისი მცდელობა) ეროვნული
ჭაირული წეს-ჩვევა და მის ადგილს იკავებს
ევროპული წეს-ჩვევა².

1845 წლის 7 ნოემბერს მეფისნაცვალმა
ქალაქის გაჩუბნებში — ჩელურეთში, კუკიაში,
ავლაბარსა და ნათელღში სააღმშენებლო სა-
მოშოობების ჩატარებისათვის დააარსა განსა-
კუთრებული კომისია, რომელიც აღნუსხავდა
აღნიშნულ ვარუბნებში მდებარე სახლების
მდგომარეობას, დაიტანდა ქუჩათა გვეგებს, თუ
კი ასეთი რამ არსებობდა, და ამ უბნებში მი-
წის ნაკვეთების მფლობელთა უფლებებს³.

XIX საუკუნის 20-იან წლებში აგებულ
ჩელურეთის ხის ხიდი დროთა განმავლობაში
დაღბა და დაზიანდა, მასზე ვაფლა ფეხით მო-

¹ იქვე.

² საქ. სახ. ცენტრ. არქ., ფონდი 205, აღწ.
1, საქ. 305, გვ. 2.

სიარულეთთვისაც კი საშიში შეიქნა. დი-
წყო ხადის ახალ საყრდენებს აშენება. ამ-
ქრად ხის ხიდი ქვაოკონის საყრდენებზე გა-
იღო. 1845 წლის 3 დეკემბერს გენერალ-ლი-
ტენანტ რეზტს დაეწალა ქალაქის გარეუბნების
— ჩუღურეთის, ექუის, აელაბარისა და ნავთ-
ღელის სასაღვრების დაღვევა და გამოიყვანა.
ეტყობა, უბრალო მითითებამ საქმეს ვერ
უწყველა. 1847 წლის დეკემბერში შეიქმნა ახა-
ლი განსაკუთრებული კომისია რეზტის თავმ-
ჯდომარეობით, ახალი კომისიის ფუნქციებში
შედიოდა იგივე: უბნების აღრიცხვა, დაგეგმა-
რება და მათი გამოყვანა.

თანდათანობით სოფელი ჩუღურეთი, რომე-
ლაც 40-იან წლებში თბილისის გარეუბნად
იხსენიებოდა, კარგავს ამ ზედსახელს და ქა-
ლაქის განუყოფელ ნაწილად ხდება, სამუდამად
შორდება გარეუბნის ეპითეტი. თითქმის
50-60-იან წლებამდე ჩუღურეთის დაგეგმარება
დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. მართალია,
ჩუღურეთში ნელ-ნელა ჩნდება ქუჩები, მაგრამ
ინიჩი მინც ვერ პასუხობენ მაშინდელი ქა-
ლაქის მოთხოვნილებებს და ნორმებს.

1847 წელს თბილისის სამ სამოლიციო უბან-
ში 58 ქუჩა, აქედან მესამე სამოლიციო უბან-
ში, რომელშიც შედიოდა ჩუღურეთი, ექუია
და აელაბარი, იყო 7 ქუჩა.¹ ადგილი წარმო-
სადგენია, თუ რა წილი ედებოდა ამ ქუჩათა
რაოდენობაში ჩუღურეთს. ჩუღურეთში დღეს
არსებულმა ქუჩების უმეტესმა ნაწილმა თავისი
აწინდელი სახე დასაბოლოებით 60-იან წლებში
შეიღო. ამიტომ უნდა არ დავიჭროთ, რომ შემდ-
გებლობის დღე ქუჩებს სახელწოდებანი მეტწილად
უნდა შეტყობოდა მათზე ადრე მოხინდრეთა
საქმიანობის მიხედვით, როგორც ხშირად ხდე-
ბოდა ხალხში. 50-60-იან წლებში და უფრო
გვიანაც ჩუღურეთში მრავლად იყო დაუსახ-
ლებელი მიწის ნაკვეთები — სამოსახლეები.
მაგალითად, 60-იან წლებში შექონეთა ქუჩაზე
სამოსახლოს ყიდულობენ: კანინაძეები, ბერა-
ძეები, უფრო გვიან სამოსახლოს ყიდულობს
მეცა თითები, გამოაზნელი ქართველი მხატვრის
მონე თოიბის დედა, და ბევრი სხვ.

ჩუღურეთისა და ექუის თიხნარი ნიადაგი,
რომელიც სამთუნყო შეტრეობის ერთ-ერთი
წყაროა, ველარ გამოიყენება ამ საქმიანობისა-
თვის, რადგანაც მოსახლეობა იკავებს ამ ადგი-
ლებს თბილისში იწყება თიხის „შემშალი“.
ხელისნები ეტყებენ თიხის მოსაქრელად ახა-
ლად ადგილებს — კარბურებს. 1847 წ. 11

მარტს თბილისის შეუწეები მეფისნაცვალ ვა-
რონცოვს მიმართავენ თხოვნით მტკვრის პირას,
გერმანელთა კოლონიის მახლობლად, თიხის
მოჭრის ნებასთვის თათბარზე! მაგრამ მტკვრის
პირას მდებარე თიხის იქ მოსახლე გერმანელე-
ბი თავიანთი პირადი საქმიანობისათვის ჭრიდ-
ნენ, ვარდა ამისა ეს ადგილები გამოყენებული
ქონდათ ვენახისა და ბაღების გასაშენებლად.

გარეუბნის მოწყობა კომისიის წევრმა, მიწის
მზომელმა ფედოროვმა, რომელსაც დავალებუ-
ლა ქონდა მიწის ნაკვეთის გამოყოფა თბი-
ლისის შეუწეებისათვის, აღნიშნულ კომისიას
მოახსენა, რომ თბილისის მეტურქელებს, ზე-
მოთ ნაშთავლად მიწზეების გამო, მიწის ნაკ-
ვეთი თიხის მოსაქრელად გამოიყუთა ახალ კუ-
ჩაზე. ხელისნებს თვითველი კვადრატული
მეტრის მიწის ნაკვეთში უნდა გადაეხადათ 40
კაპ. ვერცხლით.

80-90-იან წლებში ჩუღურეთში არის სამე-
თუნეო ქუჩები, მაგრამ, როგორც ჩანს, მათი
უმეტესი ნაწილი ამ უტყდება; არ ახადა მათი
გამომკვებელი ნაწარმი მეტისმეტად უმნიშვნე-
ლოა და ქალაქის ბაზარზე მეტად რაოდენო-
ბით გადის. 1885 წელს შედგა თბილისის უქ-
რავი ქონების აღწერის დოკუმენტური დავთარ-
ი. წიგნში მოტანილი საშეთუნეო ქარხნების
უმეტესი ნაწილი ჩუღურეთზე მოდის: ჭრტუ-
ლის ქარხანა ქონდათ 120 კვ. საყენ ფართობ-
ზე სუბ-კარაბეტას ხეში, ჩუღურეთის მხარეს
— იაკობ გუკასოვს, შეთუნეთა ქუჩის შესახ-
ვეში 72 კვ. საყენ ფართობზე კარაბეტა ევა-
ნოვს, 50 კვ. საყ. ფართობზე — დიმიტრი ვანა-
შვილს, მექონეთა ქუჩაზე 60 კვ. საყ. ფარ-
თობზე მელქო ნენიევს, 50 კვ. საყენ ფართობ-
ზე — ამირბეგოვს.

ჩუღურეთის ტერიტორიის ნაწილი ეკატერინ-
ის ქუჩამდე (ამჟამინდელი სვერდლოვსკის
ქუჩა) შედიოდა მე-8 სამოლიციო უბანში, ხო-
ლო აქედან მოყოლებული — მიეკუთვნებოდა
მე-9 სამოლიციო უბანს, რომელიც ეკუთვნის
შოიკავდა. მექონეთა ქუჩა და მექონეთა
ქუჩის შესახვევი შეტანილია მე-8 სამოლიციო
უბანში.

მოთარობა ერძალავდა ქალაქში საცხოვრებელ-
სა სახლების ახლოს გამოსაწვევი ქუჩების
მოწყობას, ხოლო უკვე არსებულის ადგილას
შენდებოდა საცხოვრებელი სახლები, როგორც

¹ საქ. ცენტრ. არქ. ფონდი 210, აღწ. 1, საქ. 94, გვ. 1.

² Документальная книга недвижимых имуществ по описанию 1885 г. 8 участка, отд. I. И 9 участка, отд. I.

³ იქვე, მე-9 უბანი, გვ. 200-202.

⁴ Название улиц г. Тифлиса, по алфавиту от А до О, фонд 192, оп. 6, дело 1920 и стр. 3.

¹ საქ. სახ. ცენტრ. არქ., ფონდი 205, აღწ. 1, საქ. 701, გვ. 2.

² საქ. სახ. ცენტრ. არქ., ფონდი 205, აღწ. 1, საქ. 344, გვ. 6.

³ საქ. სახ. ცენტრ. ფონდი 205, აღწ. 1, საქ. 695, გვ. 13, 14.

⁴ Кавказский календарь 1847 г.

ჩელურეთის ძველი მცხოვრებლების — ოლღა და ზაქარია ბერიძეები, სტეფანე ჩუგუნძე და სოფიო დარიალაშვილი ვაძმოგვეყვინ, XIX საუკუნის მიწურულს ამ უბანში, მექორინეთა ქუჩის ზემოთ, დოქის ქუჩაზე, სახლობდა ერთი მეჭურბვლე ორკლამაშვილი, რომელიც ზვენი სავუენის დასაწყისშიაც ამზადებდა თიხის ჭურბვლს — კოყებსა და დოქებს.

დღეს ჩელურეთში მეთუნეობის ხელოსნობაზე მატყველებს შემორჩენილი მკერატობინი-მიკა — ქუჩების სახელები. ძველი ქუჩების სახელები ზოგი ცხოვრების წინსვლას შეეწირა, ზოგიც ადამიანთა დაუდევრობის მსხვერპლი გახდა, მაგრამ ზოგმა ჯერ კიდევ შეინარჩუნა თავისი მყოფადობა. დროს მინაც თავისი მიმ-ქონდა თიხის ჭურბვლებს მოთხოვნა ნელ-ნელა კლებულობდა, რაც, თავისთავად ცხადია, გველენას აქონებდა მის საწარმოთა და მწარმოებულთა ძალასა და რაოდენობაზე. თუ 1852 წლისათვის თბილისში 40 ოჯახი მეჭურბვლეა, თბილისის ფაბრიკა-ქარხნის 1903 წლის უწყისის მიხედვით ამ დროს ქალაქში არის 6 სამე-თუნეო ქარხანა, რომლებშიც დაკავებულია 10 მუშა ხელოსანი¹.

XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ჩელურეთში ხელოსნური მეურნეობის გვერდით კვლავ არსებობს საოფლის მეურნეობაც. ილევანის ტბის დასავლეთ მხარეზე მდებარე ჩელურეთის ელენდელი ტერიტორია გამოეყენებოდა სხანე-სათესად და საძოვრად. XIX საუკუნის 50-იან წლებში ზოგი ჩელურეთელიც მისდევდა საოფლის მეურნეობას და ამუშავებდა მიწის².

ჩელურეთი ტერიტორიულად დიდი არაა და მასზე მდებარე ქუჩათა რაოდენობა შესაბამისია. ზოგი ქუჩის სახელის ეტიმოლოგია არ მოითხოვს დადგენასა და -დაუჭარბობას, მათ სახელში ჩაქსოვილი შინაარსი გამოხატავს და ხსნის მის ისტორიასა და რაობას (მაგალითად: მქეთონეთა, კოყის, დოქის, ჩელურეთის, არსენალის, რიყის) და მათი წარმოშობა ეჭვმი-უტანლად დგინდება; მაგრამ არის ქუჩათა სა-ხელები, რომელთა რაობა და წარმოშობაზეც საკმაოთა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ასეთებია ზარბაზნის, წყალსაწყვის, დიდხვეის, სანისის, სწილოს, კრასნოვარსკიას ქუჩების ეტიმოლოგია.

რაც ძველი ქალაქი, მით უფრო ძველი და ხანდაზმულია ქუჩათა სახელებიც, მათში შერწყმულია ქალაქის ისტორიის ესა თუ ის უბა-ზოდა თუ მომენტი. „ქალაქს აშშენეს ესა მარტო კარგი კარგეგნობა, არქიტექტურული სახე, არამედ ქუჩათა შინაარსიანი სახელებიც...

უნდა ვიცოდეთ, რატომ ჰქვია ამა თუ იმ ქუ-ჩას ესა თუ ის სახელი, რა მნიშვნელობა აქვს მას ქალაქის ისტორიისათვის. ქალაქის ისტორი-ული და ეთნოგრაფიული წარსულის აღდგენა-შენიშნობის ერთ-ერთი მთავარი წყაროა ძველი ქუჩებისა და უბნების სახელწოდებათა ეტი-მოლოგიის დადგენა-შესწავლა.

ქუჩათა სახელები ძველი თბილისის და-ფურცლული და დაფანტული მატარის შემად-გენელი ნაწილია³.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქ. თბილისში ინ-ტენსიური განაშენიანება დაიწყო მტკვრის მარ-ჯვენა მხარეს, ჩრდილოეთისაგან. ძველი გა-რეუბნის ტერიტორიაზე აშენდა აღმინისტრა-ციული თუ სამხედრო დანიშნულების სახლები და ნაგებობანი. ამჟამინდელი საქართველოს სსრ მთავრობის სახლის დასავლეთით მდებარეობდა არსენალი, ხოლო აწინდელი სასტუმ-რო „ინტერასტის“ წინ კი იყო მოწყობილი სამხედრო პლაც-მოედანი. 1845 წლის 22 დე-კემბრის მკფისაცვალმა ვორონსოვმა ბრძანე-ბა გასცა საქართველოს ოქტის საარტილერიო გარნიზონის უფროსის სახელზე, რომ ბიურჯო-იანურიდან, ე. ი. 1846 წლიდან, არსენალის მო-ედნიდან ყოველდღე — შუადღის აღსაწმენა-ვად — ერთგვარ გავსროლათ ზარბაზნის⁴. ცო-ტა მოგვიანებით არსენალში და საერთოდ სამ-ხედრო უწყებებში და ყაზანშიმემა მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან გადაინაცვლეს მარცხენა ნაპირზე, კერძოდ, ჩელურეთის აღმოსავლეთით მდებარე ვორაზე, რომელსაც შემდგომში ეწოდა არსენალის ვორა. აღნიშნული „სათი-ზარბა-ზანი“ დაიდგა ჩელურეთის ტერიტორიაზე, არსენალის ვორის მახლობლად, დაახლოებით იქ, სადაც დღეს ზარბაზნის ქუჩაა. და იი აქე-დან ყოველდღე, დღის 12 საათზე, თბილისელთა ზარბაზნების ვასროლით ეუწყებოდათ შუადღის მთახლოება. ეს ტრადიცია მორიგა რევოლუ-ციის შემდეგ

როგორც ეწობლია, თბილისელნი სასმელ წყალად იყენებდნენ მდინარე მტკვარს. წყლის-შზიდაეებს, მეთულუხრებებს, ეხო-უხო დაქონ-დათ მტკვრის წყალი კოყებით, რუმებით და კარბებით. მაგრამ მტკვარზე ჩასვლა და წყლის აღება არც თუ ისე იოლი საქმე იყო და ნე-ბისმიერ ადგილას ამას ვერ გააკეთებდით. ამი-ტომ წყლის მომარაგების უკეთ მოწყობის მიზნით 60-იან წლებში სამხედრო უწყებამ ჩელურეთში მტკვრის ნაპირის მახლობლად, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გვერდით, დადგა წყალ-საქანი (...Водоподъемное здание)⁵.

¹ თ. ბერიძე, ქუჩების სახელი ისტორიის ფურცული, ვაზ. „თბილისი“, 1963 წ. № 280.

² არქეოგრაფიული კომისიის აქტები, ტ. 10, № 9, გვ. 9.

³ საქ. ცენტრ. არქ. ფონდი 192, აღწ. 9, საქ. 629, გვ. 35.

¹ საქ. ცენტრ. არქ. ფონდი 192, აღწ. 9, საქ. 273, გვ. 23-24.

² საქ. ცენტრ. არქ. ფონდი 192, აღწ. 9, საქ. 1429, გვ. 190; K. K. 1847 год, стр. 158.

წმ. ნიკოლოზის ეკლესიისა და ამ წყალსაქაჩის¹ შენობის შორის მოეწყო მდინარეზე ჩასასვლელი ფარო ბილაყი — გზა წყლის შიდადებობათვის. აღნიშნულა წყალსაქაჩი ვათვალისწინებულა იყო არსენალის გორაზე მდებარე სამხედრო ნაწილის წყლით მომარაგებისათვის. ზღურეთში წყლის შიდადებობა წყალი დაპქონდით დროს ეწირა, მოეკარწყებოდა ქუჩით. უამინდობის დროს ეს ქუჩა გაუვალა და მწვლად სავალი ხდებოდა. აღნიშნულ ქუჩას შემდეგში ეწოდა წყალსაქაჩის სახელი მტკერის პირის მოწყობილი წყალსაქაჩის, წყალსაქაჩის გამო.²

ქალაქის ბაზარზე ზღურეთის ქუჩებში გამოშვარი აგუროს, კრამიტისა და თიხის ქუჩის გარდა გადიოდა საბონი, რომელიც მზადდებოდა ზღურეთის საბნის სახარში. ზღურეთის საბნის სახარში, XIX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით, ერთადერთი იყო იმდროინდელ თბილისში. საბნის სახარში თავად ამატუნის კეთილღობა იყო.³ ამატუნს იგი იჯარით ჰქონდა გაეცემული თბილისელ აზნაურ გეო ლორის-მელიქოვზე და თბილისის მოქალაქე დავით ტატოვეზე.

სამონი იხარშებოდა ზღურეთის ქუჩებში გამოშვარი ას ცალ თიხის ქოთანში⁴.

საბნის სახარში მდებარეობდა მტკერისპირას. აქედან საბნის ნახარში იღვრებოდა მტკერში, რითაც აბინძურებდნენ მდინარეს. ზღურეთით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისის ჩრდილოეთით მდებარეობდა და საბნის ნახარშიდან

გამოტანილი მთელი უსუფთობა და წაგვი მდინარეს ჩამოჰქონდა ქვევითაქსის ცენტრში.

ქალაქის მომწყობმა კომისიამ, ქალაქის ეთილმოწყობასთან დაკავშირებით, ამატუნს აუკრძალა მტკერისპირას საბნის ხარშვა, სახარშის პატრონს წინადადება მიეცა თავისი საქმიანობა გაეღატანა ქალაქის სხვა, მოშორებულ ადგილებზე, კერძოდ, თბილისის მოქალაქის მიხეილ სარაჯიშვილის მიერ ქალაქგარეთ, ნავთლეტში მოწყობილ ქარხანაში. აღსანიშნავია, რომ სარაჯიშვილისავე ქარხანაში უნდა გადაეტანათ ქალაქის ცენტრში მდებარე ტყავის გამოსაყვანი საბეჭდონობები — სადაბალოები.

საბნის სახარშის ნავთლეტში გადატანას წინ აღუდგნენ ამატუნი და მისი კომპანიონები, გეო ლორის-მელიქოვი და დავით ტატოვეი, მაგრამ აღვალობრივმა ხელისუფლებამ თავისი გაიტანა და ამატუნი იძულებული შეიქნა დაშორებულიყო, აღონდ სად გადაიტანა, ჩვენთვის ცნობილი არაა, შესაძლოა ისევ თავის კეთილ მამულში, სუბ-კარაპეტის ზეგში მოაწყო. ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს აღნიშნული ხეთთან დღესაც არსებული ქუჩა, რომელიც საბნის ქუჩის სახელითაც ცნობილი. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია, შეიძლება აქ უფრო გვიან მოეწყო საბნის სახარში. ამ შემთხვევაში საბნის სახარშის არსებობის საკითხი გვაინტერესებს ძველი ზღურეთის მიკროტოპონიმის შესწავლის თვალსაზრისით.

ზღურეთის ჩრდილოეთ სამინის დიდი ხევის ამოკლება და ნიაღვარსაშვები კოლექტორების გადახურვა დაიწყო XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან. ამ საქმის დაჩქარებას ხელი შეუწყო თბილის-ბაქოს რკინიგზის მშენებლობამ, რომელიც დამთავრდა 1883 წელს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ რკინიგზას უნდა გადაეკეთათ დიდი ხევი და ამიტომ თუდაპირველად ხევის ის ნაწილი ამოიკოს, რომელზედაც უნდა გაეღო რკინიგზის, კერძოდ, კვირიცხოვლის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. აქედან მოყოლებული ნელ-ნელა იწყება ძველ ხეგზე ქუჩის გაყვანა კოლექტორების საშუალებით. დიდი ხეგზე გატანილ ახალ ქუჩას ეწოდა კრასნოივარსკის (წითელი გორა) სახელი იმ გორის მიხედვით, სადაც იდგა კვირიცხოვლის ეკლესია. გეოლოგების თანახმად გორას ეს სახელი შერქმევილი იმ ჩვევისა და თამაშის გამო, რომელსაც მართავდნენ ეკლესიაში მოსული მლოცველები კვირიცხოვლობა დღეს აღდგომის კვირის თვეზე; საყვანებოდ მოწყობილ არხში ანდა პირდაპირ მიწაზე, გორას ფერდზე, აგორებდნენ წითლად შეღებილ სააღდგომო კვერცხებს. შორს გაგორებულა კვერცხის პატრონი მოკვებულად ითვლებოდა. ეს თამაში ჩვენში რუსი მართლმადიდებლების შემოტანულია (ქართულ მლოცველთა ჩვევა კი ამ დღეს გამოიტანებოდა ბურთის თამაშში,

¹ პირველი წყალსაქაჩი ვერის ზადის მილში მოებში დაღვა სამსახურიდან გადამღვარმა გენერალმა ყორანოვმა, წყალსაქაჩის მილების საბრძე იყო 5,5 კმ და წყალს აწვდიდა 62 მოსახლეს, აგრეთვე იმ დროს გაშენებულ ალექსანდრეს ბაღს.

² აღსანიშნავია, რომ ზღურეთში, და სავრთოდ თბილისში, ძველ ქუჩათა სახელები უმოწყალად იყარგება და ამ საშემეს გამოთხოვი ვერა და ვერ გამოუჩნდა. ამას ვერც ქალაქის საბჭოთან არსებული სპეციალური განყოფილება შევლის და ვერც თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელთა უშუალო კომპეტენციაში შედის ქალაქის ქუჩათა სახელებისა და ძველის გარდაქმნების საკითხი. სანამ ჯერ კიდევ ვვიან არაა, სპეცირაა ჯეროვანი და გადაშვრული ზომების მიღება.

ამჟამად ზღურეთის ტერიტორიაზე ვეღარ შევხვდებით ვერც მექონეთა ქუჩასა და ვერც წყალსაქაჩის ქუჩას. დღეს მათი და ბევრი მავანისა ქუჩათა სახელები თბილისის ისტორიაში ისმის, როგორც ხმა მღალაღებლისა უდაბნოსა შინა...

³ საქ. ცენტრ. არქ., ფონდი 209, აღწ. 1, საქ. 506, გვ. 8.
⁴ იქვე, გვ. 12.

რაც დაკავშირებულია მიწათმოქმედებასთან). დღეს ძველ ხეზე ვაჟაყვილი ქუჩა მაქსიმ გორკის სახელს ატარებს, ხეის ზევითა ნაწილი კი ვეძახტევის ქუჩის სახელს, საერთოდ ხევის ამ არსებობაზე მივყავართ პატარა ქუჩა, რომელიც იწევა აწინდელი კალინიის მოედნად და პერპენდიკულარულად ეშვება მტკვრისაკენ, ეს ქუჩაა დიდი ხევის დაღმართი. თავის დროზე დიდი ხეზე ქუჩის გატანას და იმის გადახურვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორი უბნის—ცუკისა და ჩუღურეთის მცხოვრებთა წყლით მომარაგებისათვის, რადგან დიდი ხევის ახალი ქუჩა წყალსაწყვის ეპოქა და მოუარყოფლად ქუჩასთან შედარებით, უფრო ხართი და ადვილად ასასვლელი იყო, დიდი ხევიდან მოუწყო წყლს მზიდვებისათვის წყალზე ჩასასვლელი საგანგებო ბილიკ-გზა¹; დიდი ხევის გადახურვით ვაჟაყვილსა და აგრეთვე რიყის ქუჩაზე მიმოსვლა.

1861 წელს იწევა რიყის ქუჩის მოკირწყელება, ამ ქუჩის მნიშვნელობა უფრო და უფრო იზრდებოდა, როგორც მტკვრის მარცხენა ნაწილის ერთ-ერთი მოკირა მაგისტრალისა². ქუჩების მოკირწყელების 1866 წლის ანგარიშის მიხედვით, რიყის ქუჩის მთლიანად მოკირწყელება დამთავრებულა ამ წელს.

რიყის ქუჩა თავისი სიგრძით მუშვიდ ადგილზე იყო მაშინდელ თბილისში, მისი სიგრძე 530 საგუნს უდრდა (ყველაზე გრძელი ქუჩა იმ დროს იყო მიხეილის, ამჟამინდელი პლენარის პროსპექტი, სიგრძე 1130 საგუნა. იგი იწყებოდა ვორონკოვის მოედანთან და მთავრდებოდა მუშტაიდთან). რიყის ქუჩა აერთებ-

და ავლაბარს, ჩუღურეთს, ცუკის და თბილისთან ახლად შემოერთებულ გერმანულ კოლონიას (შემოუერთეს 1862 წელს).

80-90-იან წლებში ტარდება დიდი ღონისძიება უამინდობის დროს ჩუღურეთის ხევიანიდან მოვარდნილი წვიმის წყლისათვის წყალსადენებისა და ნიადაგისაშეუბების მოსაწყობად³.

ჩუღურეთის სამხრეთით მეორე დიდი ხევის, კიბალჩიის კეთილმოწყობა დამთავრდა ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში. ამ სამუშაოს შესრულებისას დაიფარა ძველი ერთმილიანი, ქართული აგურით ნაგები ჩუღურეთის ხილიც.

ჩუღურეთის უბნის კომუნალური მეურნეობის კეთილმოწყობაზე საუბრისას არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში რიყის ქუჩაზე, მტკვრის პირას, ნიკოლოზის ეკლესიის ჩრდილოეთ მხარეს არსებულა აბანო. აბანო, რომელსაც ეკავა 600 კვ. საგური, ცხელი წყლით მარაგდებოდა ორთქლის ქვაბის საშუალებით, აბანო ეკუთვნოდა იშხანილოვს.

• • •

ამჟამად ჩუღურეთი, თბილისისპირა სოფელი, ჩანს ქალაქის სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო უბნად, რომელსაც ვარკვეული წილი ჰქონდა დაღუპული ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში.

¹ საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 5, აღწ. 6, საქ. 447, გვ. 1.

² საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 192, აღწ. 8-ბ, საქ. 275, გვ. 1.

³ Т. Г. У. Документальная книга недвижимых имуществ по описанию 1885 г., 8 участок, отдел 1, стр. 117, 118.

¹ საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 192, აღწ. 9, საქ. 629, გვ. 12.

² საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 17, აღწ. 1, საქ. 8962, გვ. 67.

მექსიმ გორკი

ბესარაბიის თვალწვდენ ველზე ღამე შავად მოქურტუშებულ იყო. სიბნელეში არ ჩანდა, მაგრამ ყრუდ ისმოდა — ზღვა სადღაც, აქვე. გულჩათხრობილად, თითქოს ტკივილით რომ გმინავდა.

გვიან იყო. ვინ იცის, რა დრო იქნებოდა. აკერმანთან სახელდახელოდ გაშლილ ტაბორში ყველას ეძინა. მხოლოდ ცეცხლთან მჯდარ მოხუც იზერგილს, სიბერისაგან დაკრუნჩხულსა და ნაბერწკლებით კაბაგამომწვარ ბოშადედაკაცს არ ეძინა. იქვე, მახლობლად, დღეს მოკედლებულ და ცეცხლთან მიწოლილ ვიღაც ტანხელ რუსს ერთი ვიღაცა თავადებული ლაღი ვაეკატის. დანკოს ამბავს თანაბარი ხმით რომ უყვებოდა, რას იფიქრებდა, რომ საიდანღაც აქ, ტაბორში, ჩამოვარდნილი მისი მსმენელი თუ ოდესმე დიდი მწერალი გახდებოდა და მის ნაამბობს ბოლოს ქვეყანას ასე მოსდებდა.

— გზა ძნელი იყო, ძალიან ძნელი, — განაგრძობდა ბებერი ბოშა. — დაბურულ ტყეში, უკუნეთში სიარული ხალხს არ შეეძლო, მუხლებშიც ძალა გამოეღია. ვინ ეცემოდა, ვინ ფეხებს ილივს მიითრევედა. სიარული ისე გაჭირდა, რომ დანკოს სიმწრით აქეთ-იქიდან შემოუტყვის:

— სად მოგვიყვანე? სიკვდილი აღარ აცდებოდა.

დანკო გაფითრდა. სიბნელეში გზა არსად ჩანდა და არ იცოდა ეს ხალხი საით წაეყვანა. სხვა გზა არ იყო. ერთ-

ბაშად მკერდი მოითხლიშა და თავისივე ღართქალა გული მადლა ასწია.

— მაშ მომყევითო, — დაიძახა და თავისივე აღმოდებული გულით გზა გაანათა.

თუ მაქსიმ გორკის ლიტერატურულ დიდ შარავზას, გზას რომანტიკულ გზნებით დაწყებულს, თვალს გადავაველებთ, მაშინ დანკო თითქოს თვითონ მაქსიმ გორკია.

24 წლის სულ ახალგაზრდა კაცი იყო ალექსეი მაქსიმოვიჩ პეშკოვი, როცა ცხოვრების გზას დაადგა და ეს ამბავი მოხუც ბოშისგან გაიგონა. წინ ჯერ კიდევ დიდი გზა ედო. სად არ იყო, სად არ იარა. შუა რუსეთი, ბესარაბია, შოდა რა ექნა? იმთავითვე ეგეთი იყო. ყველაფერი უსათუოდ თავისი თვლით უნდა ენახა და განეცადა. ვინ იცოდა. რომ ეს სენი თურმე მისი მწერლური სენი იყო. როგორც იტყვიან, იარა, იარა და 1891 წლის ერთ მშვენიერ დღეს საქართველოსაც მოატანა. ზურგზე მოკიდებული თოფრა იქით ისროლა და თბილისში რკინიგზის სახელოსნოებში მღებრად მოეწყო.

აქ გაეცნო ის აქაურ მოწინავე მუშებს. აქ დაუახლოვდა ის მაშინდელ ქართულ ინტელიგენციას. დაუმეგობრდა ევნატე ნინოშვილსა და ზაქარია კიკინაძეს, შიოსა და გოლა ჩიტაძეს, კალიუენისა და მოსე თოიძეს. მაგრამ, როცა ველიჩკოს რუსულ გაზეთ „კავკაზში“ ამხანაგების წაქეზებით, როგორც იყო, გაბედა და რომანტიკული

გზნებით გამოთბარი „მაკარ ჩუდრა“ დაბეჭდა, გამოირკვა, რომ ზეტილით ის გატაცება თურმე რომანტიკული ლიტერატორის უკურნებელი სენი ყოფილა. ვინ იცოდა, მაშინ ველიჩკო, ქართველ მგოსნების მთარგმნელი, პროვოკატორი იქნებოდა. ამგვარად ერთ დღეს თბილისში ჩამოსული ვიდაც უცნობი ალექსეი მაქსიმოვიჩ პეშკოვი სახელგანთქმული მაქსიმ გორკი ხდებოდა. ასე დაირწა პეშკოვის ლიტერატურული აკვიანი თბილისში და ასე იქცა საქართველო მის მეორე სამშობლოდ.

ამის შემდეგ ის ზედიზედ აქვეყნებდა ახალსა და ახალ შედეგებს. მისი ბუნების აღწერილობა, გმირთა სახელები და ბუნება, დიალოგებიც სულ სხვა იყო და სულ სხვა, რაღაც უცნაურ სიმართლეზე ლაპარაკობდნენ. ასეთი ხმა და ლაპარაკიც რუსულ ლიტერატურაში მაშინ პირველად გაისმა და ყველამ მას მიაყურა. თვითმპყრობელობის ბნელით მოცული, ფეხქვეშ უწყალოდ გაგდებული ღარიბი ხალხი მეორეებზე ბოსიაკები, ქურდები და გზას აცდენილი სავუო ქცევის დედაკაციები, მათხოვრები და ბედით გატილებულნი ერთბაშად გვერდში ამოუდგნენ ბირონის მოსასხამინს ონეგინებს და პეჩორინებს, კორსანოვებს და ბაზროვებს, ნიგილისტებს, მონანიებულ აზნაურებს და რაზნოჩინცებს. ამოუდგნენ და ლიბერალიზმის წყლის გადასხმა-გადმოსხმის მაგიერ რაღაც საოცარ ჰუმანიზმზე, ღარიბების სიმართლეზე ისე ლაღად და გატაცებით აღაპარაკდნენ, რომ მუთხველის გული უცებ მოაგეს. მწერლობაში მათი შემოსვლა იმით აღინიშნა, რომ ცისტერ სისხლიანმა პომეშჩიკურმა პერსონაჟებმა ადგილი ამ ახალ ხალხს დაუთმეს. შევარდნის და გრიგალას მემამბოხური სიმღერები, ადამიანის დაბადება და ცხოვრებაში ახალი გზების დასახვა, რაღაც თქმა უნდა, რომ დიად მომავლის მოახლოვების ნიშანი იყო.

ახალგაზრდა მწერლის ეს მომხიბლა-

ვი ქმნილებები იმდენად უცხო იყო თავისი ფორმით, იმდენად ლაღი და კლასიკური შინაარსით, რომ მთელი რუსული გატაცებით დაეწაფა მაქსიმ გორკის შემოქმედებას.

ამიერიდან თავდებოდა ლარინებისა და როსტოვების, ტატიანას და ნატაშას ფრანგული ესათ გაზავებული დიალოგები, თავდებოდა დუელები და პიკის ქალის ბედთან თამაში. მათი ადგილი ჯერ ხომ რაზნოჩინცებმა დაიკირეს, ახლა მათ სულ სხვა ხალხი, ვაგანტები, ენაცვლებოდნენ. წმინდა ხალხურმა, ეოლგისპირულმა, ო-ბგერიანმა ენამ თუ კილოვებმა მწერლობაში გაბედულად შემოალაჯა. ასე პირდაპირ და კადნიერად რახანია მწერლობაში სიტყვა არ თქმულა.

წიგნების კითხვით, ცხოვრების ცოდნით და უშუალო შთაბეჭდილებებით გაანდიდრებულმა მაქსიმ გორკიმ თავისი წრის ხელიდან გასული და დაჯარგული ხალხი ისე ცოცხლად და თანმარტივად ასახა, რომ მის მოთხრობებში თითქოს თავისთავად ჩასახლებულმა ბოსიაკებმა, პორტის მუშებმა ციცილოფარეშებმა, მზარეულებმა, მტვირთავეებმა და ვინ იცის, კიდევ ვინ არა, თავი ასწიეს და სამართალი, თავისი წილი ცხოვრება კანონიერად მოითხოვეს. პეტყველ ფერებით ასე მსუყელ დახატულმა მათმა ცხოვრებამ და ნამდვილივით შეუფერავად ასახულმა მღაბიოებმა თავისი მადლით, კაცობითა და უბრალოებით ყველა მოხიბლეს. მათი მხატვარიც ხომ ისე, როგორც ისინი, თითქმის უფსკრულის შვილი იყო და ნათ ტკივილებს ისეთი ცოდნით და თანაგრძნობით გამოხატავდა, რომ ყველა შეცბა. ჯერ ფსკერისა და შემდეგ მუშათა კლასის ცხოვრება თვალწინ ერთბაშად მხატვრულ სურათად ისე ძალუბად გადაიშალა, რომ ყველა მიხვდა ასე ერთბაშად ეს რა დიდი მწერალი დაიბადა. თავისუფლების მემამბოხური ლაღი სული, ბარიკადული განწყობილება და შეუფერავი სოციალური სიმ-

ართლე ამ საოცარი მოთხრობებიდან ისე მოჰპერდა, რომ რალაც უცნაურ იდეების ლაღმა ქროლვამ მთელი მწერლობა მოუშველ პურის ყანასავით შეარხია. და, რალა თქმა უნდა, მუდამ ფიზიკური პოლიტიკაც თავისი წუნჯალ დილურებით, კანდარშერის ნაგაზებით და ბნელეთის მოციქულებით ფეხზე ერთბაშად დააყენა.

სამაგიეროდ მოწინავე საზოგადოება მას მუდამ დიდად თანაუგრძნობდა და, როდესაც გორკი რუსეთის საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს და ხელმწიფემ ის არ დაამტკიცა, ანტონ ჩეხოვმა და ვლადიმერ კოროლენკომ პროტესტის ნიშნად აკადემია მიატოვეს. ყოველივე ამის შემდეგ აბა ვის უნდა გაქვირებოდა, თუ მაქსიმ გორკი ხალხის გულში ასე ღრმად და ინტიმურად ჩასახლდებოდა.

დიდ საბჭოეთში შემავალ ერებს, მართალია, ის ახლაც სრულიად კანონიერად თავისი მწერლად მიიჩნია, მაგრამ ქართველ ხალხს მისი სახელი როგორღაც მაინც განსაკუთრებით ეძვირუთსება. მერე რა რომ მაქსიმ გორკი რუსულად წერდა. ჰუმანიზმი და მისი სიმართლე განა, ყველასთვის ერთი არ არის? განა ჯერ კიდევ უწინ, დიდი ხნის წინათ, დაუცხრომელი ბესარიონ ბელინსკი არ ამბობდა, რომ საქართველო რუს პოეტების პარნასიაო? და მართლაც, განა პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოისა და სხვა მრავალთა მუშის აკვანი ძველთაგანვე რომანტიკულ საქართველოში არ დაირწა? მაშ რატომ უნდა ყოფილიყო გამოთიშული ამ დიდებულ ვარსკვლავებიდან მაქსიმ გორკი? მით უფრო მაშინ, როცა მისი სიტყვები წარუშლელია: „მე არასოდეს არ მაეიწყებდა, რომ სწორედ თბილისში გადავდგი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე, მთელი ჩემი სიცოცხლე რომ მივეყვებიო. სწორედ ამ ქვეყნის, საქართველოს დიდებულმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა სულმა, სწორედ ამ ორმა ძალამ შემეაგულიანა და მომეცა

ბიძგი, რამაც ყოფილი მოხეტიალე მწერლად მაქციაო“. ამიტომ არც უნდა ქართველ ხალხს ის დღესაც თავის საკუთარ მწერლად მიიჩნია. ამიტომ იყო, რომ მის ყოველ ახალ მოთხრობას სტამბის მური ჯერ კიდევ კარგად არც შეშრობოდა, რომ ის ქართულად გამოდიოდა.

განა არა რო. ქართულ მწერლობის ბედი იმასაც სამაგიეროდ გულთან ზომ მუდამ ახლოს მიჰქონდა და მის რუსულად კარგ თარგმანზე დიდად ზრუნავდა. განა ქართული ინტელიგენციის სისტემატური გაკემისა და გაყიდვისათვის არ სცემა მან ხარკოვის სადგურში შემთხვევით შეხვედრილ პროვოკატორ ველიჩკოს და მუდამ ამბობდა: სულაც არ ვნანობ, რომ ვცემო. ამიტომ იყო, რომ ქართველ ხალხს ის მუდამ ასე გამოჩეულად უყვარდა.

1905 წლის მოსკოვის რევოლუციურ ბოზოქარ დღეებში, როდესაც მას შვერახზნელები მოკვლით ემუქრებოდნენ, ბოლშევიკურმა პარტიამ მისი დაცვა ქართველებს მიანდო. ქართველი ახალგაზრდობა მის ბინას იარაღით ხელში იკავდა. ამ პატარა რაზმს რევოლუციონერი ვასო არაბიძე ხელმძღვანელობდა.

მაქსიმ გორკი თანამედროვე მწერალი იყო დიდი ტოლსტოის და ანტონ ჩეხოვის. ეს ბედნიერი ბიოგრაფიული ფაქტი იმითაც არის შესანიშნავი, რომ მაქსიმ გორკი მათთან ცოცხალ ურთიერთობით ორგანიულად განაგრძობდა დიდი რუსული ლიტერატურის სახელოვან და კეთილშობილ ტრადიციებს. ამიტომ არის მისი კავშირი რუსულ კლასიკურ ლიტერატურასთან ასე მჭიდრო და ასე ხალხური და ღრმად იდეური. რუსული ლიტერატურის ესოდენ მაღალი იდეურობა ჯერ კიდევ რადიჩევიდან დაწყება მას მთავარ მიმართულებად. ამ გზით წავიდა შემდეგ პესტელი, რილევი. გერცენისა და ოგარიოვის ფიცი ვორობიოვის გორაზე დადებული ამოთეოზია ამ დიდი გზისა. დობროლიუბოვმა და ჩერნიშევსკიმ

თითქოს აიტაცეს თავის დიდებით წინაპართა ეს იდეები, რომ ბოლოს იგი ლენინისათვის ეანდერძებინათ. დიდმა ლენინმა აზიარა მაქსიმ გორკი ამ იდეებს, მან გაუწაღდა ეს გზა ასე პირდაპირ და აქ იპოვა მაქსიმ გორკის სოციალისტურმა რეალიზმმა თავისი საწყისი.

მაგრამ ამ მაღალიდებულობას რუსული ლიტერატურისა თან დაჰყვა აგრეთვე ის ორი წმინდა ლიტერატურული საწყისი, რომელმაც ის ჩვენ დღეებამდე მიიყვანა. საწყისი რომანტიკული და საწყისი რეალისტური. „ტარას ბულბას“ პატრიოტული რომანტიზმი და „შინელის“ რეალიზმი, პუშკინის „ბოშების“ რომანტიკული ქროლვა და „ევგენი ონეგინის“ რეალისტური ანალოზი დაედო საფუძვლად იმთავითვე რუსულ მწერლობას. ლერმონტოვის „მწირობე“ რომ არა ვთქვათ რა, ლერმონტოვის განა საოცარ „ტამანიას“ და „ჩვენი დროის გვირის“ სუნთქვა არ გვესმის „მოხუც იზერგილსა“ და „ჩელკაში“? თუნდაც ლევ ტოლსტოის „ბაეშვობას, სიყრმეს და ჭაბუკობას“ ან ეხშიანება გორკის „ბაეშვობა“, „ხალხში“ და „ჩემი უნივერსიტეტები“? ვანა შეიძლება გულგრილად ჩაუარო ანტონ პავლოვიჩ ჩეხოვის პოეტურად ამაღლებულ „სტეპსა“ და „პალატა № 6“, რომელმაც დიდი ლენინი ერთ დროს ასე შეჰზარა? ყოველივე ეს განა არ ადასტურებს, რომ მაქსიმ გორკი დიდი ლენინი შევილია რუსული ლიტერატურისა და გამგრძელებელი მისი დიდებულ ტრადიციების? მაქსიმ გორკიმ ბრწყინვალედ განაგრძო მშობლიური მწერლობის ეს ნაცადი გზა. დიდი რუსული შემოქმედებითი აზროვნებით და საზოგადოებრივ ემოციებით მდიდარი გზა ჯერ კიდევ ძველთაგან იყო გაყავული. მაქსიმ გორკიმ ღირსეულად განაგრძო ეს გზა თვისობრივად განსხვავებულად. ეს განსხვავებაც მისთვის ორგანიული იყო და არა შემთხვევითი.

როგორც მწერალი, პუბლიცისტი და მოაზროვნე, მაქსიმ გორკი მართლაც

ქარიშხალა. კაპიტალიზმის განვითარებისა და მუშათა კლასის ამაღლებასთან ერთად ჩამოყალიბდა ისიც, როგორც უალერესად პროგრესულად მოაზროვნე. ამ მხრივ ის სისხლით სისხლია და ხორციით ხორცი არა მხოლოდ რუსული ლიტერატურისა, არამედ რუსეთის პროლეტარიატისაც. კიდევ იმიტომ აისახა ასე სისხლსავედ ის გუშინდელი შემზარავი სინამდვილე მის ნაწერებში. იმიტომ არის, რომ მისი წაყიბზვა დღესაც გვაღელვებს და ხანდახან ის სიღატაკე და საშინელი უბადრუკობა-უშვერობა დაუჭერებელიც გვკონია.

მაქსიმ გორკის ბედკრული გვირები მუდამ გვაფიქრებენ და გულში მუდამ პროტესტის გრძნობას აღძრავენ ხოლმე. განა შემზარავი, ცრემლის მომგვრელი არ არის კლუშჩის ცოლის, ჭლეჩით მომაკვდავ ანას სიტყვები „ნაძირალეებიდან?“ „აჲც მახსოვს მამლარი ოდესმე თუ ვყოფილვარ... პურის ყოველ ნაჭერს დაგვანაკალბები... მთელი ჩემი სიცოცხლე გვანკალბები. ვიტანჯებოდი... მეშინოდა სხვაზე მეტი არ შემეჭამა... მთელი ჩემი სიცოცხლე ჩანოკონკილი დავდიოდი.. რატომ?“

ეს „რატომ“ იყო ყველას რომ აფიქრებდა და ადღელებდა.

კრიტიკოსები მაქსიმ გორკის შემოქმედებას როცა ორ ძირითად ეტაპად ჰყოფენ: რომანტიზმისა და რეალიზმის ეტაპებად, რა თქმა უნდა, სწორნი არიან, მაგრამ რომანტიზმიც ხომ ორსახოვან იანუსივითაა. სახის ერთი მხარით ის წარსულისაკენ არის მიბრუნებული და მეორე სახით მომავლისაკენ. მაქსიმ გორკის რომანტიზმი მხოლოდ ერთსახოვანია და ეს ერთი სახე მას მხოლოდ მომავლისაკენ აქვს მიბრუნებული. იმიტომ არის მისი რომანტიზმი რეველუციონური. ლიტერატურის ორი საწყისის—რეველუციონური რომანტიზმისა და რეალიზმის ერთიანობა განაპირობა გორკის შემოქმედებაში ამ მამართლებათა ის საოცარი პარონია, რაიცა დღეს ჩვენ ეგრე ვაჯადო-

ეებს. აი ამ პარმონიას ეუწოდებთ დღეს ჩვენ სოციალისტურ რეალიზმს, რომლის ფუძემდებელიცა და მისი ამ სახელით მომნათვლელიც მაცისი გორკია. იმიტომ არის მაცისი გორკი მშვენიერა და სიამაყე არა მხოლოდ კლასიკურ, არამედ ჩვენი საბჭოთა ლიტერატურასაც.

სწორედ ასი წლის წინათ, 1868 წელს დაიბადა ალექსი მაცისიოვიჩ პეშკოვი (მაცისი გორკი) რუსული დედა-მდინარის ვოლგის პირას ნიენი ნოვგოროდში. თერთმეტი წლის იყო, როცა დედა მოუყვდა და აი ამ დღიდან იწყება მისი გატანჯული ცხოვრება. ამ დღიდან აეკეთა მის ბავშვობასა და სიყრმეს აუტანელი სიღარიბე.

„7-8 წლის ბავშვი ვიყავი, — იგონებს გორკი. სასწავლებელში რომ შემიყვანეს, მაგრამ მალევე გამომიყვანესო. 8-დან 9 წლამდე ქუჩის ბიჭი ვარ. 9-დან 10-მდე ფეხსაცმელების მღაზიანოში ვდგევარ. 12 წლამდე ისევ ქუჩის ბიჭი ვარ და ჩიტებს დავდეგო. 15 წლამდე ვიღაც შორეულმა ნათესაებებმა შინამოსამსახურედ წამიყვანეს. შერე ვოლგის სამდინარო გემებზე კურკელს ვრეცხავდი, ბოლოს ხატების ვიღაც გამყიდველთან ნოქრობაც აღარ ამცდენიათ. ის იყო, 15 წლის გავხდარი, როცა უნივერსიტეტში შესასვლელად ყაზანს გავემგზავრეო. აქ ნავსადგურში მტვირთავად ვიყავი, შეშას ვხერხავდი და მეფუნთუშესთან ვმუშაობდი. შემდეგ აქვე, ჭერ რკინიგზის დარაჯი და მერე მწონავი ვიყავიო. კასპიის ზღვაში გებადურებთან შეფარებული თევზს ვიჭერდი და მაინც ნიენში დავბრუნდიო. აქ ცოტახანს ბურახს ვყიდდი და მერე ერთ ადვოკატს საქმის მწარმოებლად ვყავდიო. 90-92 წლებში შუა რუსეთი, უკრაინის ერთი ნაწილი და ყირიმ-კავკასია ფეხით შემოვიარე. ერთხანს თბილისში რკინიგზაზე ვმუშაობდი და 93 წელს კი კვლავ ნიენში ვარო. ამავე ხანებში ვებქდავ აქაურ ვაჭეთებში მოთხრობებს და 95 წლიდან

სამარის გაზეთში ეთანამშრომლოო. 97-ში კლექით დავსწავლდი, 99-ში ჩემი მოთხრობების ორიოდ წიგნი გამოვიდა; და მას აქეთ მხოლოდ ლიტერატურულ საქმიანობას ვეწევიო. 1889-1905 წლებში ოთხჯერ ვიჭეტი ციხეებში, როგორც პოლიტიკური დამნაშავეო.

ასეთია მაცისი გორკის ცხოვრების მართიანე. ასე ღარიბად, მაგრამ მუდამ ლაღად უცხოვრია მას და კიდევ იმიტომ არის სიამაყით აღსავსე მისი დიდი შემოქმედება. იმიტომ მოისმის იმის მოთხრობებიდან სტეპებისა და ზღვის ლაღი ხმაური, იმიტომ უმღერს ის ასეთი გატაცებით ბოშებს, შევარდნებსა და ბოლოს ქარიშხალსაც.

დაუცხრომელმა რომანტიკულმა ხეტიალმა, ოცნებამ და სწრაფვამ სიმართლისაკენ გააცოცხლა მისი პირველივე ნაწარმოებნი, რომლებიც დღესაც იმ ახალგაზრდულ პირველადი სუნთქვით არიან გამთბარნი. არა, თქვენ არა ხედავთ, რამდენი უვლია, რამდენი პროფესია გამოუცვლია, სანამ ის, მაცისი გორკი გახდებოდა და სანამ ის თავის ჰემმარიტ პროფესიას მიაგნებდა!

არ შეიძლება „ბავშვობის“, „ხალხში“, და „ჩემი უნივერსიტეტების“ ავტორთან ერთად „ბავშვობის, სიყრმის და სიჭაბუკის“ ავტორიც არ მოგაგონდეთ. დიდი ტოლსტოი თუნდაც იმიტომ უნდა გვაგონდებოდეს, რომ მაცისი გორკი მისი თანამედროვე მწერალი იყო. ხედავთ, რა განუზომლად საშინელია და ღრმაზე ღრმა ის სოციალური უფსკრული, რომელიც ასე ბნელად იყო გათხრილი ერთ დროს ამ ვოლგისპირელ ზატარა ბიჭის ცხოვრებასა და დიდებულ გრაფის ჩამომავალ ლიოვა ტოლსტოის შორის! თქვენ არა ხედავთ, რა საოცარი პოლუსებია, რა დიამეტრალურად განსხვავებული ბიოგრაფიებია ამ ორ დიდ გენიოსს შორის გაწოლალი!

ერთი მხრივ, ბედი უღარიბესი ხელსნის ბიჭისა, ვაგანტი, რომელმაც

თავისი ნიჭით ზღვია და მართლაც, რომ ტიტანური ბრძოლით გაარღვია თვითმპყრობელობის დაბურული ტყის შავი ბნელეთი. მეორე მხრივ, მდიდარი გრაფის დიდი ჩამომავალი: გრაფ ლევ ნიკოლაევიჩ ტოლსტოი, სისხლით ხორცამდე არისტოკრატი და მემამულე, სიბერის წლებში ამა ქვეყნის დიდებისაგან რომ განიძარცვა. გრაფი, რომელმაც უარი თქვა არა მხოლოდ თავის დიდებულ ქმნილებებზე და ყოველგვარ ფუფუნებაზე, — გაუბრალოვდა, გასაღლდა და მუჭიკობამდე დაშვებულმა, ღმერთი, რომელიც მასში იყო, ვეღარ იპოვა.

ერთი მხრივ, გორკის მართლაც პროვიდენციალური შემოქმედება თუ სარკეა რუსული რევოლუციის, მეორე მხრივ, გრაფ ლევ ნიკოლაევიჩ ტოლსტოის ღმერთკაცური შემოქმედება, რომელსაც დიდმა ლენინმა „რუსული რევოლუციის სარკე“ უწოდა. ერთი მხრივ „ანა კარენინა“ და „ომი და მშვიდობა“, მეორე მხრივ კი „დედა“ და „ცხოვრება კლიმ სამგინისა“. ასეთია ამ ორი გიგანტის საოცარი და მართლაც რომ ლობაჩევსკისებური არაეკვილიდური პარალელები. რა საოცარი თანხედენილობაა. ყაზანის უნივერსიტეტიდან თუ ლობაჩევსკის გეომეტრიამ დოსტოევსკის შემოქმედებაში პპოვა გენიალური გამოძახილი, აჰ, ყაზანის უნივერსიტეტშივე სწავლობდნენ დიდი ტოლსტოი და დიდი ლენინი. ამავე უნივერსიტეტში უნდოდა შესვლა თავისუფალ მსმენელად გორკისაც. მაგრამ როცა არა გამოვიდა რა, მან ამაზე მალალი უნივერსიტეტი დაასრულა. ეს უნივერსიტეტი ცხოვრება იყო.

ტოლსტოიცა და გორკიც მეფის რე-

სეთის თვითმპყრობელობას, როგორც იტყვიან, თვალში ეკლად ესებოდნენ. ვინ იცის რას არ მიმართავდა ცარის ტული ობსკურანტიზმი, რომ პეშკოვის პატარა ბიჭი როგორმე გორკი არ გამზდარიყო, რამენაირად დაესახიჩრებინა მისი სული ისევე, როგორც ბევრა დაესახიჩრებია და მერე ცხოვრების ფსკერში როგორმე ჩაეძირა. რა უტეხი, რა გმირული სულით უნდა ყოფილიყო დაჯილდოვებული მაქსიმ გორკი, რომ ასეთ ბავშვობა გამოვლილს ცხოვრებაზე გული ბოლოს არ აპყროდა და ფიზიკური არსებობისთვის ბრძოლით არ დადლილიყო, ხელუხლებლად დაეცვა რწმენა დიადი მომავლისა. რამდენად წმინდა უნდა ყოფილიყო პეშკოვის პატარა ბიჭი, რომ ადენი ბრძოლის შემდეგ ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებულს დაეძახა: ადამიანი ქლერს დიდებულად, ქლერს ამაყადო.

ადამიანი, რომელმაც იმდენი წიგნი იკითხა, და სხვათა შორის, საბა-სულხან ორბელიანის არაკებუც, ბოლოს ყველას აოცებდა საკვირველი ერუდიციით.

კითხულობ მის ნაწერებს. კითხულობ, ფიქრობ და ვერ გავიგია, სად ან რომელ აკადემიაში მიიღო მან ესოდენი ცოდნა. სად მოასწრო ამდენი ცოდნის დაგროვება ამ მართლაც რომ მეოცნებე ვაგანტმა, ამ ქრონიკული უმუშევრობით მუდამ ხელმოცარულმა უსახლკარო ეულმა კაცმა. აი მისი ოდნავ ირონიული Curriculum vitae-ც ყოველივე ამის პასუხად: სკოლაში 7-8 თვე დავიოდო. ახლაც განვაგრძობ სწავლას და არც ვაპირებ მის შეწყვეტასო.

ეს ყველა ყველა, მაგრამ ამდენი სიმწარენაჴამმა კაცმა საიდან ან როგორ შეიძინა ადამიანის ასეთი სიყვარული, საიდან დაჴყვა მას ის საკვირველი ჰუმანიზმი, რითაც ასე ღრმად არის გამსჭვალული მისი შემოქმედება? საიდან მოდის მისი ასეთი ყველა დაბრკოლე-

ბემის დამთრგუნველი რწმენა ადამიანისა და პათოსი, რამაც მას „მაკარ ჩუღრა“, „ადამიანის დაბადება“, „მოხუცი იზერგილი“ და „გრივალასა“ და „მე-ვარდენის“ სიმღერები დააწერინა?

ეს მოთხრობები ხომ მტრის გულის შესახარ რევოლუციურ განგაშად, პროკლამაციურ მოწოდებად გაისმა მაშინდელი შავი რეაქციით ჩამობნელებულ რუსეთის თვალშეუდგამ იმპერიაში. ცივ ბალტიკიდან წყნარ ოკეანემდე კომპარატივით რომ გაწოლილიყო. მეფის რუსეთის სიბნელესთან მაქსიმ გორკის ტიტანურ ბრძოლას მაშინ მთელი მოწინავე მსოფლიო თვალყურს დაუფარავი თანაგრძნობით ადევნებდა: რომენ როლანი, ბერნარდ შოუ, ჰერბერტ უელსი და გორკივით სიღარიბიდან ამოზრდილი ირლანდიელი შონ ო'კეისი.

და მაინც გიკვირს, მაინც ფიქრობ, საიდან დაჰყვა მის თავდაპირველ რომანტიკულ-პათეტიკურ პროზას ეს საოცარი რეალიზმი და მოვლენების ასე ნამდვილად და ღრმად განჰკერტა. ამ ღრმა რეალიზმს ხომ მაქსიმ გორკის ბიოგრაფია შეიცავდა. განა მისი ბიოგრაფიიდან არ მოსჩქეფს სინამდვილის ეს მართალი გრძნობა შემდეგ დაწერილ ისეთ ჩინებულ მოთხრობებიდან, როგორც თუნდაც „მარტილზეა“, „პაპა არტიზი და ლიონკა“, „კონოვალოვია“, „მეგობრები“ და „ცოლ-ქმარი ორლოვები“. ამ რეალისტური მთლიანობით და სიუჟეტური მონოლითობით იყო აღტაცებული თავის დროს ვლადიმერ კოროლენკოც.

ეს მოთხრობები იქცა იმ დასაყრდენად, რაზედაც მაქსიმ გორკის ხალხურობამ და მარქსისტულმა ფილოსოფიამ ფრთა თანდათან ლაღად გაშალა და ზოლოს სოციალისტურ რეალიზმში გადაიზარდა. ასე თანმიმდევრულად და გარდუვლად ვეკაცდებოდა მაქსიმ გორკი, როგორც მწერალი. ასე ამოუდგა მხარში ის პროლეტარიატს, მხარი მისცა დიდ ლენინს და ასე იქცა ის იმ დანკოდ, რომელმაც ახლა კარგად იცო-

და, საით ან როგორ უნდა წაეყვანა ფართო მასები დიად მიზნისკენ არა მხოლოდ ალალი გულის მძლავრი კარნახით, არამედ იმ ღრმა კონცხით და ერუდიციით, რითაც ის, როგორც აღვნიშნეთ, ყველას აკვირვებდა. ასე ჩაბარდა ისტორიას ის პირველი ახალგაზრდული ლიტერატურულ-რომანტიკული გატაცებანი და მათი ადგილი ღრმა რეალიზმმა დაიკავა. ასე იქცა მაქსიმ გორკი თავისი მუშათა კლასის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენლად, ერთ-ერთ უდიდეს მხატვრად. ამიტომ არის ის პირველი საბჭოთა მწერალი და სრულიად საკავშირო საბჭოთა მწერლების კავშირის წევრის პირველი ნომრის ბილეთიც ასეთი პატივისცემით მას ამიტომაც მიეკუთვნა.

თანდათან მკიდროდ, განუყრელად უკავშირდებოდა ის მაშინდელ არალეგალურ მარქსისტულ წრეებს და 1901 წელს, როცა ის დააპატიმრეს, დიდმა ლენინმა საპროტესტო წერილი დაბეჭდა თავის „ისკრამი“: მთელ ევროპაში განთქმულ მწერალს, მაქსიმ გორკის თვითმპყრობელებური მთავრობა გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ასახლებს თავის მშობლიურ ქალაქიდანო.

მაქსიმ გორკისთან ერთად მთელი მშრომელი რუსეთი იყო პოლიციური თვითმპყრობელობის ტლანქი ჩექმების ქვეშ გაგდებული. ამ ჩექმის ქვეშ გმიწავდნენ დიდი რუსეთის საუკეთესო შვილები და, როცა სიტყვა სიზმრებზე ჩამოვარდა და გორკიმ თავისი ერთი კომპარტიული სიზმარი უამბო დიდ ტოლსტოის, თითქოს რუსეთის თვალშეუდგამ ტრიალ მნდორში ცარიელი ჩექმები უკაცოდ, მხოლოდ ჩექმები მიაღაცებდაო, მსოფლიო ლიტერატურაში სიზმრის უბედლო აღმწერმა შუბლი შეიკრა და თეთრი თმაწვერა ნოსლივით შემოიხზია. არა, ტოლსტოიმ არ დაუჯერა მაქსიმ გორკის და წამოიძახა: არა, ასეთ გამართულ სიზმრებს არ ხედავენო, რითაც მას იმის თქმა უნდოდა, რომ ეს პუბლიცისტურად ტენდენციური, გამოგონილი სიზმარიაო.

მაქსიმ გორკი ყოველივე ამას ისე იგონებს, თითქოს ყოველ სტრუქტურულ ტოლსტოის, დიდი რუსეთის დიდი პანის ღიმილი გამოკრთოდეს. მაგრამ ერთი ხომ თვით ტოლსტოისათვისაც ცხადი იყო და არა სიზმარი, რომ ეპოქის გულის ამ უდიდეს შესაიდუმლესაც ტლანქ ჩექმის ქვეშ უპირებდნენ გავლენას.

მაგრამ რუსეთი თანდათან იშმუშნებოდა. ამჟამად იყო ეს დევნები ამ ჩექმის ქვეშ დიდხანს ველარ გაძლებდა. მაქსიმ გორკიმ ეს აზრი რომან „თომა გორდევეში“ გაატარა. რუსული ჯერ ახალგაზრდა კაპიტალიზმის იდეური ხელმძღვანელის, მაიაკინის გვერდით ის თომა გორდევენი გამოიყვანა, რომელსაც თავისივე ვაჭართა კლასის წინააღმდეგ ხელი „უდიდრად“ აღმართა. რომან „სამნი“ მაქსიმ გორკიმ ღარიბ-ღატაკთა ბედკრული ცხოვრება თავისებურ მეტყველ ფერებით გულშემზარავად დაგვიხატა. სინამდვილის უღრმესი გრძნობით აგვიწერა, კლასთა ბრძოლა თანდათან როგორ მძაფრდებოდა. შემდეგ თავის „მდაბიობებში“, „ფსევრზე“, „მოავარაკებში“ და ბოლოს ღრმად ფილოსოფიურ „ადამიანში“ მისმა ჰუმანისტურმა მსოფლმხედველობამ ფრთა კიდევ უფრო ღაღად გაშალა.

მაქსიმ გორკის შემოქმედების ნამდვილ მწვერვალს რომანი „დედა“ წარმოადგენს. ეს დიდებული ნაწარმოები დაწერილია მუშათა კლასის გმირულ მოძრაობაზე. ეს რომანი დიდი შთაგონებით არის შექმნილი და მას ბადალი არ გააჩნია მთელ მსოფლიო ლიტერატურაში. ვაი, რომ მას ახლაც ვერ უსწორდება ჩვენი ევრეთიოდებული საწარმოო რომანებიც. ამ შესანიშნავ ნაწარმოებში მაქსიმ გორკიმ თავისი ნიქის მთელი შესაძლებლობით ბრწყინვალედ გადაგვიშალა გრანდიოზული სურათი მარქსისტული მოძღვრებით გათვითცნობიერებული რევოლუციური მოძრაობისა. ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას აქეთ, რაც მსოფლიო ლი-

ტერატურაში ახალი გმირი, მუშა პავლე ვლასოვი შემოვიდა. და არ ჩვენს სამხრეთ ლიტერატურის სწორედ მაშინ ჩაიყარა. ეს ნაწარმოები რომანი კი არა, მატინაა მუშათა კლასის მოძრაობისა. ამ რომანში ნათლად გამოჩნდა ის სოციალური პროცესები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა რუსეთის მუშათა კლასში. მისი მუშები ლაპარაკობენ ნამდვილი მუშური ენით. ისინი ისევე ნამდვილი არიან, როგორც ნამდვილი იყო მაშინდელი ეპოქა. მაქსიმ გორკიმ რომან „დედაში“ უშუალო მღელვარებით გადმოგვცა რომანტიკა მუშათა მოძრაობისა. ქარხნის მუშები, მიტინგები, პარტიულები, რევოლუციური დემონსტრაციები, გაფიცვები, ჩხრეკა და დაპატიმრებანი. ცარიზმისაგან დაბეჩაებულ-ჩამორჩენილი ქალის შეგნების თანდათან ალმავლობა. აი ის ახალი სიტყვა, რომელიც გორკიმ მსოფლიო ბელეტრისტიკაში პირველად თქვა და მისი ნოვატორობის საიდუმლოებაც ამაში იფარება. ერთი მხრივ დედა და მეორე მხრივ, შვილი, მუშა-რევოლუციონერი პავლე ვლასოვი — ნამუსის კაცი, გმირი და საერთო საქმისათვის თავდადებული. პავლეს დედის ნილოვნას სახე ზოგადი სახეა მაშინდელი სიბნელიდან მონუმენტალურად ამოზრდილი რევოლუციონერი ქალისა. მაქსიმ გორკიმ მთელი თავისი ნოვატორული ნიქის უდიდესი შესაძლებლობა „დედაში“ გამოამჟღავნა.

დიდი ლენინი დიდად აფასებდა ამ რომანს და ის პარტიულ წიგნად მიაჩნდა.

ლენინს უყვარდა მაქსიმ გორკისთან საუბარი, რადგან ის, როგორც მწერალი, კარგად ხედავდა ცხოვრების ყოველდღიურობას და მის კონკრეტულ, დამახასიათებელ წვრილმანებს. მაქსიმ გორკიც ვრძნობდა ლენინის ამ სიყვარულს და თავის ერთ-ერთ მოგონებაში მოკრძალებულად ამბობს: „ჩვენს ეკლემბი, მაგრამ მეგონია, რომ ელადიმერ

ილიჩს ჩემთან საუბარი უხაროდაო. ის მუდამ მეუბნებოდა:

— აი, ჩამოხვალთ იტალიიდან, დამირეკავთ და ვინახულოთ ერთმანეთით. ერთხელ კი მითხრა:

— თქვენთან საუბარი მუდამ საყურადღებოაო. თქვენი შთაბეჭდილებათა არე უფრო ფართოაო“.

სიტყვა რომ არ გავვიგრძელებდეს აქ მოკლედ მოვჭრით და ვიტყვით იმას, რომ მაქსიმ გორკი გარდა წერისა, უდიდეს შრომას ეწეოდა ახალი კულტურის მშენებლობისა და აღორძინების საქმეში. არ იყო ოდნავ მაინც მნიშვნელოვანი კულტურული წამოწყება, რომ ის სათავეში არ ჩასდგომოდა. საყურადღებოა, რომ საკავშირო მწერალთა კავშირის ყრილობის მოწვევა მან ერთი წლით მხოლოდ იმიტომ გადასდო, რომ რუსული ლიტერატურა ნაციონალურ ლიტერატურათა საკითხების განსახილველად ჯერ კიდევ მოუმზადებლად მიიჩნდა.

მაქსიმ გორკის სიკვდილამდე არ უგვღია კალამი ხელიდან და, როცა სამყაროს ფაშისმის ყავისფერი ეამი საშინელებად მოველინა, მაქსიმ გორკის ხმა

ვრგვინვასავით გაისმა ქვეყნიერების გასაგონად:

ვისთან ხართ თქვენ, კულტურის სასტატებო!

თავის სიცოცხლის უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ის დაუღალავად წერდა პუბლიცისტურ წერილებს, ხელმძღვანელობდა გამომცემლობებს, დაქტორობდა ეურნალებს და სიკვდილისათვის სად ეცალა, მაგრამ სიკვდილმა მოიცალა. 1936 წელს გარდაიცვალა მაქსიმ გორკი და, ჩვენი ილიას თქმისა არ იყოს, ორჯერ დაბადებულს ერთმა სიკვდილმა აბა რა უნდა დააკლოს.

ახლა შორსაა ის დრო, როდესაც მაქსიმ გორკიმ შუა რუსეთი მოიარა. თითქმის ოთხმოცი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც მაქსიმ გორკი კი არა, ჯერ ალექსეი მაქსიმოვიჩ პეშკოვი აქერმანთან ზღვის პირას იმ მოღუშულ დამეს გაშლილ ტაბორში იზერგილის რომანტიკული დანკოს ამბავს ისმენდა. ის დანკო ანლაც ეოცხალია. ის არასოდეს არ მოკვდება. მისი სიყვარული ქართველი ხალხის გულში არასოდეს არ ამოიშლება, რადგან პეშკოვი არა, მაგრამ მაქსიმ გორკი მაინც მისი ლიტერატურული შვილია.





„იყო ერთი ქალი“

შუბაბაძე ილიკაძის ო. იოსელიანის რომანზე

... დაიწყებ დასასრულიდან. იღებება ერთ დროს ბედნიერი, საკმაოდ ლამაზი ქალი. მისი დღეობა კანონზომიერიც არის და შემთხვევითაც. კანონზომიერი, რადგან მკაცრ ლევიას სულიერ წინააღმდეგობებს კეთილი ბოლო არ უქანდა. შემთხვევითი იყო მხოლოდ მომენტი იმ ავტობიოგრაფიის დაგორებისა, რომელშიც აქლი ვაჭარული, წონასწორობადაც არცაა ქალი. სხვა გამოსავალი თითქმის არც არსებობდა არც ვიბრისათვის, არც ავტორისათვის. დამთავრდა საინტერესო, რთული ხასიათის, მეტად თავისებური ადამიანის ცხოვრება, რომელიც ოსოვლიანმა რომანის პირველსვე ფრაზაში ასე გაგვიღწია: „მკაცრ ბედნიერი იყო“. როგორც ჩანს არც ასეთი დამაწყვასი და არც ტრადიციული დასასრული უნებლიე არ უოფილა. როგორ მივიდა ბედნიერი ადამიანი უბედურებისთან? რა საბედისწერო გრანობები მოქანებდა მკაცრს სიყვლილსავე? ან რა არის საეკლესიო ამ ქალს დამატებულ ბედში, მის ხასიათში, შვილ-დამბში, რომელთა ლოკაციური შედეგი გახდა პირველების კატასტროფა? რომანის წაყვითების კითხვები უხედა ჩნდება. არც მისი უკანასკნელი ფრაზის შემდეგ დასმული მრავალ-მეტრილია შემთხვევითი. ჩაღვ დარჩა, ან იქნებ მწერალმა განგებ დატოვა უთქმელი. არ შეეცადა კომენტარებით გადაეღალა მკითხვე-ლი, ზოგი რამ გამოქანად დატოვა; ფიქრებს თავი მოუნება და ბოლოს მივინება ჩვენ მოგვიან-დო მანქანამ „გოდუარდისის მარგვენი მხარე-ლიდან წამოქცა, მკერძი გადატრიალდა და მკამ დანახა; მთები დაბლა დიწხა და გაიხ-სნა ცა, ღია, კაშქამა ცა... უკვე აღარც ტენი ექანალებდა, ხასიათიც დაეწმინდა და გრანობ-და საოცარ სიმსუბუქეს, თითქმის მთლიან მი-ლიდა.“ ეს თვითველულ-ბას. ჰქვია, ან სა-სურველ სიყვლილსა შეხედრას. რამ მიიყვანა ადამიანი აქამდე? სწორედ ამას ახსნა, მხატვ-რულ-ფსიქოლოგიური დამატებება არის ძირი-თადი ო. იოსელიანის წინაშე დასმულ მოვლენ-ათა რთულ ანალიზში. ამიტომ ირჩევს ავტო-რი თხრობის მკაფიოდ გამომატყლ ფსიქოლო-გიურ მიხერას. ანაბიოგრაფიული წიაღ-ე-

ლები, პოეტურად შეფერადებული ოქროები და გადახვევები. ყველაფერი გამიზნულია მკაცრად, რადგან უნდა შედეგს აღამიანის რთული სულიერი ცხოვრების დოკუმენტი. დოკუმენტი, რომელიც საინტერესო იქნება არა მარტო, როგორც ცხოვრების ფაქტი, არა-მედ იქნება ზნეობის სასიყრე ქვა გზაზე, რომ-ელზეც ჩვენ ყველანი მიუღივართ. მკაცრ დრამ-თული ხასიათიდან წარმოშობა დრამა. ეს ხა-სიათი იმანენტურად შეიცავს რაღაც საბედის-წერად გამომდგრებულ ენებებს. ამიტომ, რად-გან წინა კაცი უკანას ხილია, იქნებ ო. იოსე-ლიანის გვირის ბედიც გამაფრთხილებელი იყოს ჩვენს ცხოვრების გზაზე. სხვათაგან შეუძლებელია ახსნა მწერლის განზრახვა, მისი პოზიცია და მხატვრული მიზანი. ეს ყველაფერი რა თქმა უნდა ამბავს ზედამხედვე არ დევს, მის რთულ ფენებშია ჩამარბული. დი მთხე არა მგონია სავიწრო იყოს სიგანეობა დაცვირების უნარი რომანის ქვეტექსტში ყველაფრის ამო-საქმობად. ამგვარი განზრახვის არსებობა არ გულისხმობს პრიმიტიულ სიმარტრეგეს, უფრო ზუსტად დოკუმენტურ მორალურ ტენდენციას. მკაცრ უკვანის ავტორს, ბევრი რამ მოსწონს მის რთულ ქალბაში, ხასიათში, ძლიერსა თუ სუსტ თვისებებში. ხელაღებით ვერ გაასამარ-თლებს, ვერ გაიციხავს ვერც მის ცნობისმო-ყვარობას, ვერც ქალურ სისუსტეს არც შე-ნაგანი გაიარებდიან თავის დასაღწევად მოუ-შინაგანს იოლი გზები. ეს ბეწვის ხილზე სი-არულს ჰგავს. ზოგჯერ ეს ბეწვის ხილი ფოლ-დის ბიჭებებს ებჭინება, ზოგჯერ ბონდევით ქა-ნაობს და ამღერებს ოდესღაც ბედნიერი ად-ამიანის სულს.

ლ. ტოლსტოის „ანი კარენა“ იწყება ამ-გვარი ფრაზით: „ყველა ბედნიერი იყავი ერთ-მანეთს ჰგავს, ყოველი უბედური ოქმბი თავ-ვისებურად უბედურია“. მოვლი უნარბაზ-რი რომანი ამ ფრაზის გახსნას ეძღვნება. ად-ამიანი იბადება ბედნიერებისათვის. ეს ლტოლ-ვა ბუნებრივია მის ბიოლოგიურსა თუ სოციალურ არსებობაში. და მწერალს, მის სინდისს ვალად აღვის ახსნა ამისა, თუ რატომ არის ადამიან-

უბედურად, ან პირიქით, როგორც აღწევს იგი სრულყოფილ პარპონას და შინაგან სიმშვიდეს, რომელსაც ჰქვია ბედნიერება. ო. იოსელიანის რომანის დასაწყისში ნათქვამი ფრაზა „მაკა ბედნიერი იყო“ იქნებ განგებ შეხსოვრებად იყოს გენიალური რომანისტთან, მის დიდსა და საბჭოთა თემსთან: რატომ არიან უბედურები ადამიანები, რომლებიც დაბადებულან ბედნიერებასათვის?

ო. იოსელიანს სურს დიდი მწერლობის ატმოსფეროში შეიყვანოს თავისი მაკა, ეს არ გვეუბრება, ან პრეტენციოზულად შეეხმაროს პირველ კაცს ტრადიციას, მას სურს საერთო შესაძლებლობა: ფარგლებში მისცეს წონა და მნიშვნელობა იმას, რასაც უამბობს ადამიანებს. ზედმეტად იმის მტყულება, რომ მაკა ლეკვას ცხოვრებას არ აქვს ანა კარენისას ტრადიციის სოციალურ-ფილოსოფიურ-ესქიოლოგიური მასშტაბები. ზვეწ მხოლოდ კლასიკური თქმულებისა და მხატვრულ ნორმებისადმი ერთგულებას აღნიშნავთ, როცა მივყვებით „იყო ერთი ქალის“ პირველივე ფრაზებიდან გაჩენილ ლატერატურულ ასოციაციებს.

ამოცანა იმათათვის გაჩვეულია და მწერალი თანამიმდევრული არის მის განხორციელებაში. არ ვიცე კქონდა თუ არა ო. იოსელიანს ბელთ ცხოვრების ისეთი ტრაგიკული ფაქტი, რაც გახდა მძლეობი ბიჭვი „ანა კარენისას“ შესაქმნელად. ერთი კი უცხადია: მან სცადა სერიოზული ამბავი მოეთხოვა ადამიანზე, რომლის სიციცლედ ტრაგიკულად დასრულდა თავისივე აუტანალი საერთაშორისო თავს სტილურ მიგნებებზე გამოყოფა და ლატერატურული გაცულები. თვით განცდილი თუ დაევიწყებინათ მოპოვებული მასალით ცდილობდა მშენსაქმებელ თავის ვარსიფებას. ეს თვითმოყოფადობა ემჩნევა „იყო ერთი ქალის“ ავტორის ხალს ნიჭიერებას. მას თავისი მცირე მონაგარი ურჩევნია სხვისას, რადგან სწამს უტყუარო ქვეშაობიერებას — სხვის ტანსაცმელში თავისუფლად ვერ იქნები. ზედმწივენით ზუსტად იცის თავისი რომანის გზების, ადგილსამყოფელის

„ტოპოგრაფიული რუკა“, იცის მისი გმირების გამოხედილი თუ გაუმხედილი ფიქრები, მტყუალებითა თუ ქცევის ნიუანსები. ო. იოსელიანის ისეთი მწერალია, რომელსაც ბოლომდე ენდობი, არ შეეპყდები მის გულწრფელობაში და ეს მაშინაც, როცა რალაცში არ ეთანხმები, რადაცს არ უყვრებ და უსიტვეოდ ეკამთები. მისი ხილვა გარემოსა მუდამ ნათელია, ნედლი, ნატურალიზტი. მტყუაინ, ეს არ ქმარაო მწერლისთვის. არ ქმარა, მჭარამ ერთგვით იმ მითაუარ პირობათათვისი კი არის, რაც მწერლის მწერლობის მაღლს ანიჭებს.

ო. იოსელიანი რომანის დაწერამდე ავტორი იყო რამოდენიმე საუკუნისხმო ფსიქოლოგიური ეტიუდისა. ისე ნუჩაიენ ვაჯვრებს, თითქოს ეს ეტიუდები უბრალო ვარჯიშად

მიგვანდეს. ამიო მხოლოდ ის მონდა ეტყვი, რომ ადამიანების სულში ზაბედვის გარკვეულ გამოცდილება მან თავისივე სრულქმნისე შეიძინა. ახლ რომანში ეს გამოცდილებას მხოლოდ თვისებებს იძენს და ჩემი აზრით უფრო სრულყოფილ თავშეკავებულ, მაგრამ ზუსტ თხრობაში იქნის თავს.

ჩერჩილს ასეთი წინადადება არ მოეწონა. მძაფრად შეეპასუხა, რომ შეუძლია მოიყვანოს კიდევ მეტი მოსაზრებები და არგუმენტები, მაგრამ უნდა აღნიშნოს, რომ მოკავშირეები შესუსტებული იქნებოდნენ, რომს თუ არ აღებდნენ. მითუმეტეს, რომ გერმანიაზე საბაერო შეტევის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია პაზარმინის ხაზამდე მისვლა, რომლის რაიონშიც განლაგებულია დიდი აეროდრომები. წინადადება შეიტანა რა, რომ ეს საკითხი განვიხილოთ სამხედრო სპეციალისტებს, ჩერჩილმა გადატყობი განაცხადა, ბრძოლა რომისათვის უკვე მიმდინარეობს და რომის აღებაზე უარის თქმა დამარცხების ტოლი იქნებოდა. ამის მიზეზს კი ინგლისის მთავრობა ვერაფრით ვერ აუხსნიდა თემთა პალატას.

— „ოვერლორდი“ ბოლოს და ბოლოს შეიძლება აფისტოშიც განხორციელდეს, — დაასყენა ჩერჩილმა.

ვითარება დიძიბა და რუხველტი შეეცადა მის შემსუბუქებას.

— ჩვენ შეგვეძლო, — თქვა მან, — დროზე განვეხორციელებინა „ოვერლორდი“, რომ არ გვექონდეს ჩასატარებელი ხმელთაშუა ზღვის ოპერაციები. თუ კი ხმელთაშუა ზღვაში ვაიშ-

ლება ოპერაციები, მაშინ „ოვერლორდი“ დაწყების ვადა გადაიდება. მე კი ვრ მიწოდდა ამ ოპერაციის გადადება.

ჩერჩილი მოლდშული იქდა და თავგანწირულად აბოლებდა სივარას. რამდენიმე წუთის ვაგრძელდა სიჩუმე. პირველი სტალინი აღაპრავდა. მან ისევ გაუსვა ხაზი იმ ვარგომებას, რომ ყველაზე უფრო მიზანშეწონილად თვლის საფრანგეთში ვარების ვადმოსხმის, ამისთანავე ერთდროულად, ანდა თითქმის ერთდროულად — ჩრდილოეთსა და სამხრეთში. საბჭოთა კავშირ-ვერმანის ფრონტის ოპერაციის ვამოცდილება ვვიჩვენებს, თქვა მან, რომ ყველაზე დიდ ეფექტს იძლევა მტერზე დარტყმა ორი მხრიდან, — მაშინ მას უხდება ძალების ვადასროლა ხან ერთი, ხან მეორე მიმართულებით, მოკავშირეებს შეეძლოთ ამ ვამოცდილების ვათვალისწინება საფრანგეთში ვარების ვადმოსხმისას.

ძნელი იყო ამ მოსაზრების წინააღმდეგ რაიმეს თქმა, მაგრამ ჩერჩილს არ სურდა დათმობა.

— მე ვფიქრობ, — თქვა მან, — რომ თვალის ასახვევი მანევრის წამოწყება ჩვენ შეგვეძლო სამხრეთ და ჩრდილო საფრანგეთში შექრის დამოუკიდებლად. პირადად მე უარყოფით ფაქტად მიმაჩნია ხმელთაშუა ზღვის რაიონში ჩვენი არმიის უქმედ ყოფნა. ამისათვის ჩვენ არ შეგვიძლია მოვცეთ ვარანტია, რომ ზუსტად იქნება დაცული თარიღი, 1 მაისი, რომელიც ვანზრახულია „ოვერლორდის“ დაწყებისათვის. ასეთი მკაცრი თარიღის დადგენა დიდი შეცდომა იქნებოდა. მე არ შემიძლია ვაეწირო ხმელთაშუა ზღვის ოპერაციები მხოლოდ ამისათვის, რომ შევიწარმინოთ დანიშნული თარიღი, 1 მაისი. რასაკვირველია, ჩვენ უნდა მივიღეთ ვანსაზღვრულ შეთანხმებამდე ამ საკითხის ვამო. მისი ვამიღევა შეეძლოთ სამხედრო სპეციალისტებს...

ჩამოხსნა რა ნილაბი, ჩერჩილმა მიანიშნა, რომ ვანზრახული აქვს იბრძოლოს თავისი გეგმების ვანსახორციელებლად ხმელთაშუა ზღვაში, და ამის გულისათვის მზადაა ჩაშალოს უკვე პრინციპში შეთანხმებული ოპერაციის დათქმული ვადა ჩრდილოეთ საფრანგეთში. ცხადი იყო, რომ შემდგომი დისკუსია ამ ეტაპზე ორივე მხარეს მიიყვანდა არასასურველ ვამძაფრებამდე და ურთიერთ წაიკნალებამდეც კი.

— კარგი, — თქვა სტალინმა გადაკრით: — საკითხი გადაწყვეტონ სამხედრო სპეციალისტებმა. შირთალია, ჩვენ არ ვფიქრობდით, რომ განხილული იქნებოდა წმინდა სამხედრო პრობლემები. ამიტომ თან არც წამოგვიყვანია გენერალური შტაბის წარმომადგენლები. მაგრამ ვფიქრობთ, მარშალი ეოროშილოვი და მე შევძლებთ ამ საქმის როგორმე მოგვარებას...

თეირანში ყოფნის ამ პირველ საღამოს გვიან ღამით გაეთავისუფლდი. მაგრამ დაღლას არ ვგრძნობდი და აუჩქარებლად მივაბიჯებდი პარკის ხეივანში, ყოფილ პარამხანისაკენ, სადაც ჩვენ მოგვითავისეს. მხოლოდ ახლა შევიგრძენი განსაკუთრებული ძალით მომხდარი ამბების მთელი მნიშვნელობა, რისი მოწამეც შევიქცენი. როცა სხდომებზე ვთარგმნიდი, შემდეგ წესრიგ-

ში მომყავდა ოქმი და ვადგენდი დებულების პროექტებს მოსკოვისათვის, მაღლიანად ჩაფლული ვიყავი სამუშაოში და არ ჩავუღიქრებულვარ იმაზე, რომ აქ, ირანის დედაქალაქში, ფრანტიდან დაშორებით, ხდებოდა რაღაც მნიშვნელოვანი ომისშემდგომი მსვლელობისათვის, გამარჯვებისათვის. მაგრამ ახლა უეცრად შევიგრძენი, რომ ჩემს თვალწინ თითქოსდა კონცენტრირებული სახით მიმდინარეობდა ისტორიის შექმნის პროცესი. თეირანში იმ დროს, ექვი არ არის, ხდებოდა უზარმაზარი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც შორს ცილდებოდა მიმდინარე მომენტებს ჩარჩოებს და რომელსაც ბედმა არგუნა თავისი კვალი დაემზნია მსოფლიოში ამავთა შემდგომი განვითარებისათვის.

□ გაბრძნობისა იქნება □

საყურადღებო გამოკვლევა ქართულ მხარეებზე

პროფ. კ. მეჭველია ნაყოფიერ შემოაბას ეწე-
ვა ქართული ლიტერატურის ისტორიის საკით-
ხებზე. მისი ხანგრძლივი კვლევის ობიექტს მეცხ-
რამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა
წარმოადგენს. მისი შრომებიდან ჩვენს ყურად-
ღებებს იქნევენ ახლახან „საბჭოთა საქართვე-
ლოს“ მიერ გამოცემული წიგნი „ლიტერატუ-
რული ნარკვევები“, რომელშიაც ვრცლად არის
განხილული: ნ. ბარათაშვილის, ვ. ორბელია-
ნის, ი. ჭავჭავაძის და დავით ლეონიძის ლიტე-
რატურული მემკვიდრეობა. განსაკუთრებით აღ-
სანიშნავია ისიც, რომ პროფ. კ. მეჭველია ამ
წიგნში ბევრ საინტერესო საკითხს წყვეტს ახ-
ლებურად და ამხვე დროს არ იფიქრებს წინა-
მორბეუ მკვლევართა მიღწევებსაც.

წიგნში ყველა მწერლის შემოქმედების განხილ-
ვის დროს იგრძნობა პრობლემების ახლებური
გაშუქება, მსჯელობის სიღრმე და დამაჯერებ-
ლობა, მაგრამ ამ თვალსაზრისით მაინც გამოიჩ-
ნევა ნ. ბარათაშვილის შემოქმედება. წელს ქა-
რთული ხალხი დიდი ზეიმით აღნიშნავს თავისი
სახელოვანი შეილის ნ. ბარათაშვილის დაბადე-
ბის 150 წლისთავს და ყოველი ახალი სიტყვა
ამ გენიალური პოეტის შესახებ დიდ ინტერესს
იწვევს მკითხველში. ნ. ბარათაშვილის მდიდარ
ლიტერატურულ მემკვიდრეობიდან მკვლევარს
განხილული აქვს შემდეგი საკითხები: „ოჯახური
წერა“, „ვიწწხის წლები“, „ცხოვრების გზა-
ჯარედინაზე“, „სამჯერ დამარხული, მაინც მკვ-
დრეთით აღმდგარი“, „სიყვარულის სამსხვერპ-
ლოზე დაფრთხილი მგოსანი“, „მეამბოხე სუ-
ლის პოეტი“, „უწერტილად დაწერილი პოეტუ-
რი შედევრები“, „ძიება ქართლის ბედისა“, „ნ.
ბარათაშვილი და ვ. ორბელიანი“, „ბარათაშ-
ვილი და ილია ჭავჭავაძე“, „ნ. ბარათაშვილი და
კ. ტაბიძე“.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განხილვის
დროს მკვლევარმა პროფ. კ. მეჭველიამ ბევრი
საინტერესო საკითხი განიხილა და რაც მთავარ-
ია, ყურადღება გაამახვილა მისი პოეზიის თა-
ვისებურებაზე. პროფ. კ. მეჭველია წერს:
„კითხვობით ნ. ბარათაშვილის ლექსებს და
უბრალო მოკითხვის ბარათებს და თქვენ გაო-“

ცეხას სახლვარი არა აქვს, თითქოს ყოველი
სტრიქონი, ყოველი სიტყვავე კი უარესად ფი-
ლოსოფიური სიღრმით და ემოციური სრულ-
ყოფით შეტყუვლებს; აზრისა და განცდების
უსახლგრო ზღვა იშლება თქვენს წინაშე; ადამა-
ანის ინტელექტის ვოლოათური ხმა ისმის, უე-
მაყოფილო სულის დაუცხრომელი ლტოლვა
იგრძნობა თავისუფლების საშფფოსაყენ...“ ანდა:
„ადამიანს, რომელსაც არწიფივით სურდა მალ-
ლა — ლაყვარდოვან ცის თიღებში ფრენა; პო-
ეტს, რომლის უსახლგრო გენიას და ბობოქარ
სულს თვით დედამიწის პლანეტაც კი ეცოტა-
ვებოდა. სასაბარეზოდ და ზეცის შესცახლოდა
„გულისტქმა ჩემი შენს იქითა ეძიებდ სადგურს,
ზენაართ სამყოფსო“ — შტერიან კანცელარიის
ოთხკედელში ჩაკეტეს, მინოვნეიკის მაგიდას მი-
აქაქვეს და ცხოვრებისაგან გულმოკლული,
სულგვრად დატყუვებულ, ზორციელად წაყე-
ბული, აბურად ავღებული, ხუთმწითიან სამსა-
ხურში სტოლნახილიყად დანიშნეს“.

პროფ. კ. მეჭველია სამართლიანად მიუთა-
თებს ნ. ბარათაშვილის ლექსების ღრმა შინა-
არსიანობისა და აზრობრივი ტევადობის შესა-
ხებ. იგი წერს: „იშვითაოდ შეიძლება დავასახე-
ლოთ მეორე ისეთი პოეტი, რომლის ნაწარმო-
ების ყოველი სტრიქონი ისე დატვირთული იყო
პრობლემატური საკითხებით და ფილოსოფი-
ური ცნებებით, როგორც ნ. ბარათაშვილის პოე-
ზიას... ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული შემ-
კვიდრება მართალია, რაოდენობით მცირეა,
მაგრამ საკაცობრივი იდეების გადაჭრის თვა-
ლსაზრისით ისევე დიდია, როგორც ბაირონის,
ლერმონტოვის და პაინეს შემოქმედება. და თუ
ამ გენიოსების მოსახრებათა გადმოცემას მრავა-
ლი ტომეული დაჭირდა, იგივე ინტელექტუა-
ლური საუნჯე ნ. ბარათაშვილიმა შეკუმშული სა-
ხით, მხოლოდ რამდენიმე ლირიკულ ლექსში
გამოხატა. ამდენად, ნ. ბარათაშვილის პოეზია
აზრათ სიღრმითა და მხატვრულ განცდათა ტე-
ვადობის თვალსაზრისით იშვით მოკლენას
წარმოადგენს და კვლევა-ძიების დროს განსა-
კუთრებული ყურადღება მის ამ თავისებურე-
ბას უნდა მიექცეს“. ეს კეშმარიტი დებულება,
მართლაც რომ ყურადსაღებია.

ყველა სხვა საკითხებთან ერთად, განსაკუთ-

რებული სრულყოფილებით ავტორს „მერანი“ აქვს წარმოდგენილი. ბერი დიონერა ნ. ბარათაშვილის „მერანის“ შესახებ ქართულ მკვლევართა მიერ, მაგრამ პროფ. კ. მეჩველი ამ მხატვრული შედევრის განხილვის დროს ღრმად იჭრება პოეტის სულიერ საყვაროში და ცდილობს მკითხველს დაახლოოს ნ. ბარათაშვილის პოეზიის მთელი გრანდიოზულობა. ამ მკვლევარის მსჯელობის ერთი ნიმუში: „...მერანი“ განსაკუთრებულ ყურადღებას იმყრობს ფორმისა და შინაარსის სრულყოფილი და ზუსტი შესატყვისობით. ნ. ბარათაშვილმა ეპოქის მოწინავე აზრები უმაღლეს პოეტურ მეტყველებამდე გამოხატა... „მერანი“ ქართული ლექსის უნიკალიონი მოგვცა. იგი აზრისა და სიტყვის უნაზღაურებელი ბედნიერ შემთხვევას წარმოადგენს. ნ. ბარათაშვილმა „მერანში“ ქართულ სიტყვას მაგიური ძალა მისცა. აქ ყოველი სტრიქონი, ყოველი ბგერაც საკუთარი ხმოვანებით ეღერს და ერთ მონომენტურ მუსიკალურ ჰარმონიას ქმნის, ყოველი სტრიქონი მოქმედ ხმალივით ჰკვეთს. მკითხველი გრძნობს სიტყვის დინამიურობას და აზრის სინათლეს. ამოდენა ლექსის ისეთი ექსტრემით არის დაწერილი, რომ არსად ხანგრძლივად პაუზა არაა საჭირო... ლექსის ისე თავდება, რომ აზრთა და განცდათა მოქმედებას საზღვარი არ უნახს. მთელ ლექსში პოეტს წერტილი არ დაუსვამს იმისათვის, რომ შეყოვნება, შესვენება, დაარღვევა, შეაფერხებდა ამ გვიანტურ წინსვლას, რომელიც პოეტს ასე გრანდიოზულად აქვს წარმოდგენილი. არც ლექსის დასასრულს ჩანს წერტილი. ეს იმას ნიშნავს, რომ მოქმედება გრძელდება, მზედარი მიჭრის უსასრულობისაკენ და ჩვენც განვიფრებულნი შევყურებთ უსაზღვრო სივრცეში მჭრილად მხედარს“ (გვ. 41—42). ჩვენ გვაჯერებს ავტორის მსჯელობის მსახობრივი სიხალისე.

მკვლევარს საინტერესო დასკვნება გამოაქვს ნ. ბარათაშვილის პოეზიის სხვა პრობლემატურ საკითხებზე. მისი სამართლიანი მტკიცებით, ნ. ბარათაშვილი ნამდვილი რევოლუციონერი პოეტიცა, და ყველაზე მეტად ეს რევოლუციონერობა მის „მერანში“ გამოიხატება. პროფ. კ. მეჩველიას აზრით: ნ. ბარათაშვილი „მერანში“ კონკრეტულად ასე სვამს კითხვას ადამიანთა ცხოვრება საშინელია, საჭიროა მისი გარდაქმნისათვის ბრძოლა. ბრძოლა უნდა იქნას მკაცრი და უღმობელი. ამისათვის საჭიროა იდენიანმა პირადულ ვაჭროს მსხვერპლად და თუ საჭირო იქნება საკუთარი სიცოცხლეც. შესაძლოა ჩვენ ამ შეუპოვარ ბრძოლაში, მოწინააღმდეგესთან ძალთა კიბლიში დავდებუთ კიდევ, მაგრამ მოვლენ სხვა თაობები, სხვა ადამიანები და ჩვენ ნათელ სუბიექტს ბოლომდე მიიტანენ და კაცობრიობას ბედნიერებას შიანი უნებენ. ეს ხომ მტკიცე რევოლუციონერის მტკიცე და ურყევი ვაღაწევეტილება“ (გვ. 33) აღსანიშნავია ისიც, რომ პროფ. კ. მეჩველიას კარ-

გად აქვს გარკვეული ნ. ბარათაშვილის მეჭრამელებების სხვა პრობლემებიც. სრულყოფილად განიხილავს ეროვნულის და სოციალური იდეების ურთიერთობის საკითხს, ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის პირადულსა და ლიტერატურულ ურთიერთობას.

სათანადო საბუთების მოშველიებით ავტორი ამტკიცებს ბიძა-დისშვილს შორის მეგობრულ გულბილ ურთიერთობას. ასევე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ცალკე თავები: ნ. ბარათაშვილი და ილია ქავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი და გ. ტაბაძე.

მკითხველი ყურადღებას იჩვენებს „ლიტერატურულ ნარკვევებს“ მომდევნო თავი „გრ. ორბელიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკა“. აქ მკვლევარი გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ბევრ საკითხს იხილავს საინტერესოდ და ახლებურად. ცალკე აქვს გამოყოფილი ქვეთავები: „გრ. ორბელიანი და ახალთაობა“, „ენის საკითხი“, „გრ. ორბელიანის პრაქტიკა“, „ბატონყმობის საკითხი“, „სწავლა განათლების საკითხი“ და სხვ.

პროფ. კ. მეჩველიას საინტერესო დებულებები აქვს წარმოდგენილი გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ავტორი სამართლიანად ცდილობს უარყოს ზოგიერთი უმართლებლო მოსაზრება პოეტის პრაქტიკისა და მოღვაწეობის შესახებ და აღადგინოს შემართვი აზრი ამ საინტერესო მოღვაწეზე.

მკვლევარის მოსაზრებით, გრ. ორბელიანი არასოდეს არ ყოფილა რეაქციონერთა ბანაკის მეთაური და თეთი ილია არ თვლიდა მას რეაქციონერ მოწინააღმდეგედ. „ქველსა ახალს შორის შემეგრთავი ზილიაო“, ამტკიცებდა ილია. კ. მეჩველიას აზრით, გრ. ორბელიანი არც ქველსა ქართული ენის პრინციპული დამცველი იყო. მართალია იგი ახალთაობას ბრალს დებდა ენის წახლენაში, მაგრამ არა იმისათვის, რომ გრ. ორბელიანი ახალი ენის წინააღმდეგი იყო, არა, გრ. ორბელიანი ახალთაობას ახალი ენის წახლენისათვის ებრძოდა. რომ ახალთაობის უმეტესი ნაწილი ენის უყოღბნარებობის გამო, ახალ ენის ამხანაგებდა. სხვა შემთხვევაში არ შეუძლო ილია ქავჭავაძეს მისთვის „ქართული ენის შეუღლე“ ეწოდებინა.

პროფ. კ. მეჩველია ასევე ცდილობს გრ. ორბელიანის მოღვაწეობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხები ახლებურად გაამჭქოს და იგი წარმოადგინოს, როგორც პროგრესული იდეების მწერალი და პატრიოტი.

ასევე საინტერესოდ იკითხება წიგნის მესამე თავი „ილია ქავჭავაძე“. მკვლევარი საღებულად განიხილავს ი. ქავჭავაძის ადრინდელ მომხრობებს და სამართლიანად დაასკვნის, რომ ილიას ადრინდელი მომხრობების შესწავლის გარეშე შეუძლებელია ილიას შემოქმედების სრულყოფილი შესწავლა.

მკვლევარი განიხილავს მომხრობებს „კოლას“

და „კაქოს“, როგორც „კაცია ადამიანის“ და „გლახის ნაამბობის“ წინა საფეხურებს.

საინტერესო შთაბეჭდილებას ტოვებს წიგნში ქვეთავი: „გლეხთა მორალური სახე ილიას გლახის ნაამბობის“ მიხედვით. აქ შევლევარბა საინტერესო სახალე წარმოგვიდგინა. თუ დღემდე „გლახის ნაამბობი“ არსებითად სოციალური იდეების შემყველ ნაწარმოებად ითვლებოდა. პროფ. კ. მეძველიამ ყურადღება გაამახვილა გლეხის მორალურ საკითხზე და ნაწარმოების ეს მხარე არა ნაკლებ მნიშვნელობის მოვლენად დაგვიხატა.

შევლევარის სამართლიანი მტკიცებით: „გლახის ნაამბობის“ პეზია ქართველი გლეხის ზოგადი ტიპია, იგი ქართველი კაცის სახეს წარმოგვიდგენს, რომელსაც საუქუნების განმავლობაში უმწიკვლოდ შემოუნახავს ოჯახის ღირსება. ავტორს საინტერესო დასკვნები აქვს წარმოდგენილი ი. ქვეყნაძისა და ვეა-ფშველას პირადული და ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ. საინტერესოაა გადაჭრილი „განდგენილისა“ და „გველისმკამლის“ ურთიერთობის საკითხი.

სარეცენზიო წიგნში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დღემდე უცნობი ქართველი პოეტის, სოლომონ მსაქელის შვილისშვილის, დავით ლეონიძის ცხოვრება და შემოქმედება. როგორც პროფ. კ. მეძველიას წიგნიდან ჩანს, დ. ლეონიძე საინტერესო მოღვაწე ყოფილა. ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი ლიტერატურუ-

ლი მიმკვიდრეობა დაუტოვებია, როგორც პოეტსა და დრამატურს. შევლევარს ვულისხმეურებით შეესწავლა მისი ნაწერები და საამაოთი ადგილი მიუჩინია ქართველ შერთაღას დიდ ოჯახში.

წიგნის ამ ნაწილის ქვესათაურების ჩამოთვლა კი შეითხველთა დიდ ინტერესს იწვევს: „ბიოგრაფიული ცნობები“, დავით ლეონიძის შემოქმედება: „ლირიკა“, „სატრფილო მოტივი“, „სოციალური მოტივი“, პოემა „ელიაში“, დრამა „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა“, „დრამის სიუჟეტი და ისტორიული სინამდვილე“, „შთავარ მოქმედ პირთა დახასიათება“ და სხვ.

პროფ. კ. მეძველიას დამსახურებას ისიც წარმოადგენს, რომ მან შეკრიბა არქივებსა და კერძო ოჯახებში გადნარული ლექსები, პოემა და დრამა, გულისხმეურად შეისწავლა ეს შემკვიდრეობა და უცნობი პოეტი მისაწოდომი გახადა მკითხველისათვის.

დასასრულს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში წარმოდგენილი ზოგი დებულება შეიძლება საღაო იყოს, ან მეტ დასაბუთებას და დამაყრებლობას მოითხოვდეს, მაგრამ ცხადია, რომ სიხალეთა ძიებაში იხადება ყოველთვის შეცნიერული ქვეშაირება. წიგნისათვის უკეთესი იქნებოდა, რომ საჩქევში ქვესათაურებიც ყოფილიყო წარმოდგენილი. საჩქევის მიხედვით არ იგარბობა ის მრავალფეროვნება, რაც წიგნის კითხვის დროს ირკვევა მკითხველისათვის.

შალვა რაბინი

ცდუნეხულთა სულიერი დრამა

ყოველი ქვეშაირი ნაწარმოები ავტორის სულიერი ბიოგრაფიის ორგანული გამოძახილია. როგორც იბეჭეტრა, გარკვეული სახემოსილებით არ უნდა გამოგვეცხადოს ეპიკურ ქმნილებაში განსახიერებელი ესა თუ ის ცხოვრებისეული მოვლენა, მას მაინც სუბიექტური დადი აზის და შემოქმედის შინაგანი, სულიერ-ინტელექტუალური საშყაროს ხასიათის შესაბამისად სუნთქავს ამიტომაც გვეჩვენება ბუნებრივად ის ფაქტი, რომ ფლობერტი, მაღად ბოვარის მოწამვლის გამო, დიდხანს გრძნობდა საწამლაღის გემოს, მამა გორიოს სიკვდილის ზუსტად და დამაყრებლად აღწერისათვის ბალსაკმა თვითონვე სცადა სიკვდილის განცდა. შეიძლება კიდევ მრავალი მაგალითის დასახლება, მაგრამ ეს ორი ფაქტიც აშკარად მოწმობს ეპიკურ მხატვრულ მდინარებაში შემოქმედის აქტიური სუბიექტური (პირადი) ჩარევის აუცილებლობას, რაც ნაწარმოების სრულყოფილების სიამელო პირობაა.

ფიქტობთ, ბელნისკი აზვიადებს ეპოქის გარეგნულ-ობიექტურ ხასიათს, როდესაც წერს: „აქ (ეპიკაში-ფ. ბ.) არ ჩანს პოეტი; საშყარო, პლასტიკურად გამოკეთილი, თვითონვე ვითარდება, და პოეტი თითქოსდა უბრალო მოხრობელია იმისა, რაც თავისთავად ხდებოდა.“

ხელოვნების დიდ თეორეტიკოსს ეკლევს პოეტურმა პათოსმა უბიძგა ამ გადაჭარბებისაკენ; მან რამდენადმე პასიურ როლში წარმოვიდგინა ეპოქოსი და მისი შემოქმედებები ინიციატევა შეზღუდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება (რასაც არც თუ ისე იშვითად უვლიან ხოლმე გვერდს): რამდენადც ენერგიული, შთელი არსებით ენარების ეპიკაში ობიექტურს სუბიექტური, იმდენად ძლიერი ნაწარმოების ემოციური შთამავონებლობა, მისი გრძნობადი შემართება. ამ პირობისაკენ სწრაფვა განსაკუთრებით შეიმჩნევა ბოლო დროს, როცა ეპიკურ ქსოვილებში მძლავრად იჭრება ღირიქული ნაკადი, პოეტური სტიქია. ამ პროცესმა თავისებური კვალი დაამჩნია დღევანდელ ქართულ პროზასაც.

ოთარ ჩიჭავაძის რომანი „თვითმკვლელები“ თანამედროვე ქართული პოეტური პროზის ერთ-ერთი ნიმუშია. ბიოგრაფიული პლანი, რბი-ექტურ მოვლენათა და გარემოებათა სუბექტურად დაძლევის პრინციპი, პირველ პირობებში (მონალოგები, ლაღი და მოკვეთილი დიალოგები) რომანს ლარიელ მგზნებარებით გამსჭვალავს. ავტორი რომანის დეტალთა აბსოლუტურ უმრავლესობას საკუთარ სულიერ საქაროში ვარდატების გზით ხატავს და ემოციური შთაბეჭდილობის უნარს ანიჭებს. რომანის სათაური ჩაფიქრებელია ვადატანით მნიშვნელობით — სამშობლოდან გაქცევა, მშობლიური მიწა-წყლის მიტოვება თვითმკვლელობას ნიშნავს. ამ შეფარული მხატვრული კონცეფციიდან ბუნებრივად გამოსჭვივის მალაღობა მოქალაქეობრივი პათოსი — სამშობლოს, მშობლიურის სიყვარულის წმიდათა წმიდა გრძობა: რომანის იდეური ვასალებიც სწორედ ამ ასპექტში უნდა ვეძიოთ. ეს პოზიცია განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იკვეთება რომანის ბოლო ნაწილის ქვეტექსტში, ამ ეპიზოდთან, როცა ნაწარმოების მთავარი გმირი (ოთარი) დედისაგან ვაივებს, რომ მამამისი განზრახული ჰქონდა, ეს და მისი მამა (შოთა) საზღვარგარეთ გაეგზავნა სისწავლელად და მენშევიკებს დროს გაუტანებია ფული თბილისში მცხოვრები შვეიცარიელი მოქალაქე მეიერისთვის, რომელსაც თურქი იმედიდ სამშობლოში ბრუნდებოდა. ავტორის პატრიოტულ სულისკვეთებას, სამშობლოს ტრფიალის გრძობას აძლიერებს შეგნებული ნაღვლიანი სინანული (საზღვარგარეთ გაქცევის სურვილის გამო), რომანის მთავარი გმირის შინაგან სამყაროს რომ აფორიაქებს და მოხვეწებას არ აძლევს მის სულს. ოთარის დედა და მისი დები მარგალიტა, სონია და ელენე ბჰომენ — შვეიცარიის ბანკიდან ფულით მისაღებად ოთარის გაგზავნა ჯობს საზღვარგარეთ თუ შოთას. ოთარიმ უკრი მოქიპრა, რომ დედა და სონია მის გაგზავნაზე იყო თანხმა, რამაც უცნაურად შეძრა ქაბუჯის გული. „ნუთუ კიდევ ასოვდა, ბავშვობისას რომ ვაწყენინე: მის შვილს დეგენერატი და მის ქმარს ლოთი რომ ვუწოდებ? მაშ, აბა რომ მიმეტებს ასე ადვილად, როცა უკვე სტუდენტი ვარ და ყველაფერი კარგად მიდის?!“

შეტის მოსმენა არ შეუძლო, რომ მდომებოდა კიდევ. ფეხაკრეფით ვაგემართე სამზარეულოსაკენ. მესმოდა დეიდა მარგალიტას შემინებელი ხმა:

— რომ მოკლან საზღვარზე ვადასვლისას?! და დედაჩემის: — უიმე!..
 ფანჯრიდან ეზოში გადაგზტი, ჭიშკარს ვადავეულ და გაეაბიჯე ქუჩაში. მამანებზე ვფიქრო-

ბდი. წარმოვიდგინე, მამა რომ ცოცხალ ყოფილიყო, როგორ იფრენდა იმ მოთათბირება, როგორ მოცოცხავდა ის ბებერი ფანჯრა და სონია... ვაბეცინა.

ალბათ ძალზე ვაგზნებული ვიყავი, ვილაყენა გზა დამთიმეს, რადგან მთვრალი ვეგონე.

მამის მოგონებამ დამამშვიდა. ისევ დავეფულე თავს და ვგრძნობდი ჩემი სხეულის თვითნაყოფი კენთს... ოღონდ გულში შეპარული წყენა უსიამოვნოდ მომედო მთელ სხეულზე და ჩაღიზიანებდა...“

ოთარი ახალგაზრდულ ცდუნებას ახვეა, საბუდისწერო ნაბიჯი გადადგა და საზღვარგარეთ გაქცევა გადაწყვიტა. მას ერთიანი იპერობს სულიერი მღელვარება. მძაფრი სინანული, შინაგანი შფოთვა და ქვეშეცნული ებრძენის ცდუნებას.

„ერთიღა დამჩინოდა — ქალაქთან გამოთხოვება.

უკანასკნელ დღემდე ძალზე რომანტიკულად მქონდა წარმოდგენილი როგორ ვეზლიდ ქუჩებში და მეხსიერებაში ადგიმეტადვი საყვარელ ქალაქის იერს... ახლა კი მეგონა, თითქოს მე დავანგრევი იგი, ქუა ქუაზე არ დავტოვე, ძალა აღარ მყოფნიდა ნანგრევეებისათვის მექცირა!“

მთელი დღე ვიქცეი ჩემს თათში საცოდავი და დაღლილი.

მამამეო, რა უფლებით დავტოვე? შენ რომ ცოცხალი ყოფილიყავ, მე ხომ ეს არ დამემართებოდა... მამატიე, მაგრამ ვერ გამოვთხოვები! არ შემიძლია, რადგან შენ გაასდროს არ დამეთანხმებოდი იმზე, რასაც ახლა ჩავდივარ“. ამ ორ პატარა ეპიზოდში ნათლად ჩანს ავტორის მოქალაქეობრივი პოზიცია, მისი მსოფლმხედველობა, რომანის ამოსავალი იდეური წერტილი. მწერალი თანდათან ამბადრებს დრამატულ ხაზს, ინტიმური უმუშალობით იხედვს თავისი გმირის სულურ საქაროში და შთამბეჭდავად ხატავს მისი მღელვარების უმნიშვნელო დეტალსაც კი.

ამ ტრაგიკულ გადაწყვეტილებამდე ოთარიმ რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების გზა გაწეწო. იგი თავის ტრო-ანხანაგებში გამოირჩევა პატრიონებით, სიბუჯით, შრომის სიყვარულითა და უანჯარო ბუნებით. ავტორი ოსტატურად უპაჩისპირებს მას გზას ამედარ, ავირა ახალგაზრდებს, რომელთა ფსიქოლოგიურ თუ გარეგან პორტრეტს რამდენიმე შტრიხით ხატავს და მკითხველის მეხსიერებაში შთაბეჭდილად აღბეჭდავს თვითნაყოფი მათგანს. ამ უპაჩისპირების, კონტრასტული მიმართებების ფონზე ოთარის სახე თანდათან იკვეთება, იხვეწება და ჩემს თვალწინ ცოცხლდება შეგნებული, ინტელექტური სულის მოქალაქე.

ოთარის ხასიათი ისე ვალობდება, მისი ცხოვრების გზა ისე ვითარდება, რომ ასეთი ავტორ ნაბიჯი მისგან ლოგიკურად მოულოდნელია. ამ უეცარი, გმირის ხასიათთან შეუსაბამო შეყო-

დების მიზეზი უნდა ეყვით ნაწარმოების დოკუმენტურობასა და ავტობიოგრაფიულობაში, რაც საგრძნობლად ავიწროებს მხატვრული განზოგადების საზღვრებს. მართალია, ცალკეული ეპიზოდები, ზოგიერთი ეპიზოდის ხასიათი ავტორს განზოგადებისაკენ აქვს გამიზნული და სამკაოდ დამაყრებლად, მაგრამ რომანი ბევრად მოთვება, რომ მწერალს ამ მხრივ უფრო მეტი ეფექტი ძირითად პერსონაჟზე.

ოთარ ჩიჭავაძე აშკარად ივლენს საიმისო მხატვრულ აღმოს, ხასიათის მრავალმხრივ ხატვის შესაძლებლობას, აღამიანის შინაგან სამყაროში წყდობის უნარს, რომ გეზი რომანის ცენტრალური გმირის განზოგადებისაკენ იღონებს და დოკუმენტურობასთან შეეზავება ეს პრიციპი.

ნაწარმოების ყოველ ეპიზოდში ვაშოსკვივის ავტორის შემოქმედებითი პოტენცია, მასალის მხატვრულად ათვისების უნარი. მწერალი მდებარეობს ცხოვრებისეულ მასალას ექვიდგა. მთავარი თუ მეორეხარისხოვანი გმირის ცხოვრებასთან დაკავშირებული უბრალო ამბავიც კი მხატვრულ ხარისხში იყვანს და ყოველ დეტალს მხატვრული მოტივირებათ აცოცხლებს.

„თვითქველადი“ რთული და მრავალღანისანი პერიპეტეიების რომანია და ასეთი ხასიათის ნაწარმოების მხატვრული ორგანიზაცია მიუთმეტებს დიდ დახედულებასა და ოსტატობას მოთხოვნს. ზემოთ აღწერილთა და კვლავ გავიშორებო, რომ ოთარ ჩიჭავაძეს, მხევილი მხატვრული აღმოს წყალობით, შეუძლია რამდენიმე მოქმედ და მეტყველ შტრაში დავგვიხარის გმირის შინაგანი სამყარო თუ ვარჯიშის სახე, რაც მის შემოქმედებითი ოსტატობის დამადასტურებელ ფაქტად მივიანინა. გავხსენებთ მუნჯი მზარეული, „ახალი“, „ბედნი არამა“ თუ ავართა მთელი გაღვრვა. ზოგიერთა მათგანის პორტრეტის ხატვა სულ რაღაც ხუთიოთხე გვერდზე ვრძელდება, მაგრამ მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თვითველი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს და ისე ერწყმის მკითხველის მებსიერებას, როგორც სინამდვილეში ხოლღა, თვალწინ მოქმედი აღამიანი, კეთილი, მზრუნველი, ერთგული და სათუთი ბუნების მუნჯი, ჭენწი, პრაქტიკული, უემური და უხასიათო „ბედნი არამა“, მოსყენარი, ფაიურაის მთავებული ახლგაზრდები თუ მესამე, თითქოს ვადმოდიან წიგნის ფერკლებიდან და რეალური სიცოცხლით ცოცხლობენ მკითხველის გვერდით.

„საშუალო ტანის, ხმელხმელი, წინწამოწეული შებლით და ნიკაბით, რომელთა შორის თითქოს დაკარგულან მისი სახის სახეა ნაკეთები, „ახალი“ ნამდვილად მდინიანებს. რამდენჯერ მინატრია, ერთი შემოეკრა მის უთოს მაგვარ ნიკაპში... მაგრამ რას იზამ... როცა მოვხებდე, „ახალი“ ოთხში აღარ იყო. საერთოდ, ასე იცოდა

მოულოდნელად გამოჩნდებოდა და ასევე გატრებოდა ხოლღე“.

„მას (ცოლს) მხოლოდ მაშინ ელამაპყვება, როცა გეზრეოდ, ამომსავლერ საჭმელემას მრამაზადებას დაივლებს. სხვაფრივ „ბედნი არამა“ ცოლს იმდენსავე ურადლებს აქცევს, რამდენსაც თავის ძალს... „ბედნი არამა“ წარტარბაზე-ბაც უყვარს, ყველა, როგორ მოახერხა თავისი ორი ქალიშვილი ისე გაუთხოვინა, ერთი კამიკის მზითვევიც არ გაუტარებია, თუმცა მდიდარ სამატარმლოებად ითვლებოდნენ... — მაგრამ თქვენ ჭკუა საიდან გექნებათ, როცა ყველაფერი მამხარეული გქონდათ... თანაც ფულის ყაფრი არ იცოდით... ერთი მანეთი ვაქეთ და ასე მანეთის აურთხოვინა ასტეხაბთ ხოლღე ცხოვრობთ ჩალი, როგორც ჩიტი ტრეტზე... ექვიკობთ თქვენთვის და ზვალინდელ დღეზე არა ფიქრობთ.“ — მიმართავს „ბედნი არამა“ ოთარის. მსუბუქი, მახვილი იუმორი თვისებურ ელფერს აძლევს რომანის მხატვრულ სტილს, გამომსახველობით ძალას მატებს მას და ინტერესით განწყობს მკითხველს. მხევილ-გონივრულად, ოსტატური იუმორული შტრიხებითაა შესრულებული ნაწარმოების მთელი რიგი ეპიზოდები, მავალითად პურის რიგში მდგომარე შეხლა-შეხოსლის სცენა, ინგლისელის გამზავრება საშობლოში და მატარებლის იმ ვაკონების მოხსნა, რომლებშიც მათი „ცოლები“ სხედან, ოთარისა და მუნჯის მიერ შობანავე გაოთხების თვალთვლი, სტუდენტების შერთვის ქალის ჭებნა და სხვ.

მწერალთა თვისი გმირების თავდასადავას, მათ შირად აღამიანურ გარცელებსა და მისწრაფებებს გადმოგვეცემს მაშინდელი თბილისის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებასთან კავშირში და მკითხველს ფართო წარმოდგენას უქმნის საერთო მდგომარეობის შესახებ. ამ ზოგად ფონზე შერწყმის იგი თვითველი გმირის სახეს და მეტნაკლებ თვითმყოფადობას ანიჭებს ყოველ მათგანს. მართალია, მწერალი გულისყურითა და რუდუნებით გრძნობით ეპყრობა ყოველ გმირს, მაგრამ ზოგიერთ სახეს (თამარი, რუსუდანი...) სტემპლურობის იგიო დაჰყარავს. ეს შეიძლება ნაკლებ ცოდვა იყოს მეორეხარისხოვანი, ეგრეთწოდებული, ეპიზოდური პერსონაჟის მიმართ, მაგრამ ისეთი წამყვანი გმირები, როგორიც, მავალითად, თამარი და რუსუდანი, ავტორს მეტი სისახეთა და სიციხლით უნდა წარმოედგინა. თამარისა და ოთარის ინტიმურ ურთიერთობაში შეიმჩნევა რამდენადმე შიშველი სანტიმენტალური ეპიზოდები, რაც ხასიათს ბანალურ ვლდერს აძლევს; მკითხველს განიზადებს და ანტიათორად განწყობს. მოყვარულით ოთარის, „წიგნი სიყვარულიც ლამაზი იმიტომ რომ, ეს პირველი სიყვარულია... წმინდა იმიტომ, რომ ჭერ შეურყენლები ვართ, მთუხედავად იმისა, რომ ბუკი უმსგავსეობას დანახეა ვეიწევს...“ (?) საყვარელი სინაზის გრძნო-

ბით აღვივებ. ამ ქვეყანად უველზე უფრო მი-
ყვარდი. მხად ვოყავი გულში ჩამეხვდა, რათა
დამეფარა ყოველგვარი უსამიფიგნებისაგან“.

პეტროსიანის მოქმედებისადმი ერთგვარ
უფროდღებობას, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ,
უფროდღებობის მოდუნებას უნდა მივაწეროთ ისიც
რომ ზოგიერთი გმირი ხანდახან თავისა ასაკისა-
თვის შეუფერებლად მსჯელობს და განიცდის.
მართალია, ოთარი დაევირგებელი და გონიერია.
მაგრამ შეიძლება მისი ინტელექტუალური
სამართო ისე არ იქვს წარმოდგენილი, რომ 12
წლის ბიჭისაგან მოელოდეს ასეთ ანალიზს: „სა-
ერთოდ, შემწნეული მჭექს, რომ უფროსები
ფაქრობენ ერთს, ამბობენ მეორეს და აკეთებენ
მესამეს. ჩასაკვირველია, ახლა ვხვდები, რომ
ცხოვრება, როგორც მე შეგონა, ისე არ იყო
იგებელი წინააღმდეგობებისაგან: კარგისა და
ცუდსაგან, პატროსნებისა და უპატროსნებისა-
გან, ვეფიცობისა და მუხანათობისაგან... და,
რომ დამიანების შეფასებისათვის არსებობდა
კიდევ სხვა რაღაც ფაქტორები...“

მე აღარ შეეძებია, რომ ცხოვრებას აღლო
უნდა ავლო, მაგრამ რაც უფრო ღრმად ვი-
ნობი მას, მით უფრო არაფერი გამეგება მისი...“
ჩვენი აზრით ნაწარმოებს აკლავ კომპოზი-
ციური ნაწილობა. ავტორს ოთარის სათავადა-
სავლო ეპიზოდებისათვის უფრო ლოგოურად
გამართიანებელი ხაზი უნდა მოენახა და თავი-
დან აცილებინა ის ფრაგმენტულობა, ნაწილე-
ბის ერთმანეთისაგან გათიშვა, რაც აქა-იქ აწო-
რად შეიმჩნევა რომანში, ცალკეული ეპიზოდ-
ბის თავისთავადი მხატვრული სრულყოფა არ
ნიშნავს მათ ორგანულ კავშირს, თუთუელი
მათგანის კომპოზიციურ მორტირებას. კომპოზი-
ციურად შეკრად შეკრულ ნაწარმოებში უბრა-
ლო დეტალს ამოღებითაც დიდი სიყაროდ
ჩნდება და მხატვრული თანმიმდევრობის პრი-
ნციპი ირღვევა. „თვითმკვლელებში“ ზოგიერთი,
თავისთავად საინტერესო და მხატვრულად
სრულყოფილი, ეპიზოდის აუცილებლობა არ
იგრძნობა; ესე იგი, მათი გამოკლებით რომა-
ნის კომპოზიციური ლოგია არ იშლება; მა-
შასადამე ისინი ნაწარმოების იდეურ-მიზანდასა-
ხულობითი ცენტრისაგან შორს დგანან და იზო-
ლირებული სახით გამოიყურებიან.

რომანი დაწერილია გამართული ენით,
ნათელი და გამჭვირვალე სტილით; ნე-
ბით თუ უნებლიეთ ავტორს ზოგან მა-
ინც გაპარვია ენობრივ-სტილისტური ლაღხუ-
სი. მაგალითად, „ჩვე ღონღონს აქვს, რომ და-
ქველზე შემწვარი ბიფშტიქსი უნდა დი-

ლო“ (გვ. 6). „შიშით, რომ არ დაუქვრებდნენ,
შოთამ ზმას აუწია“ (გვ. 6) „ელვისებური სის-
სწრადლი მომისდა კარის გაწოხურაჲ“ (გვ. 7)
„...მათლაფაჲ კოვზის რაკუნით ამთავრებდა
თავის კერძს“ (გვ. 7) „მის სილამაზეს უველა
ვერ შეფასებდა. — ვთქვი მე გადაჯრულად და
და ამით აწკარად გამოვსატე ჩემი უპირატესობა
ამგვარ საკითხებში“ (გვ. 17) „...ზამაღლა იცნე-
ბას მიცა ნიკო“ (გვ. 17) „...კითხე საღვეთსო
მეტრეებს... რაცა შეშინდები კრუნჩხვზე უა-
რისია“ (გვ. 28) „ხიდიწყურზე მიშენებულ ტი-
რის კარებში ჩამდგარიყო წითური, ლითო-
ბისაგან სახეგატეხილი კაცი“ (გვ. 30) „შოთა
და რუსუდანი ძლივს მიათრევდნენ თებებს,
იხე გაემართნენ დასაწოლად“ (გვ. 47) „ერთი კი
მოვასწარი შემესუნთქა ჰაერი“ (გვ. 63) „...რო-
მელსაც ორი ვუთანი მისთრედა“ (გვ. 67) „ბო-
ლოს და ბოლოს, ცემას ზომვერ დაუწვივ ამ
სულელ - ზავშვებს, ან პირფერობას“ (გვ. 95)
„აკვირვებულმა თამარმა რამდენჯერმე გაღმო-
მხედა, რომ მე თავსაქინდარული ვზივარ“ (გვ.
108) „პირველი, ვინც სამასწავლებლობი შემ-
ვდა, იყო „ახალი“ (გვ. 109) „ამისათვის საკმარ-
ისო დაგენახა აი ის, წითლად შეღებილწვერი-
ნი სპარსელი“ (გვ. 124) „დიდხანს ვიდექი ფაქ-
რებში წასული და ბოლოს იმ დასკვნამდე მივ-
დი, რომ ერთადერთი, რაც ახლა უნდა გაეკე-
თო, ავდეგ და საბღში წავიდე (გვ. 129). „პრო-
გრესული დამბლისაგან ქმრის დამჯარგავი და
ნახევრად უსწავლელი, უქნარა შვილის შემყუ-
რე დეიდა სონია...“ (გვ. 163) „საკუთარი გან-
დები მომწინდა“ (გვ. 165) „მეორე დღეს გი-
დაწყვეტიტო, მეტი რისკი არ გაგვეწია და
ვუთხარიტ სტეკოს, რომ თან მიგვაყვას“ (გვ.
205) ალგალაგ შეიმჩნევა ქალაქური ტარკონის
სიჭარბე, გასაგებია, რომ ავტორი მას გმირის
ხასიათის გასახსნელად იყენებს, მაგრამ ზომიერ-
ება მაინც საჭირო იყო.

რომანის ფსიქოლოგიურად დამაბული ფინა-
ლი—სახლდარზე გადასვლის ტრაგიკული წითე-
ბი, ოთარისა და მისი მეგობრების მღელვარე
განცდა ერთხელ კიდევ შთაგვაგონებს ავტო-
რის მხატვრულ ოსტატობას, დაგვაფიქრებს
ცდუნებულთა მომავალ ბედზე, მომავალ სუ-
ლიერ ღრამაზე და დიდი ინტერესით ვინგვა-
წყობს მეორე წიგნისადმი, რომელსაც მწერა-
ლი, ალბათ, მალე შეიწვიდის მეთხებელს და
კვლავ გაახარებს მას.

თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ მესამე წიგნის

გამომკვეთების გამო



თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ გამოკვეთენება ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იყო XIX საუკუნის ბოლოსათვის ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო ცხოვრებაში. ეს იყო მტკიცე საწინდარი და, თუ გნებავთ, ურყევე საფუძველიც ჩვენი, ერთგულნი საისტორიო მეცნიერების ჩამოყალიბების საქმისათვის, საერთოდ, და ქართული კრიტიკული ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის კერძოდ, ყოველ შემთხვევაში, „ქართლის ცხოვრების“ სრული ტექსტის გამოკვეთების შემდეგ, რაც დიდი ხანია მართაბროსის წყალობით განხორციელებულ იქნა სხვა ხასიათის საწოდ და ემპირიკული წერილობითი წყაროების საქმისათვის რაოდენობით შეცნობურად ბუბლიკაციის გარეშე, არც ერთი იყო წარმოსადგენი და არც მეორე. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ გამოკვეთებისათვის დროისათვის, ჰქონდა სხვა ასპექტიც. არსებობდა, ეს იყო დაგვირგვინება ნამდვილი ამოთვლითი და განალიზებული ბრძოლისა, რომელიც, როგორც ცნობილია, მიმდინარეობდა თითქმის მთელი XIX საუკუნის მანძილზე „ქართლის ცხოვრებასთან“ დაკავშირებული მეთოდოლოგიური საკითხების გარშემო. ბუნებრივია, მის შემდეგ, რაც აღმოჩნდა „ქართლის ცხოვრების“ მართალი დედოფლისეული ხელნაწერი (1883 წ.) საუბარი ამ კრებულის გაბეჭდვის მიერ XVIII საუკუნის დამდეგისათვის შეთხზვის თუ შედგენის შესახებ სრულიად უსაფუძვლოდ გამოითქვებოდა. იხლა, უკვე აღნიშნული ძეგლის შორიერი წარსულიდან მომდინარეობა და მისი მადალი სამეცნიერო მნიშვნელობა არ იწყვედა არავითარ გვეს. ამერიდან საჭირო იყო მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ კვლევა-ძიებაზე, მის მეცნიერულ შესწავლაზე გადასვლა. საჭირო იყო გარკვევა იმისა, თუ რას წარმოადგენდა ეს უნიკალური ძეგლი არსებობით: ერთი ავტორის შემოქმედების ნაყოფი იყო ის, როგორც ეს ადრინდანვე ჰქონდა ზოგიერთ მკვლევარს შეწყნარებული, თუ ეს სქელტანაში წიგნი სხვადასხვა ავტორის ისტორიულ თხზულებათა კრებულს წარმოადგენდა? თუ „ქართლის ცხოვრება“ კრებულაა, მაშინ რა და რა თხზულებისაგან შედგება ის, ვინაა თითოეულის ავტორი და რაც მთავარია, როგორია მათი ადგილი და ღირებულება მეცნიერებაში? ან პრობლემები, რომელია გარკვევისათ. ჟორდანიას ვაბედულად შეუდგა და რე-

მელსაც მან თავისი ცნობილი „ქრონიკები“ მიუძღვნა კიდევ.

რომ თედო ჟორდანიას თავისი „ქრონიკების“ შედგენა-გამომკვეთებისას, ძირითადად, „ქართლის ცხოვრების“ პრობლემათა გარკვევა-გამოკვეთება ამოქმედებდა და ამ ძეგლის მეცნიერულ შესწავლას ისახავდა მიზნად დასტურდება მისივე სიტყვებით: „გარდა ქ-ცხების კრიტიკულად გარჩევისა და ქრონოლოგიურად მისი ცნობების განმარტებისა, ჩვენ სახეში ვვქონდა შეგვემოწყობინა, გავვესწორებინა და შეგვესწავლა ქ-ცხა ახალ ცნობებით, შესახებ პოლიტიკურის, სარწმუნოებრივის და განვებრივის ჩვენის წარსულის ცხოვრებისა“. (ქრონიკები, და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და შეწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, თბილისი, 1892, გვ. VIII.)

ამიტომ არც გასაკვირია, რომ თ. ჟორდანიამ თავისი „ქრონიკების“ პირველ წიგნს წინასიტყვაობის სახით ვრცელი გამოკვლევა წაუშლავარა წინ „ქართლის ცხოვრების“ შესახებ. მასში მკვლევარმა, უპირველეს ყოვლისა, კრიტიკულად განიხილა „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთი ნუსხა: მართამ დედოფლისეული, თეიმურაზისეული, საცლესიო მუხუშის და გვირგვინ მათი არა მარტო მნიშვნელოვანი არქეოგრაფიული შედარებით — შესწავლის ნიშნში, არამედ მათივე ცნობების დამაფიქრებელი ურთიერთ შეკვრება-შეწყობაზე. გარდა ამისა, თ. ჟორდანიამ ამ ნაშრომში, პირველმა „ქართლის ცხოვრების“ მკვლევართა შორის, შეისწავლა აღნიშნული ძეგლის შედგენილობის პრობლემა. ის მან განიხილა, როგორც სხვადასხვა ავტორთა თხზულებების კრებული და არა ერთი ავტორის მთლიანი თხზულება, როგორც ის მანამდე იყო მიღებული.

ამ უკანასკნელის ნაცვლად, თ. ჟორდანიამ იქ თავიდან მოკიდებული თამარის ისტორიის ჩათვლით ცხრა სხვადასხვა თხზულება და ავტორი დაგვისაბლა.

მართალია, „ქართლის ცხოვრების“ დაყოფა შემადგენელ ნაჭრებად, შემოთავაზებული თ. ჟორდანიას მიერ დღემისათვის საქმოდ მოქმედებულა, მაგრამ ის მაინც პირველი ქართული მკვლევარი იყო, რომელმაც „ქართლის ცხოვრებაში“ კრებულ დაინახა და ეს პრობლემა მან დააყენა კიდევ. ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ თედო ჟორდანიას იქ წამოყენებული არა ერთი დებულება შეწყნარებულია მკვლევართა მიერ და, საერთოდ, ამ გამოკვლევას დღესაც არა აქვს დაკარგული სამეცნიერო მნიშვნელობა. ყოველშემთხვევაში, ეს ნაშრომი

თედო ჟორდანიას, „ქრონიკები“ III, „მეცნიერება“, 1967 წ.

პირველი იყო სპეციალურ ლიტერატურაში, რომელიც მიზნად ისახავდა არა „ქართლის ცხოვრების“ სინამდვილის მტკიცებას, რაც უკვე სრულიად დამაყრებლად იყო გაკეთებული დ. ბაქრაძის მიერ, არამედ ეძღვნებოდა ხსენებული ძეგლის, როგორც ისტორიული კრებულის და მისთან დავაწერებული პრობლემების კვლევა-ძიებისა და მისი მეცნიერული შესწავლის საქმეს.

ამის შემდეგ, თეოდორ დანიამ, როგორც ამას თვითონ იუწყება, ქართლის ცხოვრებაში შეტანილ თხზულებათა კრიტიკული შესწავლისა, მათი ცნობების შეყვება-შეწყობისა და შეესებების მიზნით, დაძვინა ქართულ და უცხოურ წყაროებში და თავის „ქრონიკებში“ შეიტანა დიდიძის, ნამდვილად ძვირფასი მასალა ქართველი ხალხისა და მისი კულტურის ისტორიისათვის.

თედო ყორღანის მიერ შეტანილი და „ქრონიკებში“ თავმოყრილი მასალები, აშკარაა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეხმარებიან „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილ მრავალ ამბავს, მის სიუჟეტურ კენახს და ამით ერთდროულად (ობიექტურად) აღსატურებენ ხსენებული ძეგლის სინამდვილეს. ამ მხრივ, საბართლიანობა მოითხოვს აღნიშნოს, რომ ხსენებულმა „ქრონიკებმა“ ბრწყინვალედ შეასრულეს თავისი მეცნიერული დანიშნულება და, რაც მთავარია, ისინი, დიდიხანაა, გადაიქცევენ მკვლევარ-ისტორიკოსთა სიმაგიდო წიგნად. ქართველი ხალხისა და მისი კულტურის ისტორიის კვლევა-ძიება დღესაც თ. ყორღანის „ქრონიკების“ გარეშე ძნელი წარმოსადგენია.

თ. ყორღანამ, როგორც ცნობილია, ვერ შეძლო მის მიერ კარგად დაწყებული საქმის დამთავრება. მან თავისი „ქრონიკების“ მხოლოდ პირველი ორი წიგნის გამოქვეყნება მოახერხა. („ქრონიკების“ პირველი წიგნი გამოქვეყნდა 1892 წელს, ხოლო მეორე — ხუთი წლის შემდეგ, 1897 წელს) ამ ორ წიგნში დაბეჭდილია „ქრონიკები და სხვა მასალა...“ „უძველესი დროიდან მოყოლებული XVII საუკუნის მიწურულამდე (1699 წ.), მესამე დამამთავრებელი ტომის დაბეჭდვას მის სიცოცხლეში აღარადგერი ეშველა. ეს უაღრესად რთული და ზედმიწევნით მძიმე საქმის განხორციელება თავს იდგა ჩვენმა ორმა გამოჩენილმა მეცნიერმა. პროფ. გივი ყორღანამ (თედო ყორღანის შვილიშვილი) და დოც. შოთა ხანთაძემ. მათი მონაწილეობით და მუყაითი მუშაობის შედეგად ჩვენ ხელთ გვაქვს თ. ყორღანის „ქრონიკების“ მესამე დამამთავრებელი წიგნი.

„ქრონიკების“ მესამე წიგნი იწყება 1700 წლით დათარიღებული მინაწერებით (ერთ-ერთი მთავანი ეხება არჩილ მეფის დეაღლითან რუ-

სეთს წასვლის ამბავს) და მთავრდება 1871 წლის რომელიღაც დაზიანებულ მინაწერის, დასაწყისით („მოიღვა უკან...“) დარჩენილი უწყვეტი მონაცვეთისათვის. თ. ყორღანის მიერ შეყვანილია: ანდერძ-მინაწერები, ქრონიკებიდან, მატანეებიდან და კენკლარებიდან ამოღებული ცნობები, წარწერები, სიტყვები, მოხსენებები და სხვა ძვირფასი მასალა საქართველოს ისტორიისა დიდი ზოგადობით.

გამომცემელთ უზომოდ დიდი მუშაობა გაუწევიათ თ. ყორღანის წყაროების მისაგნებლად და დასახულებლად. ამ მიზნისათვის, მათ, თითქმის, არაფერი დაუტოვებიათ ჩვენ სიმკვლესაცაგებოთ უნახავი და წითიწითი, რაზხედამ ამ მხრივ, ოღონდ მიიწვი დეკრეტი შესაძლებელი იყო. ხშირად ისინი ერთი სრულიად უბრალო წყაროს დასადგენად კითხულობენ არაერთ წიგნს ან საარქივო საქმეს და ზოგჯერ სრულიად უშედეგოდ. მაგრამ წყაროს მიგნების შემთხვევაში, რაც საბედნიეროდ ძალიან ხშირია, გამოიყენებენ არა მარტო თითოებურ წყაროს, არამედ მოაქვთ ეს უკანასკნელი, თითქმის მთლიანად. ასე რომ, ძირითად ქრონიკულურ ცნობას ისინი ურთავენ იმ წყაროსაც, საიდანაც ეს ცნობა ქმნიდა თავის დროზე თ. ყორღანის ამოღებული. აღნიშნულის შედეგად „ქრონიკების“ ამ წიგნში ჩვენ ხსენებულ ცნობებთან ერთად კითხულობთ მათ წყაროებსაც (ანდერძ-მინაწერი, წარწერა, მოხსენება, საქმიანი ბარათი, სვეტ-გუჯარი, აზნაი და სხვ.). ზოგჯერ აქ ეხებათ სიტყვა-კაზმული მწერლობის ნიმუშებსაც, რომლებითაც თ. ყორღანის, ამა თუ იმ შემთხვევაში, უსარგებოდა. ასეთი მეთოდოლოგიის წყალობით, ბუნებრივია, სარეცენზიო წიგნი არის არა მარტო თ. ყორღანის მიერ ამოკრებილი ქრონიკების კრებული, არამედ მათი დოკუმენტური, დასაბუთებული მუშაობაც. ამ მხრივ, ის საქმიანად განსჯადება მისივე ქრონიკების სხვა წიგნებისაგან.

დიდ ბედნიერებად უნდა იქნეს მიჩნეული ის გაეროებაც, რომ „ქრონიკების“ ამ წიგნში დამატების წესით წარმოადგენილია თ. ყორღანის ნაშრომი: „კრიტიკული გარჩევა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილისა, ქრონოლოგიური და გენეალოგიური გამოკვლევა ჩვენის საისტორიო წყაროებისა და ვახუშტის ისტორიისა 1213 წლიდან 1703 წლამდე“. არსებითად, ეს არის გაგრძელება იმ ნაშრომისა „ქართლის ცხოვრების“ შესახებ, რომელიც მან წინასიტყვაობის სახით თავისი „ქრონიკების“ პირველ წიგნს წაუძღვარა. მართალია რომ ითქვას, ჩვენ ამ ბოლო ხანებამდე არაფერი ვიცოდით აღნიშნული გაგრძელების არსებობის შესახებ და გვეგონა, რომ თ. ყორღანამ თავისი გამოკვლევა თამარის ისტორიის მიმოხილვით დამთავრა. ახლა ირკვევა, რომ მან უკ-

ნია დაწერილი თამარის ისტორიის მომდევნო ნაკვეთის — ეპითაღმწერელის თხზულების, ან როგორც ის ეძახის, „ასწლოვანი მატანის“ შედგენა-გაჩვენება და არა ერთი საგულისხმო დაკვირვება აქვს ამ ძველთან დაკავშირებით წარმოდგენილი. (შ. ხანთაძე, თ. ყორღანი, როგორც ისტორიკოსი, თხზ. ანბიანტთა შრომები, I, 1950).

უპირველესად ყოვლისა, უაღრესად საგულისხმოა ის შორევი, რომლის გამოც თ. ყორღანის საუბროდ მიუჩნევია „ქართლის ცხოვრების“ ამ მეორე ნაწილის შესწავლა, კრიტიკულად გარჩევა მისი სიტყვით: უკანასკნელის ნაწილის დაწერილობით კრიტიკულად გარჩევა ავტორებზე და საჭიროა და ფრად გამოასადგვი ჩვენის ისტორიისა და არქეოლოგიისათვის, მით უმეტეს, რომ, აქ ამ უკანასკნელს „ქართლის ცხოვრების“ ნაწილში ძველის ლოდო, რომელიც ებოძა იქვეა და აბრკოლებს ყველა მკვნის არქეოლოგებს და მეისტორიებს“ (იხ. გვ. 557). ამჟამად, ავტორის ეს სიტყვები ეხება ჩვენი ქვეყნის XIII საუკუნიდან მოვიდებელი ისტორიის თავისებურებას, მისი განვითარების კონკრეტულს, მაგრამ რას გულისხმობდა ის, კონკრეტულად, ამ შემთხვევაში, ჩვენი არქეოლოგებისა და ისტორიკოსების დამხრებულად ლოდის სახით, მაინც ძნელი სათქმელია, ამას შემდგომი დაკვირვება ესაჭიროება. გარდა ამისა, უაღრესად მნიშვნელოვანია თ. ყორღანის მოსახრებაში აღნიშნული თხზულების ავტორის ვინაობისთან დაკავშირებით. საუკეთესო ლიტერატურაში, კარგა ხანია, რასაკვირველია, თ. ყორღანისაგან დამოუკიდებლად, განმტკიცდა აზრი იმის შესახებ, რომ ეპითაღმწერელის სახელით ცნობილი ისტორიკოსი თემობრივად სამცხედან, შესხი უნდა ყოფილიყო (ნ. ბერძენიშვილი, შ. ინგოროვი, შ. მურადიანი, კ. გრიგოლია), მაგრამ ახლა ირევეა, რომ ეს აზრი ყველაზე უფრო ადრე და სავსებით დასაბუთებულად თ. ყორღანის უთქვამს და ამ მხრე პირველობა უთუოდ მას ეკუთვნის. ცხადია, ჩვენ ვერ გავიზიარებთ მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ასწლოვანი მატანის“ დაწერილია სმცხის მთავრების სარგისისა და ბექა ჩაველების მიერ, რომ ის XIV საუკუნის დამდგმ, ვიოტი V, ბრწყინვალის ზეობაში მხოლოდ რედაქტირებულა ვიდაც ვარაიელი ბერის მიერ და სტ. ყველაფერც თ. ყორღანისთან საჭიროსად დასაბუთებული არ არის და ამჟამად საცილობელია მიუხედავად ამისა, თ. ყორღანის ამ ნაშრომში შეთოდოლოგიურად უთუოდ ბევრი რამა ახალი და ჩვენითვის საგულისხმოც.

უთუოდ მართებულად იქცევიან თ. ყორღანის „ქრონიკების“ შესამე წიგნის გამოცემელნი, როდესაც ისინი ავითონ შემდგენელის

მიერ ამ წიგნში ჩაწეობილ საბუთებს, ან კიდევ, მასთან დაკავშირებით შეკრებილ ისტორიულ ქრონიკებს აქვეყნებენ მთლიანად ან მათი ნაწილებში. დღეს, რასაკვირველია, ქრონიკების იტყვის და არც არავის შეუძლია გაარკვეოს: რა მიზნით ან როგორ სურდა შემდგენელს მათი გამოყენება თავისი ქრონიკების სხვენებულ წიგნში, მაგრამ შეთხვევისათვის მათი მთლიანი სახით მიწოდება და აქ დასმულ კითხვებზე დაუ მათთვის ჩადიქრების საშუალების მიცემა, თქმა არ უნდა, ნამდვილად მოწონების ღირსია. მით უფრო მაშინ, როდესაც აქ გამოაქვეყნებულ ორ ათეული ისტორიული ქრონიკის დიდი უმეტესობა ცნობილი არ არის სპეციალურ ლიტერატურაში, და ახლა იყოველად შედის სამეცნიერო ლიტერატურაში.

ასევე, თ. ყორღანის „ქრონიკების“ ადრე გამოქვეყნებულ წიგნებიდან ჩვენ ვიცოდით, რომ მას ქონდა თავის დროზე „უბის წიგნი“ გარკვეული რაოდენობით, რომელსაც ის იმორწმუნდა კიდევ თავის „ქრონიკებში“, მაგრამ რას წარმოადგენდა თითოეული მათგანი არსებითად და რაც მთავარია, სად არიან ისინი ამჟამად შენახული, ჩვენ სრულად არავფი ვიცოდით. ეხლა კი „ქრონიკების“ ამ მხარე წიგნის გამოცემელთა წყალობით ჩვენ ხელთ ყავს თ. ყორღანის „უბის წიგნების“ დაწერილობით შესრულებული არქეოგრაფიული აღწერილობა და მათი ადგილსამყოფელიც მითითებულია.

სრულად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის საძიებლები, რომელსაც გამოცემელნი ამ წიგნს ურთავენ. ისინი აქ ათავსებენ არა მარტო შესამე წიგნის, არამედ თ. ყორღანის „ქრონიკების I და II წიგნების საძიებლებსაც, ასე რომ, აქ წარმოდგენილია წიგნების მიხედვით: საყუთარ სახელთა (პირთა და გუოგრაფიული) და „ქრონიკების“ დამოწმებულ წყაროთა საძიებლები — სამივე წიგნისათვის ცალცალკე. ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რაოდენ უაღრესად მნიშვნელოვანია თ. ყორღანის მიუხეველთ თავის დროზე „ქრონიკების“ უსამძებლოდ გამოცემული I და II წიგნების გამოუჩენებასაც.

ამასთან ერთად, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ესოდენ რთული და დიდი საქმე, როგორც თ. ყორღანის ქრონიკების შესამე წიგნის პუნლიკაციაა, არ შეიძლებოდა მთლად უნაკლო ყოფილიყო, მასში, მართალია, თითო-ორილა, მაგრამ დასაზუსტებელი, უმარტივებელი ვაჭებელი, ან ამჟამად შესასწორებელი ადგილიც არა ერთი მოიპყრება. ამ მხრე, ჩვენ აქ ამ წიგნის გამოცემასთან დაკავშირებულ ზოგიერთ გარეგნულ ასპექტს შევხებით მხოლოდ.

უპირველესად ყოვლისა, შენიშვნის იწვევს ის ვადორბება, რომელიც ამ წიგნის გარეყანება.

ბრწინვალე მცოდნე და მკვლევარი საქართველოს ისტორიის წყაროებისა, ქართული პალეოგრაფიისა, მატერიალური კულტურის ძეგლებისა და სხვა სიმკვლევებისა ასე რომ, მასალების ახსნა-კომენტირება ძალიან ძლიერი მხარე იყო თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ პირველი ორი წიგნისა. სამწუხაროდ, მას ჩვენ მცირე რაოდენობით ვხვდებით „ქრონიკების“ წინამდებარე შესაძენ წიგნში, მასალების ახსნა-კომენტირებას ამ წიგნში ნაკლებად აქვს ადგილი.

როგორც ჩანს, ამ მხრივ ეს წიგნი თ. ჟორდანიას დაუმუშავებელი დარჩენია. ხოლო მის გამოცემულთ ამ საქმისათვის ირ მიუქცევიათ ქრონიკის უფრადლება. ისინი, მართალია, ამის სანაცვლოდ ამლიერებენ მასში წყაროთა და ზუსტებით მოთითებას, ძალიან ხშირად თვითონ წყაროებსაც ურთავენ წიგნში შეტანილ ქრონიკებს, მაგრამ ამ უკანასკნელთა, ზოგიერთის მაინც, კომენტირება ძალიან სასურველი იყო.

მით უფრო, რომ თავფურცელში ასეთი დამირება, ზვეულბრივ, გაცემებულა.

თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ მესამე წიგნს შესაძლებელია სხვა ნაკლიც ედმოქნდეს. მაგრამ ყველაფერი ეს იმდენად მცირეა შესრულებულ საშვილიშვილო საქმესთან შედარებით, რომ ისინი ოდნავადაც კი ვერ შეაჩვენენ მის ადგილსა და მნიშვნელობას შეცნიერებაში. ეს წიგნი იმ სახითაც, როგორითაც ის გამოცემულია, განუზომლად დიდ სამსახურს გაუწევს ქართველი ხალხისა და მისი კულტურის ისტორიის მკვლევართ. ხოლო მისი გამოცემული იმ კოლოსალური სამუშაოსათვის, რომელიც გაწეულია მათ მიერ ამ წიგნის გამოსაცემად მომზადებასთან დაკავშირებით, იმსახურებენ სრულიად საფუძვლიანად აწინდელ და მომავალ თაობათა გულწრფელ მადლობას.

კონსტანტინე ვრიგოლია



80-111
3360 80 433.



ИНДЕКС
76128

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО «ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»